მანანა რომელაშვილი

ტყისპირა სახლის ზღაპარი

(წიგნი მეორე)

თბილისი
2021

ლაშა კიზირია -
“ყვავილი”

ვუძღვნი შვილიშვილს -
კრავაის

მხატვარი:არჩილ კუხიანიძე
დიზაინერ-დამაბადონებელი:მანანა სურმანიძე
ბეჭდვა:შპს. "წიგნის ფაბრიკა"

რედაქტორი: ქეთევან აბრამიშვილი
მარიამ წულაური

გაზაფხულის ზღაპარი

თავი, რომელიც შეგიძლიათ გამოტოვოთ, მაგრამ გაზაფხულს ეწყინება, თქვენ ხომ არ გეცოდინებათ, რა ლამაზია ის დედამიწაზე?

როგორ იწყება გაზაფხული?

როგორ და, ჯერ მზე აბრიალდება ცაზე, სხივებს დაფანტავს, სითბოს დაატრიალებს, დედამიწას გულში ჩაიკრავს, მერე ბუნება შეიღვიძებს, ფერებს ძებნას დაუწყებს. ნაზამთრალ ხეებს ხასხასა ფოთლები დამოსავენ, პრანჭია ყვავილები მინდვრებს დაქარგავენ. თოვლის ნადნობით მომძლავრებული მდინარეები ხმაურს ასტეხენ. ჩიტების გალობა-ჭიკჭიკი დაატკბობს ქვეყანას. ფუტკრები, ჭიამაიები, პეპლები ერთმანეთში აირევიან და ველებს დაამშვენებენ. ჟუჟუნა წვიმა მიწას დანამავს, ბალახს ზედაპირზე გამოუხმობს. ზეცას ცისარტყელები მორთავენ. ასე და ამგვარად გამოჰფენს გულღია გაზაფხული სამკაულებს, თავს მოიწონებს. ადამიანები? ისინი, გულში იმედჩაღვრილები, ჩაკეტილ ფანჯრებს დააღებენ და დედამიწის ზეიმს შეუერთდებიან.

სწორედ ამგვარი გაზაფხული უნდა ეწვიოს მიდამოსაც, ოღონდ ის ჯერ გზაშია და სულაც არ იცის, რომ ტყისპირას, ლამაზ სახლში, ოჯახთან ერთად საყვარელი პატარა გოგონა დასახლებულა, და ეს მივიწყებული ადგილი სიხარულით აუვსია.

გაზაფხული ტყისპირს ეწვია

და, აჰა! მოვიდა, მობრძანდა, მოფრიალდა, მოხატულდა გაზაფხული და დადგა. ბუნება განახლდა, გამოიცვალა, მიდამოც გადასხვაფერდა. წელიწადის მშვენიერმა დრომ თავმდაბალი, კეთილშობილი ტყისპირი აამწვანა. იქვე, მორცხვად შეკედლებული იასამანი ლურჯად ააყვავა, ალუბალი კი თეთრად გადაპენტა.

სახელგანთქმულმა კაჭკაჭმა უმალ იგრძნო სიახლე, დატრიალდა, ბუდის ლაგება დაიწყო. ერთი ამბავი ჰქონდა: ფრთებით ხვეტდა, ასუფთავებდა. ძველი, მობეზრებული ნივთები გამოეწყო, გადაყრას უპირებდა, მხოლოდ საახალწლო მოსართავს ვერ ელეოდა, გოგონას ნაჩუქარი იყო და გადასაგდებად არ ემეტებოდა, ცდილობდა, სადმე ადგილი მიეჩინა. საბოლოოდ იქვე, პატარა ტოტზე, ჩამოჰკიდა და თავის თავს კმაყოფილებით უთხრა: - აი, ასე! იყოს აქ! დიდი ამბავი, მარტო ახალ წელს კი არა, გაზაფხულზეც რომ ვიბრჭყვიალო. ვეებას ფანჯრებიდანაც ადვილად შემამჩნევენ, - საქმეს მორჩა თუ არა, ტყისპირს გასძახა, - გაზაფხულის დადგომას გილოცავ, მეგობარო!



- ისე მიხარია, ისე მიხარია, სადაცაა ავშრიალდები! - გამოეხმაურა ისიც აღტაცებული, - ჩვენმა იასამანმაც დამამშვენა! იფ, რა სასიამოვნო სურნელს აფრქვევს?! პატარა ალუბალი? შემოგვეკედლა, გაიხარა და ხედავ, თავისი ფერით რამდენი ფრინველი მოიზიდა? მალე ნაყოფსაც გამოისხამს.

- ჰმ, შემოგვეკედლა, - ალუბლის ხსენებაზე კაჭის გუნება შეეცვალა, - შემოგვეკედლა თუ გადაგვჭამა? იმხელა გაიზარდა, მისი სტუმარი შენ უფრო ხარ!

- ისევ ძველებური დაიწყე? რა დაგიშავა? დარჩები ხილის გარეშე, - გასაკვირი სითამამით შეეპასუხა მეგობარი ჩიტს.

- რად მინდა ეგ მჟავე ალუბალი? აგერ, პატარა ბაღი დამპატიჟებს! - მხრები აიჩეჩა ფრინველმა, - იასამნის ყვავილს კი მოვიწყვიტავ, ბუდეს მოუხდება! - მოიფიქრა მან.

პატარა ბაღის გაზაფხული

პატარა ბაღშიც დამდგარიყო გაზაფხული. მას ზამთრის ძილისთვის თავი დაეღწია და თანდათან იკვირტებოდა, ლამაზდებოდა, თუმცა მთლად კმაყოფილი ვერ იყო, რადგან პეპლების, ჭიამაიების, ფუტკრების ნაკლებობას განიცდიდა. აქეთ დაბინავებას, ჯერჯერობით, ყველა ერიდებოდა, დიდი სახლის საშინელი ხასიათი ახსოვდათ. ჩიტებიც ხანდახან თუ შემოსხდებოდნენ ხეებზე, ისიც ტყისპირის თხოვ-

ნით, - ნუ მიატოვებთ, უნდა გაძლიერდეს, თქვენი ჭიკჭიკის გარეშე კი ეგ არ მოხ-დებაო.

პატარა ბაღს ოცნება ჰქონდა, ფიქრი ჩუმი, მორიდებული, - მალე, გაზაფხულის თანმხლები, ჭექა-ქუხილიანი, თავსხმა წვიმები დაიწყებოდა, უცაბედი, ცისარტყე-ლებიანი გამოდარებით. ჰოდა, უნდოდა, უნდოდა თავს ცისარტყელა გადაჰკვროდა. მას ხომ სხვებიც შეამჩნევდნენ და მისდამი სულ სხვანაირი პატივისცემა გაუჩ-ნდებოდათ.

ვეებას გაზაფხული

გაზაფხულმა არც დიდი სახლი დაივიწყა. ვეებამაც ფანჯრები დააღო, ფარდები გადასწია, მზე შეუშვა. ახლა ლაღად და თავისუფლად შეეძლო საოჯახო საქმე ეკეთებინა; ხელს ვერც ქარიშხალი შეუშლიდა, ვერც ნისლი. გარშემო ატეხილ ფუსფუსს ყურადღებას არც აქცევდა, კარგ გუნებაზე იდგა, მიდამოს ზემოდან გადასცქეროდა და, რა თქმა უნდა, საკუთარი ეზო-კარი ყველაზე უფრო მოსწონდა.

სახლიკოს გაზაფხული

სახლიკო? ნეტავ, ის როგორ შეხვდა გაზაფხულს? მშვენივრად, მშვენივრად! აგერ, მისი საყვარელი ასკილის ბუჩქი აყვავებულა და, მართლაც რომ, ნამდვილი დედოფალივით დაბრძანებულა. ჩიტებს თვალს სჭრის, თავისთან ეძახის. ისინიც მოქნილ ყლორტებზე ნებივრობენ. ბინადრები გარეთ გამოშლილან. დედიკო ძაღლი ყოველ კუთხე-კუნჭულს გულმოდგინედ ათვალიერებს, თან პატარა ლეკვს ასწავლის, იქაურობა როგორ დაიცვას. ფუმფულა ფისო მზის გულზე თბება. კმაყოფილია, ახლა შეუძლია სახლში ნაკლები დრო გაატაროს. გამოიზამთრა, მაგრამ წასვლა სულაც არ სურს, რადგან გოგონა შეჰყვარებია და მის გარეშე ვერ გაძლებს. ჭიანჭველა, რა თქმა უნდა, ძველებურად ჭიჭყინებს, ამავე დროს, ყურადღებითაა, გამდნარმა თოვლის ნაჟურმა არ წაიღოს, სადმე არ გადაკარგოს.

მას ერთი ახალი სადარდებელი შემატებია. რა აწუხებს? ამასაც გაიგებთ. ჰო, მართლა, დედიკო, მამიკო და გოგონა? - ისინი ტკბებიან ზამთრის შემდეგ გამოღვიძებული ბუნების მშვენიერებით და თავს ძალიან, ძალიან კარგად გრძნობენ.

უცნაური, მაგრამ ძალიან სასურველი სტუმარი

ერთ თბილ, კამკამა დილას გოგონამ და მამიკომ სასეირნოდ წასვლა გადაწყვიტეს. ტყისპირს მიაშურეს. დედიკო შინ დარჩა. სამზარეულოში მშვიდად მიირთმევდა ყავას. სასიამოვნო არომატი გარეთ იღვრებოდა და ირგვლივ საოცარ სიმყუდროვეს ჰფენდა. მოულოდნელად სუსტი, მიმქრალი ხმა მოისმა, - გამომხედეთ, გთხოვთ, მითხრეს, გელოდებიანო! აქ ვარ, მოვედი! მომწონს აქაურობა, გავთბი. არ მიმიღებთ? რა ვქნა? უკან, იმ სიცივეში, როგორ დავბრუნდე?!

ვეებამ სული განაბა, ფარდების ოდნავი რხევაც კი შეწყვიტა, ძირს ჩაიხედა; ეზოს მხარეს, სამზარეულოს ფანჯრის ქვეშ, სულ ერთი ბეწო, სიფრიფანა ყვავილი მოხრილიყო და ცახცახებდა. იმწუთასვე მიხვდა, საიდან გაჩნდა იგი.

- მაინც გამოაგზავნა! ჰმ, ახლა მთელ ზამთარს ვერ მოვიშორებთ აქედან, იმ საძაგელს!

- ძალიან გაბრაზდა, მაგრამ ყვავილი მაინც შეეცოდა, - საწყალი, დარაბა ხომ არ მივაბრახუნო, დედიკოს გავაგებინო? სწორედ ამ დროს მისი ხმაც გაიგონა, - თეთრო ყვავილო, შენა ხარ? ვერ ვიჯერებ! ქარიშხალმა დანაპირები შეასრულა?! ჩემთან გამოგგზავნა? რა კარგია, აქ ბედნიერი იქნები, ცივ ნიავს არ მოგაკარებ!

- წყალი მწყურია, ვჭკნები! - ამოიკვნესა პატარამ. დედიკო სასწრაფოდ ეზოში გაჩნდა, ყვავილი აიღო, ჩაიხუტა და შინ შებრუნდა. პაწაწინა სტუმარი წყლიან ჭიქაში მოათავსა, მერე წინ ჩამოუჯდა. ესაუბრებოდა, ამშვიდებდა, - ნუ გეშინია, არაფერს გაგიჭირვებ, ცოტა ხანს ასე იყავი, როცა მოკეთდები, ქოთანში გადაგგრგავ. ყველაფერი კარგად იქნება!

აი, რა სიხარული მოუტანა გაზაფხულის ერთმა დილამ დედიკოს.

რა აინტერესებს გოგონას?

- არ გავიგოთ, ტყის იქითა მხარეს რა არის? იქნებ ვინმე ცხოვრობს? - დასვა კითხვა ბავშვმა.

- ახლოს მხოლოდ ის ქალაქია, საიდანაც გადმოვსახლდით, მეტი არაფერი, - მიუგო მამამ. - საიდან იცი?

- არსებობს გეოგრაფიული რუკა, რომელზეც ქვეყნებისა და ქალაქების მდებარეობას აღნიშნავენ. სხვათა შორის, მისი თვალიერება ბავშვობიდან მიყვარდა. გავშლიდი, ფანქრის წვერს დავადებდი და გავუყვებოდი გზებს. აქაურობაც საკმაოდ კარგად მაქვს შესწავლილი. ტყის იქით მხოლოდ დაუსახლებელი მინდვრებია, გორაკები, - დარწმუნებით თქვა მშობელმა, - რა, მოიწყინე? ახალი მეზობლები მოგინდა?

- არაა, ისე გავიფიქრე, იქნებ, შორს, ვინმე მარტოა და გველოდება. გავიცნობდით, ჩვენს მხიარულებას გავუნაწილებდით, თანაც ტყე საიდუმლოებებს ინახავს, ძაღლებიც მან არ გვაჩუქა? რამე საინტერესო იქ ყოველთვის მოიძებნება. კარგად უნდა დავათვალიეროთ, თორემ ეწყინება ყურადღებას არ მაქცევენო, - თქვა გოგონამ და ფიქრიანი თვალები მამას იმედით შეანათა. ცხადი იყო, რა პასუხსაც ელოდა.

- კეთილი, რომელიმე შაბათ-კვირას შეგვიძლია ფეხით გავისეირნოთ ან სამანქანო გზა ვიპოვოთ, - უთხრა ღიმილით მამიკომ.

- იფ, რა კარგია! - გაიხარა ბავშვმა, - ოღონდ, არ მალოდინო, იცოდე! - მხიარულად დაამატა მან.

ერთ ხანს კიდევ ისეირნეს ტყის პირას, დატკბნენ ბუნების მშვენიერებით. ბოლოს მამამ თქვა, - ახლა კი შინისაკენ გავეშუროთ, დროა, დედიკოც გველოდება და ჩვენი სახლიც.

გოგონა თეთრ ყვავილს ეცნობა

- ეტყობა, საინტერესო საუბარი გქონდათ, - მხიარულად მიეგება მათ დიასახლისი, - თქვენი არ ვიცი, მე ნამდვილად გამორჩეული დილა გამითენდა. მშვენიერი საჩუქარი მივიღე.

- ოჰო, აქ ადრიანად კარგი ამბავი მომხდარა! - გამხიარულდა მამიკო.

- ქარიშხალმა ყვავილი გამომიგზავნა, ძალიან ლამაზია, მაგრამ სუსტადაა, არც ფერი აქვს.

- სად არის?! - გოგონა სამზარეულოსკენ გაიქცა. ყვავილის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა, ნელა მიუახლოვდა, მიეფერა და უთხრა, - მეც მოგივლი, გაგახარებ!

ასე და ამგვარად, დიდ სახლს სიფრიფანა, მოკრძალებული, ჩუმი, მაგრამ უშიშარი და სიყვარულით სავსე ბინადარი შეემატა. ახალი ამბავი მთელ მიდამოს მალე მოედო. ეს ცნობისმოყვარე, მოუსვენარი კაჭკაჭის დახმარებით მოხდა. იგი ხომ, ოჯახისა და ვეებას შემდეგ, ყვავილს პირველი დაუმეგობრდა. ეს ასე მოხდა.

კაჭიმ ახალი ბინადარი აღმოაჩინა

უთენია დასაზვერად აფრენილ ჩიტს ფრიად უჩვეულო რამ მოხვდა თვალში. დიდი სახლის პირველ სართულზე დარაბა ღია იყო და ფარდა გადაწეული.

- ოჰ, ეს როგორ მოსვლია? თვითონ არ იზამდა, რაღაცაშია საქმე. აბა, ვნახო ერთი?! – სასწრაფოდ ძირს დაეშვა, რაფაზე ჩამოსკუპდა.

იმწამსვე შეამჩნია ფერწასული, მქრქალი ყვავილი, რომელიც დედიკოს უკვე მზის გულზე მოეთავსებინა. გაოცებით კი გაოცდა კაჭი, მაგრამ არ დაიბნა, უცხო სტუმარს მიესალმა, - დილა მშვიდობის, ლამაზო, საიდან გაჩნდი, ვინ მოგწყვიტა?

- აქაური არ ვარ, ქარიშხალმა ყინულების ქვეყნიდან წამომიყვანა, თავს მთლად კარგად ვერ ვგრძნობ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გავიხარებ, - საწყლად მიუგო ახლად მოსულმა.

- რა თქმა უნდა, ასეც იქნება. გოგონა ამბობს, ამ მიდამოში არავის არაფერი გაუჭირდებაო. ვინ იცის, ცოტა ხანში დაიბუჩქო. აი, ჩვენი ალუბალი, გინდა ლურჯი იასამანი, ტყისპირს რომ შეეყუჟნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ, ახლა იმხელა ადგილს იკავებენ, - ირონიით ჩაილაპარაკა ფრინველმა, იმ ორ ხეს მაინცა და მაინც არ სწყალობდა.

- მეც მინდა გადავრჩე, გავიზარდო, დედიკო გავახარო! - შესძახა თეთრმა ყვავილმა.
- კარგი, დამშვიდდი, ყველაფერს მოევლება! - ჩაიჭახჭახა კაჭიმ. მოეწონა პაწაწინა, გული შეუფრთხიალდა. უკვე იცოდა, მის სანახავად კვლავ მოვიდოდა. ო, როგორ უნდოდა, ამ მშვენიერ ბინადარსაც იგივე გძნობა გასჩენოდა. ამ დროს, საუბრითა და თავმოწონებით გართულმა, ვეებას სუსხიანი მზერა იგრძნო. აიხედა, თვალი ააყოლა. შეცდა, სუსხიანი არა, გაკვირვებული. ფრინველს შეეშინდა, სახლს მისთვის რაიმე უხიაგი არ ეთქვა, არ შეერცხვინა, ამიტომ წასვლა არჩია.
- აბა, დაგტოვებ, ქვეყნის საქმე მაქვს, მოგვიანებით ისევ გინახულებ. შენ იცი, კარგად დამხვდი! - ჩიტი გაფრინდა და ყვავილზე ფიქრი გაიყოლა თან.

ძალიან ბევრი საქმე გამოჩნდა

ერთ დილას, მამა და გოგონა, ოჯახის ახალი წევრის მოსანახულებლად და გასამხნევებლად, სამზარეულოში შესულიყვნენ. ბავშვი ყვავილს ეფერებოდა, მამა ღია ფანჯრიდან სივრცეს გასცქეროდა, საგონებელში იყო ჩავარდნილი. მართალია, გაზაფხულმა უამრავი კარგი რამ მოიტანა, მაგრამ საქმეც ბევრი გამოაჩინა. მიდამო მისახედი იყო.
- უნდა ვიშრომოთ, - მიუტრიალდა ის შვილს, - მარტო სეირნობა საქმეს ვერ უშველის. ნეტავ იცოდე, რამდენი რამ სჭირდება აქაურობას.
- ჰოდა, მამიკო, იმ ტყისმცველს დაემგვანები, მასავით იცხოვრებ, აქ ყველას შეუყვარდები! - შესძახა გოგონამ.
- რომელს? ზღაპარია რამე? - იკითხა მშობელმა.
ბავშვი დაიბნა. კინაღამ საიდუმლო არ გათქვა? საიდუმლო, რომელიც მეგობრებმა მხოლოდ მას გაანდეს.
- თუ აქ ადრე მცხოვრებ ადამიანზე ამბობ? - საკვირველ რამეს ამბობდა მამა.
- საიდან იცი? - გაოცდა შვილი.
- მივხვდი. მეტყევე, ძირითადად, მარტოდმარტო ან თავის ოჯახთან ერთად, ტყისპირთან ცხოვრობს, სახლიკოს მსგავს სახლში, ზღაპრებშიც ასეა. სხვათა შორის, აუცილებელი არაა, ტყისმცველი იყო, ბუნებას ჩვეულებრივი ადამიანებიც უნდა მოვუფრთხილდეთ, - თქვა მამიკომ და გადაწყვეტილებაც მიიღო.

ყველა ზრუნავს მიდამოს კეთილდღეობისთვის, შემდეგ კი გაზაფხულის მშვიდი, საინტერესო საღამოები დგება

პირველ რიგში, მიდამოს ბუნებრივ წესრიგს მან ახალი წესები შემატა: შაბათ-კვირა სასარგებლო სამუშაოებს დაეთმო: დაბარვა, დარგვა, დასუფთავება და კიდევ, ვინ იცის, რა! საქმე უამრავი იყო. შრომას არც ქალაქიდან ამოსული ბავშვები და მათი მშობლები თაკილობდნენ. ყველას, ყველას სურდა იქაურობა კიდევ უფრო გაელამაზებინა და აეყვავებინა. სახლიკოს ეზოში, ასკილის ბუჩქთან, მამამ, გამხმარი და

თოვლის სიმძიმით ჩამოტეხილი ხის ტოტებით, განიერი მაგიდა და სკამები გააკეთა. მასპინძლები თუ სტუმრები, შრომით დაღლილები, სწორედ აქ ატარებენ გაზაფხულის მშვიდ საღამოებს. შემოუსხედებიან მაგიდას, მიირთმევენ ჩაის და საუბრობენ, ისვენებენ. გარშემო საამო სურნელს აფრქვევს სიყვარულით სავსე ტყისპირი. ჰაეროვანი ბურბუშელებით სავსე ლანგარიც იქვეა. შებინდებისას, სახლიკოს ძველი ფარანი გამოაქვთ. ინთება იდუმალი შუქი და ჯადოსნური ნახატები ქარგავენ ბნელ ღამეს. ეს დრო საოცარია. ოცნებობენ ადამიანები, კითხულობენ ზღაპრებს, სიყვარულის ისტორიებს, ჰყვებიან რაინდთა საგმირო თავგადასავლებს. ვარსკვლავებით მოჭედილი ცარგვალი უსმენს, უსმენს და ტაატით ბრუნავს. ლალალა, გუნდა, ენაგადმოგდებულები, ყურადღებით არიან, ხანდახან ოდნავ წაიწკმუტუნებენ, ყველაფერი გასაგებიაო. ჭიჭი, ფეხი ფეხზე გადადებული, მაგიდაზე არხეინად კოტრიალებს. ფისო, რა თქმა უნდა, იქვეა. თვალებდაწვრილებული, ყურებდაცქვეტილი, ნახევრად მთვლემარე დიდ ინტერესს არც იჩენს, - მაინც ყველაფერი წაკითხული მაქვსო. კაჭი, პირიქით, ცდილობს, ამ ამბებში რაიმე ჭკუის სარგო მოძებნოს. ხის ჭია ისე ფიქრობს, როგორც ბრძენს შეეფერება: მართალია, ბევრი რამ ვიცი, მაგრამ სწავლა და სიახლის გაგება ზედმეტი არასოდეს არისო. სახლიკო ძალიან იდუმალია ამ დროს. შიგნით ჩურჩული ისმის. ბნელეში, სახურავის ჭუჭრუტანებს გამოტანებული ვარსკვლავების ცისფერი, გრილი ნათება კრთება. ბლონდშემოხვეული, მშვენიერი თაიგული ოდნავ იკვეთება, გაფაციცებული ყველაფერს იმახსოვრებს, ნაღვლიანი ამბით გულნატკენი ოხრავს და ბრწყინდება კეთილი დასასრულით გახარებული. ქსლის ფარდა უჩინარია, მხოლოდ მთვარის სხივზე თუ გაიბრწყინებს აქა-იქ. დიდი, ფერადი სურათებით სავსე წიგნი ძელსკამზე დევს, ნიავზე იფურცლება და შრიალებს, - მოდით, აქ წერია ყველაფერი: აქ, მთელი დედამიწის, ქვეშეთის, ცის, წყლის, ქვეყნების ამბებია შენახული. გადაშალეთ, წაიკითხეთ და ბედნიერება გეწვევათო.

გაზაფხულის ერთ-ერთი დღე

მშვენიერი, თბილი დღე იდგა. ჭიანჭველა მწვანე ბალახზე წამოგორებულიყო, ფეხი ფეხზე გადაედო და ხმამაღლა მსჯელობდა. ჩახჩახასაც ესმოდა ყველაფერი. ის, მიუხედავად ჭიჭის გამუდმებული საყვედურებისა, მაინც მის სიახლოვეს ტრიალებდა, ცდილობდა, არაფერი გამოჰპარვოდა, უპირატესობის დასამტკიცებლად, შენიშვნებიც მზად ჰქონოდა.

- სადაცაა საშოვარზე წასვლა მომიწევს, თან მინდა გავერთო, დავმშვიდდე, რაც ამ კატამ მანერვიულა. მხოლოდ რაღაც მაკლია. ზამთარში გარეთ თითქმის არ გამოვდივარ, მაგრამ ახლა ტალახს თავი როგორ დავაღწიო? ეჰ, ამ ჭკვიან ბავშვს ერთი წყვილი ფეხსაცმელიც რომ ეჩუქებინა? იქნებ მიხვდეს?

- მაგისთვის დაბადების დღე არსებობს, - ჩაილაპარაკა ფისომ.

ის-ის იყო, ჭიჭის ულვაშებით ყურები უნდა დაეცო, რომ რაღაცამ დააინტერესა.

- რაო? ეგ რაღა არის?

- ამ დღეს, სულო და გულო, რასაც გინდა გაჩუქებენ, დიდ ნამცხვარსაც გამოგიცხობენ, - იდუმალი ხმით უპაუხა ჩახჩახამ.

- სად გაიგე, საიდან იცი? - სულ გადაირია ჭიანჭველა.

- სახლების ფანჯრები რისთვის არსებობს? დავდიოდი, ქვეყნის ამბებს ვიგებდი. მორჩა, მეტი არაფერი მკითხო, - თავი დაიფასა კატამ.

- როდის არის ხოლმე ეგ ამბავი? - არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამას ჭიჭიმ.

- ყველას ერთად კი არ ჰქონდა, სხვადასხვა დროს იყო, - მაინც უპასუხა ფისომ.

- თუ, სულო და გულო, რასაც მინდა იმას მაჩუქებენ, სულერთი არ არის? თუნდაც ხვალ იყოს! - იცოცხლე, გაიხარა მწერმა.

- მგონი, მაინც გოგონას უნდა ვკითხოთ, - ჩაერია ლალალა.

გაჩუმდნენ და მზეს მიეფიცხნენ. ახასხასებულ მწვანე ბალახზე ლამაზად მოჩანდა ყვითლად აბრიალებული ჩახჩახა.

სახლიკოს კი ფანჯრები დაეღო, ფარდები გადაეწია და შინ გრილი სიო შეეპატიჟებინა, თან თავის საყვარელ ჭიამაიას ესაუბრებოდა.

- ვიცი, ვიცი, აქვე იყავი. შენ ხომ არასოდეს მშორდები.

- აბა, რა! მთელი ზამთარი ღრმა ძილში გავატარე, ჭუჭრუტანაში. სიზმარში გხედავდით და სიზმარშივე ვნატრობდი, მალე გალეულიყო ჩემთვის მოსაწყენი ეს დრო, რათა კვლავ შეგხვედროდით. ახლა ფრთებს გავშლი, მივიხედ-მოვიხედავ, ახალ მწერებს გავეცნობი.

- აქეთაც დაპატიჟე, - სთხოვა მეგობარმა.

- ეგ ხომ ეგრეც იქნება, - უპასუხა წითელმა ჭიამაიამ.

ხის ჭიაც გამთბარიყო და უკვე გაზაფხულის ამბებზე ფიქრობდა. მშვენიერი თაიგული? რა თქმა უნდა, კვლავ ბრიალებდა, ანათებდა და ყველას ზეიმს ჩუქნიდა. მისი სილამაზე ვერაფერმა გააფერმკრთალა.

ჭიჭი დაბადების დღის გადახდას თხოულობს

გოგონა გამოჩნდა და ჭიანჭველამაც წრიპინი დაიწყო.

- დრო შემირჩიე, რა, დაბადების დღე მინდა! - ეხვეწებოდა ის გოგონას.

- თავად არ იცი ხომ, არც სხვამ? ნეტავ, შენი მეგობარი თხუნელა იყოს აქ, - წუხდა ბავშვი.

- იმაზე დიდი კი ვიქნები, - თქვა ჭიჭიმ.

- მეცინება, ამ ერთი ბეწო არსების დაბადებას, ნეტავ ვინ გაიგებდა ან დაიმახსოვრებდა? - ფისოს შურისძიების დრო დასდგომოდა. იცოდა რა მწერის ჭინჭყლი ხასიათი, მოუთმენელობა, მან ჯერ ეშმაკურად დააინტერესა, ახლა კი შედეგს იმკიდა. ეგ რა ლაპარაკია?! - ჩაერია სახლიკო, - ის ყველას ძალიან გვიყვარს. დიდი და პატარა არაფერ შუაშია. ამ მიდამოში თითოეული ჩვენგანის არსებობა მნიშვნელოვანია.

- ოჰ, ოჰ, მაგას თუ დაცვა სჭირდება! ბარემ ზეიმი დღესვე გადაწყვიტეთ, იქნებ დაგვასვენოს! - გაბრაზდა ჩახჩახა.

- რა მოგივიდა? გაჩერდი! - გოგონამ დამრგვალებული კატა ჩაიხუტა.

ბავშვი მწვანე ბალახზე დაჯდა, გარშემო ცხოველებმა წრე შეკრეს. ლალალას პირი დაეღო და გრძელი ენა გადმოეგდო, უკვე სცხელოდა კიდეც. მეგობარს მშვიდი, დაფიქრებული თვალებით შესცქეროდა. მასაც უნდოდა დაბადების დღე, მაგრამ სურვილს არ ამჟღავნებდა, თავი ღირსეულად ეჭირა. ლეკვიც ჩაწყნარებულიყო. რა ხდებოდა დიდად არ ესმოდა, მაგრამ იმედი კი ჰქონდა, რომ ამ გამოუცნობი დღესასწაულის გარეშე არ დატოვებდნენ, მით უმეტეს, დედა გვერდით ჰყავდა. ის ყოველთვის დაეხმარებოდა.

გოგონასა და სახლიკოს დიდი ძალისხმევით, ბინადრებმა ის დღე მშვიდად დააღამეს, მაგრამ მომდევნო დილა ისევ ჭიჭის და ჩახჩახას კამათით დაიწყო. მომავალი იუბილარი თვლიდა, რომ უამრავი საკითხი იყო გადასაწყვეტი.

- ძალიან მაგარი მომზადება უნდა, გაიგეთ! წელიწადში ერთხელო! ჰოდა, ეგ კი არ ვიცი როდის არის, მაგრამ ვხვდები, ჩემი დაბადების დღის გარეშე დიდხანს რჩებით, ამიტომ ძვირფასად უნდა გადამიხადოთ, ძვირფასად! - ეს სიტყვა, ბავშვები საღამოობით ზღაპრებს რომ კითხულობდნენ სასახლეებზე, იქიდან ჰქონდა დამახსოვრებული, - სუფრა და ჩიტების კონცერტი აუცილებელია, საჩუქრებზე აღარაფერს ვამბობ! - გაჰყვიროდა ის.

კატა ცდილობდა, ჭიანჭველა ძალიანაც არ გაემწარებინა, რადგან ზეიმი აინტერესებდა და არასასურველ სტუმართა სიაში მოხვედრა არ უნდოდა. ბავშვისაც ერიდებოდა, სიხარულს ხომ არ ჩაუშხამებდა?

- რა მოგიძღვნა, რა? ალბათ, უბრალოს არაფრად ჩააგდებ, - წუხდა ის.

- დიახაც, ეს ხომ ახალ წელს ჰგავს? ამიტომ ისეთი რამ უნდა მაჩუქო, შემდეგ დაბადების დღემდე დამამახსოვრდეს. ადრე, სარკმელ - სარკმელ ხომ დაბრძანდებოდი, ახლაც იშოვი რამეს, - თავხედურად მიუგო მეგობარმა.

- ასე შორს გავემგზავრო? ძლივს სიწყნარეში დავსახლდი, - უიმედოდ ჩაილაპარაკა ფისომ.

- არ ვიცი, სხვას რას მოიფიქრებ? ისე, საშოვარზე თუ წახეტიალდები, არ დაიკარგო, გოგონას გული არ დასწყვიტო, თორემ ჩემს დაბადების დღეზე მოწყენილი იქნება. გირჩევ, აქვე მოძებნო რამე, ოღონდ საჭირო და ლამაზი, - მკაცრად გააფრთხილა ჭიანჭველამ. ძნელი დასაჯერებელი იყო, მაგრამ აშკარად ჩაგრავდა.

კატა ჩამრგვალდა, ფიქრმა წაიღო, თან უკვირდა, ამ ერთი ბეწო მწერს ამდენს რომ უთმობდა. მორჩა, არაფერს აჩუქებდა! რას უზამდა? გოგონა მაინც მოიწვევდა, უმისოდ არ გაჩერდებოდა, დედიკოც მოიკითხავდა. ჰოდა, ეს წრიპინა რას გააწყობდა? ჯერჯერობით, ასე გადაწყვიტა. ის-ის იყო უნდა წაეთვლიმა, რომ უცხო ჭიკჭიკი მოესმა, ეუცნაურა და ყური მიუგდო.

სახლიკოს სტუმრად უცხო ჩიტუნა ეწვია, ნეტავ რა უნდა?

- დამიმეგობრდით, მიმიღეთ, გთხოვთ! - იხვეწებოდა ასკილის მოქნილ ყლორტზე შემოსკუპებული ჩიტუნა. ეს უცხო, აქამდე უცნობი ჭიკჭიკი მკვეთრად ისმოდა ეზოს ჩვეულ ხმებს შორის.

- აქეთ არ მინახიხარ, საიდან მოფრინდი? - ჰკითხა ადრიანად გაღვიძებულმა სახლიკომ.

- ტყის მეორე მხარეს ვცხოვრობ, ძველ სახლთან, - ჩაუსტვინა მომღერალმა.

- იქიდან ხომ ყოველ ჩიტს ვიცნობ, ეს ტყე ერთიანი არ არის? შენ ახლად დაფრთიანებული იქნები.
- ასეა, პატარა ვარ. ნუთუ ის ძველი სახლიც იცით?! - გაუკვირდა სტუმარს, - დაღვრემილი, მოწყენილი, ორი მოხუცებული ქალის გარდა არავინ ცხოვრობს.
- მერე, ამიტომ მიატოვე იქაურობა? - ცოტა არ იყოს მკაცრად იკითხა ეზოს პატრონმა.
- ჯერ არა, მაგრამ აქეთ მინდა! იფ, რა მხიარულება გაქვთ?! - უდარდელად მიუგო ფრინველმა.
- შენი ადგილი დააგდე? ეს ხომ ძალზე ცუდი საქციელია?! - შეუტია სახლიკომ, - ეტყობა, არც მეგობრობა იცი, არც ერთგულება. მოდი, ყველაფერს აგიხსნი. მინდა, ნამდვილი, კარგი ჩიტი გახდე, - არც მცდელობა დააკლო მან.
- მარტო ერთგან ჭიკჭიკია აუცილებელი? ვითომ, სხვები არსად დაფრინავენ? - გონს ვერ მოგებულიყო თავხედი.
- თავიანთი მშვენიერი ხმით მგოსნები ყველას ატკბობენ, მაგრამ მათ მაინც აქვთ გამორჩეული ადგილი, სადაც ბუდე ეგულებათ. მშობლიური მხარე არ უნდა დაივიწყო, არც ისინი, ვინც იქ გელოდებიან, ვისაც უყვარხარ, - სახლი ჭკუის დარიგებას აგრძელებდა.
- როგორ, შეიძლება, ვინმეს მოვენატრო, მომიკითხოს? - გაკვირვებას ვერ მალავდა ფრთოსანი.
- ჯერ პატარა ხარ. სიკეთის, გულშემატკივრობის შესახებ ცოტა იცი. აი, გოგონას გაიცნობ და მიხვდები, რა არის გულისხმიერება.
- ჰოდა, მეც ამიტომ მინდა აქ, - ჯიუტობდა უცხო ჩიტი.
- განა, ის მოხუცები რამეს გაკლებენ? - იკითხა სახლმა.
- მათ აუგს ვერ ვიტყვი, მივლიან, ყოველთვის მიწილადებენ პურს, ნამცხვარს, - სიმართლე არ დამალა მომღერალმა.
- ოოო, მათი ტკბილეული სახელგანთქმულია. ეგ თუ გაგასინჯეს, იქაურობა რანაირად მიატოვე? - აღშფოთდა სახლიკო.
- დამაცადე ერთი! სადაა გოგონა, სად? უნდა გავიცნო, იმისი იმედიღა მაქვს, - აქეთ-იქით აწყდებოდა ჩიტი.
- უკვე ისაუზმებდა, მალე გამოჩნდება, - მეგობარი თვითონაც მოლოდინში იყო.
- ჰოდა, მანამდე ამ ასკილის ბუჩქზე ვიქანავებ, - გასართობიც იპოვა თავქარიანმა.

- რაო, რაო?! ახლო-მახლო კიდევ სახლი ყოფილა და პატრონებიც ჰყოლიაო?! - განცვიფრებული კატა წამოჯდა, მწვანე თვალები მთლად დაუწვრილდა, - რას ყვება ეს ჩიტი?! გამოდის, ჩვენ, ამ მიდამოში, მარტო არა ვართ? ნუთუ ეს მართალია? სტუმრად ხომ არ წავბრძანებულიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით მენახა? შორს არაა. ტყის გავლას რა უნდა? გავერთობოდი, ხალხს გავიცნობდი, მიაუ! შეიძლება, ჭიჭისთვის მისართმევი ძღვენიც მეშოვა. ჰმ, ჰმ, საინტერესოა, საინტერესო! - ჩაიკრუტუნა კიდეც მან, მაგრამ უცბად მოიღუშა, არასასიამოვნო აზრმა გაუელვა, - დავუშვათ, ვიპოვე ის უცხო სახლი, შიგნითაც შევაღწიე, მერე? ვის რა ვუთხრა, როგორ მივახვედრო, საჩუქარს ვინ მომცემს?! თანაც, ძაღლიც რომ ცხოვრობდეს იქ? ყველა ხომ ლალალას ხასიათის არ იქნება ან გუნდასავით კარგად აღზრდილი? გამომიდგეს, დამგლიჯოს. ვაი, ვაი, რა დღეში ვარ?! - და წამით იმედჩასახული ფუმფულა ფისუნია ისევ უიმედობამ შეიპყრო.

გოგონამ მომღერალი ნიბლია გაიცნო, მას სახელად ჩვენი ჩიტი ჰქვია

და აი, გოგონაც გამოჩნდა. მზისფერი კაბა ეცვა, თეთრი მაქმანით გაწყობილი.

- იფ, მშვენივრად გამოწყობილხარ, ზეიმისთვის მზადებას უკვე იწყებ?! - შესძახა ჭიჭიმ.

- ეზოს დავალაგებ, მოგირთავ. სუფრა აქ გავაწყოთ.

- ჯობია ვითომ? - მაინც დაეჭვდა მწერი, - დრო გვაქვს, ვიმსჯელოთ. იცი, რა მოვიფიქრე? კაჭის დავავალოთ, მგოსნების ორკესტრი შექმნას, კონცერტი მოამზადოს. თუმცა, შეიძლება, არც დაუჯერონ. უკვე ყველა ჩიტმა იცის, რომ გამოსწორდა?

- თუ გინდა, დაგეხმარები! - მოისმა ამ დროს მშვენიერი ჭიკჭიკი.

გოგონამ მიიხედ-მოიხედა, შეამჩნია ასკილის ტოტზე შემომჯდარი პატარა, ჭრელი ფრთოსანი და მისკენ გაიქცა, - უჰ, რა ლამაზი ხარ, რა გქვია?!

- გამარჯობა, ნიბლია ვარ, სახელად ჩვენი ჩიტი, - გაიპრანჭა სტუმარი, - დავმეგობრდეთ?

- აბა რა, ჩვენი ჩიტიც გახდი, ხშირად გვეწვიე, - მიესიყვარულა ბავშვი, - ჭიჭის დაბადების დღესაც დაესწარი, - გულით დაპატიჟა მან.

- გმადლობ, როგორ გამახარე! - შესჭიკჭიკა ფრინველმა, - მართლა მოგეხმარები. დაბადების დღისთვის საუკეთესო კონცერტს მოვამზადებ! - გულით შესთავაზა მან, - იცი, ბედნიერი ვარ, რომ დამიმეგობრდი. იქნებ, აქეთ გადმოვსახლდე? ბინას რომელიმე ტოტზე დავიდებდი, ყოველ დილით გალობით გაგაღვიძებდი, - პასუხს გულისფანცქალით დაელოდა.

- ჯერ მითხარი, ასეთი მშვენიერი სახელი ვინ შეგარქვა? - დაეჭვებით იკითხა გოგონამ.

- ვისთანაც ვცხოვრობ. გალობას რომ ვიწყებ, ასე ამბობენ, - აი, ჩვენი ჩიტიო, - უდარდელად უპასუხა ფრინველმა.
- აჰა, ახლობლებიც გყოლია. მერე, უშენოდ არ მოიწყენენ? - თითქოს რაღაცას ხვდებაო, იკითხა გოგონამ.
- ასე ფიქრობ? - ჭიკჭიკს სილაღე მოაკლდა.
- რა თქმა უნდა, მათთვის ხომ ძვირფასი ხარ. იცი, ეგ რას ნიშნავს? თუ არ გამოჩნდები, შეშფოთდებიან, სად არის, რა დაემართაო? - გულმოდგინედ აუხსნა ბავშვმა.
- ამდენი რამ არ ვიცოდი, - თითქოს გულდაწყვეტით თქვა ნიბლიამ.
- არც მე, მაგრამ ის, რაც ახლა ვიცი, დედამ, მამამ, სახლიკომ და დანარჩენებმა მასწავლეს, - დიდივით თქვა პატარამ.

ჩვენი ჩიტი თანდათან ჭკუას სწავლობს

- ძალიან კეთილი ხარ, ჩემო გოგონა! მოდი, ასე დაგიძახებ. შენ ახლა ჩემი გახდი. ეს არის ხომ სიყვარული? ამის შემდეგ ვეცდები, გული არ გატკინო, დიდხანს არ მიგატოვო, შენი ამბავი ყოველთვის ვიცოდე. ხედავ, რა უცბად მივხვდი? ასეთი ცხოვრება მომწონს, უფრო საინტერესოა. დაფრინავ, ახლობლებზე ფიქრობ, როგორ ნახავ მათ კვლავ და გაახარებ. ამიტომაც, სჯობს უკან მივბრუნდე, თორემ დღეს ისე დავტოვე იქაურობა, არც მიგალობია. ალბათ, როგორ მელოდებიან! - გადაწყვეტილება მიიღო ფრინველმა.
- აი, რა კარგი ჩიტი ხარ, - შეაქო ბავშვმა, - ისე, შორს მიფრინავ? მალე გნახავთ? - მაინც დაინტერესდა ის.
- რატომ შორს? აქვე, ტყის მეორე მხარეს.
- მაგათთვის შორი ადგილი არც არსებობს, ფრთები აქვთ, შეიძლება, დასაკარგავში ცხოვრობს, მაგრამ მაინც ახლო ეჩვენება. მოგზაურობის დროს ჩემსავით კი არ წვალობს, - სწრაფად ჩაერია ჭიჭი.
- არაფერიც არ მეჩვენება,- გაწიწმატდა ნიბლია, - როგორ ფიქრობ, სად ვცხოვრობ ვერ მივმხვდარვარ? ჩიტმა ყოველთვის იცის თავისი ბუდე და ისიც, რა დრო დასჭირდება იქ მიფრენამდე, გარემოც შესწავლილი აქვს, საშიშ, სახიფათო ადგილას არც დასახლდება. შენ კი, ეგ რაღაც მოგზაურობა-ხეტიალი თუ არ შეგიძლია, თავს რატომ იკლავ? იყავი ამ ეზოში წყნარად.
- ამას უყურე! რა ლაპარაკია?! ფრენა რადგან არ შემიძლია, აღარაფერი ვნახო? თუ მაინტერესებს, რა ვქნა? - გაიჭაჭა ჭიანჭველა.

გოგონა კიდევ ერთ საიდუმლოს შეიტყობს

- ნუ ჩხუბობთ, ერთმანეთს დაუთმეთ! - გოგონა შეეცადა მოკამათეები დაემშვიდებინა, მერე კი იკითხა, - ტყის მეორე მხარეს? საინტერესოა. ესე იგი, შენი ახლობელი ადამიანები იქ ცხოვრობენ? მითხარი, ვინ არიან და რას აკეთებენ? არ დამიმალო!

- ბევრნი კი არ არიან, ორი მოხუცი ქალია და ერთი ძაღლი. ისეთი სიჩუმე და სიწყნარეა, ლამის მეც დაბალ ხმაზე ვიჭიკჭიკო.
- ესე იგი, ორი? იფ, რა კარგია! როგორ ვნატრობდი, ბებია მყოლოდა, აგერ ახლოს, თუ-რმე ორი ცხოვრობს! – შესძახა ბავშვმა.
- თანაც ჩიტებს საუკეთესო ნამცხვრით უმასპინძლდებიან, - დაამატა სახლიკომ.
- რაო, ამას ვინ ამბობს?! - გოგონა საყვარელ მეგობარს მიუტრიალდა, - შენც იცოდი მათ შესახებ და არაფერი მითხარი? - ერთხანს პასუხს დაელოდა, მერე, თითქოს რაღაცას მიხვდაო, თვალები მოჭუტა და დაფიქრებულმა ჩაილაპარაკა; - აჰა, ჩანს, ჯერ არ დამდგარა ის დრო, როცა ყველაფერი უნდა გავიგო, - სწრაფად მოსწყდა ადგილს, სახლში შევარდა, შუა ოთახში გაჩერდა, კედლებს თვალი მოავლო და დაიძახა, - ბატონო ხის ჭია! საუბარი გესმოდათ, ყოვლისმცოდნეც ხართ, მითხარით, ახლა რა უნდა ვისწავლო?

ხის ჭია პატარა მეგობარს ისევ არიგებს

- ჩემო ნამდვილო მეგობარო, ნუ გეწყინება, განა ყველა ამბავს განვაგებთ? - ნელი ჭრიალით დაიწყო ბრძენმა, - რისი თქმის უფლებაც გვქონდა, გაგიზიარეთ, მაგრამ ქვეყნიერებაზე უამრავი რამ ხდება; სხვა მხარეები, მიდამოებიც ხომ არსებობს? მათ თავიანთი გულისნადები გააჩნიათ. შენთვის განკუთვნილი საიდუმლო შენ დაგელოდება, შენვე ამოხსნი. თუკი, ვინმე დახმარებას ან მეგობრობას საჭიროებს, მაგასაც გაიგებ. ცნობისმოყვარეობა კარგია, მაგრამ შეიძლება წინააღმდეგობებიც შეგხვდეს, ამისთვის მზად უნდა იყო. გააგრძელე ძიება. ცხოვრების ასეთი წესი კეთილშობილ, ჭკვიან ადამიანად გაქცევს. მე მაქვს შენი იმედი! - დაასრულა ხის ჭიამ და მიჩუმდა.

გოგონა ხმაამოუღებლად უსმენდა, მერე ფიქრიანი გარეთ გამოვიდა და დიდი სახლისკენ გზას გაუყვა. ნიბლია ჭიკჭიკით აედევნა.
- რას ფიქრობ? რა გადაწყვიტე? შენი ჩიტიც ვარ? მოვალ ხოლმე, კარგი?
- სად მიდიხარ, გოგონა, არ ვიზეიმოთ? - იქით ჭიჭი აწრიპინდა. ბავშვი მოტრიალდა და ორივეს ერთად გასცა პასუხი, - ერთი დღე დამაცადეთ, უნდა ვიფიქრო, ყველაფერი კარგად იქნება.
- მაშ, მე წავალ, - ჩაიჟღურტულა ჩიტუნამ, - ბებიებს ვუმღერებ, მერე გუნდს შევკრებ, მოვამზადებ. ჭიჭი, შენი სახელი ვიცი და უკვე მეგობარიც ვარ.

ჭიანჭველას გულზე შემოეყარა, ზეიმი რომ გადაიდო. ამ ახალი ნაცნობობის თავი ხომ საერთოდაც არ ჰქონდა, მაგრამ ჩიტს ცუდად ვერ მოექცეოდა, იგი დახმარებას დაჰპირდა, მით უმეტეს, არაჩვეულებრივად გალობდა.

ყველა სახელგანთქმული დაბადების დღის აღსანიშნავად ემზადება

მეორე დღეს ბავშვმა დანაპირები შეასრულა. დამშვიდდა, გამოიდარა და ერთობლივი მოლაპარაკებაც გამართა, რომელიც ჭიჭის თავმომაბეზრებელი ჭიჭყინის თანხლებით მიმდინარეობდა. სავარაუდოდ, ზეიმი დასვენების დღეს მოეწყობოდა. ჯერ მხოლოდ კვირის დასაწყისი იყო, ყველაფერს მოასწრებდნენ. ჭიანჭველა სულსწრაფობდა, მაგრამ როცა გოგონამ აუხსნა, რომ სტუმრებს საჩუქრები უნდა მოემზადებინათ და ეზოც მოსართავი იყო, ჩაჩუმდა, მეგობარს ნება დართო, როგორც საჭირო იყო, დრო ისე გაენაწილებინა. გოგონამ მშობლებსაც სთხოვა, - დამეხმარეთ, გაზაფხულის დასახვედრად ზეიმი მოვაწყოთო, - ისინიც სიამოვნებით დასთანხმდნენ. სადღესასწაულო ფუსფუსი დაიწყო, რა თქმა უნდა, მწერის მკაცრი, თვალმოუხუჭავი ზედამხედველობით. საქმე იქამდე მივიდა, ჩიტების ახალ გუნდს ეჭიჭყინებოდა, - აქ ივარჯიშეთ, მეც გავიგონო, მოსაწონია თუ არაო.

“ჩვენი ჩიტი,“ მიდამოს ახალი წევრი, არწმუნებდა, - ყველაფერი კარგად იქნება, თავდაუზოგავად ვმეცადინეობთ, ცუდს და უხარისხოს მე თავად არ გაკადრებთ, უმჯობესია, მშვენიერი სიმღერით მოულოდნელად გაგახაროთო.

- ასე ვთქვათ, „სიურპრიზად,“ არა? - ჩაიკრუტუნა ფისომ.

ჭიჭიმ ულვაშები გააცმაცუნა, ყურებისკენ წაიღო, მაგრამ გონს დროზე მოეგო, - ეგ რაღაა, მინდა? - დაეჭვებით იკითხა.

- თუ სასიამოვნოა, გინდა, აბა რა! დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება, - დააინტერესა კატამ.

- კარგი, დაგიჯერებ, ამ ჩემს დაბადების დღეზე, ეგ რაღაც „ურპრიზიც“ იყოს, არ ვარ ღირსი, თუ? - გაიჯგიმა ციცქნა მწერი.

ასკილის ბუჩქი, ღობე და ლეღვის ხე ფერადი ნათურებით მოირთო. ეს ამბავი ჭიჭის განსაკუთრებით მოეწონა, - ახალი წელი ვარ, თუ რაო, - ჩაიწრიპინა ნასიამოვნებმა. სახლიკოც, ლურჯ ფანჯრებზე ჭრელი ფარდებით, გამოპრანჭული იდგა დაგვილდაპრიალებულ ეზოში და უკვე სახელგანთქმულ კვირას ელოდებოდა. ყველაფერი მოგვარდა. ნამდვილად საზეიმო განწყობა შეიქმნა.

ფისუნია საუკეთესო თვისებას გამოავლენს

სანამ ღირსშესანიშნავი დღე დადგებოდა, ფრიად კარგი რამ მოხდა. ეს ამბავი ყველა ბავშვს გაუხარდება. მიუხედავად კატისა და ჭიანჭველას ურთიერთდაპირისპირებისა, ჩახჩახამ დიდი კეთილშობილება გამოიჩინა და გოგონას თავისი მეგობრის ნატვრა გაანდო.

ეს ასე მოხდა.

ბავშვმა ეზოში ფეხი შეადგა თუ არა, ფისუნია გაელამუნა და ჩუმად ჩაუკრუტუნა, - მიაუუ, ვითომ მეფერები, დაიხარე, რაღაც უნდა გითხრა.

ბავშვი იმწამსვე ჩაცუცქდა, - რა იყო?

- იცი, ჭიჭის ბელტებზე სიარული უჭირს, ფეხსაცმელები უნდა, მაგრამ ვერ გიბედავს, თუ შეძლებ აჩუქე, კარგი? ჩუმად იმიტომ ვამბობ, მოულოდნელად რომ გაუხარდეს.

- ოოო, როგორ ვერ მივხვდი? გმადლობ, რომ გამაფრთხილე. ჩემო ფისუნია, რა კეთილი ყოფილხარ? ვამაყობ შენი საქციელით, - გოგონამ კატა ჩაბღუჯა, ჩაეხუტა, - ჭიჭის ნატვრას აუცილებლად ავუსრულებ!



ჩახჩახამ ეს საქმე მოაგვარა და ისევ თავის ძველ სადარდელს დაუბრუნდა, საჩუქარზე ხომ უნდა ეზრუნა? აქ მნიშვნელოვანი ორი რამ იყო: ერთი, - ჭიჭიმ მოთხოვნა წაუყენა, ძვირფასი რამ მომართვიო. მეორე, - თავადაც უნდოდა რაიმე არაჩვეულებრივი მიეძღვნა. მართალია, მიდამოში განათლებითა და საუკეთესო მანერებით გამოირჩეოდა, მაგრამ სხვა მხრივაც სურდა თავის წარდგენა. საჩუქარი იქით იყოს და, კარგა ხანია, გმირული საქციელი მოსწყურებოდა. აი, თუნდაც თაგვებზე ნადირობა. ოჰ, რას დაერეოდა იმ უსინდისოებს?! თან გოგონასაც გაეპრანჭებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლომახლო, მათი ჭაჭანებაც არ იყო. წრუწუნებს აქეთ სასუსნავი არ ეგულებოდათ, არც ყანები, ხორბლით რომ გამოკვებილიყვნენ. ამიტომაც ამ ადგილისადმი ინტერესი უკვე დიდი ხანია დაჰკარგვოდათ. ახალი ოჯახის დამკვიდრების შესახებ კი ან ჯერ არ შეეტყოთ, ან დასაზვერად გამოგზავნილმა რომელიმე თაგუნიამ მზესავით გაჩახჩახებული კატა დაინახა და თანამოძმეებს საფრთხის შესახებ შეატყობინა. ესეც იყო, ამ ნაფერებ მიდამოში ნადირობა განა ლამაზი იქნებოდა? კატის ბრჭყალებში მოქცეული ნანადირევის ხილვა გოგონას ხომ გულს მოუკლავდა. აბა, ბავშვი სხვა რითი გაეოცებინა, ესიამოვნებინა? ან საჩუქარი როგორ ეშოვნა? ფიქრობდა, ფიქრობდა. ამ დროს, გონებაში ჩიტის მოჭიკჭიკებული ამბავი ამოუტივტივდა.

- რაღაც ეს ნაამბობი მოსვენებას არ მაძლევს, არც ის ნამცხვარი, ამიტომ უღრანი ტყის გავლა უკვე სრულიად მართებულად მიმაჩნია, - დაიწყო ჭკვიანური მსჯელობა მან, - ამგვარი საქციელი გმირობის ტოლფასად ჩამეთვლება, თან სუფრას უცნაური ტკბილეულით დავამშვენებ, - მტკიცე გადაწყვეტილებაც მიიღო, - ისიც ხომ ვიცი, როგორ აინტერესებს გოგონას, ცხოვრობს თუ არა ვინმე ტყის მეორე მხარეს? მართალია, ამ ცელქმა ჩიტმა ბავშვს ბებიების შესახებ უამბო, მაგრამ ამ ყველაფერს დამტკიცება სჭირდება. იქნებ, იტყუება და იქ, სახლის მაგივრად, სულაც ნანგრევებია, არც ადამიანები ცხოვრობენ. ამ ნიბლიას დიდად ვერ ვენდობი. სიმართლე ვინ იცის? სახლიკომ? როდის შეამოწმა? იყო იქ თუ? არა, რა თქმა უნდა! ხის ჭია ხომ საერთოდ კედლიდან გამოსულიც კი არავის უნახავს. ჰოდა, მე უნდა გავკვალო გზა, გავიგო სინამდვილე და ყველას შევატყობინო! რაც ჩავიფიქრე, თუ შევასრულებ, დიდ პატივისცემას დავიმსახურებ. ეს საქმე თაგვზე ნადირობას ნამდვილად სჯობს, მიაუუ! - გრძლად ჩაიკნავლა ჩახჩახამ.

ოღონდ, ძალიან ფრთხილი მოქმედება იყო საჭირო. მისი არყოფნა შეუმჩნეველი უნდა დარჩენილიყო, განსაკუთრებით კაჭისა და ვეებასათვის, თორემ ქვეყნიერებას მოსდებდნენ და სიურპრიზიც ერთ ჩვეულებრივ ამბად გადაიქცეოდა. არც სახელი, არც დიდება! კიდევ იყო სხვა გარემოებაც, არანაკლებ მნიშვნელოვანი; უკვე ზუსტად იცოდა, იქ ძაღლი ბინადრობდა. ვინ იცის, მისი მოგზაურობა და მიდამოში ტკბილი ცხოვრება, თუნდაც ჭიჭის თანამდევი ბუზღუნით სავსე, როგორ დასრულდებოდა, - არა, სიცოცხლის ფასად, სიცოცხლის ფასად მიწევს სახელის მოპოვება! ღირს ამად ეს მწე-

რი? - გამწარებულმა კატამ თავი ჩაქინდრა. ერთ ხანს ასე იყო, მერე წარმოიდგინა, როგორ მოუსმენდა მის მონაყოლს გოგონა, თანდათან სიამაყე შეეპარა, გასწორდა და თავის თავს უთხრა, - გადაწყვეტილია, მივდივარ! თავად მე მსურს, გმირობა ჩავიდინო და მორჩა! უნდა ვიჩქარო, ყველაფერი მალე მოვამთავრო! - დაყურადდა და შესაფერ დროს ლოდინი დაუწყო.

მოწყენილი სახლი

მანამდე კი...

ეს სახლი, მიდამოს მეორე მხარეს, იქითა ტყისპირს შეჰყუჟოდა. ერთსართულიანი, წითელ-ყვითელ, ლურჯ-მწვანედ შემინული და იდუმალებით სავსე. პატარა ეზოც ჰქონდა, ალუბლის ხითა და ფერადი ჰორტენზიებით დამშვენებული. სახლი ნაღვლიანი იყო, კიდევ მოწყენილი.

აქ ორი მარტოხელა ბებია ცხოვრობს?

ჰორტენზიები იმ ბებიას უყვარდა, რომელიც აქ ცხოვრობდა და, უნდა ითქვას, ძალიან უცნაურადაც იქცეოდა. როგორ? მთელ დღეებს დიდ ოთახში, ფანჯარასთან ახლოს, სავარძელში მჯდომი ატარებდა, რადგან სჯეროდა, ავად იყო და არაფერი შეეძლო. ამოჩემებულ ადგილს მხოლოდ ღამით ტოვებდა, როცა საწოლ ოთახში დასაძინებლად გადიოდა. სულ ასე იყო: წვიმას, ქარს, თოვლს, შემოდგომას, ზამთარს, გაზაფხულს თუ ზაფხულს ასე ეგებებოდა. ათასში ერთხელ ფრთხილი, ნელი ნაბიჯით, ეზოში ჩადიოდა და საყვარელ ჰორტენზიებს ეფერებოდა. ბებია ლამაზი იყო. უხდებოდა აბრეშუმის შინდისფერი ხალათი, ატლასით გაწყობილი. თლილ თითებზე უძველესი ბეჭდები ეკეთა. ხელში მუდამ მარაო ეჭირა, ჭრელი ჩიტებით მოხატული. წამლები უყვარდა ძალიან. ისინი იქვე, ძველებურ სკივრზე ელაგა და თავ-თავის დროზე სვამდა, ამიტომ სახლის იდუმალებას წვეთების მოტკბო სუნიც შერეოდა. ოთახის სიღრმეში წიგნებით სავსე თაროები აჰყოლოდა კედლებს. ბებია ბევრს კითხულობდა და შედეგად, დიდი ცოდნა დაეგროვებინა. სურვილი ჰქონდა, ის ვინმესთვის გადაეცა, მაგრამ, როგორ? ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა. ოჰ, საწყალი, საწყალი! ან უცნაურ ბებიას ვინ ეხმარებოდა? საჭმელს, წყალს ვინ აწვდიდა?

ვინ? ვინ და მეორე ბებია, რომელიც ამავე სახლში ცხოვრობდა და სრულიად განსხვავებულად იქცეოდა. მუდამ საქმიანი, ხან ეზოში ბოსტანს უვლიდა, ხან სახლს ალაგებდა, სადილს ამზადებდა. ძალიანაც უნდოდა, ვინმეს გაესინჯა მისი ნახელავი, მაგრამ გარშემო სიმარტოვე სუფევდა. საღამოს, დაღლილი მაინც არ ისვენებდა, ქსოვდა, იმიტომ რომ ვერ ჩერდებოდა.

ბებიებთან არავინ მოდიოდა. ბებიებს არავინ ჰყავდათ, გარდა ერთი გრძელყურება, ყავისფრად დალაქული მშვიდი მეძებრისა, ის მათი ოჯახის ნამდვილი წევრი გამხდარიყო.

აი, ასე ცხოვრობდა სახლი, რომელსაც მოსწყენოდა, სტუმრები უნდოდა, ბავშვები, უფრო განათდებოდა, გაახლდებოდა. ეჰ, ნაღვლიანი ამბავია, არა? მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანებს შესწევთ უნარი, მოიკრიბონ ძალა, რათა ბოძებული სიცოცხლე ფუჭად არ გახარჯონ. მარტოდ დარჩენილებმაც კი თავიანთ თავს დაუმტკიცონ, რომ სიკეთისა და მათივე მსგავსის დასახმარებლად არიან გაჩენილნი. უცნაური და საქმიანი, თან ძალიან კეთილი ბებიები, სწორედ რომ ასე ცხოვრობდნენ.

კიდევ, კიდევ ვინ ცხოვრობს მოწყენილ სახლში?

ვინ და, ფეხისწვერებზე შემდგარი გაფაციცებული ზეიმი და ჩუმი, გამუდმებული მოლოდინი. ზეიმი კარებთან, კუთხეში მიყუჟული ელის თავის დროს, მოლოდინი კი მთელ სახლში გამეფებულა.

მშვენიერმა სახლმა მშვენიერი მასპინძლობა იცის, მაგრამ სტუმრად მაინც არავინ მოდის

კვირადღე ამ სახლში განსაკუთრებული იყო. ის მთლიანად ჩუმ, გამუდმებულ მოლოდინს და გაფაციცებულ ზეიმს ეთმობოდა. დილიდან, საქმიანი ბებია დიდ, მრგვალ მაგიდას თეთრ სუფრას გადააფარებდა, ზედ ფერადი ბროლის მაღალფეხა ლარნაკებს დადგამდა. ლარნაკებში ნაირ-ნაირი მურაბა კამკამებდა. იქვე, გამჭირვალე ქილებში, შაქარყინული ელვარებდა. წითელნისკარტიანი შაქრის გედები გრძელ კისრებს ნება–ნება არხევდნენ, თითქოს სტუმრებს ეპატიჟებიანო. მაღალ გრაფინში ალუბლის სქელი წვენი ჩამუქებულა. ყველაზე მთავარი კი, ამ სუფრაზე, მაინც "ატამი ნამცხვარი" იყო, - ნამდვილი ატმის მსგავსი, ყვითელი, ცალ მხარეს წითლად დაბრაწული, კურკის ადგილას მომჟავო ჯემით გამოტენილი, უგემრიელესი შაქარლამა. ის მხოლოდ ბებიების სახლში მზადდებოდა. ვინც ერთხელ მას დააგემოვნებდა, ვერასოდეს დაივიწყებდა. ფერად მინებში გადამტყდარი მზის სხივები სუფრას ააფერადებდნენ და ფეხისწვერებზე შემდგარი, გაფაციცებული ზეიმიც, ნათელი თვალებით, კარებს შეაცქერდებოდა. გადიოდა დილა, დგებოდა შუადღე, მოდიოდა საღამო. ღამით, ძველი სანათი ინთებოდა. ისხდნენ ბებიები, ნათელსაც გასცქეროდნენ, ბნელსაც, ხშირ-ხშირად იმეორებდნენ, - იქნებ მოვიდეს ვინმე, იქნებ ვინმე მოვიდესო. გვიან ღამით, საქმიანი ბებია ხელუხლებელ სუფრას აალაგებდა და შემდგომ კვირამდე ყველაფერს კარადებში გამოკეტავდა. დანაღვლიანებული ზეიმი კართან მიიძინებდა და ძველი სახლიც ისევ გამუდმებელ, გაბმულ, ჩუმ მოლოდინში ჩაიძირებოდა.

ვილაც მაინც არსებობს?

ბებიების თეთრი, ყავისფრად დალაქული ძაღლი, თითქმის არ ყეფდა, რადგან სახლს მომსვლელი არასოდეს ჰყავდა. იმ ერთადერთ მომკითხავს კი კარგად იცნობდა, - ეს ფოსტალიონი იყო. იგი ახლოს მდებარე ქალაქიდან მოდიოდა, თან გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები მოჰქონდა, ახალ ამბებსაც ჰყვებოდა. მოდიოდა მაშინ, როცა ზამთრის სიცივეში ობლად ბჟუტავდა ბუხარი და მაშინაც, როცა ალუბლის მურაბის სურნელი იფრქვეოდა ეზოში. კვირადღე თუ დაემთხვეოდა, "ატამი ნამცხვარსაც" გასინჯავდა და სქელ წვენსაც დააყოლებდა. უძველესი სახლი გულღიად მასპინძლობდა სტუმარს, თუმც კარგად იცოდა, ის მის დღეებს ვერ შეცვლიდა.



მოხუცებს ძალიან აინტერესებდათ ქალაქის, ქვეყნიერების ამბები, მაგრამ ყველაზე მეტად ერთი კითხვის დასმა უყვარდათ, - ამხელა გზას გადიხარ, ნუთუ, აქეთ, ახლომახლო, მაცხოვრებელი არავინ გხვდება, განა ამდენ ხანს, ამ მხარეში, არავინ დაესახლაო?

- რა გიყოთ? - სინანულით მხრებს იჩეჩდა ფოსტალიონი, - ალბათ, თქვენ გარდა, აქ ცხოვრება არავის მოსწონს, თუ რაიმეს გავიგებ ან თვალს მოვკრავ, აუცილებლად შეგატყობინებთ. მანამდე კი, რაც გნებავთ დამავალეთ, მოგხედავთო.

ბებიებს ბევრი არაფერი სჭირდებოდათ, ბაღიც ჰქონდათ და ბოსტანიც. მარილს, შაქარს, ზეთს, ფქვილს თუ მოიმარაგებდნენ მისი დახმარებით. უფრო ის უნდოდათ, რომ ამ სახლში სხვა ადამიანებსაც ევლოთ.

მოწყენილი სახლი ოცნებამ ააშენა?

ისე, მაინც რამ მოიყვანა ეს ადამიანები აქ? ამ უკაცრიელ მხარეში რამ დაასახლა? იმავემ, რამაც ტყისმცველი; იმავემ, რამაც მამიკო, - ბუნების სიყვარულმა და ოცნებამ. დიახ, ოცნებობდა საქმიანი და უცნაური ბებიების მამა, დიდი ბრძოლების მონაწილე, გენერალი სერაპიონი, - იქნებ, როდესმე, ჩემს გოგონებთან ერთად, წყნარ, მშვიდ ადგილას დავსახლდეო. დიახ, ეს ხანდაზმული ბებიები ერთ დროს კუდრაჭა გოგონები იყვნენ. ოჯახიდან მუდმივად შორს მყოფ მამას სულ ენატრებოდა ისინი, ომების ხმაური და მძვინვარებაც ღლიდა. ჰოდა, როცა მშვიდობა დამყარდა, ეს ადგილი მონახა და მშვენიერი, მზით ავსებული სახლი ააშენა, გამჭვირვალე მაქმანის ფარდებით დამშვენებული. გოგონები დიდხანს ბედნიერად ცხოვრობდნენ აქ. მერე კი... მერე მარტო დარჩნენ, მაგრამ საყვარელი ადგილი არ მიატოვეს, კარი არ გამოკეტეს. გენერალ სერაპიონის შვილებმა მოლოდინითა და იმედით გააგრძელეს ცხოვრება ოცნებით აშენებულ სახლში.

ჩახჩახა მოგზაურობს

და დაყურადებულ ფისოს შესაფერისი დრო დაუდგა. გაიგო, ოჯახი ქალაქში წასვლას აპირებდა. სწორედ ეს დღე აარჩია და სამოგზაუროდ გაემზადა. სახლიკოს დაუბარა, ახლომახლო გავივლი, გარემოს მოვათვალიერებო. ვეებას ყურადღების ქვეშ რომ არ მოქცეულიყო, ნელ-ნელა გაიძურწა, სულ უკანა გზებით იარა. ფრთხილად მოქმედებდა, - ხან ნახტომს გააკეთებდა, თითქოს რაღაცას იჭერსო, ხან ვითომ თამაშობსო, - რა დღეში ჩამაგდო ამ კუდაბზიკა სახლმა, ძაღლზე უარესი არ არის? აგერ, გუნდა, ლალალა უბატონოდ ხმას არ მცემენ. პირველ დღეს რომ დავინახე, შევშინდი. მართალია, არ გამიმხელია, მაგრამ გული გადამიტრიალდა. გოგონამ დაარიგა, ისინიც გონიერები აღმოჩნდნენ და ხმა აღარ გაუციათ. ამას კიდევ ემალე და იწვალე, - ბუზღუნებდა გამწარებული ჩახჩახა. მაგრამ კატა რისი კატაა? შეუმჩნევლად გაიარა მისთვის სახიფათო გზა და ტყისპირისკენ მოკურცხლა; გვერდულად, სწრაფ-სწრაფად გარბოდა. გულგახეთქილი შევარდა სიღრმეში, იქვე, ბალახებში ჩაჯდა, სული მოითქვა, - მგონი, ვერ დამინახეს, - გულიც დაიწყნარა. ისვენებდა, თან გზის გაგრძელებაზე ფიქრობდა, - ნელ-ნელა გავუყვები, უნდა ყველაფერი დავიმახსოვრო. მკითხავენ, პასუხიც მზად მექნება. ეჰ, ნეტავ იქ რა დამხვდება? არა, მაინც რა მრჯიდა?! ვინ იცის, ეს ჩემი ბოლო მოგზაურობაა, თავს ვწირავ, თავს! - მწარედ ამოიკნავლა ბოლოს.

კატა ულრან ტყეში შევიდა, იქ ტყის ბატონ-პატრონს, იდუმალებით მოცულ ჭოტს, გადააწყდება

ტყისპირი დამთავრდა. ტყე დაიწყო. ხეები გახშირდა. მწვანე ფერი ჩამუქდა. მზის სხივები მიწამდე ძნელად აღწევდა, ამიტომ ბინდი იდგა, გრილოდა. სიჩუმეს ტოტის ვარდნის ხმა, უცნობი ფაჩუნი ან ფოთოლთა ჩურჩული თუ არღვევდა. სწორედ ასეთნაირად ყვება ტყე თავისი ცხოვრების ამბავს, ვინც ყურს მიუგდებს, მის საიდუმლოსაც შეიცნობს. კატუნიას ახლა არაფერი აინტერესებდა, წინ-წინ მიიწევდა, უფრო დიდი მიზანი ამოძრავებდა. ამასობაში, პირდაპირ ჭოტის ფუღუროს არ მიადგა?! ხის ბინადარს გულიანად ეძინა, მაგრამ ვიღაცის მოახლოება მაინც იგრძნო, უჩუმარი ნაბიჯების ხმაც გაიგო. გაბუმბლული ყურები ცქვიტა, მილულული თვალები გაახილა, თავი გადმოყო და არხეინად მიმავალ ტყის სტუმარს გადმოხედა. ფისომ არც კი იცოდა, იდუმალებით მოცული ღამის ჩიტის სამფლობელოში რომ იმყოფებოდა. ჭოტმა ერთხანს დაკვირვებით უყურა, - ეს აქ საიდან გაჩნდაო? - სტუმარი თვალში არ მოუვიდა, ხეს ნისკარტით დიდი ნაფოტი ააცალა, კატას დაუმიზნა და ესროლა.

- მიაუ, აქ ვინ არის? - გულგახეთქილმა ჩახჩახამ ზემოთ აიხედა, ხეები მოათვალიერა, - რატომღაც, მთელი გზა, ფრინველის სუნი მცემდა, უზრდელი, თავხედი ფრინველის, რომელმაც არც უფროსი იცის, არც უცხო. ნეტავ „ჩვენი ჩიტის“ რა ხარ? ისე, ახლა შენს გასაპუტად არც მცალია და ვერც ჩავიდენ მაგას. ალბათ, კაჭის იცნობ, იმის მეგობრებს არ ვემტერები. ასეთი საქციელი გოგონასაც ეწყინება, ასე რომ, თავი დამანებე, საქმეს მიხედე!

ჭოტს ჯერ გაუკვირდა, მერე მიხვდა, - გასაგებია, ეს კატა ასე რამაც დააჭკვიანა, იმ ბავშვის ახლოს ცხოვრობს, სიკეთე გადაედო. კარგი, წაბრძანდეს, არაფერს ვერჩი! - თქვა და თანდათან ფუღუროში შეიმალა, გაუჩინარდა.

ჩახჩახა გზას აგრძელებს

ამ შემთხვევის გარდა არაფერი მომხდარა. ჩახჩახა ტყის ლამაზ ხალიჩაზე მიაბიჯებდა. ვინ იცის, რამდენწლოვანი ხეები დასცქეროდნენ თავს. აქაურობა უკაცრიელია? - უკვირდა მას, - თუ ჩემი შეეშინდათ? - ეს აზრიც მოუვიდა, გაიფხორა, გაფუმფულდა. არა, ამპარტავანი სულაც არ იყო. უბრალოდ, ზოგიერთი მოსაზრების საკუთარი თავისთვის განდობა ხომ შეეძლო?

თანდათან ტყე გამეჩხერდა, ასკილის, მაყვლის ბუჩქები გამოერია. აგერ, ალუბალი, იასამანი. კატამ ეს ყველაფერი იცნო, რადგან ასეთ ხეებსა და ბუჩქებს მისი მიდამოც ზრდიდა.

- ოჰ, ეს აქაური ტყისპირია? ჩვენი ტყე იქიდან იწყება თუ აქედან? - ერთხანს ამ საკითხით დაკავდა, გაერთო, - თავს ტყუილად ვიმტვრევ, თუ სახლიკოდან წამოხვალ, ბოლო აქ იქნება, უკან გაბრუნებისას კი, - იქით. როგორც ჩანს, ეს ტყე არავის აწყენინებს, გოგონასაც შეუძლია თქვას, ტყისპირას ვცხოვრობო და იმათაც, ვინც იქ დამხვდება,

თუ დამხვდნენ, რა თქმა უნდა, – ჭკვიანურად აანალიზებდა ყველაფერს, – მხოლოდ ის საზიზღარი ჭოტია ზედმეტი, სიმშვიდეს არღვევს. ბავშვის კატა რომ არ ვიყო, მოვუვლიდი, მაგრამ რა ვქნა, ახლა სულ სხვანაირად ვიქცევი. საქმე იქამდე მივიყვანე, ჭიჭიც თავზე დამაჯდა, ამ სიშორეს გადმომკარგა. დიდი სიფრთხილე მმართებს, დიდი, რაიმე ხიფათს არ გადავეყარო, - აღელდა კიდეც ფისუნია.

ჩახჩახამ სახლი იპოვა

მოგზაურობა დამთავრდა. კატამ გზა გალია და ტყისპირიდან მდელოზე გამოვიდა. შორიდანვე შეამჩნია სახლი. ის თითქოს ეძახდა, სითბოს პირდებოდა. ჩანდა, მოლოდინს შეეპყრო, მოწყენოდა.

- აჰაა, მართალი უთქვამს, რას ვერჩი? აბა, ვნახოთ, კიდევ რა სიახლე მელის. იმას კი ვგრძნობ, აქ საშიშროება ნაკლებად არსებობს, - გაიფიქრა და იქვე, ბუჩქებში გაინაბა. არ ჩქარობდა. გარემოს ათვალიერებდა. ეზოში შესაღწევად შესაფერის დროს ეძებდა.

სიჩუმე იდგა. ძაღლის არსებობის ნატამალიც არ შეიმჩნეოდა. უცბად, კარი გაიღო და მოხუცი ქალი გამოჩნდა. შინდისფერი ხალათი ეცვა; ხელჯოხის დახმარებით ჩამოვიდა ეზოში, ფერადი ჰორტენზიების რიგს მიუახლოვდა, დაიხარა და ყვავილებს მიეფერა. - ოჰოო, ეს ვინღაა?! - კატამ გაოცებისგან პირი დააღო, - უყურე შენ, ყველაფერი ისეა, როგორც იმ თავქარიანმა მოყვა. არა, არა, მე რაღამ გამაკვირვა?! ლამაზი სახლი პატრონის გარეშე იქნებოდა? ჩემნაირ ბრძენს ეს არ უნდა შეშლოდა. კარგი, მივალ, ვგრძნობ, არაფერს დამიშავებს, რადგან დედიკოსავით კეთილი ჩანს, ყვავილები უყვარს, - გადაწყვიტა ბოლოს.

ფისომ უცნაური ბებია გაიცნო, რომელმაც შინ შეიპატიჟა, იქ საქმიანი ბებია დახვდა, აგრეთვე ძაღლი

ფისომ ეზოში შეისეირნა, ვითომც აქ არაფერიო, გაიარ-გამოიარა. ბებია ყვავილებთან ფუსფუსს განაგრძობდა, გული რომ იჯერა, მოტრიალდა და ნელი ნაბიჯით კიბეს შეუყვა. კატა შეფუცხუნდა, ახლა უნდა ეყოჩაღა, თორემ, ვინ იცის, მერე რა იქნებოდა? მოხუცს დაეწია, საყვარლად შეჰკნავლა, ხალათის ბოლოს გაელამუნა. ბებია უცხო ხმის გაგონებას არ მოელოდა, გაოცებული შემობრუნდა, დაიხედა და მზესავით ყვითელი, გაჩახჩახებული ფისუნია არ დაინახა? არ დაიბნა, ცხოველს სიყვარულით მიმართა.

- ოჰო, ეს რა ხმა მესმის? აბა კარგად დამენახე! ასეთი მშვენიერი შეხვედრით შეგულიანებული კატამ ალერსს კრუტუნიც მიაყოლა. - შორიდან ხარ მოსული, ცხადია, რადგან ახლომახლო, მე და ჩემი დის გარდა, სულიერი არავინ მეგულება. ვინ იცის, რამხელა გზა გამოიარე, ნაირნაირი ამბებიც ხომ არ გაქვს მოსაყოლი? მარტოობა არ მოგწონს, ხომ? ადამიანებთან ყოფნა გინდა, სახლში წამობრძანდი, გული ერთად გადავაყოლოთ, - ბებომ ჩახჩახა წინ გაუშვა და კარიც შეუღო. - შედი, შედი, ნუ გერიდება! - მერე,

იქით, ვიღაცას გასძახა, - გამოდი, გამოდი! გითხარი, ცვლილებას უნდა ველოდოთ-მეთქი? აჰა, ნახე, რა სტუმარი გვეწვია?!

იმ ვიღაცაზე სწრაფად ყავისფრად დალაქული, გრძელყურება მეძებარი გაჩნდა და მოსულს ინტერესით თვალიერება დაუწყო. ჩახჩახა ამ შეხვედრას არ ელოდა, დაფრთხა, მაგრამ გაუძლო, არსად გაქცეულა, ამდენი ხნის ნანატრი ადგილი უცბად არ მიუტოვებია. საომრადაც კი მოემზადა, გვერდულად დადგა, აიფხორა, ჟრუანტელმა დაუარა. წამიერად, ასეთი აზრიც ესტუმრა, - ამ ბრძოლის ამბავს გოგონას მუვუყვეზიო, - მაგრამ ყველაფერი მოგვარდა, რადგან კეთილი ბებიების ძაღლიც ჭკვიანი იყო. იგი კარგად ხვდებოდა, როგორ ელოდნენ მოხუცები ვინმეს მოსვლას, ამიტომ კატას წყნარად მიუახლოვდა, დაყნოსა და დაუმეგობრდა. ახლა იმას უცდიდა, რას გადაწყვეტდა სტუმარი. ჩახჩახამ კეთილგანწყობა დაუდასტურა. ამ დროს, კიდევ ერთი ბებია გამოჩნდა, წინსაფრითა და თავსაკრავით, თან ცხელი პურის გემრიელი სუნი მოიყოლა.

- რა საყვარელია, საიდან გაჩნდა? - აღფრთოვანებული ბებია სიხარულს ვერ მალავდა,
- კი, ამბობდი, უეჭველად რაღაც ამბავს უნდა ველოდოთო, აჰა, აგვიხდა.
- მოდი, მოვუაროთ, ვაჭამოთ, სითბო ვანახოთ და შეგვეჩვევა, არ დაგვივიწყებს. ამის მერეც ხშირად გვინახულებს. ხომ შეიძლება, სადღაც შორს, სხვა ადამიანებსაც იცნობდეს და მათ ჩვენს შესახებ გააგებინოს. ახლა მთელი იმედი ამაზეა, გვიშველის. აბა, მარტოხელა მოხუცებულებს რა შეგვიძლია? იქნებ, ამდენი ხნის შემდეგ, ბედმა გაგვიღიმოს, ახლობლები შევიძინოთ? ნუთუ, ამხელა სიხარულის ღირსი გავხდებით? - იმედიანად ალაპარაკდა შინდისფერხალათიანი ბებიაც.
- მიაუ, რა შესანიშნავი სახლია? სიმშვიდით, სიყვარულით სავსე. ერთ-ერთი ბებია პურს აცხობს, გამრჯე ყოფილა, განა არ ვიცი, რა რთულ საქმეს ასრულებს? ხომ წამიკითხავს? ნამდვილად პატივსაცემ ადგილას მოვხვდი. უნდა ვიარო ხოლმე აქ, როცა გზა იცი, არც ისე შორია. ამათი კატაც უნდა გავხდე! არაფრით მივატოვებ! ვხვდები, მომსვლელს ნატრობენ. მგონი, პირველი სტუმარი ვარ, რა სიხარული მოვუტანე?! ეს ძაღლიც ლალალასა და გუნდასავით გონიერია, პატრონების მოყვარული, მათ გულისნადებს ხვდება, სათანადოდ იქცევა, - კატამ ამ ყველაფრის ერთბაშად გაფიქრება იმ მოკლე დროში მოასწრო, სანამ საქმიან ბებიას ეცნობოდა და ყვითელი, ლამაზი თავით, პურის გემრიელი სუნით გაჟღენთილ ქვედა ბოლოს ელამუნებოდა.

ჩახჩახას გემრიელი სადილით გაუმასპინძლდნენ

საქმიანი ბებია, რასაკვირველია, დატრიალდა. კარადიდან ყველი გამოიღო, ლამბაქზე რძე დაასხა, თეფშით კოტლეტი მიართვა, ალუბლის მურაბაც კი შესთავაზა. ძალზე მოშიებულმა ფისუნიამ ყველაფერს გემო გაუსინჯა. მურაბა დიდად არ უნდოდა, მაგრამ ბროლის თასი ხათრით მაინც ამოასუფთავა და დაიკნავლა კიდეც, - მიაუ, გემრიელიაო.

უცნაურ ბებიას ძველებური ბეჭდებით დახუნძლული მშვენიერი ხელით შუბლი მოეჩრდილა, თითქოს მზე აწუხებსო და ისე გასცქეროდა საპატიო სტუმრის სადილობას. ძალიან საყვარელი იყო.
- ცხელი პურიც მიეცი, ხედავ, ყველაფერი მოსწონს? არა, ნამდვილად ჩვენი ფისო გახდება. აჰა, გავმრავლდით, მეტი რაღა გინდა? - მიმართა დას ღიმილით.
- ძალიან კი გამახარა, - გაეპასუხა ისიც, - მაინც საიდან გაჩნდა?
- ეს ცხოველი უკაცრიელ ადგილებს ნაკლებად ეტანება, შინაურია, ხალხთან ყოფნას არჩევს. ამას, სავარაუდოდ, სახლიც აქვს და პატრონიც ჰყავს.
- მიაუუუ! - საიდუმლო ხმით ჩაიკრუტუნა ჩახჩახამ, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ნათქვამი მოეწონა და ეთანხმებოდა.

უცნაურ ბებიას ეს არ გამოჰპარვია, - ხედავ, რა ჭკვიანია? მართალი ხარო, ასე მითხრა, - გაიცინა მან, - აქ რატომ მოვიდა? უბრალოდ გამოისეირნა, ეგენი ცნობისმოყვარენი არიან.

- მიაუუუ! - ისევ სიამოვნების კნავილი გაისმა. სტუმარი მთლად გაფუმფულდა, ღირსებით აივსო.
- იქნებ, საიდანაც მოვიდა იქ ყოფნა არც უნდა. შეიძლება ცუდად ექცევიან? პატრონებს ხომ არ გამოექცა? - ვარაუდი გამოთქვა საქმიანმა ბებიამ.
- მიაუუ, მიაუუ! - ნათქვამი ჩახჩახას ნამდვილად არ მოეწონა. ის ხომ ყველაზე თბილ და მოსიყვარულე გარემოში ცხოვრობდა? ნამდვილად ასე იყო და ამ სიმართლეს ბოლომდე დაიცავდა.
- ნახე, ამაში არ გეთანხმებითო, - უკვე გულიანად გაეცინა საქმიან ბებიას, - ფისუნია, გაგვიხარდება, თუკი მშვიდად ცხოვრობ. დარწმუნებული ვარ, შენს სტუმრობას კარგი ამბები მოჰყვება.

ბებიების სითბომ, გულუხვმა გამასპინძლებამ სახლს სიმყუდროვე შემატა. რაც შეეხება გამუდმებულ მოლოდინსა და გაფაციცებულ ზეიმს, ისინი ოდნავ გახალისდნენ, უფრო იმის იმედით, რომ მომავალში ამაზე საინტერესო და სასურველი სტუმარი ეყოლებოდათ. მათი არჩევანი სხვა იყო და ფიქრში ათასგვარ ბრწყინვალე სცენას ხედავდნენ.

აი, ისიც, ატამი-ნამცხვარი

- ატამი ნამცხვარი? უკვე მზად გაქვს, არა? - მიმართა უცნაურმა ბებიამ.
-ჯერ ვერ მოვასწარი, მაგრამ ერთი კი არის ამისთვის. - საქმიანი ბებია განჯინისკენ გაემართა
- როგორ დაამთხვია, ამასაც ბედი ჰქონია და ჩვენც.

კატამ, როგორც იქნა, იმ სიტყვებს მოჰკრა ყური, რომლის გაგონება ყველაზე უფრო ეწადა. აქ იყო ის, რისთვისაც ამდენი იმოგზაურა, რისი მოპოვებაც ასე ძლიერად სურდა. აქ იყო ნუგბარი და მას ელოდა, მაგრამ როგორ მიახვედროს, რომ ამ შაქარლამას ვერ შეჭამს, რომ იგი მეგობრისთვის სჭირდება? დაღონდა ფისო, თუმც გულში იმედი მაინც უღვიოდა; შუბლმოჩრდილული ბებია გამჭრიახი ჩანდა. ის აუცილებლად მიუხვდებოდა სურვილს, მერე პურისმცხობელ ბებიასაც გაანდობდა, რომელიც, თავის მხრივ, სასურველ ძღვენს ჭიჭისთან გაატანდა.

კატა ცდილობს, ბებიებს მიანიშოს, რა სურს. უცნაური ბებია ყველაფერს ხვდება

ამ ფიქრებში იყო სწორედ, რომ მის წინ სახელგანთქმული ატამი–ნამცხვარი გაჩნდა. ყვითელი, ცალ გვერდზე წითლად დაბრაწული, მწვანედ შეფერილი ცომის ფოთლებითა და ყუნწით. შიგნით, კურკის მაგივრად, მომჟავო ჯემით. იდო ლანგარზე და ფისოს ნერწყვს ჰგვრიდა.

- ოჰ, ერთი სული მაქვს ჩავკბიჩო. დანაყრებული კი ვარ, მაგრამ ეს ისეთი რამეა, მაინც გაცდუნებს, რა ვქნა? ამის გარეშე ვერ დავბრუნდები, ვერა! - კატა ნამცხვარს თვალს არ აშორებდა.

- ნახე, ჭამა აღარ შეუძლია, - გული დასწყდა წინსაფრიან ბებიას, სტუმარს მთავარი და გამორჩეული ნუგბარი დაუგემოვნებელი რჩებოდა.

- არა, აქ რაღაც სხვა ხდება, - გაეპასუხა შინდისფერხალათიანი ბებია, რომელიც ფისუნიას ყურადღებით აკვირდებოდა.

- მაინც რას ფიქრობ, რა მოიგონე?

- ტკბილი არ უყვარს, მაგრამ მურაბა ხათრით მაინც გაგისინჯა. ახლა რატომ გაწყენინებდა? ჭამა არ შეუძლიაო ვერ იტყვი, ნერწყვები სდის. მგონი, გუნებაში სხვა რამ აქვს. ლანგარს დაჟინებით დასცქერის, ნამცხვრის წაღება ხომ არ უნდა იქ, საიდანაც მოვიდა?

ჩახჩახა ამ სიტყვების გაგონებაზე გააქტიურდა. მრავალმნიშვნელოვანი მზერით ხან ბებიებს შეხედავდა, ხან ნამცხვარს, მერე კარისკენ გაემართა, ერთხანს იქ შეჩერდა, უყურა და ისევ უკან გამობრუნდა. ეს რამდენჯერმე გაიმეორა. აშკარად რაღაცას ითხოვდა.

ბებიები ცდილობენ, კატას დაეხმაროონ, მისი სურვილი აასრულონ

- ხომ გეუბნებოდი, ეს ნამცხვარი სხვისთვის უნდა. დანამდვილებით ასეა. შეიძლება კნუტები ჰყავს ან მასთან მეორე კატაც ცხოვრობს. გავატანოთ, ნუ ვაწყენინებთ.

- მაგრამ როგორ? - საგონებელში ჩავარდა მეორე ბებია, - ამხელა გზაზე პირით ხომ ვერ ატარებს? გაუგორდება, მოესვრება.

- მოდი, ქათქათა ხელსახოცში გამოუკარი ისე, რომ კვანძს კბილები მოხერხებულად ჩაავლოს. ეგებ, ვინმემ შეამჩნიოს, ეგებ, ადამიანები დაინტერესდნენ, ვინ ვართ, სად ვცხოვრობთ? მაშინ ხომ გვეშველება, გავიხარებთ? - მოიფიქრა ყვავილების მოყვარულმა ბებიამ, თუმც, ამ ნათქვამს ეჭვიც შეურია, - ეს ძღვენი, სადღაც დავარდნილი, შემთხვევით ნაპოვნი რომ ეგონოთ და ყურადღება არ მიაქციონ?

ჩახჩახა ნაწყენი და აღშფოთებულია. უცნაურმა ბებიამ დაუყვავა; გაუგებრობა მოგვარდა

ამ სიტყვების გაგონებაზე ჩახჩახა წამოენთო, - მიიიააუუუ! - გრძლად დაიკნავლა მან, - აბა, რას ბრძანებთ, რას! გადაგდებული, უვარგისი, ნაპოვნი ან დაუკითხავად აღებული მეკადრება?! ასეთი საქციელი ჩემგან შორსაა. მე მხოლოდ კეთილი სურვილი მამოძრავებს, - მეგობრის გახარება. ჰო, ცოტა თავის გამოჩენაც, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მაგ ნამცხვარს ისე მოვიპოვებდი, არც დაგენახვებოდით, მაგრამ, ხომ ხედავთ, გაგეცანით, თქვენით მოვიხიბლე, სურვილი გამიჩნდა, კიდევ და კიდევ მოგინახულოთ. არაფერს გაწყენინებთ, კი არა, თუ თაგვები გაწუხებენ, მათ დამარცხებაში დაგეხმარებით. მართალია, უკვე არც ერთ თაგვს აღარ მოვკლავ, მაგრამ ისეთს დავიკნავლებ, სრულიად საკმარისი იქნება, სახლი რომ დატოვონ. ჩემო ბებიებო, ვამაყობ თქვენით, მინდა ეს ყველამ გაიგოს, მინდა გოგონამ გაგიცნოთ და გაბედნიერდეთ, - აი, ჩახჩახამ კნავილში რა ჩაატია.

- აჰა, მაინც ვაწყენინე! არა, ჩვენო ფისუნია, არ მიგვატოვო, შენი გვჯერა, ჩვენი იმედი ხარ, მხოლოდ შენ შეგიძლია, თუ მართლაც გყავს პატრონი ან პატრონები, ადამიანებს შეგვახვედრო, - უთხრა ჩახჩახას უცნაურმა ბებიამ, მერე დას მიმართა, - როგორც ვთქვი, ისე მოვიქცეთ.

ამ ნათქვამმა კატა დაამშვიდა. ნიშნად იმისა, რომ ახლობლები ნამდვილად ჰყავს და ეს ნამცხვარიც მათთვის უნდა, ისევ გრძლად დაიკნავლა, - მიიააუუუ!

ბებიები შორეულ უცნობებზე ოცნებობენ

- რას არ იტყვი ხოლმე, რამდენი რამ იცი, ყველაფერს ხვდები, - თბილად თქვა საქმიანმა ბებიამ.

- ადამიანმა ხშირად უნდა დასვას კითხვა, - იქნებ? იქნებ ასე? იქნებ ისე? ივარაუდოს, იოცნებოს და წარმოიდგინოს. მე ეს წიგნმა მასწავლა, - უპასუხა უცნაურმა ბებიამ.

- მარტო წიგნი არაფერ შუაშია, ასეთი გაჩნდი, - სიყვარულით უთხრა პურისმცხობელმა ბებიამ, - კარგი, დავიჯერებ ყველაფერს. ისე მინდა, მართალი აღმოჩნდე და ეს ნამცხვარი ვინმეს, თუნდაც ერთადერთს, ჭირდებოდეს. ამიერიდან იმ ფიქრით, იმ იმედით გამოვაცხობ, რომ მას აუცილებლად გასინჯავენ. ვხედავ, ოცნება ბევრს ნიშნავს, ოცნება ყოველთვის ახდება! ყველაფერს მივხვდი, თუმც შენდენი წიგნები არ წამიკითხავს.

- მერე რა? - გაიკვირვა უცნაურმა ბებიამ, - არ გეცალა, ყოველთვის იმდენი საკეთებელი გქონდა. შენი არჩევანი ეს იყო. საქმიან ადამიანს რა სჯობია? მას ხომ სიკეთე ახლავს. შრომა თავისებურ ცოდნას, გამოცდილებას სძენს, ეს დასაფასებელია. ოცნებას რაც შეეხება, იგი ადამიანთან ერთად იბადება, მხოლოდ უნდა აღმოაჩინოს და ცხოვრების გზაზე მასთან ერთად იაროს.

- ჰოდა, ასეც მოვიქცევი! დღეებს გავილამაზებ; წარმოვიდგენ, საით გაეშურება ეს კატუნა, რა სახლია, რა ბაღი, იქ ვინ ელოდება? ვინ იცის, იქნებ პატარა ბავშვი ცხოვრობდეს და ეს ფისო სულაც მისია. შეიძლება შვილიშვილი შევიძინოთ, რომელსაც ნაირნაირ ნუგბარს მოვუმზადებ.
- მე კი წიგნებს წავუკითხავ.
მოხუცები ოცნებებში გადავიდნენ.

ბებიებმა კატას წოდება უბოძეს, ძღვენი გაატანეს და კეთილი სიტყვაც დააბარეს

ისინი კატის მორიდებულმა ჩაკნავლებამ გამოაფხიზლა. საქმიანი ბებია წამოდგა, თავისივე ხელით მოქარგულ ქათქათა ხელსახოცში ყვითელი, ცალ მხარეს წითლად დაბრაწული, ჯემისკურკიანი, უგემრიელესი შაქარლამა გამოუკრა და ჩახჩახას წინ დაუდო. ფისო ორივეს მიეალერსა, მერე ციცქნა ბოხჩის კვანძს პირი ფრთხილად ჩაავლო და კარისკენ გაემართა.
- ვინც იქითა მხარეს გელოდება, ყველას მოკითხვა გადაეცი, ჯანმრთელობას ვუსურვებთ, სიკეთეს. უთხარი, თუ გვეწვევიან, დიდ სიხარულს მოგვიტანენ, გვინდა თანამედროვე ცხოვრებაში ჩავებათ. მოვიდნენ, თავიანთი ამბები მოგვიყვნენ, ჩვენ ჩვენსას ვუამბობთ და ვიქნებით ასე ერთად, წარსული და მომავალი. ცხოვრება ამისგან არ შედგება? - უცნაური ბებია, ძღვენთან ერთად, ჩახჩახას თბილ სიტყვებსაც ატანდა.
- მიაუ, ვეცდები თქვენი იმედები გავამართლო, ყველანი ერთმანეთს დაგაახლოვოთ! - კრუტუნებდა ფუმფულა.
- აბა, შენ იცი, ჩვენო ფისუნია! ნეტავ, რა გქვია? გაქვს კი საერთოდ სახელი, შორი გზიდან, ტყიდან მოსულო? რა მოხდება, მე რომ შეგარქვა? მაგალითად, ელჩი, წარგზავნილი კატა. აბა, გასწი ახლა, დიპლომატად წოდებულო და დაგელოდებით! - ბოლო სიტყვები უცნაურმა ბებიამ ღიმილით წარმოთქვა.
- ოჰ, ოჰ, ოჰ, ელჩი კატა, - სიცილით მოკვდა საქმიანი ბებია.
ჩახჩახამ საოცარი სიამაყე იგრძნო. განა ამდენს ელოდა? დიახ, უნდოდა, თავი გამოეჩინა, გოგონას აქაურობისკენ გზის გაკვალვაში დახმარებოდა, მაგრამ როგორ იფიქრებდა, რომ იმ გამოუცნობი მხარის წარმომადგენელი გახდებოდა, რომლისაც ასე ეშინოდა. ფანჯრის რაფებზე ხეტიალითა და წიგნებზე კოტრიალით დიდი ცოდნა და განათლება შეეძინა, ამიტომ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა, რას ავალებდა ეს წოდება. ელჩად აღიარეს, ამით უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრეს.

ღირსებით აღვსილი კატა უკან ბრუნდება, მხოლოდ ერთი სადარდებელი აქვს, ჭოტთან შეხვედრა არ უნდა

ასე და ამგვარად, ჩახჩახა სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა. გრძელყურება ძაღლმა იგი ტყისპირამდე თუ ტყის ბოლომდე მიაცილა, უსაფრთხო მოგზაურობა უსურვა და მომავალ მეგობრებთან მოკითხვა დააბარა. სჯეროდა, მათ მალე ნახავდა.

- ისეთივე კეთილი, მშვიდი და გონიერია, როგორიც ლალალა. რამდენს ნიშნავს, კარგ ადამიანებთან რომ ცხოვრობ და იზრდები!? მე, მაგალითად, სანამ ამ მიდამოს ვეწვეოდი, დიდებული კატა ვიყავი, ელეგანტური, დახვეწილი, მაგრამ ვაღიარებ, გოგონას წყალობით, ერთი-ორი კარგი თვისება კიდევ შევიძინე, - შემიძლია სამართლიანობა დავიცვა და სიმართლე ვაღიარო, - ამგვარი ფიქრებით გარემოცული, უზომოდ კმაყოფილი, საკუთარი ღირსებით აღვსილი, აწ ელჩად წოდებული ფისო ხეებს შორის გაუჩინარდა. შინისკენ მიმავალი, თათებს ისევ ფრთხილად აბიჯებდა, ცდილობდა უჩუმრად ევლო, რათა სამაგელ ჩიტთან შეხვედრა აეცილებინა, - რა საჭიროა მასთან საუბარი? უკმეხად მეტყვის რამეს, ნერვებს მომიშლის. კამათში ვერ ავყვები, არ მეკადრება. პატივი დამდეს, მაღალი წოდება მიბოძეს, სათანადოდ უნდა მოვიქცე, - ასეთი გეგმა ჰქონდა მას.

შეხვედრა მაინც შედგა

მაგრამ ჭოტი ჩასაფრებული იყო. გონიერმა და ბრძენმა იცოდა, ეს კატა ისევ დაბრუნდებოდა, ამიტომ უცდიდა. არა, არაფრის დაშავებას არ აპირებდა, უბრალოდ, აქაურობა მას ებარა და ტყის ყოველი სიახლე უნდა სცოდნოდა. ამგვარ ცხოვრებას გვარიანად დაეღალა კიდეც. ჩახჩახა ფრინველის საცხოვრებელ ადგილს მიუახლოვდა, ხეს ახედა და საყვარლად გაბურძგნილი, თვალებმოფახულე ჭოტიც დაინახა. ერთმანეთს კარგა ხანს უყურეს, მერე ღირსებით სავსე კატამ ელჩის მოვალეობის შესრულება დაიწყო: საჩუქარი ფრთხილად დადო და ჩიტს თბილად მიმართა:

- ისევ გამარჯობა, კვლავ აქ აღმოვჩნდი. ამჯერად უთანხმოებას თავი ავარიდოთ და ერთმანეთს მეგობრულად დავშორდეთ. ჩხუბი და უსიამოვნება რას მოგვიტანს?

- გეთანხმები, წახვალ და გაივლი. ვხედავ, არაფერს მიშავებ, იმასაც ვხვდები, ვისი ხარ, რადგანაც ზოგიერთი კატური, არასახარბიელო თვისება მოგიშორებია, კეთილშობილება შეგმატებია. ოღონდ შენთან სერიოზული სათხოვარი მაქვს, როგორმე ბავშვი უნდა გამაცნო, მინდა დავინახო, რომ გავერკვე. ეს შეხვედრა ყველასთვის სიკეთის მომტანი იქნება, გპირდები.
- აჰა, გოგონას ამბავიც სცოდნია, - მწარედ გაიფიქრა ჩახჩახამ, მაგრამ არ შეიმჩნია, - კარგი, ნდობას გიცხადებ და საქმის მოგვარებასაც დავიწყებ. ცდას არ დავაკლებ, მეც გპირდები! - თანდათან როლშიც შევიდა.

ჭოტი სიამოვნებისგან გაფუმფულდა, მოსაუბრე უფრო თამამად შეათვალიერა, - ცარიელი მიდიოდი და ეგ რაღა არის, რა გიშოვია? - გადმოსძახა.
- არაფერი ისეთი, საგზალი შემიხვიეს, - კატამ საიდუმლო მაინც არ გასცა.
- ჰოო, ეტყობა პატივისცემის ღირსად ჩაგთვალეს, ვხვდები კიდეც რა არის, სახელგანთქმული ნამცხვარი, არა? მთელი ჩიტები მაგითი დაზარდეს, - ჭოტი მეტად არ დაინტერესებულა, არ ჩაძიებია, ისევ თავისას დაუბრუნდა, - სახლიკოსაც დაეკითხე, ამ საქმეში ჩართე, მისი ჭკუისა და სიკეთის გარეშე არაფერი გამოვა.
- რაო, რა თქვა?! - ელდა ეცა ფისოს, - ეს, ერთი ჩვეულებრივი ჭოტი კი არა, თურმე ყოვლისმცოდნე ყოფილა, ნამცხვარიც კი მირთმეული აქვს. ეჰ, რას ველოდი ნეტავ? განა სახლიკომ არ თქვა, იქითა მხარეს ყველას ვიცნობო? თუკი მისთვის აქაურობა უცხო არ არის, მზეს, მთვარეს, წვიმას და ქარს გამოეპარებოდათ რამე? ფრთოსნები? მათაც ხომ ყველგან შეუძლიათ მისწვდნენ, დაინახონ. ვაი, ვაი, ვაი, ყველამ ყველაფერი იცის! აბა, რაღა რჩებოდა? მხოლოდ საჩუქრის მოპოვება და მეტი არაფერი? რა სიახლე უნდა მიეტანა ბავშვისათვის? ტყუილად ვიწვალე. ამხელა გზა გავიარე, დავიქანცე! შიში? სიფრთხილე? ჭკვიანი კი არა, ნამდვილი სულელი ვყოფილვარ! რას მოვეხეტებოდი, რა მრჯიდა?! - გუნება გაუფუჭდა, დაღონდა, ყურები ჩამოყარა, კუდი ჩამოუშვა, - არა, რაიმე გამოსავალი უნდა იყოს, უნდა იყოს! - ჯიუტად უმეორებდა თავს.

ამ დროს, თავისდაუნებურად, თვითონ ფრინველი წამოეშველა, ზემოდან ჩამოსძახა, - ეჰეი, დაყრუვდი თუ დამუნჯდი?! სხვათა შორის, ცნობისთვის, ტყისმცველის შემდეგ, პირველი ხარ, ვინც ჩემს სიახლოვეს გაიარა და გამოველაპარაკე, გავიცანი, შეგიძლია იამაყო! აბა, ახლა შენ იცი, დამეხმარე, იცოდე!

და ჩახჩახა მიხვდა: ამჟამად, მხოლოდ მას შეეძლო ეს ორი მხარე დაეკავშირებინა, რადგან ბებიები გაიცნო, ტყის ბატონ-პატრონს დაუმეგობრდა და გზაც გაკვალა. სიმართლე დაამტკიცა, სახლისა და მოხუცების არსებობა დაადასტურა. დიპლომატის წოდება ხომ მიიღო და მიიღო. ხუმრობაა, უფლებამოსილი ელჩის სახელითა და უდიდესი მისიით ბრუნდება შინ, წვეულებაზე კი საუკეთესო საჩუქარი მიაქვს, იშვიათი და უცხო.
- რას ვღონდები ნეტავ?! წინ დიდი საქმეები მელის! გამორჩეული კატა ვიყავი და არაჩვეულებრივი გავხდი! - შესძახა მან, გაიჯგიმა და ყვითელი ფუმფულა კუდი ალამივით ასწია.

კატა მშვიდობით დაბრუნდა და საჩუქარიც დააბინავა

ამგვარად, დამშვიდებული, ღირსებით აღვსილი ფისო ჭოტს დაემშვიდობა და გზას გაუდგა. მშობლიურ ტყისპირს რომ მიაღწია, ქათქათა ხელსახოცში გამოხვეული ტვირთი ბუჩქის ქვეშ დადო, იქვე წამოუწვა. დაღამებას ელოდა. ვეებას და კაჭის ცნობისმოყვარე მზერისგან მხოლოდ სიბნელე თუ დაიცავდა. მთავარი იყო, სახლიკოს მშვიდობით დაბრუნებოდა, მერე საჩუქარს სადმე მიმალავდა, თუნდაც კალათში, ბალიშის ქვეშ. გარეთ თბილოდა, ბინადრები შინ ნაკლებად ჩერდებოდნენ, ამიტომ ვერაფერს შეამჩნევდნენ. ისინი ძღვენს მხოლოდ ჭიჭის დაბადების დღეს ნახავდნენ. კარგად რომ შებინდდა, ტყისპირსა და ვეებას შორის მდებარე სივრცე სწრაფად გადაჭრა, გალავნის ძირს გაუყვა, მაღალ ბალახებს შეეფარა. ეზომდე მშვიდობით მივიდა. ბედმა კიდევ ერთხელ გაუღიმა, კაჭი არსად ჩანდა, ეტყობა, უკვე თავის ბუდეს დაბრუნებოდა. ჭიჭი რომ გულიან ძილში იქნებოდა, ეს ნამდვილად იცოდა, მისი ჩვევები შესწავლილი ჰქონდა. ძაღლების ცნობისმოყვარეობისა არ ეშინოდა, რადგან ლალალა ყოველთვის ღირსეულად იქცეოდა და სხვის საქმეში ცხვირს არ ყოფდა, ხოლო გუნდა, კარგი დედის მიერ გაწვრთნილი, ზრდილობით გამორჩეული ლეკვი იყო. ჩახჩახა შინ უჩუმრად შეიპარა. იქ უფრო კარგი ამბავი დახვდა, ვიდრე ელოდა. დედა ძაღლი ვეებასთან გადასულიყო ღამის შემოვლაზე, ლეკვს კი გემრიელად ეძინა. ფისომ საჩუქარი კალათში დამალა და სახლიკოს უთხრა: - გთხოვ, არაფერი მკითხო, ეს ჩემი საიდუმლოა, რომელსაც მალე გაგიმხელთ.

- რა თქმა უნდა, - იყო მოკლე პასუხი.

მიდამომ ჩაიძინა. ისვენებდა. ხვალინდელ ზეიმს ელოდა, დიდ მხიარულებას. ჭიჭის დაბადების დღე მომდგარიყო.

ნანატრი დაბადების დღე დაიწყო

ჰოდა, როგორც იტყვიან, ეს დღეც გათენდა. ეზოში, ნუგბარით სავსე, სადღესასწაულო სუფრა გაიშალა. ჭიჭის ხომ ტკბილეული უყვარდა? სულო და გულო, რა გინდოდა: თაფლი, მურაბა, შაქარყინული, შედედებული რძე, რომელსაც ზრდილობითა და ღირსებით სავსე ფისუნია განსაკუთრებულად დარაჯობდა და ბოლოს, ვეებას სახელგანთქმული ნამცხვარი, - დიდ ლანგარზე მოთავსებული, შაქრის ფხვნილით დაფარული, ჰაეროვანი ბურბუშელა. ამპარტავანმა მეზობელმაც ინება მიდამოს ზეიმს შეერთებოდა. დიახ, მან ნამდვილად განიცადა სასიკეთო ცვლილება. გაჩახჩახებული გირლანდა დღის შუქს მეტოქეობას უწევდა. ბავშვები ირეოდნენ. კოპწია სახლიკო იდგა და არ სჯეროდა, რომ ამხელა ბედნიერება ხვდა წილად. იგი სიხარულით მასპინძლობდა პატარებს, მაგრამ მისი რჩეული მაინც გოგონა იყო. მშვენიერ ბავშვს ყვითელი, ფრიალა კაბა ეცვა, თმებში გვირილები ჰქონდა ჩაწნული და ფიქრიან თვალებში სხივი უკრთოდა.

გამოპრანჭული ჭიჭი საჩუქრებს იღებს

სადღესასწაულო ფრაკში გამოწყობილი იუბილარი მაგიდაზე აცოცდა და ხაოიან ფოთოლზე მოთავსდა, რომელიც თვით ლეღვის ხემ მიართვა, დაუფინა. ასკილის ბუჩქმა ვარდისფერი ყვავილი ესროლა, ღილკილოზე დასაბნევად. ლალალამ ტკბილი ბატიბუტი მოუტანა, ვეებამ მისცა, დაბადების დღეზე ხელცარიელი რომ არ მისულიყო. ტყისპირს კაჭი დაეხმარა: ალუბალი, შავი თუთა ჩამოკრიფა, ლურჯი იასამნების თაიგული გააკეთა და, თავის მშვენიერ ქუდში მოთავსებული, მეგობარს მიართვა, რა თქმა უნდა, მეორე მეგობრის სახელით, ზედ ფერადი მინის ნამსხვრევიც მოაყოლა, – საძინებელი მოირთეო, – ეგონა, სხვაც ისე ფეთდებოდა ბრჭყვიალებზე, როგორც თვითონ.

ყველა საჩუქარი დიდი სიყვარულით იყო მიძღვნილი. ჭიჭი ამას გრძნობდა და აფასებდა, მხოლოდ მცირე ნაღველი მაინც შემოსწოლოდა, თუმც არ ამხელდა, არავის ამჩნევინებდა. რა ადარდებდა? ისევ ის, - პრიალა ფეხსაცმელი უნდოდა.

- ეჰ, რაც არის, არის! მეგობრებს ზეიმს არ ჩავაშხამებ. ფეხშიშველაც გავძლებ, აქამდე ასე არ იყო? - გადაწყვიტა მან თავისთვის და სურვილს ვაჟკაცურად გაუმკლავდა.

ცოტა ხანში, საჩუქრების რიგი რომ ჩათავდა, ბავშვი წამოდგა და ჭიანჭველას ცხვირწინ ლამაზ ქაღალდში გამოხვეული ნივთი დაუდო. იუბილარიც ნაჩქარევად ეცა შეფუთულს, თან ხსნიდა, თან მადლობას იხდიდა:

- არ იყო საჭირო, რატომ შეწუხდი? ამდენი რამ გამიკეთე: ტანსაცმელი, სუფრა, ახლა კიდევ, - და უცბად ენა ჩაუვარდა, რადგან მის წინ პრიალა, შავთასმებიანი პაწაწინა ფეხსაცმელები ეწყო, - გოგონა, ეს რა მაჩუქე! საიდან მიხვდი, ძალიან რომ მინდოდა? ამას არანაირი მადლობა არ ეყოფა! რა სიხარული მეწვია, რა სიხარული! - ჭიჭის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, უსაშველოდ წრიპინებდა.

- კარგი, დაწყნარდი, სტუმრებს ყურადღება მიაქციე, მარტო რომ დარჩები, თავიდან დაათვალიერე! - გასძახა სახლიკომ და ნაღვლიანად დაამატა, - ეჰ, მე ვერაფრით გაგახარე, აქ ერთ ადგილას დგომით, რას ვიშოვიდი? დიდი სახლივით არც ნამცხვრის ცხობა ვიცი.

- უერთგულესო, ძველო მეგობარო, ამაზე საერთოდ ნუ ფიქრობ. შენ უკვე მაჩუქე ჭერი, მყუდრო კუთხე და შენი მზრუნველობა, განა ამას რამე შეედრება? - მიმართა თბილად და პატივისცემით ჭიანჭველამ.

ჩახჩახას საჩუქარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა

და ბოლოს, ჩახჩახას ჯერიც დადგა. იმანაც, მზესავით ყვითელმა, გაბადრულმა, ატამი ნამცხვარი გამოაგორა, - წითლად დაბრაწული, ჯემის კურკიანი უგემრიელესი შაქარლამა. ამ საჩუქარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით გოგონა გაოცდა. განა, მისი სახლის გარდა, აქ, ახლომახლო, ნამცხვრის კი არა, თუნდაც ერთი ნაჭერი პურის მოპოვება შეიძლებოდა?

- სად იშოვე? - მიუბრუნდა კატას.

- გეტყვი, რადგან უკვე საიდუმლო აღარ არის, - წასჩურჩულა ფისომ ბავშვს, მერე ჭიჭის მიუტრიალდა და, მაინც ნიშნისმოგებით, მიმართა, - აბა, მეგობარო, რას იტყვი? გავაოცე ყველა? დაიმახსოვრე, სიურპრიზი სწორედ ამას ჰქვია, როცა არაფერი იცი და მოულოდნელად გაგიხარდება.

- უღრმეს მადლობას მოგახსენებ! „ურპრიზი“ გამოვიდა. თავი სულ სხვანაირად გამოიჩინე. პატივისცემა, მართლაც, კარგი გცოდნია, ამიტომ, როცა შენ დაბადების დღეს დავადგენთ, არც მე ჩამოგრჩები, მაგ „სიურ“ რაღაცას გაგიკეთებ, მოკლედ გაგახარებ! - დაასრულა სიტყვა ჭიჭიმ და ნამცხვარზე აცოცდა, რომ უკეთესად დაეთვალიერებინა.

ჩახჩახა ფიქრებში წავიდა, - ეგ ხომ ნახევრად სიურპრიზი იქნება, მერე კიდევ, ვინ იცის, დაბადების დღეს როდის დანიშნავენ, მანამდე შეიძლება მეჩხუბოს და ხმა საერთოდ არ გამცესო. დაღვრემილი და შეწუხებული გოგონამ გამოაფხიზლა.

- მოტრიალდი! მითხარი, საით იმოგზაურე?

- შენთან დასამალი რა მაქვს? ვიცი, არ მეჩხუბები. აქ ვერაფერი მოვიძიე, ისე კი ვერ ვეწვეოდი, მოგეხსენება, ამიტომ ტყე გავიარე, მეორე მხარეს გავედი.

- მერე?! - თვალებანთებული გოგონა კატას მიაჩერდა, ის ისევ ელოდა სასწაულს.

ფრთოსანთა ორკესტრი მშვენიერი სიმღერით ულოცავს ჭიჭის დაბადების დღეს

ამ დროს, ასკილის ბუჩქზე გამწკრივებულმა, „ჩვენი ჩიტის“ მიერ მომზადებულმა, ფრთოსანთა გუნდმა მისასალმებელი ჰიმნი დააგუგუნა. სახლიკოს ეზო სასიამოვნო ჰანგებმა აავსო. მგოსნები სულითა და გულით ცდილობდნენ მოწონება დაემსახურებინათ. მათ სამსახური გასჩენოდათ და ახალი საქმიანობა უკვე ეამაყებოდათ. ახლა, სათითაოდ კი არ იჭიკჭიკებდნენ, არამედ კონცერტებს გამართავდნენ, აპლოდისმენტებს დაიმსახურებდნენ. შეიძლება უცხო ქვეყნებსაც სწვეოდნენ, სხვებისთვის მიდამოს სილამაზისა და სიკეთის ამბები მიეტანათ.

- მოიცა, საუბარი მერე გავაგრძელოთ. პატარებმა ჩვენთვის იშრომეს, უხერხულია, არ მოვუსმინოთ, არ შევუფასოთ! – წამოიძახა გოგონამ და საერთო მხიარულებას შეუერთდა. უკვე მიჩვეულიყო ახალ-ახალი ამბების დახვედრას, თავ-თავის ადგილას მოთავსებას და სხვისი დახარჯული შრომის პატივისცემას. მთვარემ ხომ ასე ასწავლა?

ჰოდა, სანამ მშვენიერი გალობა ისმის, საკუთარ თავს ვკითხოთ, გვიფიქრია იმაზე, რომ თითოეული ჩიტი რაღაცას ყვება? ყვება ამბავს, სიხარულიანს თუ ტკივილიანს, გაუგონარს თუ საყურადსაღებოს, ნაირნაირს და სხვადასხვას? აი, გადამფრენი ფრინველები ცხელი ქვეყნების, ზურმუხტი მწვანეების, ფირუზი ზღვების და ოკეანეების სილამაზეს გვაცნობენ. აქ დამრჩენნი, ბეღურები და სხვანი, გვიამბობენ, როგორი თავგანწირვით იცავენ შვილებს, როგორ უჭირთ ზამთრის გადატანა ან როგორ დაფრენენ დაუღალავად შორ მანძილზე, რათა გამოკვებონ ბარტყები და რაოდენ მნიშვნელოვანია მათთვის თითოეული ნამცეციც კი, რომელსაც ადამიანები, დიდები თუ პატარები უწილადებენ. აი, რაზე ჭიკჭიკებენ ჩიტუნიები, რას მოგვითხრობენ. ყური მიუგდეთ, მიუგდეთ ყური, მოისმინეთ ფერადი ამბები, წარმოიდგინეთ საოცნებო სურათები, გაიზიარეთ გულის ტკივილი, სიხარული და თქვენ ეს ბედნიერებას მოგიტანთ.

ყოველი სიმღერის ბოლოს მქუხარე ტაში გაისმოდა. ზეიმი გრძელდებოდა, გრძელდებოდა.

წყლის დაბადება

ამ დროს, უცნაური რამ მოხდა. რაა? ის, რომ ბუნებამ მისთვის ჩვეული სიახლე მოამზადა, როგორც ჩახჩახა იტყოდა, - სიურპრიზი. მიწა ერთ ადგილას დასველდა, ამოიბურცა. სინოტივემ იმატა, იმატა და ბოლოს, ქვემოდან, წყალმა ამოხეთქა. განთავისუფლებული, ზედაპირზე ამოსული ჭავლი კამკამა იყო, თან ჩუმი ხმა დაჰყვებოდა, - რუ-რუ, რუ-რუ. ეს, მაგიდის ქვეშ, პირდაპირ გოგონას ფეხებთან ხდებოდა და ისიც გაოცებული დასცქეროდა ბუნების ძალიან საინტერესო მოვლენას. უცნაურად მიჩუმებულმა ბავშვმა ყველას ყურადღება მიიპყრო. ჭიჭი განსაკუთრებულად უკმაყოფილო ჩანდა, - ჩემს დაბადების დღეზე ვინ ან რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანიო, მაგრამ, როცა თვალებგაფართოებულმა მეგობარმა მიწაზე მიუთითა, მაგიდის ქვეშ თვითონაც შეიხედა და, სრულიად მოულოდნელად, ხმამაღალი ყვირილი მორთო ანუ წრიპინი, რომელიც ამჯერად ყველას ესმოდა.

- ჩემი მეგობარი რუ გამოჩნდა, ჩემი მეგობარი! სწორედ ახლა, საჩუქარი გამიკეთა! გულმა გიგრძნო? რა ყოჩაღი ხარ, დაბრუნება მოახერხე! - ერთი ამბავი ჰქონდა ატეხილი, ხელები აღემართა და მაგიდაზე ხტოდა. სტუმრები ხან მას უყურებდნენ, ხან წყლის ჭავლს.

- იქნებ სხვაა? შემთხვევით ამოჩუხჩუხდა. ახლა გაზაფხულია, არ მოდიდდეს, არ წაგვიღოს, - ფისომ თავისი განათლება გამოაჩინა და თან, რა თქმა უნდა, ჭიანჭველასაც, როგორც ყოველთვის, შეეწინააღმდეგა.

- რა სხვა? - აყვირდა ის, - ამდენ ხანს მიწას ერთი წვეთიც კი არსად დამჩნევია, წვიმის წყალს ვსვამდით და სხვაა? ისაა, ის! ჩემი მეგობრის ხმას ვცნობ! მოიცადეთ, ნახავთ, როგორ გადამეხვევა, არც დამახრჩობს, არც წამიღებს!

ნაკადი თანდათან მატულობდა. მყარ, გამაგრებულ ნიადაგს არღვევდა, ღუღუნებდა, პატარ-პატარა, მზის სხივებით აფერადებულ შადრევნებს ათამაშებდა, თითქოს იქაურობას ესალმებაო.

- მართალი ხარ, ჭიჭი! ყველაფერი თავის დროსა და ადგილას ხდება. ეს ჩვენი რუ–რუა, ჩვენთან მოსული. მივეხმაროთ, გზა გავუკვალოთ, უკან აღარ გავაბრუნოთ! - დაიძახა სახლიკომ, მერე ძველ მეგობარს მიმართა, - ჩემო კარგო, კეთილი იყოს შენი მობრძანება! ამდენი ხნის ლოდინით დაღლილები, გრილი წყლის მონატრულები, სიხარულით გეგებებით. კიდევ კარგი, გზა არ დაგვიწყებია. ნურაფრის შეგეშინდება, საფრთხე აღარ არსებობს, არც ხეები იჭრება, ვინაიდან ჩვენთან კეთილი, მოყვარული ადამიანები დასახლდნენ. იდინე მშვიდად ჩრდილსა და სიგრილეში. სიცხე ვეღარაფერს დაგაკლებს.

რუმ, თითქოს პასუხი გასცაო, იმატა, იმატა და ერთიანად გადმოიღვარა, წყლის ნაკადს დიდი ხნის მონატრება და შეხვედრის სიხარული გამოატანა თან.

გოგონა ბედნიერია - წყლის დაბადება ნახა

ბავშვი გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ამ სასწაულს. ჰო, მისთვის სწორედ რომ სასწაულს, რადგან წყლის დაბადება არასდროს ენახა, რადგან ის გოგონა იყო: ჭკვიანი, აზრიანი, ცნობისმოყვარე, სწავლას მოწყურებული, სიკეთით სავსე, თვალებში შუქჩამდგარი და სხვანაირი გოგონა.

- რა სუფთაა, დალევა შეიძლება! - წამოიძახა მან, მერე დაიხარა, გადმოსულ ტალღას პეშვი შეუშვირა, - გამარჯობა, რუ-რუ!

- გამარჯობა, გენაცვალე, უკვე დამიმეგობრდი? რა გონიერი ყოფილხარ, ახსნაც არ დაგჭირდა ისე მიხვდი, რომ სიცოცხლის, სიმწვანის მომტანი ვარ, თავგადასავლებით სავსე, - მიესალმა წყალი. წყურვილი მოუკლა, ფერადი შხეფებით თმები აუბრჭყვიალა.

- ყველაფერს მომიყვებით? - ჰკითხა თვალებანთებულმა ბავშვმა.

- რატომ ვიყავი გადაკარგული? მიწის ქვეშ რას ვაკეთებდი? აქამდე როგორ მოვედი? რა თქმა უნდა, გიამბობ, თანდათან, - დაჰპირდა რუ, - ოღონდ, ჯერ ამ ჩემს ძველ მეგობარს მივულოცო. ფოთოლზე დასვით, ცოტა ხანს ტალღებზე ვანანავებ, არაფერს დავუშავებ. პატარაობიდან ამგვარად ვთამაშობთ, - ითხოვა მან.

- დაბადების დღე იცოდით? ნუთუ მართლა ზუსტად დავთქვით? – გაიკვირვა ბავშვმა.

- საქმე ის არის, რომ ეზოს კარგა ხანია, მომდგარი ვარ, - დაიწყო წყალმა, - ჰოდა, ყველაფერი მესმოდა, თქვენი ხმები ძალას მმატებდა. რიცხვი არ ვიცი, გაზაფხული კი იყო, სითბო იდგა, მოდიდებულიც ვიყავი. მისმა დედამ ნაპირთან გამოიყვანა და ფოთლის ქვეშ ჩააძინა, მთხოვა, - არაფერი დაუშავო, ნუ წამართმევო, - რას ამბობ, მეც ხომ ბუნების შვილი ვარ, რატომ უნდა ვავნო-მეთქი, - გავეპასუხე. გამოიღვიძა თუ არა, ფრთხილად ფეხები დავუსველე. მას მერე დავმეგობრდით. სულ წრიპინებს, მაგრამ კეთილია და მშრომელი. რაც შემეხება მე, გოგონა, იცოდე, მაღალი ხეები მინახავ-

დნენ თავის ჩრდილქვეშ, მასწავლიდნენ, - ჩიტებს წყურვილი მოუკალი, პეპლებსაც და ყველას, ვინც დაგეწაფებაო, ჩვენ ერთად ვართო. მასწავლიდნენ და ვსწავლობდი. სიკეთით ავსებული, ბუნებას ვრწყავდი და ვაცოცხლებდი. ყოველგვარი ბოროტება გულიდან ამოვირეცხე. სამუდამოდ ეგეთი დავრჩები, გჯეროდეს ჩემი! - ბოლოს ძალიან მორიდებით ჩაიდუდუნა მან.

- ჩემო კარგო, როგორ გელოდი, აბა, რად მინდოდა ის მღვრიე, უსულგულო, არაფრის გამგონე ნიაღვრები და მეწყერები? მოვარდებიან, ყველაფერს ანადგურებენ, არც ცას უჯერებენ, არც მიწას. შენ ვინ შეგედრება? აღარ მიგვატოვო, რა? - ეს ჭიანჭველა ესიყვარულებოდა რუ-რუს. საოცარი მეგობრობა სცოდნია ამ პატარა მწერს.

გოგონამ დიდი ლეღვის ფოთოლი მოამზადა, იუბილარი ზედ დასვა, ტალღებზე აანანავა. ჭიჭი ფოთლის ხაოიან ზედაპირს მაგრად ჩაეჭიდა და წყალს დაეწაფა. სვამდა და ქება-დიდებას ასხამდა.

მშვენიერი დაბადების დღე კიდევ უფრო კარგი გამოვიდა, არა, კარგი კი არა, სასწაულის ტოლი, - ბავშვმა წყლის დაბადება ნახა.

გოგონამ ტყის იქითა სახლის შესახებ ყველაფერი გაიგო, ჩახჩახამ უამბო

დაბადების დღე დასრულდა. ყველა ძალზე ნასიამოვნები დარჩა, ჭიჭი განსაკუთრებით. შინ თუ გარეთ, მისი ხმა ისმოდა, ყველას ემადლიერებოდა და საჩუქრებს მერამდენედ ათვალიერებდა. სანამ სუფრა აალაგეს, იქაურობა დაალაგეს და სტუმრები ქალაქისკენ გააცილეს, დაღამდა. წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ბავშვი დასაძინებლად ისე წავიდა, მაინც ვერ გაიგო, საით იყო წაბრძანებული ჩახჩახა და ის არაჩვეულებ-

რივი ნამცხვარი ვინ მისცა. ნეტავ, როგორ მოითმინა? ეს, რუ-რუს გამოჩენამ დაავიწყა ყველაფერი. და აი, გათენდა.
- დღეს მოგზაურობის ამბავს შევიტყობ, - გაღვიძებისთანავე მიიღო გადაწყვეტილება. ადგა, იბანავა, ჩაიცვა, ისაუზმა და ის იყო, სახლიკოსთან წასასვლელად მოემზადა, რომ ფანჯრიდან, ტყისპირას, პეპლებთან მოთამაშე ჩახჩახა შეამჩნია. საჩქაროდ მთავარი ჭიშკარი გააღო, გასძახა. ისიც უმალვე მასთან გაჩნდა.
- ბოლოს და ბოლოს მეტყვი, სად იყავი, რას მიაგენი, ადამიანები ნახე?
- მიაუ, ვნახე, აბა, რა! მოიცა, თავიდან დავიწყებ, ისედაც ერთი სული მქონდა. ეს ტყე გავიარე, - და კატამ ყველაფერი უამბო. დრო დაუდგა, ხომ ოცნებობდა, საამაყო საქმე ჩაედინა, გოგონასთვის თავი მოეწონებინა.
- ხედავ? ჩანს, ჩვენი ჩიტი მართალს ამბობდა, - დაფიქრებული ბავშვი კუნძზე ჩამოჯდა, - ჩვენ ადგილის ზუსტი ცოდნაღა გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, გზა გახსოვს, ასეა? მიაგნებ? - კატას შეაჩერდა.
- ამას კითხვა უნდა? - მთელი ღირსებით ჩაიკრუტუნა მან, - გონებაში საგანგებოდ აღვიბეჭდე, ვიცოდი დაგჭირდებოდა.
- ბებიებმა რა თქვეს?
- მიაუ, ძალიან საყვარლები არიან, ძალიან! გადაირევი: ერთი სხვადასხვა ნუგბარით გიმასპინძლდება, მეორე ყველაფერს ხვდება, ელჩად სწორედ მან დამნიშნა, დიპლომატის წოდება მომანიჭა, დამავალა, თუ პატრონები გყავს, იქნებ ჩვენი ამბავი გადასცე, აქ მოგვიყვანო, გაგვაცნოო. ჰო, კიდევ ძაღლიც ჰყავთ, ჭკვიანია, გამომაცილა, - ასე და ამგვარად, ჩახჩახამ, როგორც იქნა, ბავშვს ყველაფერი უამბო, - მეჩქარებოდა ამბის მოყოლა, ბებიები მეცოდებიან, მარტონი არიან, - დაამატა ბოლოს.
- მივალ, მალე მივალ! სულ იმაზე ვიფიქრებ, ეს როგორ მოვახერხო. შენ კი, ფისუნია, ყოჩაღ, ყოჩაღ, ნამდვილი გმირობა ჩაიდინე, თან სიხარული მომიტანე! - წამოიძახა მეგობრის საქციელით გაოცებულმა გოგონამ.
- მიაუ, გმადლობ, გმადლობ, - დარცხვენილმა კატამ ყურებიც კი დაუშვა. ასეთი რამ არასოდეს დამართნია, მერე გონს მოეგო, ძველ საუბარს დაუბრუნდა, - საფიქრალი რა არის? - გაიკვირვა მან, - მამიკოს უთხარი და მორჩა.
- მამიკოს? ტყის იქითა მხარეს გაგიყვანო კი დამპირდა, მაგრამ ამდენ ხანს ვერ მოიცალა, ასე თუ გაგრძელდა, ჩემით მომიწევს წასვლა, დაგვიანება არ შეიძლება.
- შენით? მარტო? როგორ, ეგ ხომ უწესობაა?! - შეეკამათა ჩახჩახა.
- სულ ცოტა ხანს მოვიცადოთ, - დაუთმო ბავშვმა, - მოვემზადოთ, გეგმა შევადგინოთ.
- კარგი, როგორც იტყვი, - დაეთანხმა მეგობარი.
- წამო, სახლიკოსთან არ მოდიხარ? მეგობრებსაც ხომ უნდა გააცნო საგმირო თავგადასავალი? - გოგონამ ჭიშკარი ჩაკეტა და ბილიკს დაადგა.
- ახლავე, - ჩაიკნავლა ფუმფულამ და წამით შეყოვნდა, ჩაფიქრდა, - ჭოტთან შეხვედრის ისტორია გამოვტოვე, ხასიათზე არ ვიყავი. უფ, რა უსიამოვნო ვიღაცაა, მაგრამ ხომ არ დავუმალავ? კარგი, მერე იყოს, - გადაწყვიტა და გოგონას აედევნა, თან ფიქრი გააგრძელა, - დაწვრილებით მოვყვები ყველაფერს, მჭერმეტყველი არ ვარ თუ რა?

ახალი ბინადარი გამოჩნდა? არა, ძველი და საყვარელი მეგობარი დაბრუნდა

- ვინ ბრძანდებით? - გოგონა გაკვირვებული დასცქეროდა ფერადი ყვავილებითა და ლურჯი იასამნის ფურცლებით მორთულ, ბურთივით მრგვალ პატარა ცხოველს, რომელსაც შავი, პრიალა ცხვირი აეპრიხა და პატარა პირით რუდან წყალს სვამდა, სხვათა შორის, საკმაოდ ხმაურიანადაც.

- შენ, მგონი, გოგონა ხარ, არა? - ჰკითხა მან და ქვემოდან შეათვალიერა, - ძალიან ლამაზი კი ყოფილხარ, ჰოდა, ზღარბი ვარ, ზღარბუნია, ეკოლო მქვია.

- მერე ეკლები? - გაიკვირვა ბავშვმა.

- მოვირთე! ვიცოდი, შეგხვდებოდი, არ მინდოდა შემეშინებინე, თანაც ლამაზად გამოვიყურები, მომწონს, - გაიპრანჭა ის.

- რა შემაშინებდა, გგონიათ ზღარბი არ მინახავს? ჩემი აზრით, ეკლები გიხდებათ, - ზრდილობიანად მიუგო გოგონამ.

- რა ვიცი, იჩხვლიტებიო, ყველა მერიდება, - აცუხცუხდა ეკოლო.

- თქვენ ხომ თავს იცავთ, თუ დარწმუნდებით, საშიშროება არ გელოდებათ, ეკლებს აღარ გამოიყენებთ, რატომღაც მგონია, არ მატკენთ, - სულგანაბული ბავშვი პასუხს დაელოდა.

- შეენ? არავითარ შემთხვევაში! - დაჰპირდა ზღარბუნია, - ვიცი, კარგი ადამიანი ხარ.

- საიდან იცით? რა, გულთმისანი ხომ არ ხართ? - გოგონამ კისკისი ატეხა.

- არაფერი ეგეთი, - ჩაიცინა თუხთუხამ, - სიკეთე სახეზე გეტყობა. იმდენი რამ მინახავს, იმ წამსვე ვხვდები, ვინ ვინ არის. მეორეც, სახლიკო მელაპარაკა, უყვარხარ, გემადლიერება, ჩემთვის კი ეს მნიშვნელოვანია. ისე, ჩვენს შესახებ ამდენი რამ საიდან იცი? - დაინტერესდა ზღარბი.

- ბევრი წიგნი გვაქვს ცხოველთა შესახებ გამოწერილი. მამა მიკითხავს, გვინდა აქაურობას კარგად მივხედოთ.

- ხედავ, აქ რა ხალხი დასახლებულა? აბა, მარტო შენ კი არა, არც მამაშენს ვუჩხვლეტ!
- შესძახა ეკოლომ.
- დედიკოც მყავს, - გაიცინა ბავშვმა.
- დედიკოს ხომ არამც და არამც. ისე, იცი, ჩვენ უფრო ვიმალებით, ღამღამობით გამოვ-დივართ. ვხედავ, თქვენი არ უნდა მეშინოდეს, რაღა შორს ვიარო? აქვე, სახლიკოს ეზოში დავიძინებ, სულ ერთად ვიქნებით, - დარწმუნებით თქვა ზღარბუნიამ.
- რას ამბობთ, არაფერს დაგიშავებთ, - შესძახა გოგონამ, მერე ეკოლო კიდევ ერთხელ შეათვალიერა და გაიღიმა, - ისე, კარგად მოგიფიქრებიათ, გიხდებათ მორთულობა, როგორ მოახერხეთ?
-ჯერ, ტყის პირას, ალუბლის და იასამნის ხეებქვეშ გადავგორდი, მერე ეზოში ასკილის ყვავილები ავკრიფე, - აუხსნა თუხთუხამ.

ეკოლოსა და გოგონას შორის საინტერესო საუბარი გაიმართა

- უი, მივხვდი, თქვენ ხომ სახლიკოს და ჭიჭის მეგობარი ზღარბი ხართ? - წამოიძახა გოგონამ, - როგორ გელოდნენ, როდის დაბრუნდით?
- გუშინ ძალიან გვიან მოვედი, ფრთხილად მოვიპარე. რუს ჩუხჩუხი რომ გავიგე, მივ-ხვდი, საქმე კარგად იყო. სახლიკოს წავჩურჩულე, აქ ვარ-მეთქი, რა თქმა უნდა, გაიღ-ვიძა და თავისი ბედნიერი ცხოვრების ამბავს მომიყვა. აქეთ ჭიჭი გამოფხიზლდა, გა-მოვარდა, მაგას ხომ დაკეტილი კარი არაფრად უღირს. შენმა მეგობარმა ძაღლებმა ერ-თი-ორჯერ კი დაიღრინეს, მაგრამ აუხსნეს, ვინც ვიყავი და ჩაჩუმდნენ. იმედი მაქვს, არც შემდეგ მავნებენ რამეს. უნდა გითხრა, ძალიან მომეწონე, ჩემო ჭკვიანო გოგო, - დაასრულა სიტყვა ეკოლომ.
- ჭკვიანიც ვარ? - გაუხარდა ბავშვს.
- მართალია, ეს სახლიკომ მითხრა, ის კი ტყუილს არ იტყვის, არც შეფასება შეეშლება, მაგრამ, რაღა დაგიმალო და, უკვე მეც ასე ვფიქრობ, რადგან ვხედავ, კითხვებს სვამ და პასუხებიც გაინტერესებს, - დარწმუნებით თქვა ზღარბმა.
- მიხარია, ამას რომ მეუბნებით, ჰოდა, თუ ასეა, იქნებ გამოჩენილიც გავხდე? ძალიან მინდა ყველამ გამიცნოს, ჩემი სახლის მისამართი გაიგოს! - გულუბრყვილოდ ინატრა გოგონამ.
- რაო? - სიცილი ატეხა ეკოლომ, - რატომ, რაში გჭირდება? მე სულ ვცდილობ, დავიმა-ლო, ჩუმად ვიყო.
- როგორ თუ რაში? მეტ მეგობარს შევიძენ, უფრო ადვილად შევძლებ დავეხმარო იმათ, ვინც ამას საჭიროებს, მოწყენილებს გავამხიარულებ, კიდევ მაქვს ერთი ნატვრა, მინდა სახლიკოს ძველი პატრონები ვიპოვნო! - პატარა მთლიანად გაენდო ახლად და-მეგობრებულს.

- ეს ბოლო სურვილი არც თუ ძნელად ასახდენია. ერთ მშვენიერ დღეს, ტყისმცველის შთამომავლებიდან რომელიმე შეიძლება დაბრუნდეს კიდეც, თუნდაც ცოტა ხნით, აქაურობისთვის თვალის შესავლებად. აი, გამოჩენილის კი, რა მოგახსენო, ვითომ, საჭიროა? როგორც გავიგე, ბევრი მეგობარი გყავს და კიდევ ბევრი ცდილობს გაგიცნოს, ახლოს დასახლდეს. ასე რომ, ამ მიდამოში უკვე გამოჩენილიც ხარ და შენი მისამართიც ცნობილია, - ახითხითდა თუხთუხა.

ზღარბუნია თავის ნაღვლიან ისტორიას ყვება

- ეკოლო, როგორ გამამხიარულეთ, - აჰყვა გოგონაც, - მაშინ თქვენ, ყველაზე ცნობილი კეთილი ზღარბუნია ხართ, რომელიც ჩვენთან იცხოვრებს და სიხარულს მოგვიტანს. იქითა ეზოშიც შეგიძლიათ გვესტუმროთ, ხელს არავინ გახლებთ, რძესაც დაგიდგამენ, ვიცი, გიყვართ!

- ეჰ, დიდი ხანია, რაც არ დამიგემოვნებია. ადრე სახლიკოს პატრონები მიმასპინძლდებოდნენ. მაშინ სულ ქორფა ეკლები მქონდა, ძალიან ბედნიერი ვიყავი, მერე აქედან წავედი. საშინელება იყო, მარტოდმარტო დავხეტიალობდი, აქაურობა მენატრებოდა, ამ ეზოში გავლაზე ვოცნებობდი. ერთხელაც, ჩვენს რუს წავაწყდი, უკვე მიწის წიაღს უბრუნდებოდა, აქეთ მოეშურებოდა. ჩამჩურჩულა, - ვგრძნობ, მიდამოში წესრიგმა დაისადგურა, წამო, საყვარელ ადგილს დავუბრუნდეთო, - წყალი ხომ გულთმისანია, დავუჯერე, გზას დავადექი და აქამდის მოვაღწიე. გულახდილად ვიტყვი, სიხარულით დავფრინავ ან კი აქამდე რამ გამაძლებინა? - ეკოლომ მისთვის ნაღვლიანი ამბის თხრობა დაასრულა, მოსართავები კოხტად შეარხია, გაიპრანჭა და შესძახა, - აი, ასე იყო, იყო და დამთავრდა! დღეიდან აქ, თქვენთან, სულ სხვა ცხოვრება მეწყება. დავტრიალდები, ყველაფერს გავწმენდ, გავაკრიალებ! ბოროტი მწერის და ქვემძრომის აღარ გეშინოდეს, ვერ დაისადგურებს. ღამით ხან სახლიკოს შევეფარები, ხან შენს დიდ სახლს. ჰო, მართლა, მითხრეს ცოტა უცნაურიაო?

- შეიძლება, მაგრამ ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ის აუცილებლად მოგცემთ ეზოში გავლის უფლებას. სიკეთესაც ხვდება და იმასაც, თუ მისთვის უმჯობესი რა არის, - დაიცვა ბავშვმა ვეება.

გოგონა და რუ-რუ თამაშობენ, გარშემო მხიარულებამ დაისადგურა

- უკვე დამეგობრდით? - გაიხარა რუმ, - ხედავთ, ირგვლივ სიყვარული ისადგურებს. ასე ერთად ყოფნით ყველაფერს მოვერევით. გოგონა, მოდი ვითამაშოთ, ჯოხი მოძებნე და ეზოში არხები გაიყვანე, მე წყლით შევავსებ.

ბავშვი სახლში გაიქცა. პატარა ნიჩაბი წამოიღო და საქმეს შეუდგა. რუ ჩუხჩუხით მისდევდა, გოგონა კისკისით გარბოდა. ეზო ირწყვებოდა, ყვავილები ანკარა წყალს ღეროებში ისხამდნენ, თავს მაღლა სწევდნენ, ყელყელაობდნენ. ზღარბი ზურგზე ამო-

ტრიალებულიყო და ისიც თუხთუხებდა. აპრეხილი ცხვირი, ბოლოში შავი ბურთით, სასაცილოდ უმოძრავებდა, მოსართავები კი მწვანე ბალახზე მიმობნეოდა. სიცილისა და წყლის რაკრაკის ხმამ კაჭკაჭის ყურამდეც მიაღწია.

- ასე ჩვენი რუ ხმაურობს? აბა, რა იქნება, იმდენი საქმე დახვდა. დატრიალდა, ყველაფერს გამოაცოცხლებს. მარტო მისი ღუღუნი რად ღირს, აქაურობას ახალისებს, - ამ სიტყვებში სიყვარული და პატივისცემა გამოსჭვივოდა, - ტყისპირო! - გასძახა მეგობარს, - შენც სულ გადამწვანდები.

- წყლის დაბრუნება ღირსშესანიშნავი ამბავია! ისევ ერთად ვართ, თუმცა ადრე დიდად არ გვკადრულობდი. კარგია, შეცდომას მიხვდი და გამოასწორე, შეგვიყვარე, - გულუბრყვილოდ წამოსცდა კეთილ ტყისპირს.

ჩიტი ჩაყუჩდა. ამ წუთას ისეთი სიმართლე უთხრეს, შეკამათებას აზრი არ ჰქონდა.

- წავალ, ამას მოვინახულებ, - თავით ვეებასკენ მიანიშნა, - ამბებს ვეტყვი, ყვავილსაც დავხედავ, - ფრთები შეისწორა, ბუდიდან ამოფრინდა და ცაში შეინავარდა.

კაჭიმ საყვარელი თეთრი ყვავილი მოინახულა

დიახაც, ვეება ცნობისმოყვარეობით დატანჯულიყო. ძველი, გადაკარგული ბინადრის დაბრუნების ისტორია აინტერესებდა, თანაც გამოსწორებული კაჭი, ინფორმაციის სანაცვლოდ, აღარაფერს სთხოვდა, ცხელ-ცხელ ამბებს უანგაროდ უყვებოდა.

ფრინველი ფანჯრის რაფაზე დაეშვა, თეთრ ყვავილთან. ოჰ, რა ძვირფასი გამხდარიყო, ერთ დროს უგულო ჩიტისთვის, თოვლისა და ყინულის ქვეყნიდან გადმოხვეწილი ეს არსება. მის ფერმკრთალ სილამაზესა და სათნოებას საბოლოოდ მოეხიბლა იგი. კაჭკაჭს პატარა ყვავილი ყველაფერს ერჩივნა, მინდვრის ჭრელ-ჭრელ მოსართავებსაც და დიდგულა, ყვითელ მზესუმზირებსაც. ისიც, ჩუმი, მშვიდი ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა ფრინველს და ფართოდ გახელილი თვალებით უსმენდა.

- როგორ ხარ, მეგობარო?! დღითიდღე უკეთესად გამოიყურები! იცოდე, მოუთმენლად ველი გამოჯანმრთელებას, როცა ფერს დაიბრუნებ, ფანჯრიდან გამოანათებ, - სიყვარულით შეეხმიანა ჩიტი.

- გმადლობ მოკითხვისთვის. ვცდილობ, რაც შემიძლია, ძალებს ვიკრებ, მინდა გაგახაროთ, - თბილად უპასუხა ნაზმა ყვავილმა.

- მე რა კარგი ამბავი მოგიტანეთ? - კაჭიმ ვეებასაც ახედა, - გესმის, მეორე მეგობარო, მოვფრინდი, რომ გიამბოთ.

ვეებამ და კაჭიმ ძველებურად იკამათეს, კაჭი მიხვდა, ვეებაც ძვირფასი გამხდარიყო მისთვის

- ოჰ, მობრძანდა! კიდევ კარგი, შემამჩნიე. ჩემი თავი რაღამ უნდა გაგახსენოს, რაში გჭირდები? ცხელ-ცხელი ცნობებით და ახალ-ახალი მეგობრებით ხარ გავსებული, - ჩვეული ქოთქოთით შეხვდა სახლი. მართალია, ცვლილება კი განიცადა, მაგრამ წესრიგს, მის ცხოვრებაში, მაინც უმთავრესი ადგილი ეკავა. კაჭის ხშირი სტუმრობა და ყვავილთან საათობით მუსაიფი სიმშვიდეს ურღვევდა, შრომაში ხელს უშლიდა, ამიტომაც ძველებურად აბუზღუნდებოდა ხოლმე.

- რას ბრაზდები?! საჩუქრები ისევ მიყვარს, თუ გსურს მაჩუქე, ზედმეტი არ იქნება, მესიამოვნება, ჩემს ბუდეს ყველაფერი მოუხდება. შენც ხომ იწონებ თავს მორთმეული ძღვენით?! - ეცა კაჭკაჭიც.

- მე არ ვთხოულობ, თვითონ მოაქვთ, თავი კომფორტულად რომ იგრძნონ, მალამაზებენ. გარედანაც ფლუგერით ვარ დამშვენებული, - ვეებამ მედიდური პასუხი გასცა.

- გული ტყუილად გწყდება, - ჩიტი ცდილობდა სახლი დაერწმუნებინა, - აქ ყველა ერთად ვცხოვრობთ, თითოეულს გვაქვს ის ერთადერთი, რასაც მეორე, სხვა ვერ გაიმეორებს. რა აზრი ექნება ჩემს ცხოვრებას, შენ რომ ახალი ამბები არ გიამბო? შენსავით ვინ მომისმენს, ყველაფერს ვინ გაანალიზებს? ბევრჯერ მითქვამს: საქმიანი, ერთგული, საიმედო, ჭკვიანი ხარ! - ბჭობდა ის. აზარტში შესულიყო: ერთი ფრთით დოინჯი გაეკეთებინა, მეორე ცისკენ აეშვირა.

ვეება გაყუჩებული უსმენდა, ამოწმებდა, ხომ არ დამცინისო, თეთრი ყვავილი კი იცინოდა, იცინოდა და გარშემო შუქს ჰფენდა.

- კაი, კაი, გეყოფა! გირჩევნია, იმ დაკარგული და ახლად გამოჩენილი წყლის ამბავი გამაგებინო, - გასაკვირი იყო, ქება არ შეიმჩნია, მაგრამ მოლბა.

და ფრინველმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

- გოგონა იმ მაცოცხლებელ წყალს მოიტანს და დამისხამს, - ჩაიჩურჩულა ახალმა ბინადარმა.

- რუ თუ მოგრწყავს, მოკეთდები, გაფერადდები, - აჰყვა კაჭი, - მჯერა, მალე დიდი ყვავილი გახდები! ახლა წავედი, სახლიკოსაც დავხედავ, - სიყვარულით გამოემშვიდობა ფრინველი.

- აბა, იქით მიფრინავ? ერთი წყარო არც მე მაწყენდა, ხომ იცი? - თქვა სახლმა გულდაწყვეტით.

საოცარი იყო, ვეებას ნაღველი შეჰპარვოდა. ჩიტს გული ეტკინა. ფრთის ბოლოთი თავი მოიფხანა, ჩაფიქრდა. ნუთუ, ეს ამპარტავანი და უკარება კიდეც შეუყვარდა? ასე იყო თუ ისე, მასში დაბადებული თბილი გრძნობა ძალიანაც მოეწონა და ამ დიდ სახლზე ზრუნვა გადაწყვიტა.

- ეგ მე მომანდე, საჩუქარი ჩემგანაც გექნება! ეგრე კი არ არის, კაჭი სიკეთეს არ ივიწყებს!

- მტკიცედ განაცხადა და გაფრინდა.

ჟუჟუნა წვიმა და ცისარტყელა

გაზაფხულს ბევრი რამ ალამაზებს, - აი, ჟუჟუნა წვიმა, ჩქარი, სწრაფი, მხიარული, რაც მთავარია, თბილი. გასველებს, მაგრამ არ გცივა. გინდა მხრებზე დაიდინო, გაშლილი ხელისგულები შეუშვირო. თან ხმაც რომ დაჰყვება? - ჟუ-ჟუ, ჟუ-ჟუ, ჟუ-ჟუ. მოჟუჟუნებს, მიწას ფრთხილად ნამავს, ბალახი ამოჰყავს, ყველაფერს აახლებს, აკრია-ლებს და სულაც არ არის საჭირო, მას სახლში დაემალო. გადაიღებს თუ არა, კიდევ ერთი კარგი რამ მოხდება, - ცას, წვიმის შვილობილი, ცისარტყელა გადაეკვრება, - შვიდფერი თაღი: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი. მისი ყოველი გამოჩენა გაოცებას, აღტაცებას იწვევს, თითქოს ბუნებამ პირველად გაამხილაო ეს სილამაზე. ერთმანეთს უთითებენ, ეძახიან, - ნახე, ცისარტყელა, ცისარტყელა! გარშემო მხიარულება ისადგურებს. ცოტა ხნით, თუნდაც წამიერად მოსული ბედნიერება, ადამიანთა გულებს ავსებს და ვინ იცის, რამდენი ხნის სიცოც-ხლეს მატებს მათ.

მიდამოში ჟუჟუნა წვიმა მოვიდა

ჰოდა, ჟუჟუნა წვიმა მიდამოშიც მოვიდა. მოდიოდა, იქაურობას აკრიალებდა. სახლიკოს ბინადრები შინ შეყუჟულიყვნენ, გადაღებას ელოდნენ, იცოდნენ, ეს შემოდგომის გამაბეზრებელი თავსხმა არ იყო.

ვეებას ეზოშიც წვიმდა.

- აატალახებს აქაურობას, - გული უწუხდა სახლს, - მარტო იმიტომ არ ვეჩხუბები, რომ ბაღს სჭირდება, მაგრამ მაინც არ მსიამოვნებს. სჯობს, თავი მოვარიდო, – თქვა და ბლონდის ფარდებით შეინიღბა.

კაჭი ყვავილს არწმუნებს, წვიმა აუცილებლად მოუხდება, ხოლო ვეებას თავის საკუთარი მშვენიერების ისევ სჯერა

- რას შვრები, რას?! - მთლად გაწუწული კაჭი რაფაზე დაეშვა, - მარტო შენს თავს რომ დაეძებ, ყვავილს არ კითხულობ? მას ხომ სწორედ ჟუჟუნა წვიმა მოუხდება, გაუღე ფანჯარა, ხმა მაინც გააგონე.

- ოჰ, აზრების მფრქვეველი და ცნობების ამკრები მობრძანებულა! ფეხები სუფთა გაქვს? ახლავე გაიწმინდე! - შეუბღვირა სახლმა.

- სად დამესვრებოდა, ცაში? ბუდიდან მოვფრინავ, პირველად ამ რაფას შევეხე, იმედია, კრიალი გაუდის, - კაჭკაჭმა თვალები დაკვესა.

- ყვავილთან მობრძანდი, არა? თორემ ჩემს თავს რა გაგახსენებდა?! - სახლმა წარბები შეყარა.

- გეყოფა, ნუ იფოფრები. კარგა ხანია უკვე, რაც აქაურები შევთანხმდით, რომ შენ გარეშე მიდამოს ხიბლი არა აქვს, - დაუტკბა ფრინველი.

- არ გადამრიო, ვინ თქვა? ასეთი სიტყვებიც იცი? - ვეებამ კი დასცინა, მაგრამ თან ესიამოვნა. კიდეც დაემჩნა ოდნავ, სულ ოდნავ. სიტყვა ხიბლის მნიშვნელობა მან იცოდა, რა თქმა უნდა, დედიკოსგან.

- ჩვენმა პროფესორმა კატამ თქვა, მეც ვისწავლე, - ჩაიჭახჭახა კაჭიმ.

ვეებამ ყვავილს გახედა, შეეცოდა. ის-ის იყო ფანჯრის გასაღებად მოემზადა, რომ დედიკომ დაასწრო და სიფრიფანა ბინადარი გარეთ გადგა, - მოუხდება, გამოაცოცხლებსო. ჩიტი იმ წუთასვე ყვავილს ჩამოუჯდა.

- წვიმას არ შეუშინდე, ჩვენი მეგობარია, თუმც ამას ვის ვეუბნები, ყინვასა და ქარიშხალთან მებრძოლს?!

- გმადლობ, ასე რომ ზრუნავ. ერთადერთი სურვილი მაქვს, გავფერადდე, მინდა გაგახარო, - მიაგება მანაც კეთილი სიტყვა.

- მაგას ნუღარ იტყვი, - შეეკამათა კაჭკაჭი, - ჩემი ცხოვრება უკვე გაახალისე, შენი ფერი სულაც არ მჭირდება, როგორიც გაგიცანი, ისეთი მიყვარხარ!

- უნდა ვთქვა, ამ აზრს არ ვეთანხმები, - უკმაყოფილო სახლმა ღუმელს მიმართა, - რას ნიშნავს ფერი არ მჭირდება?! გინდათ დამარწმუნოთ, რომ თეთრად შელესილი სახლი მაჯობებს?

ღუმელს ხმა არ გაუცია, დაეზარა, მით უმეტეს, ვეება მაინც თავის აზრზე დარჩებოდა.

გოგონა მამიკოსთან ერთად წვიმაში სეირნობს, დიდი სახლი ვერ ხვდება, ამაში სასიამოვნო რა არის

- გოგონა, გინდა ჟუჟუნა წვიმაში ვისეირნოთ? - მოისმა მამიკოს ხალისიანი ხმა.
- შეიძლება? - გაკვირვებით იკითხა ბავშვმა.
- აბა რა, აუცილებელიც არის, დაგამახსოვრდება. დიდი რომ გახდები და საზრუნავით დაიტვირთები, გაიხსენებ, გამხიარულდები, - უპასუხა მამამ.

ორივე მოემზადა. ცოტა ხანში ეზოდან გავიდნენ და ტყისპირისკენ გაემართნენ. სახლმა მამა-შვილს თვალი გააყოლა. ბავშვს ვარდისფერი საწვიმარი იფარავდა, მამიკო კი თავშიშველი მიაბიჯებდა.
- ხან ნისლში დადიან, ხან ქარიშხლის ზღაპრებს უსმენენ, ახლა ჟუჟუნა წვიმაო, მოკლედ, რაღას არ იგონებენ, - აქოთქოთდა ის.
- მათთან ერთად ცხოვრებას რა სჯობია?! ყველაფერი აინტერესებთ, ბუნებასთან მეგობრობენ, - რაფაზე დაიწკაპუნა წვიმის პატარა, გამჭირვალე წვეთმა, და უმალ ადგილს მოსწყდა, აელვარებული ქვემოთ დაეშვა.
- ეს მასწავლის ამათ სიყვარულს? ახალი ჭკუის დამრიგებელი გამომიჩნდა, რაღა მიჭირს? არაჩვეულებრივი ადამიანები რომ არიან, ჩემზე უკეთ ვინ იცის? - უკმაყოფილოდ შეყარა წარბები ვეებამ, თან თვალი ჩააყოლა, - ისე, რა ლამაზია, მძივს ჰგავს, კაჭის რომ მოსწონს ისეთს, ჰმ! - არა, ეს სახლი ძალზედ იყო გამოცვლილი.

ტყისპირის შემდეგ მამა-შვილი სახლიკოს ეზოს ესტუმრა.

- ამ წვიმაში ბავშვი აქ მოვიდა და ჩვენ სახლში რაღა გაგვაჩერებსო! - შესძახეს ბინადრებმა და გარეთ გამოიშალნენ. ლალალა სველ მინდორზე დარბოდა, გუნდა უკან დასდევდა. ჭიჭი, რომელიც მუდამ ფრთხილობდა, ახლა სახლთან ახლოს გამოსულიყო და ულვაშებს აცმაცუნებდა. იქვე, მწვანე ბალახის ღეროზე წითელი ჭიამაია ქანაობდა. ყვითელი პეპელა, რა თქმა უნდა, წვიმას ასე ვერ გაუთამამდებოდა, ამიტომ ფანჯრის რაფაზე განაბულიყო, მხიარულებას თვალს იქიდან ადევნებდა. ეკოლო ბალახებში დაფუთფუთებდა. ძალიან ლამაზი იყო ზღარბუნია. წვეთებს მისი ეკლები მარგალიტებად მოერთოთ. მხოლოდ კატა იჯდა შინ, აბა, ყვითელ, ფუმფულა ბეწვს წყალს ხომ არ გააფუჭებინებდა?

- ელჩი ვარ, გარეგნობას ვუფრთხილდები, - უთხრა სახლიკოს.

მამიკომ და გოგონამ, მეგობრებთან ერთად, იმხიარულეს და ძალიან კმაყოფილები სახლში დაბრუნდნენ. ბინადრებიც შეიყუჟნენ, იქ, სადაც სიმშრალე, სიმყუდროვე და საჭმელი ელოდათ. ლალალას და გუნდას - ძვლიანი ცხელი ბულიონი, ჩახჩახას - ყვითელ ლამბაქზე ფაფა, ჭიჭის - ვეებას ნამცხვრის პატარა ნატეხი, ეკოლოს - გარეთ, ლურჯი თიხის ჯამით რძე, რომელსაც ხმაურით სვლეპდა.

ასე და ამგვარად, შხაპუნამ ყველა და ყველაფერი გაახალისა, მერე შეწყდა, წავიდა, ღრუბლებს გაჰყვა. მიდამოს ახასხასებული ბუნება, ზეცას კი ფერადი ცისარტყელა დაუტოვა. გამოიდარა;

რა არის გუბე?

წვიმას კიდევ ერთი საოცარი შვილობილი ჰყავს, - გუბე. გადაიღებს თუ არა, ის აუცილებელად ჩნდება მიწაზე. იპოვის სადმე თავის ადგილს, დიდ ან პატარა ღრმულს და შიგ ჩაგუბდება. გუბე ორნაირია: მღვრიე ან კრიალა. პირველს გვერდს უკმაყოფილოდ უვლიან, არ მოსწონთ, სამაგიეროდ ბაყაყებისთვისაა საინტერესო. მოძებნიან, ჩახტებიან და ხმამაღლა ყიყინებენ, დანარჩენებს ატყობინებენ, - მოდით, მშვენიერი საცხოვრებელი ადგილი ვიპოვეთ, ყველა აქ გადმობარგდითო. ჰოდა, მოხტიან, სკუპი-სკუპით მოდიან დიდები თუ პატარები, ემატება ხმები; ბოლოს, ნამდვილი ორკესტრი ყალიბდება. მართალია, ჩიტებისას ვერ შეედრება, მაგრამ აზრი აქაც იყოფა: ზოგნი ამბობენ, - ყურთასმენა წაიღესო, სხვები, პაპანაქება შუადღეს, მათი სიმღერის ქვეშ კიდეც ჩათვლემენ, ბევრი კი, ზაფხულის ცხელ ღამეში, უსმენს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოცნებობს კიდეც. არადა, ბაყაყებიც, როგორც ჩიტუნიები, თავიანთი ცხოვრების შესახებ ყვებიან. ამაზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ, მგონია, ყურს თქვენ თავად მიუგდებთ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მრავალ ამბავთა შორის იმასაც გაიგებთ, თუ როგორ ანადგურებენ ყიყინები მავნე მწერებს და აჯანმრთელებენ გარემოს.

რაც შეეხება კრიალა გუბეს, სამწუხაროდ, არც ის მოსწონს ყველას. უმეტესობა ადამიანებისა ელოდება, მზე როდის ამოაშრობს, ააორთქლებს მას.

გუბე სახლიკოს ეზოშიც გაჩნდა

წვიმის შემდეგ, სახლიკოს ეზოში კოპწია გუბე გაჩნდა. ის მშვიდად კამკამებდა პატარა ღრმულში და უკვე მოკრიალებულ ცაზე გადაკრულ ფერად ცისარტყელას ირეკლავდა. დედამიწაზე ყოფნა უხაროდა, აქაური ცხოვრება აინტერესებდა, გართობა, დროის გატარება უნდოდა. რა, არ იცით, გუბე რომ ძალიან მხიარულია? აბა, ჩაიხედეთ? ნახავთ, როგორ იხუმრებს, ყველაფერს დაგანახებთ, თქვენს თავსაც. გოგონებმა შეგიძლიათ გაიპრანჭოთ, ბიჭებმა ზღვასავით ააღელვოთ, შიგ პატარა, ქაღალდის ან ნაფოტის ნავი გაუშვათ, აცურაოთ და წარმოიდგინოთ, თითქოს დიდ ოკეანეს სერავთ. საერთოდ, გუბეში უნდა ჩახტეთ, იჭყაპუნოთ, მთლად გაიწუწოთ, თანაც სჯობს, ფეხსაცმელიც დაისველოთ, მით უმეტეს, თუ ახალი და კარგი გაცვიათ. ეს დაუვიწყარი რამაა, მუდამ გემახსოვრებათ, ყოველი მოგონება კი ბავშვობაში დაგაბრუნებთ, სიხარულს მოგიტანთ. აბა, პატარაობისას ასე უნდა მოიქცეთ, თორემ მერე, ვინ იცის, დიდებს მოგერიდოთ გუბეებში სიარული, თუმცა, უნდა ითქვას, ამას ხანდახან უფროსებიც აკეთებენ, ოღონდ ყველა არა.

გოგონამ გუბე გაიცნო, ის თავს იწონებს, საჭყაპუნოდ ეპატიჟება, ჭიჭი ძალიან გაბრაზებულია

ბავშვმა ეზოში ფეხი შემოადგა თუ არა, ცვლილება მაშინვე შეამჩნია.

- ვაი, ეს?

- გუბე! - გამოეხმაურა ქვემოდან წყალი, - გუბე მიწოდე.

- გამარჯობა! - გაუხარდა ბავშვს, - საიდან გაჩნდით? დავმეგობრდეთ!

- ძალიან კარგი, მაგრამ ჯერ შენი სახელი მითხარი.

- გოგონა მქვია, თქვენ კი, როგორც მამა ამბობს, ბუნების ერთ-ერთი სიახლე ხართ, არა?

- ამ ადგილას ნამდვილად პირველად მოვხვდი, მაგრამ, რაც ცა და წვიმა არსებობს, მეც ვარ. გაბრაზებული შავი ღრუბლები ერთ ამბავს რომ ატეხენ, დედამიწაზე მოხვედრის საშუალება სწორედ მაშინ მეძლევა, ისიც, სამწუხაროდ, ცოტა ხნით, რადგან პატარა ვარ და მზის სხივებს ვერ ვუძლებ, ვშრები, - აუხსნა წვიმის შვილმა, - იცი, რას გთხოვ? ბევრს ნუღარ ვილაპარაკებთ, შეიძლება მალე გავქრე, შენთვისაც შესაფერი დროა, უფროსი არ გახლავს, მოდი, ფეხი ჩამოდგი, ჩამოდგი კი არა, ჩამოხტი, აჭყაპუნდი, გაიწუწე, ითამაშე, ვიდრე დაგიშლიდნენ, - მხიარულად დაპატიჟა გუბემ.

- არა მგონია, მშობლებმა გართობა დამიშალონ და რატომ უნდა გავიწუწო? - გაუკვირდა გოგონას.

- ასეთი წესი მაქვს, შენთვის კი სასარგებლოა, გამხიარულდები, მუდამ გამიხსენებ.

- რას ასწავლი, რას! ნუთუ ბოროტი ხარ?! რომ გაცივდეს, შენ მოუვლი? უნდა იწვეს მერე სიცხიანი, მოწყენილი, ვერც ჩვენ გვნახავს, - ჩაერია ჭიანჭველა, რომელსაც

გოგონას მოსვლა გაეგო, - დროზე აორთქლდი ერთი, აქ ყველას ხელს უშლი! - მიაყვირა და დოინჯშემოყრილი გაჩერდა.
- კარგი რა, ჭიჭი, სტუმარია, - დაუწყო სახლიკომ დამშვიდება, - არ გეცოდება? აქაურობას ისედაც ცოტა ხნით შემორჩება ხოლმე. რა გინდა, რას მბრძანებლობ, გოგონას რის მაგალითს აძლევ? აბა, რატომ ვასწავლით, მთელი დედამიწა გიყვარდესო. აცადე, ნახოს, გაიცნოს.

გოგონას გუბეში ჩახტომის სურვილი გაუჩნდა, ჭიჭი კამათს აგრძელებს, სახლიკო, ჩახჩახა და რუ-რუ გუბეს იცავენ

- გმადლობ, რომ დამიცავი, - ალაპარაკდა გუბე, - აბა, ვის რა დავუშავე? დიახ, გავშლილვარ ხან მზიანი, ხან ღრუბლიანი ცის ქვეშ, სულ ერთი ბეწო ადგილს ვიკავებ, მიუხედავად ამისა, ჩემს ზედაპირზე დღეც ირეკლება და ვარსკვლავიანი ღამეც. დავუშვათ, ვინმეს ზღვა არ უნახავს ან ოკეანე, აგერ არ ვარ? მიყურონ და წარმოიდგინონ, როგორია. დიახ მგვანან, ოღონდ ორივე დიდია, მე პატარა, სამაგიეროდ, არ ვღელავ, არ ვხმაურობ, არც საშიში ვარ. ადამიანებს ხომ უწევთ ზღვებისა და ოკეანეების გადალახვა? ჩემთან ასე არ არის. შეუძლიათ გვერდი ამიარონ, გზა მშვიდობით გააგრძელონ, მაგრამ იცით, რა? ბევრს, ძალიან ბევრს, სურვილი უჩნდება ჩამოხტეს, გაიწუწოს, დანარჩენები კი, ისინი, ვისაც ერიდებათ, თავს იკავებენ, გულის სიღრმეში იგივე ნატვრას ატარებენ.

- ასე ფიქრობთ? - დაბალ ხმაზე იკითხა ოდნავ დაეჭვებულმა, უკვე ჭყაპუნის სურვილით ანთებულმა ბავშვმა. ეშინოდა, ჭიჭის არ გაეგო.

გუბემ კიდევ უფრო მეტი მონდომებით გააგრძელა, - მე წვიმისა და ცის შვილი ვარ, აქ გასამხიარულებლად გამოგზავნილი. მოდი, ფეხი ჩამოდგი, გაიწუწე, რა თქმა უნდა, ფეხსაცმელების დასველება უკეთესია, მაგრამ მშობლები? ან არ გაცივდე, რა ვიცი?
- ცის ნაჟურს ძალიან უნდოდა იქაურობა გაეხალისებინა.
- ჰმ, თან ზრუნავს! ბავშვო, არ დაუჯერო! სიცხე რომ მოგცეს? - აყვირდა ჭიჭი.
- მიაუ, გაერთოს, რა მოხდა? ავადაც რომ გახდეს, რაც არა მგონია, დიდი ამბავი, თბილად ჩაწვება, ჩაის დალევს ჟოლოს მურაბით, თან წიგნს წაიკითხავს, ზღაპარს მოუყ-

ვებიან, მერე სიცხიან სიზმარს ნახავს და საინტერესო ადამიანი დადგება, - გამოე-ქომაგა კატა ბავშვს და გუბეს.
- ჰო, რა არის ასეთი? ხალხი ზღვებსა და ოკეანეებში ბანაობს. იქ არ არის საშიშროება, გაცივდე? უარესიც შეიძლება მოხდეს, არ მინდა გავაგრძელო, - არ ცხრებოდა გუბე.

სახლიკოს ეზოში ჟრიამულია ვეება ნერვიულობს კაჭიმ მშვენიერი გადაწყვეტილება მიიღო

ამ კამათში იყვნენ, რომ გოგონა ახტა და პირდაპირ შუა წყალში მოადინა ტყაპანი.
- განა წესიერი, დამჯერე ბავშვი ასე იქცევა? - აწრიპინდა ჭიჭი, - არა, ნამდვილად გა-ცივდება!
- მოიცა ერთი, - შეუბღვირა ჩახჩახამ, - სიცხე არა ის! ეგ უფროსებმა მოიგონეს, ოღონდ, ჯერჯერობით, ვერაფრით მივხვდი, რატომ? შეიძლება, ბავშვებისთვის ტანსაცმლის გამოცვლა და გარეცხვა ეზარებათ? მოკლედ, ჩვენც შევუერთდეთ, ვიმხიარულოთ!
კატა ეზოში გავარდა, გუბის გარშემო სირბილი დაიწყო. მას ლალალა მიჰყვა, ხოლო გუნდა პირდაპირ წყალში გადაეშვა. დიდი ჟრიამული ატყდა. ამ ხმაურმა ვეებამდეც მიაღწია, მიაყურადა.
- ასეთს რას აკეთებენ? - უნებურად ხმამაღლა ჰკითხა თავის თავს.
- რას და, აქ წვეთსაც რომ არ აჭაჭანებ! - ნიშნი მოუგო კაჭიმ, - ხედავ, ციცქნა გუბემ, რა სიხარული მოიტანა?
ღუმელმაც ჩაახველა, ამ აზრის მართებულობის აღსანიშნავად და თეთრი ბოლი ცა-ში აუშვა.
- ოჰ, ეს არ გაცდება, რამე შენიშვნა თუ არ მომცა, - ეცა სახლი, მერე რისხვა ჩიტსაც დაატეხა, - მოგწონს და წაბრძანდი, აქ რას მოჩიჩინებულხარ?
კაჭკაჭი გაჩუმდა. მიხვდა, მეგობარს აწყენინა. არა, ასე არ შეიძლება, რაღაც უნდა იღონოს და ამჯერად, უკვე საბოლოოდ, გადაწყვიტა, როგორმე ისე მოეხერხებინა, რომ რუ ამ ეზოსაც სწვეოდა ან ერთი პატარა ნაკადული მაინც გამოეგზავნა.

სიხარულით სავსე დღე

სახლიკოს ეზოდან კვლავ ჟივილ-ხივილი ისმოდა. გუბე უსაზღვროდ კმაყოფილი ჩანდა. ისეთი კარგი დრო გაატარა, თუ დაშრებოდა დიდად არც ინაღვლებდა. გოგო-ნას ხომ აღარაფერი ახსოვდა. წყალს შეჩვეოდა, მთლად სველი იყო, მაგრამ ბედნიერი.
- გუბე, ლამაზიც ხარ, მხიარულიც, საინტერესოც, - აქებდა ბავშვი. გადავიწყნოდა, თქვენობით აღარ მიმართავდა, - როგორ მიხარია, რომ გაგიცანი. კიდევ კარგი, მანამ-დე მოვედი, ვიდრე ცაში აორთქლდებოდი. მუდამ მემახსოვრები, მუდამ!
- გოგონა, მეც იმავეს გეტყვი. გამიმართლა, ბინა ამ ეზოში რომ დავიდე, თუნდაც ცოტა ხნით, რაც მთავარია, გაჭყუმპალავე!
- მართალი ყოფილხარ, ეს დღე არ დამავიწყდება! - გაიძახოდა ბავშვიც.

- ესეც მინდა, აუცილებლად დაიმახსოვრო, მე ღამითაც ძალიან ლამაზი ვარ.
- ეგ როგორ? - გაიკვირვა ჩახჩახამ, - მოღრუბლული ციდან წამოსული წვიმის შემდეგ ჩნდები. სიბნელეში საერთოდაც ჩაშავებული იქნები, შეუმჩნეველი.
- მაგრამ ასეც ხომ ხდება, ღამით ცა მოიწმინდება, ვარსკვლავებით მოიჭედება და მთვარე გამოანათებს? - ჰკითხა გუბემ.
- ჰო, ხდება ნამდვილად, - უპასუხა კატამ.
- მერედა, ბრჭყვიალა ცარგვალი ვის უჩანს? დიდი, ყვითელი მთვარე სად იხედება, თავისთავს სად უყურებს? იცით, როგორ მოსწონს, ჩემს გასარკულ ზედაპირზე მისი ცივი სილამაზე რომ ირეკლება? მთლიანად გამავსებს ხოლმე, თავს იწონებს. გუბეში მნათობის ცქერა ადამიანებსაც უყვართ. ჩერდებიან, ფიქრს იწყებენ, ოცნებას. ვინ იცის, რამდენი ლექსი შეთხზულა ამ დროს, - ცის ნაჟური აღტაცებული საუბრობდა.
- მთავარი მაინც ერთი რამაა, სიხარული მოგაქვს, - დაფიქრებით ჩაილაპარაკა სახლიკომ.

მოწყენილ სახლსაც ეწვია გაზაფხული

ტყის მეორე მხარეს მდგომ სახლსაც დაუდგა გაზაფხული. ალუბლის ხე გაყვავილდა და ეზო სასიამოვნო სურნელით გაავსო. ჰორტენზიებიც გაფერადდნენ, მაგრამ შიგნით და მოხუცების გულში ყველაფერი ძველებურად იყო. ამიტომ, წელიწადის ამ მშვენიერ დროს ბებიების სახლი მაინც მოწყენილი ხვდებოდა.

საუბრობენ, თან სტუმრის მოსვლას ნატრობენ

- ეს ჩიტი ისევ არ ჩანს, რამე ხომ არ მოუვიდა? - იკითხა საქმიანმა ბებიამ.
- ეჰ, არც ვიცი, საშიშროება ისევ არსებობს? - გამოეპასუხა უცნაური ბებია. - დიდი ხნის წინ, მიდამოს უკეთური ადამიანები ხომ შეესივნენ? ახლა გარშემო რა ხდება, შეძლო ბუნებამ გადარჩენა?

ერთ ხანს ორივე ჩაფიქრდა, მერე, პურის მცხობელი ბებია ძველ საუბარს დაუბრუნდა.

- ჩიტუნაზე რას ფიქრობ?
- ტყის მეორე მხარეს თუ გაემგზავრა. ახლახან არ დაფრთიანდა? ყველაფერი აინტერესებს, - ივარაუდა გულთმისანმა.
- კარგი ერთი, უბრალოდ უმადურია! ბუდეში ობლად მიტოვებული ვიპოვე, გამოვკვებე. მოიკეთა და ჰერიი, სიყვარული არ ცოდნია, - მოხუცი გულდაწყვეტილი იყო.
- პატარაა, ყველაფერს ვერ შეაფასებს, თანდათან ისწავლის. ნუ დარდობ, მოფრინდება, მოგვიკითხავს, როგორ ვართ. ეს უკვე სიყვარულისკენ ერთი ნაბიჯი იქნება, - დაამშვიდა უცნაურმა ბებიამ.
- უფრო შიმშილი მოაბრძანებს, - სიცილით მიუგო საქმიანმა ბებიამ.

- ესე იგი, რაღაც უფრო საინტერესო იპოვა, გაერთო. იცი რა, გავუგოთ. ეგ მოწყენილი ტყის შვილია, იქით თუ უკეთესობა დახვდა, გაიხაროს. იქნებ, ასე ჯობდეს კიდეც, ხომ შეიძლება, სხვა, ახლად გაცნობილი ჩიტებიც მოიყვანოს? აცხვე და აჭამე მერე შენი ატმები, - გაიხუმრა უცნაურმა ბებიამ.

- მოიყვანოს, მაინც არავინაა. მაგათ დავეხმარები, გამოვკვებავ, - საქმიან ბებიას ხმაში ისევ მოლოდინი შეეპარა.

ბებიებს სჯერათ, ვიღაც აუცილებლად მოვა

- მათ ყველა შემთხვევაში უნდა დაეხმარო, ჩვენ კი ვიოცნებოთ, იქნებ, ახლომახლო, ადამიანები ცხოვრობენ და აქამდეც მოაღწიონ? ამაზე ფიქრით ვიცოცხლოთ. ჩვენს ჩიტს, კვლავ რომ გამოჩნდება, შევატყობთ, იმედის საფუძველი გვაქვს თუ არა, - დაფიქრებით თქვა წიგნების მოყვარულმა ბებიამ.

- ყოველთვის ჭკვიანი იყავი, დარწმუნებული ვარ, სწორად მსჯელობ, მაგრამ ფოსტალიონმა არაფერი იცის და მაშ, ვინ იცის? - შენიშნა პურისმცხობელმა ბებიამ.

- ეგ დინჯი ადამიანია, ხანშიშესული. ხეტიალს და თვალიერებას ხომ არ დაიწყებს? გაკვალულ გზას ადგას, ისედაც აქ მამაჩვენის და ჩვენი დიდი ხათრით დადის. მოვა, რაც ევალება მოიტანს, ნამცხვარს მიირთმევს, ალუბლის სქელ წვენს დააყოლებს და ისევ წავა, აბა? - ამ ნათქვამზე მოხუცებს გულიანად გაეცინათ, - ფრინველი სხვა ამბავია, - განაგრძო ბებიამ, - დაფრინავს, ქვეყნიერებას ხედავს. აი ნახე, ჩვენი კუდრაჭას მოგზაურობა ცხოვრებას აუცილებლად შეგვიცვლის!

ორივე ჩაფიქრდა.

- მალე ალუბლის მურაბას მოვხარშავ, რა სასიამოვნო სუნი დადგება? - თქვა კარგა ხნის მერე საქმიანმა ბებიამ.
- ჰო, იქნებ არომატმა, ჩვენი ფოსტალიონის გარდა, სხვა ვინმეც მოიყვანოს. მინდა, ისე დაემთხვეს, რომ მომსვლელს გადაფერადებული, ტკბილი სურნელით სავსე ეზო დახვდეს. მინდა, აქაურობა ისე მოეწონოს, აღარ მიატოვოს ან ის, ვიღაც ხშირ-ხშირად გვესტუმროს, - მრავლისმეტყველი ღიმილით დაამატა უცნაურმა ბებიამ და ჰორიზონტს გახედა.
- რატომ მოვიდეს? მოვიდნენ, მობრძანდნენ, ყველას დავხვდებით, საქმე არ მეზარება, - აენთო თვალები საქმიან ბებიას.
- ოჰ, ოჰ! ჯერ სულიერია სანატრელი და ახლა სტუმრები მოუნდა, - ისევ ახითხითდა წიგნების მოყვარული ბებია.

მიუხედავად მარტოობისა, ამ მოხუცებს თავისებური ხალისი მაინც შერჩენოდათ. ისინი, მართლაც ღირსეული ოჯახიშვილები იყვნენ. ეჰ, ეჰ, როდის გიპოვიან, ბებიებო? ან შენ, ოცნებით აშენებულო და ოცნებაშივე ჩაძირულო მოწყენილო სახლო?

სახლიკოს ეზოში კვლავ რაღაც ხდება

დრო გადიოდა. ერთ დღესაც, მიდამომ გოგონას ისევ სიახლე მოუმზადა. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მისთვის იყო უცხო და საკვირველი, თორემ ისე ბუნების ერთ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. რა მოხდა? ერთ ადგილას მიწა ისევ დაიბზარა, ნელ-ნელა ამოიბურცა. ცოტა ხანში მომცრო ღრმულიც გაჩნდა და იქიდან ბელტები ამოიყარა.
- ისევ წყალი იბადება! რუ ამოჩუხჩუხდება! შადრევანი გვექნება! - ყვიროდა ბავშვი. - არა, გოგონა, ეს წყალი არ არის! ჩვენი რუ უკვე დაბრუნდა, მოედინება, სხვა რაღატომ გვესტუმრებოდა? ყოველ მათგანს თავისი კალაპოტი აქვს, - დინჯად აუხსნა სახლიკომ.
- აბა, რა უნდა იყოს? - დაფიქრებული ჭიანჭველა მიწაყრილს მიუახლოვდა. ამ დროს, ერთი მოზრდილი ბელტი ღრმულიდან ამოვარდა და კინაღამ მიასრისა. გაბრაზებულმა ყვირილი ატეხა.
- ჰოდა, გამოიწიე, თავზე რას დაადექი? არც იცი, რა არის და უკვე ჩხუბობ, - საყვედურებით აავსო იქვე ჩასაფრებულმა კატამ, - სიღრმიდან ხომ არ ჩანს აქ რომ ბრძანდები? ყველაფერში ცხვირს ჰყოფ, უჰ, რამდენს გითმენენ, რამდენს!
- გვერდიდან არ მცილდები, ოღონდ შენიშვნა მომცე, რასაც მინდა, იმას ვიზამ! - შეუბღვირა ჭიჭიმ, - ვითომ შენ იცოდე, აქ რა ამბავია?!
- რატომაც არა? - ჩაიკრუტუნა ფისუნიამ, - ეს თხუნელაა, ზემოთ ამოსასვლელ გზას თხრის. ისიც ვიცი, რა თვისებების მატარებელია, როგორია? ჩემსავით რბილია, ფუმფულა. აი, განათლება თუ აქვს, ეგ კი არ შემიმოწმებია.

- რაო?! როგორ არ ვიფიქრე, როგორ ვერ ვიგრძენი?! - მწერმა ხელები აღმართა და ბოლო ხმაზე წრიპინი დაიწყო, - გოგონა, სიმართლეა, თხუნელა დაბრუნდა, ჩემი მეგობარი! ხედავ, კარგად არის, ისიც ჩვენთან იცხოვრებს, შეგიყვარდება!
- მიაუ! ამასაც იცნობ? საინტერესოა, ჭიჭყინას და მუდამ უკმაყოფილოს, ამდენი მეგობარი საიდან გყავს? ალბათ, სახლიკოს ამხანაგები არიან და შენ იბრალებ, მისი სიკეთით სარგებლობ, - მაინც გაამწარა ჩახჩახამ.
- რაო, რა სისულელეებს ჩხავი? - ეცა ჭიჭი.
- გეყოფათ! - ჩაერია ბავშვი, - სულ თქვენი ჩხუბის ხმა ისმის!
- მშვიდად დაელოდეთ, მოხდეს ის, რაც უნდა მოხდეს, მალე ყველაფერი გაირკვევა, - მიეხმარა სახლიკოც.
- აღარ ვკამათობთ, მეგობრები ვართ, უბრალოდ, სიმართლეს თვალი უნდა გაუსწოროს, აღიაროს. აი, ამას ვასწავლი, რადგან მე ეგ ჭეშმარიტება უკვე აღმოჩენილი მაქვს, - წყნარად, აუღელვებლად ახსნა ფისომ.
- აჰა, უამრავ შენიშვნას და ჩემი გადადგმული ყოველი ნაბიჯის თვალთვალს, ახლა სწავლება დაარქვა! - სიცილით თქვა ჭიანჭველამ.
- მინდა სამაგალითო იყო, - ჩაიკრუტუნა კატუნიამ და დავაც ამოიწურა.

თხუნელა დაბრუნდა

მაინც რა იყო, რა ხდებოდა? რა და, ფრიად საყურადღებო ამბავი, - თხუნელა ბრუნდებოდა, მეგობრებისკენ გზას მოიკვლევდა.

- ამიერიდან მხიარულად ვიცხოვრებთ. ისეთი ხალისიანია, ხან სად ამოყოფს თავს, ხან სად, - წრიპინებდა მწერი.
- გარდა ამისა, მიწას აფხვიერებს, რის შედეგადაც, მცენარის ფესვი უკეთესად სუნთქავს, ნიადაგში წყალიც ადვილად აღწევს, წიგნებიდან ვიცი, - ამაყად დაამატა ფუმფულამ.
- მამიკოს ვთხოვ, წამიკითხოს, როგორ მოვექცე, რა ვაჭამო, - ჩაილაპარაკა გოგონამ.
- იცი, ქვემოთ რამდენი ოთახი აქვს? ერთიდან მეორეში გვირაბებით გადადის. დამპატიჟა, ნამყოფი ვარ, მიწის ქვეშ ჩასვლა მეც ხომ შემიძლია. აი, სახლიკოს ვერ პატიჟებს, - აუხსნა გოგონას ჭიანჭველამ.

მოულოდნელად, სახლის ღია ფანჯრებიდან მისი იდუმალი ბინადრის ჭრიალი მოისმა.

- აი, რა მსურს გითხრათ. უკვე ცხადი გახდა, თქვენ, ცაში მფრენნი თუ მიწის ქვეშ მცხოვრებნი, აგრეთვე მის ზედაპირზეც, ყველანი ამ პატარა სახლისკენ ისწრაფვით, მისი კეთილშობილება და მყუდროება გეძახით. როგორი ხასიათიც უნდა გქონდეთ, რა მოგწონდეთ, რა გიყვარდეთ, პატივს რას სცემდეთ, მაინც საერთო ერთი გაქვთ, - სახლიკო. ეს ის სიკეთის მარცვალია, რომელიც ყველას გულში გიღვივით, - ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად. იგი ღირსებით სავსეა, ამავე დროს მოკრძალებული, არ იცის, რა არის ბოროტება. შეცდომა მისთვის მხოლოდ პატიების საშუალებაა. ამხელა სიკეთეს იტევს, უხმაუროდ კი ცხოვრობს, შეუმჩნევლად. თავის ჭერქვეშ ყველას იფარებს. აი, რატომ აქვს მის ეზო-კარს ასეთი ძალა. აი, რატომ მოემართება ყველა აქეთ. მან თქვენში ერთმანეთისადმი სიყვარული დაბადა, კიდევ უფრო შეგაკავშირათ, დაგამეგობრათ. ჯერ ვფიქრობდი, ნეტავ თუ იციან, თუ ხვდებიან, ვის გვერდით უწევთ ყოფნა-მეთქი. ახლა კი უნდა ვაღიარო, სახლიკოს მნიშვნელობა ძალიან კარგად გაგითავისებიათ, მისი სურვილები შეგიცვნიათ, მეტიც, თქვენი საუკეთესო მხარეებიც მოგიძებნიათ, მზის გულზე გამოგიტანიათ, ცუდი კი დავიწყებისთვის მიგიციათ. ამისათვის, აქაურობის ბინადარნო, ქება და დიდება გეკუთვნით! არ შემიძლია ეს ხმამაღლა არ ვთქვა. მაპატიეთ, გრძნობებს ვერ ვმალავ, თავს ვერ ვიკავებ! კმაყოფილი, ცრემლმომდგარი, ვჭრიალებ და ვჭრიალებ! ეჰ, ამ ყიჟინაში გესმით კი, რას ვამბობ? - ბრძენმა ხის ჭიამ ვრცელი სიტყვა დაამთავრა და მიჩუმდა.

საოცარია, მაგრამ ბინადრებმა ნათქვამიც კარგად გაიგონეს და მის ღრმა აზრსაც მშვენივრად ჩასწვდნენ. ეს იმიტომ, რომ ერთმანეთის მოსმენა ისწავლეს, თითოეულის აზრის პატივისცემა.

გოგონას რუ-რუს თავგადასავალი აინტერესებს

- რუ-რუ, ვთამაშობთ, ვთამაშობთ, თქვენს თავგადასავალს კი არ მიყვებით, ხომ დამპირდით? - იკითხა ერთ დღესაც გოგონამ.

- დროს მხიარულად ატარებდი, ჩემი დარდითა და ნაღველით თავს ხომ არ მოგაბეზრებდი? ველოდი, მოსმენის სურვილი როდის გაგიჩნდებოდა. ასეც მოხდა, ვხედავ, შენი მეგობრების ცხოვრება გაინტერესებს, მეც გიამბობ, ჩემო კარგო, აბა რას ვიზამ?

- და როგორ, როგორ? ერთ ადგილას ვერ ჩერდებით, აქეთ-იქით დაჩუხჩუხებთ, - ჩაიკისკისა ბავშვმა.

- პირველ რიგში, მინდა, ეს იცოდე; კეთილი, გონიერი ადამიანები წყალს მარტო კი არ იყენებენ, იმითიც ინტერესდებიან, საიდან გაჩნდა ის და რა უნდა მოიმოქმედონ, რომ არ დაკარგონ. მათ კარგად ესმით, თუ მაცოცხლებელ, გამაგრილებელ წყარო-ნაკადუ-

ლებს, ჩემისთანა რუებს, მდინარეებს გაუფრთხილდებიან, მთელი დედამიწა მწვანით შემოსილი, ჯანმრთელი იქნება, ხოლო ჰაერი სუფთა და გამჭირვალე.
- მინდა, ასეთი ადამიანი ვიყო! - გულწრფელად თქვა პატარამ.
- მშვენიერი სურვილია, თან შენ უკვე ბევრს მიაღწიე: აქაურობას სიხარული მოუტანე, ჩვენც დაგვაბრუნე, - მზის შუქზე აფერადებული წყალი სიყვარულით ესაუბრებოდა.
- და მაინც, როგორ დაიკარგეთ? - დაუბრუნდა ბავშვი მისთვის საინტერესო კითხვას.

რუ-რუ ბავშვს ყველაფერს უამბობს

- დიდი ხნის წინ, ამ მშვიდ მიდამოში დავდუდუნებდი. სიცოცხლით სავსე იყო ირგვლივ ყველაფერი. ერთხელაც, უსიყვარულო, დაუდევარი ადამიანები მოვიდნენ, შეესიენ აქაურობას და ტყის ჭრას მიჰყვეს ხელი. აქა-იქ გადარჩენილი ხეები ტირილით, კანკალით მიამბობდნენ მოძმეების უმოწყალოდ განადგურების ამბავს და მეორე დღეს თვითონაც იღუპებოდნენ. გაიჩეხა, გაშიშვლდა გარემო. მუდმივი სიცხე, ჩრდილის უქონლობა წყლისთვის დამღუპველია, მით უმეტეს, მე პატარა ვარ. ნელ-ნელა კლება ვიწყე, დავილიე, დასიცხული ლამის მთლად ორთქლად ვიქეცი. მიწის ზედაპირიდან ვქრებოდი, ცას ვუერთდებოდი. თავი რითი გადამერჩინა არ ვიცოდი, არავითარი იმედი აღარ არსებობდა. ბოლოს, თავშესაფარი ისევ ქვემოთ, სიღრმეში ვიპოვე. გრილ, მაცოცხლებელ წიაღში ჩავიკარგე, იქ ჩავბრუნდი, საიდანაც დავიბადე. მართალია, სული მოვითქვი, მაგრამ საყვარელი ადგილისა და მეგობრების მიტოვება, ახალი ცხოვრების დაწყება ძალიან რთული აღმოჩნდა. რაღას ვიზამდი? სხვა მდინარებას დავადექი. გოგონა, მინდა კარგად გაიგო, რა მტკივნეულია წყლისთვის გზის გაკვალვა, ახალი კალაპოტის ნახვა. აქეთ-იქით ვაწყდებოდი, კლდოვან ქანებს ვეხეთქებოდი, ქვიშაში ვიკარგებოდი. ყოველი მტკაველის გავლისას ვღონდებოდი, წუხილი წვეთობით მსვამდა. კარგა მანძილი ასე ვიარე, ათას შრეს წავაწყდი, უამრავ მიწის ქვედა მაცხოვრებელს. ამბავს მეკითხებოდნენ, უკვირდათ კიდეც, - ზემოთ მზეს ხედავ, აქ რამ ჩამოგიყვანა, რას დაეძებო? - რა მეპასუხა, ჩემი ნებით არ მოვხვედრილვარ, ეს ადგილი იძულებით მომიჩინეს-მეთქი? როგორც იქნა, წვალებ-წვალებით გავიარე, გავაღწიე. რთულია, რთული ჩვენი გზა და მდინარება, არადა, წყლის გარეშე გაძლებს ადამიანი? წყურვილის მოკვლა, დასუფთავება, მორწყვა, - ათასი რამ, რაღა ჩამოვთვალო, როგორც ჩანს, ეს ყველას არ ესმის, სიბრძნე არ ჰყოფნის, მიხვდეს, რომ ოკეანეებს, ზღვებს, ტბებს, მდინარეებს, პატარა რუებსა თუ ნაკადულებს თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს, რომ ამ ძლიერ, დაუდეგარ ბუნების ქმნილებასაც სჭირდება მზრუნველობა, რომ ყველაფერი ერთმანეთთანაა გადაბმული. ხე თუ არ არის, ჩრდილი ქრება, შემდეგ წყალი შრება, მის გარეშე სიმწვანე არ არსებობს და, თავისთავად, არც სუფთა ჰაერი. უჰაეროდ კი ვერავინ გაძლებს. მეტი რა ვთქვა? ბუნებას არ მოუვლი და დაიღუპება. კარგი დღე არც ადამიანებს დაადგებათ.
- ყველაზე ცოდო მაინც ხეა, - ჩაილაპარაკა ბავშვმა და ტყისპირს შეშფოთებით გახედა, - ის ხომ ვერ გაიქცევა? დგას და უხმოდ უძლებს ტკივილს, მერე კი ვარდება, კვდება.

- ეგრეა, მაგრამ უხმოდ არა, ისინი კვნესიან, ტირიან კიდეც, უბრალოდ უგულოებს არ ესმით, თუ ესმით, არ იცოდებენ. არადა, ხე იკვირტება, იფოთლება; თუკი არაფერს დაუშავებ, მადლიერების ნიშნად, ათას რამეს შემოგთავაზებს. მჯერა, ამქვეყნად კეთილი, გონიერი ადამიანებიც არიან. აი, თუნდაც შენი მშობლები, შენ. მე ხომ თქვენმა გულისხმიერებამ დამაბრუნა? ვიცი, ასეა. წყალი ვარ, რბილი, მოქნილი, ხან ცივი, ყინულიანი, ხანაც თბილი, მუდამ განახლებული, ბევრის მნახველი, ყველაფერს კარგად ვგრძნობ. თქვენი კეთილშობილი ოჯახი რომ არა, მიდამოს, სახლიკოს და მეგობრებს სამუდამოდ დავკარგავდი, - რუმ თხრობა დაასრულა.

გოგონას ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა.

რუ-რუ გოგონას ამშვიდებს, ისინი საუბარს აგრძელებენ

- კარგი რა, გენაცვალე, ამისთვის მომაყოლე, რომ ასე დაღონებულიყავი? - შეწუხდა რუ–რუ, - დაწყნარდი, ყველაფერი უკან დარჩა. ტყე იზრდება, მე ჩემს საყვარელ ეზოში დავჩუხჩუხებ, შენც მყავხარ. ოღონდ, ერთი თხოვნა მაქვს, თქვენობით ნუ მომმართავ, როგორც უფროსს, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

- რა თქმა უნდა, მეგობრები ვართ და ისე იყოს, როგორც გსურს, - დაეთანხმა გოგონა და იქვე ჰკითხა, - ვხედავ, დაბრუნება როგორ გიხარია. ყველას უყვარს ხომ ის ადგილი, სადაც დაიბადა, იზრდებოდა?

- ასეა, მასთან მრავალი მოგონება გვაკავშირებს, - მიუგო წყალმა.

- მოგონება რაც არის აქ მასწავლეს, მაგრამ ეგ საიდუმლოებაცაა იცოდი? - ჩუმად ჰკითხა ბავშვმა.

- როგორ თუ საიდუმლო, ვერ ხედავ, რაც მომაგონდა ყველაფერი მოგიყევი? - გაიკვირვა რუმ.

- ჰო, მაგრამ ზოგ მოგონებას შეიძლება გულში ატარებდე და არავის უმხელდე, მაშინ ის საიდუმლოდ გადაიქცევა, ამიხსნეს, ასეა! - დინჯად მიუგო მან.

- ოოო, კარგად უსწავლებიათ, მომეწონა. მართალიცაა, აი ამ ამბავს, მხოლოდ შენისთანა გოგონასთან თუ დავაჩუხჩუხებდი. საიდუმლოს გამხელასაც მნიშვნელობა ჰქონია, მოვისვენე, გულზე მომეშვა, - წყალი უკვე მხიარულად ღუღუნებდა.

- რუ-რუ, კიდევ რა მაინტერესებს, ხანდახან, როცა ხეს ძალიან კარგად უვლიან და მაინც ვერ ხარობს, რისი ბრალია?

- შეიძლება ნერგი არ ვარგოდა, შეიძლება სხვა მიზეზი იყოს, ზუსტად არ ვიცი. იქნებ, სიყვარულით არ დარგეს, ასე ვინმეს დასანახად მოიქცნენ? - რუმ ვარაუდი გამოთქვა, - სიყვარულის გარეშე არაფერი გამოვა.

ბავშვი ნისლის ამბავს ყვება

- ჰოდა, მე ძალიან მიყვარხარ, ჩემო კამკამა რუ! - შესძახა ბავშვმა, - თანაც, ჯადოსნური ხარ. მზე რომ დაგანათებს, თეთრი ტალღები და შხეფები გიფერადდება.
- როგორც ადრე ვთქვი, ქვეყნად ბევრი მივლია, მრავალი რამ მინახავს. ჩემში, ღრმად, ცოდნის და გამოცდილების უამრავ ფერს ვმალავ, მზე კი ამ მრავალფეროვნებას ნათელს ჰფენს, ოღონდ ზოგი ხედავს ამას, ზოგი კი ვერა, - უპასუხა წყალმა.
- მოიცა, ეგეთი კიდევ იცი, ვინ არის? ნისლი, ჩემი მეგობარი. შენ, ალბათ არ იცნობ, არც როდესმე გინახავს, როცა მთებიდან ჩამოვიდა და დაგვიმეგობრდა, გადაკარგული იყავი. პირველად რომ დავინახე, „თეთრი არაფერი“ დავარქვი, მაგრამ მერე, რა გავიგე? თურმე, შიგნიდან სულ მოხატული ყოფილა, თვითონ მაჩვენა! - გოგონა სულმოუთქმელად ყვებოდა ძველ ისტორიას.
- აი, ხედავ? ბევრმა არ იცის, სინამდვილეში როგორია ჩუმი და უთქმელი ნისლი. შენ შეძელი მისი მშვენიერების დანახვა! - შესძახა გახარებულმა რუმ.
- გინდა გაგაცნო? - აღფრთოვანდა ბავშვი.
- ჰმ, გამაცნო? - ჩაირაკრაკა წყალმა, - ჰა, ჰა, ის ხომ თითქმის ჩემი შვილობილია.
- საიდან?
- აგიხსნი, - განაგრძო მან, - მზეს ჩემს ტალღებში თამაში უყვარს. თვალს არ მაშორებს, ამის გამო, წყლის ნაწილი, სითბოსა თუ სიცხისგან, ორთქლდება, ცას უერთდება, მერე კი ხან წვიმად გადაიქცევა, ხან ნისლად, რომელიც ისევ აქ, დედამიწაზე სტუმრად ჩამობრძანდება ხოლმე.
- ესე იგი, როგორც მასწავლე, ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია, - დაასკვნა ბავშვმა.
- ასეა! დავასრულოთ საუბარი. მოდი, ჩემს ფერად ტალღებში ხელ-პირი დაიბანე.

გოგონა დაიხარა, სახე წყლის ჭავლში ჩამალა. შხეფები მის თმებს შეესივნენ, ათასფრად ააბრჭყვიალეს, - მეც ფერადი ვაარ! - კისკისებდა ის.

სახლიკო ბედნიერ ბავშვს გაჰყურებდა.

- შეხედეთ, - წამოიწყო ჭრიალი ხის ჭიამ, - რა მშვენივრად ერთობა. ხომ შეეძლო ეწუწუნა, - მარტო ვარ, ვის ვეთამაშოო? - ეს კი, საერთოს ყველასთან პოულობს. ახლა წიგნები? ღამით ისე არ დაიძინებს, თუ არ წაუკითხეს, შუადღეს ლექსებს სწავლობს.

- ჩვენი მეგობარი გოგონა, საუკეთესო გოგონაა დედამიწაზე! - დაიწრიპინა ჭიჭიმ. ის თავის ფუმფულა საწოლში წამოგორებულიყო და შუადღის ძილისთვის ემზადებოდა.

- მართალი ხარ, - დაეთანხმა ჩახჩახაც.

- მაგრამ ახლა სხვა რამ მინდა გითხრათ, თუ იცით, ჩემი დაბადების დღისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმის შემდეგ, გამუდმებით რაზე ვფიქრობ? - განაგრძო მწერმა.

- აუჰ, ალბათ კიდევ გნებავს? - კატას გული შეუწუხდა.

ჭიანჭველამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია, - ნუთუ, არ დაინტერესდით, ეგ დაბადების დღე მაინცადამაინც მარტო მე რატომ მქონდა? რა, დანარჩენებს არ უნდოდათ, მაგალითად, ამათ? - წამოჯდა და ძაღლებს გახედა.

- მიაუ, გიპასუხებ მაგ მტანჯველ კითხვაზე, იმიტომ, რომ ჭირვეული ხარ და მოითხოვე, ჩვენ კი პრეტენზიები არ გვაქვს, - გამოეპასუხა ფისუნია, თან გაშლილ წიგნზე გადაგორდა.

- რაა? ეგ „ზიები“ რაღა არის? აჰა, მანდ ამოიკითხე? არ ვიცი, რა გაქვთ და რა არა, მაგრამ ხომ დაიბადეთ? ის დღე გაქრა? იქნებ გუნდას უნდა, მაგრამ პატარაა, ვერ ბედავს, არ გეცოდებათ? საჩუქრები მაგას უფრო არ სჭირდება? ნამდვილად გულმა მიგრძნო, დაბადების დღე ასე მკაცრად რომ მოვითხოვე. მას შემდეგ, რუ–რუც დაბრუნდა, ზღარბუნიაც და თხუნელაც. გოგონას უნდა დაველაპარაკო, ამათაც გადაუხადოს, - თავისას არ ეშვებოდა ჭიჭი.

- ბავშვი ჯერ ბებიებთან მიმყავს, ეგ საქმე მოვამთავროთ და მერე, - შეეპასუხა ჩახჩახა.

- რა თქმა უნდა, მაგრამ დაგეგმვა და წინასწარი თადარიგი საჭიროა. ვერ ხედავ, ჩემი ზეიმი რამდენ ხანს მზადდებოდა? - გამოაცხადა ამაყად ჭიანჭველამ.

ფუმფულას ხმა აღარ ამოუღია, თავისთვის გაიფიქრა, - იმიტომ, რომ სუფრა მოითხოვა, საჩუქრები, ორკესტრი. ოჰ, პრეტენზიები, პრეტენზიები. ლალალა და გუნდა კი წე-სიერი, თავმდაბალი ძაღლები არიან, არავის შეაწუხებენ. ისე, გულის სიღრმეში, მეც მინდა დაბადების დღე, ბავშვის დატვირთვას ვერიდები, თორემ სიამოვნებით წავი-ქეიფებდი. უმჯობესია, ამ წინადადებას მხარი დავუჭირო.

- დავიღალე ლაპარაკით, რას გაჩუმებულხარ? - ჩაესმა ჭიჭყინი.

- უკაცრავად, უკაცრავად, - უცბად გამოერკვა, - ჩვენს მოგზაურობაზე ვფიქრობდი, - ჩაიკნავლა მან.

- ოჰ, მოგზაურობა დაარქვა! რადგან შენ მოდიხარ, უნდა გააფორმო, ხო? ეგრე მე ყოველდღე დავდივარ, ახალ-ახალ ადგილებს ვპოულობ, მაგრამ ქვეყანა კი არ შემიყრია? - არ უთმობდა მწერი.
- გეყოფათ, მოვა ბავშვი და დავილაპარაკებთ. ვერ გამიგია, დაუკითხავად წასვლა რატომ აიტეხეთ? მშობლები ასეთ გასეირნებაზე უარს იტყოდნენ? - სახლიკო შეწუხებული იყო.
- მე არ ვიცი, როგორც ის გადაწყვეტს, - თქვა ფისომ.
ჭიანჭველასაც ხმა არ ამოუღია.

გოგონა საჭიროდ თვლის, ტყის მეორე მხარეს მდგომ სახლს ესტუმროს და მეგობრებს წასვლის გეგმას აცნობს

ამ დროს გოგონაც შემოვიდა, - უჰ, აქ როგორ გრილაა! - დაიძახა მან.
- მოდი, მოისვენე, მოიჩრდილე, - სიყვარულით შეეხმიანა სახლიკო.
- რუ–რუმ გამომიშვა, ასეთ სიცხეში გარეთ ყოფნას მოერიდეო. რამე ხომ არ გინდათ? უნდა წავიდე: ვისადილებ, დავისვენებ, დედიკო წიგნს წამიკითხავს.
- და მერე ჩაგეძინება, - ისევ აჭრიალდა ხის ჭია, - როცა გამოიღვიძებ, საღამოს სიგრილე დაგხვდება. იცი, რა არის საღამო? ღამის პირია, მწუხრი, როცა მზე ჩასასვლელად, დასაძინებლად ემზადება. თავისებურად ლამაზია დასაღამებლად გამზადებული, გარინდებული დღე. მე კი ამ დროს, აი რა მემართება; გამოუცნობი სევდა მიპყრობს, ვდარდობ, ვდარდობ და თვითონ არ ვიცი, რას. გული მეკუმშება, თავს მარტოდ ვგრძნობ, ეულად.
- ეჰ, ერთხელ მეც მეწვია სევდა, დამანაღვლიანა, მაგრამ მთვარემ ყველაფერი ამიხსნა, დამამშვიდა. მიდი, შენც გაენდე, აუცილებლად დაგეხმარება. ვიცი, ძალიან ჭკვიანი ხარ, მაგრამ მეგობრებს მაინც შეუძლიათ რაიმე საჭირო და გამოსადეგი ურჩიონ ერთმანეთს, - მორიდებულად უთხრა გოგონამ.
- უყურეთ, უყურეთ, როგორ დაბრძენებულა?! - ჭიანჭველა სიცილისგან გაიჭაჭა, - ბავშვო, ჩვენს გეგმაზე ვისაუბროთ, ბოლოს და ბოლოს, რას აპირებ?
- გადაწყვეტილია, უნდა წავიდე, ტყე გავიარო, ბებიები ვიპოვო, ველარ მოვითმენ, დედ-მამას ვერ დაველოდები. მგელი აქ არ ცხოვრობს, რა მომივა? - გოგონა თავის თავში დარწმუნებული იყო.
- ვითომ ასე უნდა მოიქცე? არა, რაღაც დაგემართა, ვერ გცნობ! - აწრიპინდა ჭიჭი.
- ნუ დარდობთ, ლალალაც ჩემთან იქნება, დამიცავს. დილით წავალთ და შუადღისთვის აქ ვიქნებით.
- მეც გამოგყვები, რა თქმა უნდა, გზა ვიცი, ბებიებთანაც ყველაფერს მოგიგვარებ, ელჩი ვარ, - ჩაიკრუტუნა, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა კატამ, - ამ შემთხვევაში მთავარი ხომ ის იყო?

- აბა რა, ფისუნიას გარეშე რა გამოვა? ყოველი კუნჭული იცის! - გააზვიადა გოგონამ, ამით შეცდომა გამოასწორა, კარგად მიხვდა, მეგობარს გული რომ ატკინა.
- ოჰ, ოჰ, ოჰ, ვითომ ამ ახლად ჩამოსახლებულს ჩემზე მეტი ნაცნობი, რატომ უნდა ჰყავდეს? მეტიჩარა! - ისევ აყვირდა ჭიანჭველა, მაგრამ გაახსენდა, ჩახჩახამ მისი საჩუქრისთვის ტყე რომ გაიარა და მოლბა, - ისე, წამოსვლა მეც მეკუთვნის, ეგ თუ ელჩია, მე მოგზაური ვარ.

კატას აღარაფერი უთქვამს, უკვე დიდი ხანია იცოდა, მიუხედავად ასეთი ლაპარაკისა, ჭიანჭველას ძალიანაც უყვარდა მზესავით მეგობარი.
- აი, ამას როგორ მოვახერხებთ, - განაგრძო ბავშვმა, - დედიკო და მამიკო, ორი დღით, ქალაქში მიიპატიჟეს. ჩემს მოსავლელად ნათესავს ტოვებენ. ჰოდა, მაგ დროს წავალთ. გადადება არ შეიძლება, მოხუცი ხალხია, იქნებ, რომელიმე ავადაცაა, წამალი ესაჭიროება, - ბავშვი თანდათან აღელდა, - გული მიგრძნობს საჩქარო საქმეა. ალბათ, თვალებიც დაეღალათ ჩემი მოლოდინით.
- კარგი, კარგი! მთლად ნუ გადაირევი, დამშვიდდი და მითხარი, ჩემზე რა გადაწყვიტე, მოვდივარ? - შეაწყვეტინა ჭიჭიმ.
- აბა? ასეთ ინტერესიანს ვინ დაგტოვებს? იქითაც გადახედე, რა ხდება. წინსაფრის ჯიბეში ჩაგისვამ და აღარ დაიღლები.
- და ვერაფერსაც ვერ ნახავს? - ჩაიცინა ჩახჩახამ.
- უკანა გზაზე ვამბობ, როცა ყველაფერი ნანახი ექნება, - ნიშნის მოგებით უთხრა გოგონამ.- ეჰ, ასჯერ რომ მაინც აიარო ტყის ერთ ბილიკზე, ერთნაირი არასოდეს იქნება, რაიმე სიახლე მაინც დაგხვდება, მაგრამ გეთანხმები, ეგ დიდი იმედია, თუ გამიჭირდა, გამოვიყენებ, - ამაყად თქვა გამოცდილმა მოხეტიალემ.
- ახლა წავედი, დროა. საღამოს აქ ვარ, იმ საღამოს, ხის ჭია რომ სევდიანდება. მოვალ და ერთად გავართოთ, - ბავშვი ვეებასკენ გაიქცა, რომელიც ელოდა.

ჩახჩახამ სრულიად ახალი გადაწყვეტილება მიიღო, სახელს იცვლის

დარჩენილებმა საუბარი განაგრძეს, თავს ირთობდნენ. გარეთ გასვლა არ ღირდა, ცხელოდა. მხოლოდ ეკოლო არ ჩანდა, თუმც ამაში უცნაური არაფერი იყო, ალბათ ყვავილებს აგროვებდა.
- ისე, კომპასი დაგვჭირდება, - მოიფიქრა ჭიჭიმ.
- კომპასი აგერ არ ვარ? თავიდან ბოლომდე გაკვალული გზით მივდივართ, - ჩაიხითხითა კატამ, თავისთვის კი გაიფიქრა, - ეჰ, ერთ ადგილას გავლა მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, მაგრამ რას ვიზამ, ახალი გზების ძიებას ბავშვთან ერთად ხომ არ დავიწყებ?
- რა თქმა უნდა, ჭოტს გულისხმობდა.
- ოჰოჰოჰო, რა დრო დაუდგა ჩახჩახას?! - დასცინა ჭიანჭველამ.
- ბოდიში, მაგრამ მე ახლა სრულიად სხვა სახელი მქვია, - მოულოდნელად გამოაცხადა ფისუნიამ.

- რაა? - პირი დააღო მწერმა.
- დიახ, ფიფი ვარ, - ჩაიკრუტუნა მან.
- ვინ დაგარქვა?
- ვითომ რატომ?
- საიდან მოიტანე?
- ასე გერქვა და მალავდი?
- სხვა პატრონებიც ხომ არ გყავს? - კითხვები დააყარეს აქეთ-იქიდან მეგობრებმა.
- არა ხართ მართალი! მოიცადეთ, გეტყვით! - ხმამაღლა შეჰკნავლა მათ დატუქსულმა კატუნიამ, - საქმე ის არის, რომ ამ საკითხზე უკვე კარგა ხანია ვმუშაობ, იმ დროიდან, ბებიებს რომ ვესტუმრე. ეს სახელი თვითონ შევირჩიე, ახლა ამის ხასიათზე ვარ და მინდა, თქვენც ასე დამიძახოთ. ძველსაც ვიტოვებ, შეიძლება კიდევ სხვაც მოვიფიქრო. ჯერ ერთი, ზოგიერთ ქვეყანაში რამდენიმე სახელის დარქმევა მიღებულია, წიგნებიდან ვიცი, მეორეც, აბა ნახეთ, რა განსწავლული და ჭკვიანი კატა ვარ. ასეთი ბევრი შეგხვედრიათ? ჩემთვის ცოტაა მხოლოდ ჩახჩახა მერქვას! აი, გულისნადებიც გაგიმხილეთ ანუ საიდუმლო. თქვენ კი, როგორც ნამდვილ მეგობრებს შეშვენით, თავი უნდა შეიწუხოთ და ყველა ჩემს მიერ შერჩეული სახელი დაიმახსოვროთ, ჯერჯერობით ფიფი ვარ.
- ერთნაირი არც არავინაა, - გაეპასუხა ხის ჭია, - ამიტომ ყველაფერი უნდა ავურდავურიოთ?
- ან კიდევ, ხის ჭიაზე მეტი რა იცი? თუ რამეა ჭკუის საკითხავი, ყველა მაგას დაეძებს და თავისი სახელიც კი არა აქვს, კედელშია თავმდაბლად გამოკეტილი. აგერ, სახლიკო, ყველაზე კეთილი, ერთი სახელი აქვს. მეც უსახელო ვიყავი, გოგონამ დამარქვა, - გაცხარდა ჭიანჭველა.
- კატუნი, ვერ ვხვდები, რა საჭიროა? - ახლა სახლიკომაც ამოიღო ხმა, - იმ სხვა ქვეყნებში მრავალ სახელთაგან მაინც ერთ-ერთს არ ეძახიან? რაც უნდა დაირქვა თუ არაფრად ვარგიხარ, რა გიშველის? შენზე არ ვამბობ, რა თქმა უნდა.
- მართალია, მთავარი არის ვინ ხარ, რას წარმოადგენ, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რა გქვია. აღარ მაინტერესებს, ესე მინდა! რა, გეზარებათ ცოტა გაიჭირვოთ და დაიმახსოვროთ? მორჩა, ფიფი ვარ, ყოფილი ჩახჩახა, ოღონდ ძველ სახელს ნამდვილად არ დავკარგავ, საყვარელმა პატრონებმა დამარქვეს. მარტო ეგ კი არაა, გოგონას და დანარჩენებსაც შეგეხებათ ცვლილებები. გაზაფხულდა, ყველაფერი გადასხვაფერდა, ჩვენც ავყვეთ ბუნებას, გავერთოთ, - ვითომც აქ არაფერიაო, დაამატა ჩახჩახა-ფიფიმ, თუ ფიფი-ჩახჩახამ.
- რა მოიგონა, რა მოუსვენარია? - გაიფიქრა სახლიკომ.
- მოკლედ, ამის ხელში არ ვიცი რა მეშველება, - გაიბუტა ჭიჭი.

ვეება სახლიკოს ეჯიბრება - ცდილობს, სახელი გაითქვას, უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდეს

დიდი სახლი თავის მოვალეობებს ძველებური გულმოდგინებით ასრულებდა. ოთახებს ალაგებდა, იატაკს აპრიალებდა, ეზო-ბაღს უვლიდა, გავარვარებულ ღუმელზე ნაირ-ნაირ საჭმელს ათუხთუხებდა, ტაფებს აშიშხინებდა. ამგვარი ერთგულებით, შრომისმოყვარეობით უკვე ყველას პატივისცემა დაემსახურებინა. გაუგებრობა დამთავრებულიყო და ირგვლივ იდილიას დაესადგურებინა. თუმცა, ვეება რისი ვეება იყო? უკმაყოფილების მიზეზი მაინც გამოენახა და საფიქრალ-სადარდებელიც გაეჩინა. რა ურღვევდა ძლივს მიღწეულ სიმშვიდეს? რა და, ერთი სურვილი, აკვიატება, რომელიც გასაქანს არ აძლევდა, - უნდოდა, სახლიკოსავით სახელგანთქმული და საინტერესო გამხდარიყო. ამისათვის საჭიროდ თვლიდა, ეზოში რაც შეიძლება იშვიათი, რაიმეთი გამორჩეული ბინადრები ჰყოლოდა, აი, თუნდაც თეთრი ყვავილის მსგავსი. მართალია, მის გამო საზრუნავი მომატებოდა, მაგრამ საამაყოდაც ხომ ჰქონდა საქმე? ხუმრობა იყო? ჩრდილოეთის შემბოჭველ ყინულებთან და გამყინავ ქარებთან მებრძოლი გმირი მასთან ცხოვრობდა, იქაურობას ულამაზებდა და ყოველი მომსვლელის ყურადღებას იპყრობდა - უცქერდნენ, იოცებდნენ, ეფერებოდნენ. მეტიც, ის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად გადაქცეულიყო თვით მიდამოსთვის. ო,ო,ო, კიდევ, კიდევ აქვს თავის გამოსაჩენი, - ფლუგერი, ამინდის გამომცნობი და ქარის მიმართულების მაჩვენებელი ხელსაწყო, ძალზედ მნიშვნელოვანი. დღეში რამდენჯერმე, სახლიკოს თუ თითოეული მცხოვრების მზერა მასზე ჩერდება, - რას აკეთებს, რას ველოდებითო? მის გამო, ვეებაც ყურადღების ცენტრშია. სახლი ამ ორ იშვიათობას აფასებდა, უფრთხილდებოდა, მაგრამ არ აკმაყოფილებდა. ძლიერი იყო წყურვილი საყოველთაო აღიარებისა და ამისათვის, ძლივს დამკვიდრებული სიმშვიდეც უკვე აღარ ენანებოდა.

პირველი საინტერესო სტუმარი გამოჩნდა

ჰოდა, ვეებას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბაღში, ნაირფერი ყვავილებით მორთული, საყვარელი არსება შეამჩნია.

- ვაი, ეს ვინ არის? რა უცნაურია? მგონი, ეზოს მოსართავად გამომადგება, - გაიფიქრა მან და სტუმარს ტკბილად შეეხმიანა, - გამარჯობა, მობრძანდით! სასიამოვნოა, რომ გვეწვიეთ, გამახარეთ. ჩემი ბაღის ჩრდილში გაგრილდით. ადრე არ მინახიხართ?!

- გამარჯობა, დიდო სახლო! - ზრდილობიანად მიმართა ეკოლომ, - გვერდითა ეზოდან გადმოვედი, სახლიკოს და გოგონას მეგობარი ვარ, გავიცნოთ ერთმანეთი, თან ბაღსაც გადავხედავ, მავნებლები ხომ არ გამრავლდნენ, მოგეხსენებათ, მე მათი მტერი ვარ.

ვეებას პასუხი არ მოეწონა. მიხვდა, ეს საყვარელი ცხოველი მუდმივი ბინადარი ვერ გახდებოდა, ამიტომ მის მიმართ ინტერესი დაკარგა, თუმც თავი შეიკავა და ზრდი-

ლობიანად მიმართა, - მადლობელი ვარ. ბაღი სულ ახალგაზრდაა, თავზე ვყვები. ეგენი უფრო სახლიკოსკენ უნდა იყოს, - ნიშნიც მოუგო.

ზღარბი გადაკრულ ლაპარაკს მიუხვდა, მაგრამ მისი პატარა მეგობრის სახლს ხომ არ წაეჩხუბებოდა? ზრდილობიანად დაემშვიდობა და დაჰპირდა, - მოვალ ხოლმე, გოგონამ მითხრა, რძეს ჩემთანაც კი დაგიდგამენო, - კიდეც გაეხუმრა.

- რატომაც არა, მაგრამ ამჟამად მოუმზადებელი დაგხვდით, შემდეგში იყოს, აუცილებლად, - თავაზიანად მიუგო სახლმა და ეკოლო გათუხთუხდა თუ არა, შვებით ამოისუნთქა. არა, არა, ურთიერთობა მაინც უჭირდა.

მეორე საინტერესო სტუმარი

პირველი მცდელობა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ვეებამ სიტყვა შეასრულა. ერთ დღესაც, საყვარელ ზღარბუნიას, ჭრელი ლამბაქით რძე დაუდგა. ჰოდა, ნაშუადღევს ისიც მობრძანდა, ხვრეპა დაიწყო.

- რა ამბავია? - შეწუხებულმა სახლმა ეზოს გადახედა და გაეცინა, - ასე ეს პატარა ხმაურობს? ამ დროს, მის წინ, მიწა ამოიბურცა, ბელტები აქეთ-იქით მიმოიყარა.

- კიდევ რაღა ხდება? - შეშფოთდა ის.

ბორცვი თანდათან გაიზარდა. ბოლოს, თხუნელამ ამოყო თავი, მიიხედ-მოიხედა. დღის სინათლეზე ნეტავ რას გაარჩევდა? უფრო მიხვდა, - სხვაგან იყო. ღრმულში ჩაბრუნება დააპირა, რომ ეკოლომ შეამჩნია და ახლოს მიცუხცუხდა, - რაო, დიგი, გზა აგერია?

- ჰო, ძველ დროს თუ არ ჩავთვლით, რაც დავბრუნდი, აქეთ არც ვყოფილვარ. მინდა გითხრა, რომ ქვემოთ ერთი მახრაც არ არის, ხეები ჯანმრთელია, კარგი ბაღია.

- რაო?! ამან ამდენი საიდან იცის? - იკითხა თავისთვის სახლმა.

- საიდან? ეგ, თითქმის, ბუნების ექიმია, მავნებლებს ებრძვის, ნიადაგს აფხვიერებს, რის შედეგადაც მცენარე კარგად იზრდება. მოკლედ, ეს ფუმფულა, საყვარელი ცხოველი ყველა ბაღს ესაჭიროება, - პასუხი კაჭიმ გასცა. იგი ხომ უმეტეს დროს ყვავილთან ატარებდა. აი, ახლაც რაფაზე ჩამოსკუპებულიყო. სახლს ამჯერად ხმა არ ამოუღია, მოუსმინა და, რაც აინტერესებდა, გაიგო.

- ესეც კარგა უცნაური ვინმე ყოფილა, განსხვავებული. მგონი, მჭირდება, ხომ არ გადმოვიბირო? - ჩაფიქრდა, თუმცა ეს აზრი მალევე უარყო, - არა, არა, ზემოთ მე მაგას ვერ დავინახავ, ვერც მომსვლელი შეამჩნევს, რომ გავაოცო და ისე რად მინდა, რაღაში მესაჭიროება? ხეები ჯანმრთელად ყოფილანო, როგორც ბრძანა, ერთი-ორი მახრა თუ გაივლის აქეთ, ისედაც გამოეკიდება, ჭამა ხომ უნდა? - მიიღო ვეებამ უჭკვიანესი გადაწყვეტილება და იმ წუთსვე წუხილი დაიწყო, - ეს მიწის გორა აქ რას დამიტოვაო. დიგი უსიამოვნო დიალოგსა და გადაბირების მცდელობას ისე გადაურჩა, რომ ვერაფერს მიხვდა. მიწის სიღრმეში ჩაბრუნდა, დერეფანი მონახა და სახლიკოს ეზოს ქვეშ გადაინაცვლა.

მესამე სტუმარი დიდი ხნის ნანატრი და სასურველია

ამ ორი საინტერესო სტუმრის შემდეგ მესამეც გამოჩნდა. მისმა მობრძანებამ ვეებას დიდი ხნის ნატვრა აუსრულა.

ნაშუადღევი იყო. დიდ სახლს, ასე თუ ისე, საქმე მოელია და ცოტა ხნით წათვლემას აპირებდა, რომ ბაღიდან საამური გალობა შემოესმა. ადრე ძალიან გაბრაზდებოდა, მაგრამ ახლა გაფაციცდა, თვალიერება დაიწყო და პატარა, ჭრელი ჩიტუნა შეამჩნია, - ოჰო, ლამაზიც ყოფილა, - გაიფიქრა კმაყოფილმა. ნამდვილად გაუმართლა, მას ხომ სწორედ ამ ფრინველის გაცნობის სურვილი კლავდა. უნდოდა, საცხოვრებლად, თავისი ბაღი შეეთავაზებინა, რათა მშვენიერი გალობით, ვეებასთვის სახელი გაეთქვა. ჯერ დააპირა კაჭისათვის დაევალებინა მოყვანა, მერე ეს აზრი უარყო, - გადამაყოლებს ან სურვილს მიმიხვდება და მთელ მიდამოს ამცნობსო, - მოცდა ამჯობინა. კარგა ხანს ამაოდ ელოდა, ნიბლია აინუნშიც არ იყო, - ერთი რომ მანახა, დავარწმუნებდი, ჩემთან უკეთესად იქნება, - არ კარგავდა იმედს.

ჰოდა, ნანატრი „ჩვენი ჩიტი“ თავისი ფეხით მობრძანებულიყო, თუ ფრთებით მოფრენილიყო, - გავიგო აქეთ რა მდგომარეობაა, - თავგადაკლული მღეროდა, სხვა მგოსნები რომ გამოეწვია, შეეთვალიერებინა.

ვეებამ ამპარტავნება დასძლია და მისალმების ნიშნად ფარდები ააფრიალა. ამგვარი ყურადღებით მოხიბლული სტუმარიც თავაზიანად მიესალმა.

- გამარჯობა, ულამაზესი ბაღი გაქვთ! აქ დასვენება ერთი სიამოვნებაა. აღმოგაჩინეთ და ხშირ-ხშირად შემოგივლით, გაგართობთ, ჩემს სიმღერებს გაგაცნობთ.

- მობრძანდით, მობრძანდით! დაბინავებაც შეგიძლიათ, - შეაპარა მასპინძელმა, - სიმშვიდეა, განა მთელი ქვეყანის ჩიტები მყავს მოყრილი? თქვენი ხმა კიდევ უფრო გაისმება და სახელს გაითქვამთ, - შეახარბა კიდეც.

- მადლობელი ვარ, მაგრამ თვითონაც ისეთ ადგილას ვცხოვრობ, სადაც ფრინველი ცოტაა, სიწყნარეა. მე კი დაბადებიდან ცელქი ვარ, ჟრიამული მომწონს, რია-რია. ასე რომ, ბოდიშს გიხდით, მაგრამ თქვენთან ვერ გავძლებ, - ნიბლიას ვინ მოატყუებდა? გულში უკვე სახლიკოს ეზოში მიბრუნება გადაეწყვიტა, რადგან ირგვლივ მხიარულების ნატამალს ვერ ხედავდა.

- მერე, ატეხეთ რია-რია, არ დაგიშლით, - მცდელობას არ აკლებდა სახლი.

- ოჰ, რა ვიცი, ჩიტებს, რაღაც ერთგულებაო მოუგონებიათ, თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს არ ტოვებენ, თქვენიც ეშინიათ, - გადაჭრით თქვა მომღერალმა.

- და მერე სწორია ეგ? საშიში რა მაქვს? თვითონ არ გთხოვეთ, დარჩით-მეთქი? - თითქმის შეეხვეწა ვეება.

- უნდა მოვიფიქრო. ჩემს მშობლიურ მხარეს ხომ არ ვუღალატებ? მაინც დაგაიმედებთ, თუ იქაურობას ვერ გავუძლებ, სახლიკო კი მასთან დამკვიდრების უფლებას არ მომცემს, თქვენთან გადმოვსახლდები, მის ეზოში აქედან ვიფრენ.

- ნახე, თავხედი, რამდენს ბედავს! ნეტავ, რაღაში მჭირდება? მაცადოს ერთი, აქედან კინწისკვრით გავაგდებ! - გაგიჟდა სახლი, მაგრამ თავი დროზე შეიკავა, მხოლოდ ეს

თქვა - კარგი, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით. ვერ წარმომიდგენია, ჩემთან ცხოვრებას თუ კიდევ დაფიქრება სჭირდება? ნუთუ, სულ არაფერი გესმით?

ამაზე ნიბლიას ხმა აღარ ამოუღია. მიხვდა, კამათი ხელსაყრელი არ იყო, გულდაწყვეტილ ვეებას სასწრაფოდ დაემშვიდობა და გაფრინდა.

რუ-რუ და გოგონა თეთრ ყვავილზე საუბრობენ, ღუმელს ვეებას სასიკეთო ცვლილება მოსწონს

დღეები გადიოდა. იშვიათად, ეკოლო თუ შემოთუხთუხდებოდა რძის დასახვრეპად ან ნიბლია იჭიკჭიკებდა, ისე, ყოველი შემთხვევისთვის. სხვა არანაირი სიახლე. ვეება მაინც მოლოდინით სავსე იყო. ამდენ ყურისგდებასა და თვალთვალში, ერთხელაც, ასეთი საუბარი მოისმინა:

- რუ-რუ, თეთრ ყვავილს არ ვუშველოთ? მორწყავ? იქნებ გაძლიერდეს, ფერი მიეცეს.

- იქნებ? ეგ საკითხავია? რა, უფერულია?

- ჰო, თეთრია, - და ბავშვმა ყვავილის თავგადასავალი უამბო.

- ნამდვილი გმირი ყოფილა, რამდენი რამ გამოუვლია, ჰოდა მომაგრებას ახლაც შესძლებს, ნუ გეშინია! - დააიმედა რუმ, - ისე, ხომ გასწავლე, თეთრი უფერულს არ ნიშნავს, ის მრავალფერია.

- დიახ, ბოდიში, აღარ დამავიწყდება. ესე იგი დაეხმარები?

- რა თქმა უნდა, მხოლოდ აქეთ გადმორგე, ძირში დავუვლი, გამოვაცოცხლებ.

ამის გაგონებამ ვეებას გული მოუკლა, - ახლა ესეც უნდა წამართვან? ეჰ, გოგონა, გოგონა! აბა, ძალიან მიყვარხარო?! - ის-ის იყო, დარაბები უნდა მიებრახუნებინა, რომ ბავშვის ხმა მოესმა.

- წყალი იქით რომ წავუღო? ყვავილი დედიკოსია, ყოველ დილით ესაუბრება. ვერც ჩემს სახლს ვაწყენინებ, უყვარს, მისით თავს იწონებს.

- სიკეთით სავსე ადამიანი ხარ, ყველაფერს ითვალისწინებ, ანგარიშს უწევ. ეგრე იყოს, მაინც გამოვაკეთებთ! - გოგონა რუმ ისევ გაამხნევა.

- ოჰ, ჩემო საყვარელო, შენში არ შევმცდარვარ, - ამოისლუკუნა ვეებამ და გულჩვილობა არავინ დამინახოსო, ფარდები ჩამოიფარა.

აი, ღუმელს კი, ეს სისუსტე, შეუმჩნეველი არ დარჩენია. ნელი ცეცხლით ოდნავ შემთბარმა, შეუძახა, - ყოჩაღ, გულისხმიერება დღითიდღე გემატება. ახლა ნამდვილი მეგობრობაც შეიძლება შენთან!

- რაა, ამდენ ხანს ცუდი თვალით მიყურებდი? ყოჩაღ?! გაკრიალებ, მუდამ შეხურებული ხარ, კერა, ზოგიერთი ზარმაცი სახლივით, გალიგვებული კი არ მაქვს, ნაირნაირი კერძებითაა სავსე. რა თქვი? - გამოსწორდაო? - გამოგასწორებ მე შენ, ცეცხლზე ერთ ქვაბსაც რომ არ შემოვდგამ! - გაცხარდა ვეება.

- დამშვიდდი, როდის მითქვამს, რომ შრომისმოყვარე არ ხარ? მუდამ გაქებ. უბრალოდ, მინდოდა, მეტი სითბო გქონოდა. ჰოდა, სურვილი თანდათანობით მისრულდება. გთხოვ, აღარ შეიცვალო, - დაუყვავა ღუმელმა.

- კარგი, გეყოფა, ენერგიას ნუ ხარჯავ, იმაში გამოიყენე, რაც შენი საქმეა! - ვეებას ხასიათში გულმოდგინებამ გაიმარჯვა. აღარ უკამათია, სადილის დრო მოდიოდა, უნდა მომზადებულიყო. ამ სიტყვებზე ღუმელმაც ცეცხლს მოუმატა და გემრიელი კერძი ააჩუხჩუხა.

ვეებას არაჩვეულებრივი სადილი, ის, მართლაც, სამაგალითოა

დიდ, ნათელ ოთახში, ბუხრის წინ, ოვალური მაგიდა ბალახის ფერი სუფრით იყო დამშვენებული. ზედ ყვითელი თეფშები ელაგა, რომელთაგან ერთი, გოგონასი, წითელი ჭიამაიებით იყო მოხატული. ცხელ კერძს მადისაღმძვრელი სუნი ასდიოდა. განსაკუთრებული იყო პირის ჩასატკბარუნებელად გამომცხვარი, თეთრი მინანქრით დაფარული ტორტიც. ის, ლანგარზე მოთავსებული, თავის დროს ელოდა. იფ, იფ, იფ! ვეება, ნამდვილად გამორჩეული, იშვიათი სახლი გახლდათ.

კიდევ ერთხელ გაზაფხულზე

აი, ასე. უკვე ყველაფერი აყვავდა, გაიფურჩქნა.

ტყისპირი ერთ დიდ, მწვანე ლაქად დააჩნდა მიდამოს. აქოჩრილა, ღელავს, ირწევა, ნანაობს, ცას, მზეს, მთვარეს ტოტებით ესალმება, განსაკუთრებით კი, თავის საყვარელ დიდ სახლს, რომელმაც სინათლე აჩუქა, ცხოვრება გაუხალისა. ქარი ეალერსება ფერადი ჩიტებით მორთულს, სიმღერას უმღერის. მშვენიერია ქარის სიმღერა, მაგრამ მხოლოდ მას ესმის, ვისაც სჯერა, რომ ქარი მღერის. ვეება თავს მშვენივრად გრძნობს, საუკეთესო პატრონები ჰყავს. კოხტაა, ლამაზი, მიდამოში გამორჩეული. სახურავზე დამაგრებული ფლუგერი და ფანჯრის რაფას შეყუჟული თეთრი ყვავილი, მას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. სახლიკო მწვანედ გაშლილ, ფერადი ყვავილებით მორთულ ეზოში დგას. ფანჯრები დაღებული აქვს. შიგნით, ქარიშხლის გამოგზავნილი გრილი ნიავი და ცელქი სიო დანავარდობენ, დაჩურჩულებენ და თან ათასგვარ სურნელს დაატარებენ. პეპლები დაფარფატებენ, ფუტკრები დაზუზუნებენ. მზესუმზირების ღეროები იზრდებიან, ყვითელი თავები ჯერ გულში ჩაუკრავთ. ასკილის ბუჩქზე ჩიტები ქანაობენ, იქაურობას ჟღურტულით ატკბობენ. ანკარა რუ უკვე თავის კალაპოტში მოჩუხჩუხებს და ყველას წყურვილს უკლავს. ბედნიერია, საყვარელ მხარეში დაბრუნდა. პატარა გუნდა თამაშობს, თან ძაღლურ ქცევებს სწავლობს. ლალალა მზეზეც ნებივრობს და მიდამოსაც თვალს არ აშორებს, მის სიმშვიდეს იცავს. ვეებასთანაც გადადის, იქაურობას ათვალიერებს, ყურადღებას არ აკლებს. დიდი სახლი ამ საქციელით კმაყოფილია, - მართალია, კამერები ირგვლივ ყველაფერს ხედავენ, მაგრამ შენ აქაურობას მაინც სულ სხვანაირად უვლი, - ეუბნება იგი ძაღლს, თან მეგობარს ძვლიან ბულიონს სთავაზობს. ჭიჭი თავის საყვარელ საქმეს, - მოგზაურობას არ ღალატობს. ახლომახლო დადის, სახლშიც დროზე ბრუნდება. სა-

ღამო ხანს კი, ფეხი ფეხზე გადადებული, ბალახზე ნებივრობს, რა თქმა უნდა, ის მშვენიერი ფეხსაცმელებიც იქვე უწყვია. მზესავით ბრიალა ჩახჩახა გვერდიდან არ შორდება, რძით სავსე ყვითელი ლამბაქიდან, დროდადრო პირს ისვეღებს, თან ჭიჭის ახსენებს, - მე რომ ასეთი განათლებული არ ვყოფილიყავი, შენი დაბადების დღე უცნობი დარჩებოდა და ეგ ფეხსაცმელები არ გექნებოდაო. ხის ჭია? ოოო, მას ვინ დაივიწყებს? კარგად ბრძანდება, კარგად. ისევ ჭრიალებს, ამბებს ყვება. ზღარბუნია ეზოში დათუხთუხებს, გაპრანჭული, მორთული, ხან ალუბლებით და ლურჯი იასამანის ფურცლებით, - ესე იგი ტყისპირთან ყოფილა სტუმრად, ხან ასკილის ყვავილებითა და ჟოლოთი, - ღობის ძირებში უვლია. თიხის ლურჯი ჯამით რძე მასაც უდგას სიგრილეში და მშვიდად სვლეპს ხოლმე. ეკოლო, თავისი მოსართავებით, დედიკოს და მამიკოს ძალიან მოსწონთ. დიგის დერეფნები გაჰყავს მიწის ქვეშ, ოთახებსაც იმატებს და მიწასაც აფხვიერებს. ხეებს აჯანმრთელებს, მახრებსა და სხვა მავნებლებს შიშის ზარს სცემს.

გადაწყვეტილება მიღებულია, მიდიან

წასვლა გადაწყდა, ოღონდ მშობლების გარეშე და გოგონას მეგობრები ძალიან წუხდნენ ამის გამო. დედიკო და მამიკო ხომ ყველაფერში გვერდით ედგნენ, ეხმარებოდნენ. ოჰ, ოჰ, ალბათ როგორ ეტკინებოდათ გული, როცა ამ უმადურობის შესახებ გაიგებდნენ.

- რა გინდა, რას ეძებ, აქ ცუდად ხარ?! ცოტა მოიცადე, მამიკოს თვითონაც უნდოდა ტყის იქით გასეირნება, სიამოვნებით წამოგყვება და სურვილს აისრულებ, - ეხვეწებოდა ხის ჭია გაჯიუტებულ მეგობარს.

- აბა, ყველაფერი გამოიკვლიე, მოძებნე, მოინახულე, ნუ შეშინდებიო? - არ უთმობდა გოგონა.

- დიახ, გეუბნებოდი, მაგრამ თავი საფრთხეში რომ ჩაიგდო, ამის მომხრე არა ვარ, არა!

- დილით ადრე გავალ, საღამომდე აქ ვიქნები, არაფერი მომივა. მოცდა აღარ შეიძლება, საშიშროებაა! - არწმუნებდა კედელს მიმდგარი ბავშვი.

- ნუ იგონებ, საშიშროება არა, ის! აი, ჰკითხე ჭკვიან ტყისპირს, თვით ყველაზე ცელქ და მოუსვენარ კაჭის. შენს საქციელს რომელიმე იწონებს? - ბრაზობდა უხილავი ბრძე-

ნი, დანარჩენებსაც შეუძახა, - რას გაჩუმებულხართ?! მარტო მე რომ მალაპარაკებთ, მართალია ახლა ეს?!
- შენ ხარ მართალი! - ერთხმად მიუგეს მეგობრებმა.
- მერე, თუ ასე ფიქრობთ, მასთან ერთად წასვლას რაღას გეგმავთ?
- აბა, რა ვქნათ? ლალალა მიჰყვება, რომ დაიცვას, ჩახჩახამ გზა იცის, მე აუცილებლად უნდა ვახლდე, უბრალოდ ვერ მივატოვებ, როგორც ხედავ, იძულებულები ვართ, - თავდახრილმა ჭიჭიმ თითქმის ჩაიჩურჩულა, როგორ არ ჰგავდა ახლა იგი თავის თავს. მუდამ ომახიანი, სითამამეს ვერ იჩენდა.
- იქნებ მშობლებს გავაგებინოთ? - ბოლო ძალ-ღონე მოიკრიბა ხის ჭიამ.
- არ მგონია, ეგ საჭირო იყოს, - აზრი გამოთქვა ჭიანჭველამ, - სახლში რომ გამოკეტონ, ყოველი ნაბიჯი შეუმოწმონ? ძნელი იქნება, შეიძლება ჩვენთანაც ვერ მოვიდეს. ოჰ, ყველაფერი ამერია. მალე მაინც წავიდეთ და შინ მშვიდობით მოვბრუნდეთ.
- მოიცა, მოიცა, - არ ცხრებოდა გოგონა, - აკი ამბობდით, ყველას თავისი საიდუმლო უნდა ჰქონდესო? ჰოდა, ეს ჩემი საიდუმლოა.

ასე და ამგვარად, ხანგრძლივი თათაბირის შემდეგ, მაინც ისე გადაწყდა, როგორც ბავშვმა დაგეგმა. დიდი ხნით გულში ნატარებმა სურვილმა და ინტერესმა გაიმარჯვა.

ვეებაც ძალიან ნერვიულობს

და ეს დღეც დადგა. დედ-მამა გაემგზავრა. სახლში ნათესავი ქალი დარჩა. გოგონა ადრიანად ადგა, დაუხმარებლად ისაუზმა, მერე ნახევრად მძინარე სტუმარი მორიდებულად შეაღვიძა და უთხრა: - გვერდით ეზოში ვიქნები, ნუ ინერვიულებთ, ჭკვიანად მოვიქცევი.

ქალიც მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ძილი გააგრძელა, - პატარა საკმაოდ დამოუკდებელია, თან აქ საშიშიც არაფერიაო.

სამაგიეროდ, დიდი სახლი წუხდა, შფოთავდა. ბავშვს წასვლა ვერ დაუშალა, რადგან მიხვდა, თუკი მან სახლიკოს არ დაუჯერა, თავადაც ვერაფერს გააწყობდა.
- ხომ იცი, მთელი დღე გაფაციცებული ვიქნები. მე, კაჭი და ტყისპირი ვრჩებით, ერთმანეთს შევაცქერდებით.
- კიდევ სახლიკო, ხის ჭია, ჰო, გუნდაც, - გაუსწორა გოგონამ.
- მე მაგათ აქედან ვერ ვხედავ, - არ ესიამოვნა ვეებას, - ფრთხილად იყავი, იცოდე, მთავარი, ამ მიდამოში, შენი ყოფნაა.
- ნუ დარდობ, - დამარცვლა ბავშვმა, - გაფაციცებული კი არა, სტუმარს მიხედე.
- როგორც ვატყობ, მაგას ძილის მეტი არაფერი უნდა. სიგრილე არის, დარაბებს მივხურავ, იძინოს შენს მოსვლამდე, ოღონდ აუცილებლად დაბრუნდი, კარგი? დარდით არ დამანგრიო.
- დავბრუნდები, აბა რა, იცი, როგორ მიყვარხარ? - გოგონა ამ სიტყვებით დაემშვიდობა ვეებას და სახლიკოს ეზოში გადავიდა.

უნდა ითქვას, ბავშვი საგანგებოდ გამოწყობილიყო. მოხერხებული, სპორტული ფეხსაცმელი შეერჩია, კაბა ახლადგამოსული ფოთლების ფერი, წინ დიდი ჯიბეებით. ამ ფონზე ჭიანჭველასაც ადვილად შეამჩნევდა და ვიღაც-ვიღაცებსაც.

გზას გაუდგნენ

მეგობრები მზად დახვდნენ და ყველა ერთად შორ გზას დაადგა: გოგონა, კატა, ძაღლი, კოპწია ჭიამაია, ყვითელი პეპელა და, რა თქმა უნდა, ჭიჭი, რომელიც კაბის ჯიბეზე მყუდროდ მოკალათებულიყო. გამოცდილმა მოგზაურმა ამჯერად ასე არჩია, - უფრო სწრაფად ივლიდნენ, დროს არ დაკარგავდნენ. ჯერ ტყისპირისკენ გაემართნენ. ის მწვანე ტოტების რხევით შეეგება მეგობარს, კეთილი სურვილები არ დაიშურა.
- მშვიდობით იარე, ნურაფრის შეგეშინდება! წადი, ნახე და მიამბე, როგორ არიან ხეები იქითა მხარეს, ჩიტები ხომ არ აკლიათ? აბა, შენ იცი!

კაჭიც ბუდიდან ამოვარდა, ფრთები დააფათქუნა. რჩებოდა, რათა ყველაფრისთვის თვალ-ყური ედევნებინა, საშიშროება უმალ ეცნობებინა. ამაში მას ბადალი არ ჰყავდა. ბავშვმა მათ ხელი დაუქნია და ტყეში შევიდა. ნათელ თვალებში აღტაცება და ინტერესი ჩასახლებოდა.

ტყემ, ღრმამ, დაბურულმა სიჩუმით გაუღო კარი და მასში ჩაკარგული იდუმალების ამოსახსნელად გზა მისცა.

დელეგაციას მზისფერი კატა მიუძღვოდა. მთავარი გმირი იგი გახლდათ. გზა ხომ იცოდა, ელჩადაც იყო წოდებული. გარდა ამისა, თავისი გაეტანა, გოგონაც მიემხრო და სახელად ფიფი დაერქვა. ჰოდა, ამაყად, უხმაუროდ მიაბიჯებდა ჩამოცვენილი წიწვებითა და ფოთლებით შექმნილ ლამაზ ხალიჩაზე.

- ეჰ, ნეტავ იქითა მხარე როგორია? დახვდებიან ბებიები, შეიყვარებენ? კიდევ მოუნდებათ მისი ნახვა? - აი, ბავშვს თავში რა კითხვები უტრიალებდა.

ფრთხილად მიიწევდნენ. მდუმარებას არაფერი არღვევდა. აქაურობა ნადირთა სიუხვით არ გამოირჩეოდა. უკვე უღრანი დაიწყო, ირგვლივ ყველაფერი დამუქდა, თითქოს ჩამობნელდა. აგრილდა. დიდრონი, ცადაწვდილი ხეები სხივებს დაბლა აღარ უშვებდნენ. მზე მათ იქით, სადღაც ზემოთ დარჩენილიყო. ხავსიც გამოჩნდა, გაზრდილი, გალაღებული. სხვა სიჩუმე იდგა. მხოლოდ ტყის ხმა ისმოდა, - კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩემს სამფლობელოში, სავალი უვნებლად გალიე და შენს მიზანს მიაღწიეო, - ეჩურჩულებოდა გოგონას და ისიც გზას გაბედულად აგრძელებდა.

- მეც მექნება სატრაბახო, როცა ბიჭები თავგადასავლების მოყოლას დაიწყებენ, - კინაღამ წამოიძახა მან. საბედნიეროდ, თავი შეიკავა, სწრაფად გამოერკვა, გაბღენძილ ჭიჭის და პატივმოყვარე ჩახჩახას გადახედა და თავის თავს უთხრა, - წყნარად, არ გამიგონ ეს ბაქიობა, თორემ ჭკუას ვეღარ დავარიგებ, მეტყვიან, - შენ რა გალაპარაკებს, ჩვენნაირი ტრაბახა ყოფილხარო, - თან, ხის ჭია რომ გაიგებს, ეწყინება, - ამას გასწავლიდიო? - სჯობს ყველაფერი გულდასმით დავათვალიერო, დავიმახსოვრო, მამას ხომ უნდა ვანახო?

ჭიჭი პირველ შთაბეჭდილებას მეგობრებს აცნობს, ჩახჩახა ძალიან კმაყოფილია, მაგრამ რაღაც მაინც აწუხებს

კატის კნავილი მოისმა, გოგონას ეძახდა, - ბავშვო, შეხედე, ეს გზა არც მღლის, არც თათებს მტკენს!

- მომწონს აქაურობა, - ჭიჭიმაც მხარი აუბა, - საკვირველია, ადრე აქეთ რატომ არ მოვხვდი? საინტერესო ყოფილა, მაგრამ ჩემთვის შორია, თქვენ გარეშე ამ მანძილს ვერ შევეჭიდები.

ფიფი ნასიამოვნები დარჩა ამ მოულოდნელი თავმდაბლობით და მეგობარს გულიანად მიუგო, - თუ გამოსეირნებას კიდევ გადაწყვეტ, შენ გვერდით მიგულე.

ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად იყო, მხოლოდ ჩახჩახა მაინც დარდობდა, ჩუმად, თავისთვის, - ჭოტთან შეხვედრა ეძნელებოდა, მისი ნახვა არ სიამოვნებდა, მაგრამ რას გააწყობდა? გამოსავალი არ ჰქონდა. გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან სხვა გზა არ იცოდა, თანაც მოვალეობა? იმ ღამის ჩიტმა ხომ სთხოვა, - დამეხმარე, გოგონა გამაცანიო, - აბა, რაღა უნდა ექნა, სახელი შეერცხვინა? არა და არა, ის ელჩი იყო, ყველაფრის მომგვარებელი. მეტი გმირობა მართებდა, უნდა გაეძლო, - არაფერს შევიმჩნევ, რა საჭი-

როა, ბავშვი წინასწარ შევაშფოთო. იქნებ, ის თვალებგადმოკარკლული, ფუღუროში არც ბრძანდებოდეს, - თავი დაიმშვიდა, გამხნევდა, გოგონას მიუბრუნდა, - იცი, რას გეტყვი? ვამაყობ იმით, რომ მოვალეობას პირნათლად ვასრულებ, არ ვიტყუები და სიკეთეს ვემსახურები.

- რა თქმა უნდა, ფიფი, ნამდვილი გმირი ხარ! ჯერ კიდევ ჭიჭის დაბადების დღეზე მივხვდი ამას, შენმა საქციელმა მიჩვენა, - მიუგო მეგობარმა.

ფიფიმ სიტყვა შეასრულა გოგონა ჭოტთან მიიყვანა

და აი, ჭოტის საცხოვრებელს მიაღწიეს. კატის იმედები, - იქნებ სადმე იყოს წასული, ან ღრმად ეძინოსო, არ გამართლდა. ფრინველი ტყეს არასოდეს ტოვებდა, მუდამ თვალყურს ადევნებდა. ჰოდა, გაიგო თუ არა ხმა, ფუღუროდან დიდი თავი ამოყო, მიატრიალ-მოატრიალა, მერე ქვემოთ ჩაიხედა, ხეებს შორის სტუმრები დაინახა და გაოცებისგან თვალები გადმოკარკლა, ფოჩიანი ყურები ცქვიტა, სიხარული დაეტყო. - ყოჩაღ, ამ კატამ აასრულა, რაც ვთხოვე. მართალია, ეს ძალიან ჩქარა მოხდა, დასახვედრად მთლად მზად არა ვარ, მაგრამ ისეთიც რა მჭირდება? ლაპარაკი შემიძლია, ჩემი განთქმული ჭკუაც თან მაქვს. აბა, ვნახოთ, როგორია გოგონა, ჯერ მისგან მხოლოდ ის მჭირდება, რომ გულისხმიერი იყოს, სიყვარულს ატარებდეს. ახლა უნდა შევემზადო, მაგრამ ყურადღება რითი მივიქციო? ამ პატივცემულ ბავშვს ნაფოტს ხომ არ ვესვრი? - საგონებელში ჩავარდა ჭოტი.

ნანატრი შეხვედრა

მოგზაურები უფრო მოახლოვდნენ. ტყის ბატონ-პატრონმა ესღა მოიფიქრა, მორიდებულად ჩაახველა, - ჩემს აქ ყოფნას ასეთნაირად მაინც შევატყობინებო.

- ვაი, აქ ვინ არის? - შეკრთა ბავშვი.

- ჰმ, ჰმ, ჰმ! უკაცრავად, მოგესალმებით ყველას, ყველას! - მოისმა ზემოდან.

- საშიში არაფერია, - დროულად ჩაერია ჩახჩახა, - ეს, ჩვენი მეზობელი, ამ ტყის მცველი ჭოტია.

- სახელად ბეგე, - ჩაურთო ფრინველმა.

- შენთან შეხვედრის სურვილი ჰქონდა. ჰოდა, ეტყობა, ამის დროც მოვიდა. აი, კიდევ ერთ ახლობელს შეიძენ, - გააგრძელა ახსნა-განმარტება ფიფიმ, მერე ფრინველს შესძახა, - აბა, გაიცანით ერთმანეთი!

ორივე მხარემ თავი შეიკავა, დამალა, ერთმანეთის მიმართ, მაინცა და მაინც კეთილგანწყობილნი რომ არ იყვნენ.

გოგონამ უშველებელ ხეს ახედა. ხშირ ფოთლებში გაბურძგვნილი, თვალებგადმოკარკლული ჩიტი გაარჩია, აცქვეტილი ფოჩიანი ყურებითა და მოღუნული ნისკარტით. ის საყვარლად იცქირებოდა და არაფერი ეცხო იმ იდუმალებისა, რომლითაც სავსე იყო მისი ხმა, ღამეული ტყიდან გაგონილი.

ჭოტი, როგორც უფროსი და თან მასპინძელიც, ბავშვს პირველი წარუდგა, ზრდილობიანად მიმართა, - ჰმ, ჰმ, მოხარული ვარ, კარგა ხანია ამას ველოდები, შენზე ბევრი რამ მსმენია, მაგრამ შეხვედრა სულ სხვაა.

- გამარჯობა, ბატონო ჭოტო! - სიხარულით გაეპასუხა გოგონა, - ბეგე, - დაამატა მოგვიანებით, - თქვენი ხმა მესმოდა, მანახა-მეთქი, ვნატრობდი. როგორ ბრძანდებით? ტყეში სულ მარტო რას აკეთებთ, არ გწყინდებათ?

- ეჰ, ვარ აქ, ვყურყუტებ. სიმარტოვე რა მოსატანია იმასთან, რაც მაწუხებს? - ერთ წამში გული გადაუშალა ფრინველმა.

გოგონას ჭოტიკო შეეცოდა, ხესთან ახლოს მივიდა და მთელი გულით ჰკითხა, - მაინც რა გაწუხებთ, რა!?

- რამდენი ხანია გულისხმიერი, თბილი მომართვა არ გამიგია, ვზივარ და ველოდები, - დაიწყო ბეგემ, - ადრე, დიდი ხნის წინ, ერთმა ტყისმცველმა მიპოვა და თავისი სიკეთით მიმიჩვია. მხოლოდ მან იცოდა, სად ვცხოვრობდი. ზამთარში, მშიერი რომ არ მოვმკვდარიყავი, პური მოჰქონდა. მერე ის უგულისყურო, დაუდევარმა ხალხმა მიდამოდან გააგდო. მას შემდეგ, ირგვლივ, მხოლოდ ცულისა და ნაჯახის რაკუნი ისმოდა. ტყე განადგურდა, გაჩანაგდა. ბოლოს, საინტერესო რომ აღარაფერი დარჩა, ბოროტისმქმნელებმაც დატოვეს აქაურობა. კარგა ხნით სიჩუმემ დაისადგურა. მერე, გავერანებულმა ბუნებამ თანდათან იმძლავრა და განახლება დაიწყო. სიკეთემ ბოროტებას სძლია, მაგრამ ესაა, კეთილშობილ ადამიანს აქ აღარ გაუვლია. მას აქეთია ვუცდი, ველი მის გამოჩენას. მინდა, ამ მხარემ დამცველი, ქომაგი იპოვოს. თქვენი დასახლების ამბავი გავიგე თუ არა, გავფაციცდი, ვინ იცის, ვინ არიან? იქნებ, ცუდის მკეთებლები დაბრუნდნენ-მეთქი, მაგრამ თანდათან ყველაფერი გაცხადდა. აქ უკვე ყოველი ხე, ფოთოლი თქვენი სიკეთის შესახებ ჩურჩულებს. ჰოდა, იმედი მომეცა, ფრთები გავშალე, ხასიათზე მოვედი და კვლავ დავიწყე სიბნელის გახმოვანება.

- ძალიან, ძალიან საყვარელი ხმა გაქვთ! სულგანაბული გისმენთ ხოლმე, თითქოს ასე იძახით, - ღამეა, ღამეა! - უთხრა გოგონამ.

- ყოჩაღ, კარგად გაგიგონია. გეტყობა, რაღაც-რაღაცების გამოცნობა შეგიძლია. დიახ, ღამეს ვუმღერი, მასაც სჭირდება გალობა. აბა, მარტოდმარტო მივატოვო? სულ ერთი დასტვენით, მოკრძალებულად გახსენებთ, - აჰა, მოვიდა იგი იდუმალი, მშვენიერი, ჩამოდგა, რომ მოისვენოთ, იოცნებოთ, იფიქროთ, ძილში სიზმრებს დაუძახოთ და დილით საინტერესოებმა გაიღვიძოთ. მართალია, ეს ჭიკჭიკი სულაც არ არის, მაგრამ ჩემი გალობა ასეთია, მოუსმინეთ და ჩაუკვირდით.

- მთელი ზამთარი ვფიქრობდი, როგორ მომეძებნეთ, ვაკვირდებოდი ხმა საიდან ისმოდა, ვიმახსოვრებდი, - მიახარა ბავშვმა, - თქვენ ფუღუროს იცვლით?

- ანუ ჩემს ბინას? - შეუსწორა ჭოტმა ზრდილობიანად, - არა, ერთგულება მახასიათებს, მით უმეტეს, მიზეზი მაქვს.

- რა მიზეზი? საიდუმლოა?

- შეიძლება ასეც ითქვას. დაელოდე, როცა საჭირო იქნება, აუცილებლად გაიგებ, რადგან მომწონხარ და დამეგობრებას ვაპირებ. მჯერა, ეს შეხვედრა ბევრ საკითხს მოაგვარებს, - მიუგო ჭოტიკო-ბეგემ.

მოლოდინი

- ისევ მოლოდინი? ჩვენს მიდამოში ყველა ელის და ყველას საიდუმლო აქვს, - დიდი ადამიანივით თქვა გოგონამ.

- გეთანხმები. რა, გიკვირს? შენც ასე არ ხარ? ხან ქარს ელოდები, ხან ნისლს, მალულად, რაღაც ამბავიც შეგინახავს.
- ეგეც იცით?
- აბა, მე ამ მიდამოში არ ვცხოვრობ, თუ? - გაბუმბულდა ბეგე.
- ამ საიდუმლოს ძალიან ვუფრთხილდები, მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, მშობლებს ვერ ვეტყვი, - მთელი გულწრფელობით თქვა პატარამ.
- ეგ სადარდებელი სულაც არ არის, ამის უფლება ყველას აქვს, ხოლო, თუ საიდუმლო სხვამ გაგანდო, ის მით უმეტეს, არ უნდა გაამხილო. ჩემი აზრით, აუცილებელია, გულში ფარულად რაიმეს ატარებდე, ცუდ განზრახვას არ ვგულისხმობ, ხომ გესმის? ამის გარეშე, ძალიან მსუბუქი იქნები, თავში მოსულ აზრებს ვერ დაიჭერ, დაფანტავ.
- რა ჭკვიანი ბრძანდებით! - შესძახა ბავშვმა.
- გმადლობ სასიამოვნო სიტყვებისთვის, ნელ-ნელა სიბრძნეს შენც შეგასწავლი, თუმც ბევრი რამ უკვე შეგიძენია. მთავარია, ბუნების ნაწილი გახდე, მას უსმინო, მისი ძახილი გაიგონო, კიდევ, აი რა, „შენი შიშის“ უნდა გეშინოდეს, - ჭოტს ხმაში იდუმალება შეეპარა.

შიში

- როგორ ჩემი შიშის? - ახლა აქეთ გამოკრთა იდუმალება.
- დიახ, შიში ყველას თავისი აქვს, - დაადასტურა ფრინველმა, - ერთს ერთი რამის ეშინია, მეორეს - სულ სხვა რაღაცის.
- ადრე ამას არ დავკვირვებივარ, ეგ ჩემი შიშიც საიდუმლოა? - ფრთხილად იკითხა ბავშვმა.
- არა, შეგიძლია გაამხილო, მაგრამ უნდა დაიცვა, - დაბეჯითებით თქვა ბეგემ.
- რაა? - პირი დააღო პატარამ.
- აი, დავუშვათ, რამემ შეგაშინა, თუნდაც ტყეში გაგონილმა ხმამ, როგორც კი ამას გაამხელ, იმ წამსვე დაგამშვიდებენ, - მოგესმაო, არ არსებობსო. მართალია მერე ეს? რა საჭიროა გაგიქრონ, გაგიუბრალოონ ის წარმოსახვა და დაფიქრება, რომელიც შიშს ახლავს? - დაარიგა ფრინველმა.
- აბა, მეშინოდეს?
- საშიში რა არის? შიში წარმოსახვაა, ის, რაც შენ გგონია. ჰოდა, ამ წარმოსახვებს, ათასგვარს, ნაირნაირს გონებაში შეინახავ, იმ დრომდე, სანამ გამოჩნდება ვინმე, ვინც გაგიგებს, გაიზიარებს, - დაამშვიდა ჭოტიკო-ბეგემ.
- მშობლები? არ დაგიჯერებენ და ვერც მაგ „გაიზიარებს“ შეძლებენ? - იკითხა ბავშვმა.
- როგორ არა, მაგრამ თან ეცდებიან, უსიამოვნებას აგარიდონ. მუდამ უდარდელი ცხოვრება კი დიდად საინტერესო არ არის, - მიუგო ჩიტმა.
- ძალიან გამიხარდა, რომ გაგიცანით! - შესძახა აღტაცებულმა გოგონამ, - გამოგივლით ხოლმე, დამარიგეთ.

- რაოდენ სასიამოვნოა ამის მოსმენა, პატარებს ხომ ნაკლებად უყვართ, როცა ასწავლი, - თითქოს თავის თავს უთხრა ფრინველმა.
- რატომ? მე მომწონს, როდესაც ვეკითხები და პასუხს ვიღებ, - მხრები აიჩეჩა ბავშვმა. - აბა, მაშ მიხვდი, აქ რას ვაკეთებ? - ჩაეკითხა ბეგე და პასუხის მოლოდინში კიდევ უფრო აიბურძგნა.
- დიახ, ამ ტყეს, საიდუმლოს და თქვენს შიშს სდარაჯობთ, თუ ჩემსასაც გაგიმხელთ, დაიცავთ ან იმას იზამთ, გაიზიარებთ.
- ოჰ, ოჰ, ოჰ! რა გონიერი, საყვარელი გოგონა ხარ! დღეა, მაგრამ უნდა გიგალობო, - და ფრინველმა გრძლად დაუსტვინა, - ჭოოტ!

ჭოტს უმადურობა არ მოსწონს

- ოჰ, რა ამბავია? ახლა მთავარი ჭკვიანი შენ ხარ? - აწრიპინდა ჭიჭი, - მოიგონა გასაოცებელი, რა შიში, რისი საიდუმლო? მთელს ქვეყანაზე საუკეთესო თვისებებად გამბედაობა და დაფარული აზრების არქონა ითვლება.
- მაგაზეც მოგახსენებ! - მკაცრად მიუგო ჩიტმა, - თვით უშიშარსაც აქვს თავისი შიში, ასეა, შეიძლება უამრავი ომი გამოიაროს, მაგრამ მაინც გამოინახება ისეთი რამ, რაც შეაშინებს, მაგალითად, მარტოობა. დაფარული აზრის ქონა კი მხოლოდ მაშინაა ცუდი, თუ მასში ბოროტება ან დანაშაული იმალება.
- უჰ, რა საინტერესო საუბარია? მოდით, ჩამოვსხდეთ, შევისვენოთ. მინდა, ჭოტიკოს ველაპარაკო, კიდევ ბევრი რამ გავიგო, თან ტყის იქით მცხოვრებ ბებიებზეც ვკითხო, - გადაწყვიტა გოგონამ.
- ო,ო,ო, ბებიებს ვიცნობ. აგერ, ჩვენი ელჩიც იყო მათთან, - ბეგემ ჩახჩახას გადახედა, - მე ისინი მიყვარს. შენ, არც აქ და არც მათთან, საშიშროება არ გელოდება, დანარჩენი საკუთარი თვალით ნახე, გრძნობით, გონებით შეიცანი, რად მინდა, წარმოდგენა შეგიცვალო? ყველას თავისი მოლოდინი აქვს, მე ხომ მაგასაც ვიცავ! - ამაყად გამოაცხადა მან.
- მიაუ, ვითომ ბევრი ხომ არ არის? - ზრდილობიანად ჩაერია ფიფი.
- რატომ? - მიუხვდა ჭოტი, - რაზეც ვლაპარაკობ, ყველაფერი კარგად ვიცი. რისი მცველიც ვარ, იმასაც მშვენივრად ვუვლი. დიახ, მე ღამის ჩიტი ვარ! შიშით, მოლოდინითა და საიდუმლოებით სავსე ღამის, მაგრამ ნუ დაფრთხებით, ლამაზი სიზმრები, სინაზე და წარმოსახვებიც მისი კუთვნილებაა, დამიჯერეთ. ის ადამიანები, რომლებიც ასევე ფიქრობენ, ჩემს ხმას გარინდულნი ელიან, უსმენენ და მოსწონთ, როგორც ბულბულის სტვენა ან აი, იმ ჩემი ნაცნობი ნიბლიას გალობა, - დააბოლოვა სიტყვა ფრინველმა.
- ნიბლიას, შემთხვევით, „ჩვენ ჩიტი“ ხომ არ ჰქვია? - იკითხა გოგონამ.
- დიახ! - იყო პასუხი.
- მაგასაც იცნობთ? - გაკვირვებისგან ბავშვს თვალები გაუფართოვდა.
- მაქვს ბედნიერება! - მოისმა ზემოდან.

გაოცებულმა ტყის სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს, - ჭოტიკო მართლაც გულთმისანიაო.
- კარგად გალობს, მაგრამ უწესო და უმადურია! - განაგრძო ბეგემ, - ამ ტყის თავზე მშვიდად ფრენს. დასასვენებლად, რომელ ხეზეც უნდა, იმაზე ჯდება და ამას არ აფასებს, არავის ესალმება, არც მოიკითხავს. ეს ადგილი მისთვის მხოლოდ გზის, მანძილის ნაწილია, მეტი არაფერი. დარწმუნებული ვარ, უკეთესი მხარე რომ იპოვოს, აქაურობას და იმ კეთილ ბებიებსაც, რომელთაც საკუთარი ხელით გამოზარდეს, დაუფიქრებლად მიატოვებს, - თანდათან გაბრაზდა ჭოტიკო.
- მაგას ჩვენც მივხვდით. სახლიკოსთან მობრძანდა, მიმიღეთო, - ჩაიწრიპინა ჭიჭიმ.
- აჰა, ხომ ვთქვი, უმადურია! მე რომ შევატყობ, წყალი არ გაუვა! - შესძახა ტყის ბატონ-პატრონმა.

გოგონა დანაშაულს აღიარებს და სინანულს გამოთქვამს თავისი საქციელის გამო, ჭოტიკო-ბეგე მას ამხნევებს

გოგონა მოიბუზა, თავი ჩაღუნა. სიტყვა უმადურობამ იმოქმედა, გული მოუკლა. განა, თავადაც უმადურად არ მოიქცა? დრო იხელთა, დაუკითხავად გამოსწია, საყვარელი მშობლები მოატყუა. თუკი მისი საქციელი გამოაშკარავდებოდა, დედ-მამას, როგორ აუხსნიდა, ეს რატომ გააკეთა? დავუშვათ, შეგვიანებოდა, მერე? ძებნას დაუწყებდნენ, ინერვიულებდნენ. მეგობრებიც ხომ მან აიყოლია, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. სახლიკო? საყვარელ მეზობლებს თვალებში ვეღარ შეხედავს. ვეება? ერთგული სახლი? ახლა ისიც დარცხვენილი იქნება. ლალალა? მხოლოდ იმიტომ მოდის, რომ გოგონას არაფერი დაუშავდეს, თორემ, ის, გუნდასთან ერთად, ისედაც ბედნიერია. დავუშვათ, საშიშროება გაჩნდა, ძაღლი მისი გულისთვის თავს გასწირავს, ჰოდა, რამე რომ მოუვიდეს, რა ეშველება პატარა ლეკვს ან თვითონ გაძლებს მეგობრის გარეშე? მართალი იყო ვეება, მართალი იყო სახლიკოც, მათი დარიგება უნდა შეესმინა. სახლები არიან, ერთგულები, თბილი ჭერი აქვთ, გიფრთხილდებიან, - მძიმე ფიქრებმა წაიღო გოგონა, ცოტა ხანში, მგონი უკან მიბრუნებასაც დააპირებდა.
- რა მოგივიდა? მგონი, რაღაც გაწუხებს, თანაც სიტყვა ერთ საკითხზე რომ ჩამოვაგდე, გუნება სწორედ მაშინ გაგიფუჭდა. რა, შენც უმადურად მოიქეცი? - ჩაეკითხა ჭოტი და ფოჩიანი ყურები ცქვიტა, სმენად იქცა.
ბავშვმა თავი ასწია, მწვანეში ჩაფლულ ჩიტს ნათელი თვალები შეანათა და გაბედულად უთხრა, - დიახ, ასეა! როგორ მიხვდით? ძალიან დამნაშავე ვარ, არა?
- ჯერ, პირველ კითხვაზე გიპასუხებ, - დინჯად დაიწყო ბეგემ, - როგორ მივხვდი და ადვილად. ვიცი, მუდამ მშობლებთან ერთად ხარ, თავს გევლებიან, ასე შორ გზაზე მარტო ვინ გამოგიშვებდა? დავალაგე ეს ყველაფერი და დავუშვი, რომ გაუფრთხილებლად წამოხვედი ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გა-მო-ი-პა-რე.
- ასეა, ჭოტიკო, ასე! - დაირცხვინა გოგონამ, - რა ვქნა, აღარ მეამხანაგები?

- ვითომ, რატომ არა? ახლა მეორე კითხვაზე მიიღებ პასუხს. ვხედავ, შენივე საქციელის გრცხვენია, ესე იგი, უმადური კი არა, უბრალოდ ცელქი ხარ. ეს უკვე უკეთესია, ასეც უნდა იყოს! აბა, ბავშვი ხარ თუ დიდი? შენ შენი აღმოჩენები გელოდება. გამართლებული ხარ, რადგან კეთილი მიზანი გამოძრავებდა, თანაც, ამ შემთხვევაში, მე აქ ინტერესს, აღმოჩენის სურვილსა და სირთულეების გადალახვის ძალასაც ვხედავ. აი, სწორედ ამის გამო მომწონხარ! - შესძახა ტყის გუშაგმა.

- გმადლობ, საყვარელო ჭოტიკო-ბეგე! - სიხარული ვერ დამალა ბავშვმა, - ვიცი, დაუკითხავად არ უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ ასეთი რამ ერთხელ მოხდა. რა კარგია, რომ გამიგე და მაპატიე! ახლა რა ვქნა, დავბრუნდე და მშობლებთან ერთად წამოვიდე? მირჩიე რამე, - შეეხვეწა ის.

- არა, არა, მაგ საქმეს აღარ ეშველება. ეს ნამდვილი თავგადასავალია, - ჩააჭოტ-ჭოტა ჩიტმა.

საუბარი გრძელდება, ჭოტიკოს და გოგონას ძალიან ბევრი საერთო აქვთ

- მოიცა, მოიცა, ტყის პროფესორო, ამდენი დრო არ გვაქვს, - გააწყვეტინა ჩახჩახამ, - ლექციის მოსასმენად ცალკე მოვალთ, გზა უნდა გავაგრძელოთ. უმჯობესია, ბავშვზე დაფიქრდე, ვინ არის და როგორია, მიმიხვდი?

ფრინველი ისე იყო როლში შესული, აღარაფერი ახსოვდა: ბუმბული აშლოდა, თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, თავი მთლად გასიებოდა. ამ სიტყვებზე გამოერკვა, კატას გაბრაზებით გადმოხედა.

- და აბა, ახლა მე რას ვაკეთებ? ვერ ხედავ, გოგონა მომენდო, ამყვა. ასეთი მოსაუბრე სადაა? იმდენი საერთო გვაქვს, გაჩუმდი, დაგვალაპარაკე! ჯერ ყველაფერი არ გამირკვევია, მაგალითად, რატომ მოიქცა ასე? კარგი ქნა აქეთ რომ გამოეშურა, თუ არა? რისი ეშინია? შეიძლება, მისი შიში აქ სულაც არ არის და ის სულ სხვაგან ელოდება, ეს მნიშვნელოვანია.

- ჭოტიკო-ბეგე, დაგეხმაროთ? - წამოეშველა ბავშვი.

- აბა, აბა? - დადარაჯდა ჭოტი.

- ამ გზას ისე დავადექი, არაფრის შემშინებია, არც მგლის, არც დათვის, ისედაც კარგად ვიცი, ისინი აქ არ ბინადრობენ. მე სულ სხვა რამ მაწუხებს, - როგორ შემხვდებიან ბებიები? მართალია, კეთილი ადამიანები არიან, ჩახჩახას უმასპინძლეს, სთხოვეს კიდეც, შენი პატრონები ჩვენამდე მოიყვანეო, მაგრამ მაინც ვდარდობ, მიმიღებენ, შემიყვარებენ? შევძლებ მათ დახმარებას, გამხიარულებას? მგონი, ჩემი შიში ესაა და ის სწორედ აქაა, არა? - დაბალ ხმაზე ლაპარაკობდა გოგონა, თავიც დაეხარა.

- მოიძებნება კიდევ სადმე ასეთი ჭკვიანი, კეთილი და გულისხმიერი ადამიანი?! - გადმოსძახა მოგზაურებს ბეგემ, - ხედავთ, ამ პატარას, რისი შინებია? სიკეთეს ვერ დავხარჯავ, სხვებს ვერ გადავდებო! როგორ გაგიმართლათ, როგორ, თქვენთან რომ დასახლდა. მან ცხოვრება გაგილამაზათ! - ფრინველმა ეს სიტყვები დიდი პატივის-

ცემით წარმოთქვა, მერე სული მოითქვა და ისევ ბავშვს მიმართა, - ახლა მთავარია, ყველა დაბრკოლება გადალახო და მოლოდინით გატანჯული ბებიები გაახარო! - აი, ამის შემდეგ, მან სიტყვა ნამდვილად დაასრულა.

მოგზაურები ჭოტიკო-ბეგეს ცოტა ხნით ემშვიდობებიან და ჰპირდებიან, რომ კვლავ მოინახულებენ

ყველა ჩუმად იყო. გოგონას ქებაც უხაროდათ და მჭერმეტყველებითაც მოიხიბ-ლნენ.

- ხის ჭიასაც აჯობა, - გაიფიქრა ჭიჭიმ.

- მაშ კარგი, ჭოტიკო-ბეგე, - დაიბრუნა ისევ დიპლომატია კატამ, - თუ ნებას მოგვცემ, გზას განვაგრძობთ, უკან მობრუნებულები კი, კვლავ შეგეხმიანებით, მანამდე შენც მოიფიქრებ, რას აპირებ შემდგომში, - ხმაში საიდუმლოებაც გაურია.

- ჰო, ჰო, მეც ძალიან მაინტერესებს მიხვიდეთ იქ, საითაც ბავშვს გული მიუწევს. აბა, ბედნიერად! მომავალ, უმოკლეს დროში, შეხვედრამდე! - ტყის ბატონ-პატრონი სტუმრებს გამოემშვიდობა.

მოგზაურობა განახლდა. ჭოტიკო-ბეგე კი ჩაფიქრებულიყო. უჩვეულო რამ ხდებო-და; უნდოდა, ფუღურო მიეტოვებინა, გოგონას გაჰყოლოდა და ენახა, როგორ აისრუ-ლებდა ის ოცნებას.

- ეს რა აზრები მომდის? ვდარდობ? - აღელვებით ჩაილაპარაკა მან, - არა უშავს, უკანა გზაზე ხომ გამომივლიან? - გამოსავალი იპოვა, გამხნევდა, თუმც იმ წამსვე მიხვდა, მერე ისევ მარტო დარჩებოდა, როგორც ყოველთვის, - ეჰ, - ამოიოხრა, გაბურძგნილი თავი გადააქნია და ფოჩიანი ყურები ჩამოყარა.

ტყემ გოგონას ცოტა შიში მოჰგვარა, ჭიჭი ბავშვის გართობას ცდილობს

მეგობრები ტყის გზას მიუყვებოდნენ. ცამდე ასული ხეები, ბინდი, სიგრილე, საო-ცარი, საიდუმლო სიჩუმე, მართალია, თავისებური ხმებით სავსე, მაგრამ მაინც სიჩუ-მე. ამ ყველაფერმა ბავშვზე გავლენა იქონია და, ცოტა არ იყოს, შეაშინა. ჭიჭი ამას მიხ-ვდა. გადაწყვიტა, რაიმე ეღონა, მისი ყურადღება სხვა მხარეს მიემართა.

- რაო, რა უთხარი იმ მართლა ჭოტს, უწესოდ მხოლოდ ერთხელ მოვიქეციო? - ხუმ-რობის ტონით მიმართა და პეპელას ახედა, ხოლო ჭიამაიას თვალი ჩაუკრა, - შენც ხომ იცი, მართალი არ თქვი. ტყუილები როდის აქეთ დაიწყე?

- რაზე ამბობ? - გაუკვირდა გოგონას.

- რაზე და სახლიკო როგორ იპოვე, დაგავიწყდა? მშობლებს გაეპარე. არა, მე კი მიხა-რია, ეს რომ ჩაიდინე. ეტყობა, ხანდახან, უწესოდაც უნდა მოიქცე, თუკი ისეთი მშვე-ნიერი რამ შეიძლება მოხდეს, როგორიც შენი და ჩემი გაცნობა-დამეგობრებაა. მეორე-ჯერ, მეგობრებთან ერთად მოხვედი, ასევე უფროსების დაუკითხავად. ნისლს რომ

გაჰყევი? მაგ შემთხვევაში, უნდა ითქვას, დიდი ვერაფერიშვილი ნაცნობობა გამოგივიდა. ჯერ დაგვაბრმავა, მერე ქარიშხალი მოგვიგზავნა, დაგვყინა. მისი სტუმრად მოპატიჟება არასოდეს მდომებია. პირადად მე, რაც მოხდა, გაპატიე, ვინაიდან გაინტერესებდა, ინტერესი კი პატივსაცემია. შენი კარგად მესმის, ასე არ ვარ? მუდმივად ვმოგზაურობ, აღმოჩენები მიყვარს.

- თუ საშოვარზე დახეტიალობ?! - ჩაიცინა ფისომ, მაგრამ ჭიანჭველა არ გაბრაზებულა. ადრე თუ ამბავს ატეხდა, ახლა ეს ნათქვამი უწყინარ ხუმრობად გადააქცია.

- მართალი ხარ, მართალი! ადრინდელი ცელქობები არც გამხსენებია. ცუდად გამომივიდა, - შეწუხდა ბავშვი, - ჭოტიკო მაინც მოვატყუე. დავბრუნდები და სიმართლეს მოვუყვები, რად მინდა, მეგობრობა ტყუილით დავიწყო.

- ძალიანაც ნუ იდარდებ, - დაამშვიდა ჭიჭიმ, - ვერ ხედავ, თავი როგორ მოაქვს? ვითომ ასეთი გულთმისანი და ჭკვიანია? ხის ჭიაზე მეტად?

- როგორც თქვა, ყველაფერი მართლა ისეა. იცის, ბევრი რამ იცის, მასთან საუბარი საინტერესოა, - შეეპასუხა გოგონა, - ისე, ჩვენს ჭიაზე მეტად ჭკვიანი რატომ არის? იმისნაირია, ოღონდ ერთი სახლში ცხოვრობს, მეორე კი - ტყეში.

- სიბრძნის მთქმელი ბევრი არ დადის, მაგრამ ის მოულოდნელ ადგილასაც შეიძლება შეგხვდეს, იმედი არასოდეს უნდა გადაიწურო. მე, მაგალითად, ადრე მოხეტიალე ჭკუაგონება ვიყავი, ახლა დავფუძნდი ერთ ადგილას, - გაისმა ამ დროს ფიფის ტრაბახი.

ჭიამაია ალაპარაკდა

- ისევ დაიწყეთ?! იქით ჭოტი, აქეთ ჭიჭი და ჩახჩახა! არ შეგიძლიათ, უბრალოდ იცხოვროთ? ჭკუა, ნიჭი ისე მოიხმაროთ, რომ ამის შესახებ სხვამ ილაპარაკოს? - გაისმა ამ დროს.

ყველა გაოცდა, რადგან ამას ჩუმი და წყნარი ჭიამაია ამბობდა. იგი ხომ ხმას იშვიათად იღებდა, მუდამ მორიდებული, მოკრძალებულად ცხოვრობდა, თუმც მის კუთვნილ სიკეთეთა სიაში სამი რამ ნამდვილად ეწერა: პირველი, - მშვენიერი იყო, წითელი, შავად დაწინწკლული, ყვავილებს ძალიან უხდებოდა. ამ პაწაწინა, უწყინარი არსების დანახვისას, ყველას გულში სითბო და სიყვარული ეღვრებოდა. მეორე, - ამინდის გამოცნობა შეეძლო, თუკი ჰკითხავდნენ, - ჭია-ჭიამაია, დღეს როგორი დარია? და მესამე, - ყველასთან სულითა და გულით მეგობრობდა. სახლიკოს, მარტოობისა და მოწყენილობის დროს, გვერდით ერთგულად ედგა. მას ნამდვილად ჰქონდა უფლება ამ დელეგაციის წევრი ყოფილიყო და თავისი აზრიც გამოეთქვა. იგივე ითქმოდა პეპელაზეც, რომელიც, გოგონას თავსამკაულად გადაქცეული, ყვითლად ბრიალებდა, სათუთ ფრთებს ნებანება ამოძრავებდა და მწვანე ტყეს ალამაზებდა.

ტყე დამთავრდა და საყვარელი ლამაზი სახლი გამოჩნდა

ასე და ამგვარად, მოგზაურებმა იდუმალი ტყე გაიარეს, იქითა ტყისპირს გასცდნენ და ნანატრ მიდამოს მიადგნენ. იქაურობა მოათვალიერეს თუ არა, მზით გაბრწყინებული პატარა ეზოც შენიშნეს. ეზოს შუაგულში თეთრად აფეთქებული ალუბლის ხე იდგა. იქვე, ღობესთან, მშვენიერ ჰორტენზიებს ჩაეხარათ ლამაზი თავები. ირგვლივ სასიამოვნო სურნელი იფრქვეოდა, გაზაფხული მეფობდა. ზუსტად ისე იყო, როგორც უცნაურ ბებიას უნდოდა. აგერ სახლიც, - ნაღვლიანი, საყვარელი, სტუმრის მომლოდინე. ბავშვი მონუსხული შესცქეროდა. არა, ეს არც სასახლე იყო, - ბრჭყვიალა და ძვირფასი, არც ქოხი, - ძველი და თბილი. ამ სახლში ოცნება ათევდა ღამეს და ოცნება მას ელოდა.

კატა სიამაყით აღვსილიყო, - ნახეთ, რა ადგილას მოიყვანა მეგობარი! სახლმა თუ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა, მაშინ ბებიების იმედი ნამდვილად ჰქონდა, გოგონას მთლად მოხიბლავდნენ, თავს შეაყვარებდნენ, თანაც კვირა იყო, ცხელი პური და დაბრაწული „ატამი“- ნამცხვარი აუცილებლად ექნებოდათ, კიდევ ალუბლის წვენი. თავის მხრივ, მასაც გარჯას დაუფასებდნენ, ტკბილეულს გაასინჯებდნენ. პირის ჩატკბარუნება ნამდვილად ეკუთვნოდა, მან ხომ ღირსეულად ატარა ელჩის საპატიო წოდება და დანაპირებიც შეასრულა.

- რა კარგია, რა კარგიაა! - აყვირდა ჭიჭი, - ყოჩაღ! ყოჩაღ! ფიფი ხარ თუ ჩახჩახა, უშედეგოდ როდი გარჯილხარ? ვატყობ, შესანიშნავი მეზობლები გვეყოლება, კი არა, გვყოლია და არ გვცნობია.

ფისუნიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყველაზე მეტად ბუზღუნა მეგობრის ეშინოდა, - თუ არ მოეწონა, იჭიჭყინებს და ბავშვსაც თავის მხარეს გადაიყვანსო.

სრულიად მოულოდნელი შეხვედრა

მოულოდნელად, ახლად ამოსულ ბალახებში, რაღაც გაფაჩუნდა. სანამ გოგონა შეშინებას მოასწრებდა, ცხვირაპრეხილი ზღარბი გამოჩნდა, თვალები უპრიალებდა, ეკლები უცხო ყვავილებით მოერთო.

- ეკოლო? - წამოიყვირა ბავშვმა და შვებით ამოისუნთქა, - უჰ, როგორ შემაშინე! საიდან გაჩნდი? ჩვენ გამოგვყევი? რომ ვერ შეგამჩნიეთ?

- არა, არც ვიცოდი თუ აქეთ მოდიოდი. მე უფრო მეტად ვარ გაკვირვებული. დედიკო და მამიკო გზაში არიან? არ გადამრიო, მარტო ხარ?! - ათუხთუხდა ზღარბუნია. გოგონამ ისევ დაირცხვინა.

- მარტო რატომ არის? - ჩაერია ფიფი, - ამხელა ძაღლი და კატა ვახლავართ. რამეს გავუჭირვებთ, თუ?! უმჯობესია აგვიხსნა, უჩვენოდ რას წამობრძანებულხარ?

- მართალი გითხრათ, უფრო ტყისპირს და სახლიკოს მიდამოებს ვარ მიჩვეული. ამ მხარეს არც ვიხედები, შემთხვევით მოვხეტიალდი. ჰე, ჰე, მოგეხსენებათ, მოსართავე-

ბის ძიებაში, თავს სად არ ამოყოფ. ნახეთ, სულ სხვანაირი ყვავილებით ვარ მოკაზმული, ასეთი არც მინახავს, ჩვენკენ არ არის.
- სად გიშოვია? - გაეხუმრა ჭიჭი.
- აგერ, იმ ეზოში. იმდენია, ისე მოვირთე, ეკლები არც მიჩანს, - ზღარბუნია კმაყოფილი იყო.
- კიდევ რა არის იქ?
- ვერ ხედავ, სახლია, რა მოგივიდა? - გაუკვირდა ეკოლოს.
- სულიერი არავინ შეგინიშნავს? - ისევ გააგრძელა გამოკითხვა ჭიანჭველამ.
- გარეთ არა და ისე, რა ვიცი, ცხოვრობს ალბათ ვინმე.
- გასაგებია, ზიზილ-პიპილების მეტს რას შეამჩნევდი, პრანჭია?! - დასცინა მწერმა და მეგობრებს მიუტრიალდა, - აბა, აქამდე მშვიდობიანად მოვსულვართ და საქმე დავაბოლოოთ, ეზოში შევიდეთ, შეიძლება კიდეც გამოგვხედონ, თუ არა, შევძახოთ, მივუკაკუნოთ. სწრაფად, გაინძერით, უკანაც ხომ უნდა დავბრუნდეთ?!

ყვითელმა პეპელამ თანხმობის ნიშნად ფრთები შეარხია, ააფარფატა, უნდოდა გოგონა უფრო შესამჩნევი ყოფილიყო. ის ხომ შუქურას როლს ასრულებდა, მისი წყალობით, ბავშვი ყოველი მხრიდან კარგად ჩანდა.

გოგონამ მოწყენილი სახლის ეზოში ფეხი შედგა

გოგონამ ჭიშკარი უხმაუროდ შეაღო და ეზოში ფეხი შედგა, ისე, როგორც ადრე, როცა სახლიკო იპოვა, ოღონდ ახლა მარტო აღარ იყო, ერთგული მეგობრები ახლდნენ. იქაურობა მოვლილი, ნალოლიავები ჩანდა. შესასვლელთანვე, ღობის ძირში, ციცქნა ყვავილები ახარებდა თვალს. ფერად-ფერად, მშვენიერ ჰორტენზიებს მორიდებულად ჩაეხარათ ლამაზი თავები. მოშორებით, მარჯვენა კუთხეში, ბოსტანი გაეშენებინათ: კვლებში მწვანე, დახორკლილი კიტრები წამოგორებულიყვნენ, თავზე ყვითელი, ხავერდოვანი ქუდები მოეგდოთ და მზეს იჩრდილავდნენ. ზემოდან, წითლად აღაჟღაჟებული, მწვანე ყუნწიანი პომიდვრები დასცქეროდნენ, ერთმანეთში შეხმატკბილებულად თუ საუბრობდნენ. მოშორებით, ხახვებს ამოეყოთ თავები. ამობიბინებული მწვანილი მადისაღმძვრელ სურნელს ავრცელებდა.
- უჰ, მგონი მომშივდა, გემრიელი კერძის სუნი მცემს, ნერწყვებს ვყლაპავ, - წამოიძახა გოგონამ.
- ბავშვო, შიმშილისგან არ გეჩვენება, მართლა ასეა. ეს ბოსტანია. მასზე სწორედ ის მოსავალი მოჰყავთ, რომლის საშუალებითაც სადილი მზადდება, აბა, - კატამ თავისი ცოდნა მთელი ღირსებით წარმოაჩინა, - დიახ, უნდა იცოდეთ, მის გაშენებას გულმოდგინე, ყოველდღიური შრომა ესაჭიროება, თორემ ასეთი სილამაზე კი არა, გადამხმარი, სარეველებით სავსე ადგილი დაგხვდებათ. აქ ნათლად ჩანს, ეზო-კარი ნამდვილად გამრჯე, გულმოდგინე ადამიანს ეკუთვნის, რომელსაც კარგად ვიცნობ, უდიდეს პატივს ვცემ და მასთან კიდევ ერთ შეხვედრას მოუთმენლადაც ველი, - მჭერმეტყველებდა ფიფი.

- ასეთი რამ არასოდეს მინახავს! - შესძახა მთლად თვალებად ქცეულმა გოგონამ, - ყოჩაღ, ჩემო კატუნი, რა ადგილი გიპოვია! დიდი მადლობა, დიდი! ერთი სული მაქვს, ეგ არაჩვეულებრივი ადამიანი გავიცნო!
- მარტო ბოსტანი ხომ არ არის? აი, ულამაზესი ჰორტენზიები მეორე ბებიას ეკუთვნის, თავს ურჩევნია, - ჩაიკრუტუნა სრულიად კმაყოფილმა ჩახჩახამ.
- ოჰოჰოჰოჰოჰ! ბაღი და ბოსტანი, ბოსტანი და ბაღი. რა ვიცით, რომ მართალს ამბობ? - დაიჭიჭყინა ჭიჭიმ.
- როგორ გეკადრება, ისევ მემტერები? ზუსტად ასეა, სამეცნიერო წიგნებში მაქვს ამოკითხული. ელჩი არ იტყუება! - ეწყინა ფისუნიას.
- არა, არ გემტერები, რაღა დროს ეგაა? უბრალოდ, როგორც შენ ამბობ ხოლმე, მინდა სამართლიანობამ გაიმარჯვოს. ერთი რამ უცნაურად მეჩვენება და რა ვქნა? სახლში, შენს წიგნზე ათასში ერთხელ გადაგორდები, ადრეც ასე იშვიათად თუ კითხულობდი, ამდენი რამ როდის ისწავლე? ეჭვს იწვევს, ეჭვს ეს ამბავი! - კეფა მოიფხანა ჭიანჭველამ.
- გიპასუხებ, სამართლიანობას თუ დაეძებ, სწორედ რომ აქ არის, ჩემთან! დიახ, რაც წავიკითხე, მიდამოში მოსვლამდე წავიკითხე, ცოდნის უმეტესი ნაწილი უკვე შეძენილი მაქვს. ახლა შემიძლია მშვიდად ვიყო, თვალი წიგნს ხანდახან გადავავლო, აქაიქ, გართობის მიზნით, - ამაყად მიუგო ჩახჩახამ და დაამატა, - მოკლედ, შენი თავი არ მაქვს, მით უმეტეს, რომ ერთი ბწკარიც არ წაგიკითხავს. წამოდი, ბავშვო, საქმეს მივხედოთ!
- ჰოდა, ესე! - დაეთანხმა გოგონა, - მიდი, ფიფი, წაგვიძეხი, უშენოდ ნამდ-ვილად არაფერი გამოვა.
- მიაუ, თავმდაბლურად გმადლობ, - ჩაიკნავლა კატამ და, ფუმფულა კუდის ნელი რხევით, კიბისაკენ გაემართა, დანარჩენებიც მიჰყვნენ. ჭიჭიმ თავი გადააქნია.

გოგონა ლამაზი სახლის პატრონებს მალე შეხვდება

ჩახჩახა კიბეზე შეხტა, საფეხურები აირბინა, კართან შეჩერდა და გოგონას მოხედა. ბავშვი, რომელმაც მთელი ტყე უშიშრად გამოიარა, თვით ამპარტავანი ჭოტი მოხიბლა, ახლა ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა. რატომ უკვე იცოდა.
- აი, ჩემი შიში! ბებიებთან შეხვედრის მეშინია. მინდა, მათ მოვეწონო, შემიყვარონ. ასე თუ არ მოხდება, უკან ძალიან მოწყენილი დავბრუნდები. მეშინია, ნამდვილად მეშინია! - გამალებული ფიქრობდა. დრო კი არ იცდიდა, სადაცაა კარი გაიღებოდა, უნდა გაებედა, მასპინძლებს დანახვებოდა. ის ხომ გოგონა იყო, მიდამოს სიამაყე, მშრომელი, ჭკვიანი, გაბედული და ინტერესიანი. აბა, ასე თავჩახრილი და მობუზული ვის მოეწონებოდა?! ბავშვი შესწორდა, ზევით აირბინა და, მოლოდინით სავსე, ზღურბლთან გაჩერდა. მას ლალალაც მიჰყვა. შესასვლელთან ატუზულმა ჩახჩახა-ფიფიმ გრძლად დაიკნავლა.

მოწყენილი სახლის კარი გაიღო და საქმიანი ბებია სტუმრებს სიხარულით შეეგება

შიგნიდან ფაჩუნი მოისმა. ეს, მოწყენილი სახლის მცველი, გრძელყურება მონადირე ძაღლი ყნოსავდა ჰაერს, კართან მდგომებს ამოწმებდა. ცოტა ხანში ყეფაც მოისმა, ხმა ხან ახლოვდებოდა, ხან იკარგებოდა, ეტყობოდა, ერთგული მეგობარი ბებიებს სასურველი სტუმრების მოსვლას აგებინებდა, თორემ ფოსტალიონის გამოჩენისას ხმას არ იღებდა, მეტიც, დრუნჩს უკმაყოფილოდ იბზუებდა, - კიდევ ეს მოვიდაო? და აი, კარი გაიღო. ბებიას, რომელიც მათ შეეგება, ალერსიანი თვალები ჰქონდა და ახლად გაღვივებული ცომის, მადისაღმძვრელი, სუნი ახლდა.

- პურს აცხობს, - ჩახჩახამ ტუჩები გაილოკა, - იფ, რა კარგ დროს მოვედი? ყველანაირად გამიმართლა, - კმაყოფილმა ულვაშებიც ააცმაცუნა. ის-ის იყო სტუმრების წარდგენა და მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმა დააპირა, რომ შიგნიდან ძაღლი გამოვარდა. მან, სიხარულისა და მეგობრობის ნიშნად, გოგონას ცხვირპირი აულოკა, ბებიამ კი ხელები მოხვია და გულში ჩაიკრა.

- მობრძანდი, მობრძანდი, გენაცვალე, გელოდით ჩვენ და ეს სახლი, ნუ მორცხვობ, ფეხი შემოდგი, აქაურობა გაანათე, - მერე, უკან დაიხია, გზაც მისცა, - სიხარულმა გადამრია, დაღლილი გარეთ დაგაყენე!

გოგონამ ზღურბლს მორიდებით გადააბიჯა, ხოლო ლალალა, ასევე მორიდებულად გარეთ გაჩერდა, შესვლის უფლებას დაელოდა.

- მოდი, ჩემო კარგო, განა შენ არ გელოდით? რა ჭკვიანი და ზრდილობიანი ხარ, სიამოვნებით გაგიმასპინძლდები, - შეეხმიანა ბებია ძაღლს.

და აი, ბავშვი, მეგობრებთან ერთად, დერეფანს გაუყვა. წინ, სასურველი სტუმრების გამოჩენით გახარებული ძაღლი გარბოდა. კატა, რომელიც თავს შინაურად გძნობდა, გულითადობის ნიშნად, ბებიას გრძელი კაბის ბოლოს ელამუნებოდა.

მოწყენილი სახლის სამყარო

ამგვარმა დახვედრამ გოგონა სრულიად დაამშვიდა. რამდენს ფიქრობდა ბებიებზე. ჰოდა, ახლა აქაა. ეგებება სახლი ჩურჩულითა და ჭრიალით, კედლებს უხსნის. ირგვლივ სიძველეში გამოხვეული იდუმალება გამეფებულა. ცხოვრებაგამოვლილი ადამიანების სითბო დასტრიალებს თავს. ფერად მინებზე არეკლილი მზის სხივები წითლად, ყვითლად, მწვანედ, ლურჯად იღვრება იატაკზე და იქაურობას ამხიარულებს. ირგვლივ გასაოცარი სილამაზეა. ოჰ, ოჰ, ოჰ, მგონი, ეს სახლი მოწყენილი კი არა, გასხივოსნებული და კუდრაჭაა.

მოლოდინიც ცხოვრობს აქ? აგრეთვე ზეიმიც?

- რა კარგ ადგილას მოვხვდი! - წამოიძახა აღფრთოვანებულმა ბავშვმა. ეს სიტყვები მან მაშინაც წარმოთქვა, როცა სახლიკო იპოვა, - თითქოს, რაღაც დღესასწაულიაო, ნეტავ, სულ ასეა?

- იმიტომ, რომ აქ ჩვენ ვართ ჩასახლებული, - გაისმა უჩუმარი ხმა.

- ვინ თქვენ? ვინ ხართ? - ასევე ჩუმად იკითხა ბავშვმა, არც შეშინდა, არც დაიბნა, უცნაურობებს შეჩვეული იყო.

- ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე გამუდმებული მოლოდინი ვარ, - ხმა ახლა ყურთან ისმოდა, - ველოდები და ველოდები, სახლიც ამყვა, ბებიებიც ჩემს ჭკუაზე არიან.

- მერე, არ დაიქანცეთ ან ბებიები არ დაიღალნენ? ვიცი, რა ძნელიცაა მოლოდინი, - გაეპასუხა გოგონა.

- რას ამბობ? ჩემი საქმე ეგაა, რაც შეეხება ბებიებს, არავითარ შემთხვევაში, ჩემზე უარს არ იტყვიან, რადგან მათ ცხოვრებას აზრს ვმატებ. მარტო მათ კი არა, მოლოდინი ყველას სჭირდება. მე მუდამ ვარსებობ და თან დიდი თავისუფლება მახლავს!

- ოჰ, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! ვფიქრობ, უკვე გამოცდილი მყავხართ, მხოლოდ ეს ვერ გავიგე, თუ აქ ცხოვრობთ, აბა ნისლს, ქარს და დედიკოს ყვავილის ფერს ჩემთან რატომ ველოდები?

- იმიტომ, ჩემო კარგო, რომ მოლოდინი ყველას თავისი აქვს: ზოგი თოვლს ელოდება, წვიმას, ყვავილის გაშლას, ჩიტის მოფრენას, სხვების ბედნიერებას, - ნებისმიერ რამეს ან ვინმეს. მათი ნებაა, მხოლოდ უნდა ელოდონ, ელოდონ. სწორედ ჩემი არსებობა ხდის ცხოვრებას საინტერესოს.

- მეც, მეც აქ ვსახლობ, - ჩაერია ზეიმი, - კართან ვცხოვრობ, კუთხეში. გაფაციცებული ვარ, ფეხის წვერებზე ვდგები, რაიმე გასახარელი რომ დავინახო, მოვირთო, აქაურობა გავალამაზო. მიდი, ნახე, რა სუფრა მაქვს გაშლილი. ყველაფერი მზადაა, კვირა დღე ხომ აქ განსაკუთრებულია, ჩემია. მე და ბებიები ვთანხმდებით და ვზეიმობთ. მართალია, მოლოდინი გვეწინააღმდეგება, - კიდევ მარტო ერთობით, არ მოგეწყინათო? - მაგრამ მე ასე ვიტყოდი, - ხალისი შენში უნდა იყოს, როცა ეულად ხარ, მაშინაც! თორემ, თუ ჩაიხურე, სულ ვარსკვლავები რომ ცვიოდეს ციდან, მაინც ვერ გაიხარებ, ვერც სხვას მიანიჭებ ბედნიერებას, ასე ცხოვრება კი ძნელია. ამიტომ, გოგონა, შემიპატიჟე გულში, მეც გეწვევი და მუდმივ, დაუმთავრებელ სიხარულს მოგიტან.

- მოიცა, მოიცა, ეს ბედნიერი დღე რომ დადგა, წვლილი მეც მიმიძღვის, - ამაყად წარმოთქვა მოლოდინმა, - ველოდი და მოვიდა, ლოდინით მოვიყვანე, ჰოდა, იზეიმე, ზეიმო!

- ერთად რამდენი ხანი გაგიტარებიათ?! ორივე მომწონხართ, მუდამ თან მეყოლებით, გულშიც და სახლშიც! - თბილად მიმართა მათ ბავშვმა.

დიდი ამბები ხდება, ბავშვმა უცნაური ბებიაც გაიცნო

გოგონა სავარძელს მიუახლოვდა და შეჩერდა. კატა, ძაღლები იქვე დაცუცქდნენ. სავარძელში მჯდომმა, ძალიან ლამაზმა ბებიამ, როგორც ჩვეოდა, შუბლთან ხელი მიიტანა, თვალები მოიჩრდილა და ტკბილი ხმით იკითხა, - აბა, ვინ მოსულა?

- ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ გოგონა, ჩემი პატრონი და მეგობარი, - ზრდილობიანად ჩაიკრუტუნა ჩახჩახამ, - ჭკვიანი, მოსიყვარულე, ბუნების დიდი ქომაგი, გულისხმიერი ადამიანი. იმას დარდობდა, იქნებ, იქით ვინმე ცხოვრობს? ვიპოვოთ, რამეში გამოვადგეთო. ჰოდა, ვიცოდი რა, აქ რამდენად ღირსეული ადამიანები სახლობდნენ, გამოვუძეხი და მოვიყვანე. მოხარული ვიქნები, თუკი ერთმანეთს შეიყვარებთ!

- დაასრულა ფიფიმ დიპლომატიური წარდგენა.

გოგონამ ბებიებს მეგობრები გააცნო და მოსვლის მიზეზიც აუხსნა

- კეთილო ბებიებო, კიდევ ერთხელ მოგესალმებით! - ხმა ამოიღო ბავშვმა, - ისე მინდოდა თქვენი ნახვა და აი, გიპოვეთ. იცოდეთ, აქ არც მოწყენილობამ მომიყვანა, არც უსაქმურობამ, მხოლოდ დახმარების და მეგობრობის სურვილმა. ჩემს ამხანაგებს გაგაცნობთ, - ძაღლი ლალალა, ერთგული, ჭკვიანი, თუ საჭიროება მოითხოვს, დახმარებას არ დაგზარდებათ. შვილიც ჰყავს, პატარა გუნდა. ასევე აქ არიან: პეპელა, ჭიამაია და მოგზაური ჭიანჭველა. ფიფი-ჩახჩახა უკვე იცით. ეს შეხვედრა სწორედ მისმა გამბედაობამ და კეთილმა გულმა დააჩქარა. მე უსაზღვროდ მადლობელი ვარ.

ამ სიტყვების გაგონებაზე, კატამ ჩაიკნავლა, - რას ამბობ, შენი გულისთვის შეუძლებელს შევძლებო, - თავიც ჩაღუნა, დაირცხვინა, თუმც ხმაში სიამოვნება შეეპარა.

- ჩვენ მუდამ ერთად ვართ, ვერთობით,

ვთამაშობთ, მაგრამ ხოლოდ ეს არაა, მიდამოსაც ვუვლი. ბოლოს გეტყვით, ნატვრა ამისრულდა, ბებია არ მყავდა, დღეს კი ერთად ორი შევიძინე. უკვე მიყვარხართ.

მინდა თქვენი შვილიშვილი ვიყო, ვეცდები არასოდეს მიგატოვოთ, - დაასრულა გოგონამ და ფიქრიანი თვალები მოხუცებს შეანათა. გადამწყვეტ სიტყვას დაელოდა.

ბებიების სიხარულს საზღვარი არა აქვს, მათ გოგონაკ სუფრასთან მიიპატიჟეს, ნამდვილი დღესასწაული დაიწყო

სიჩუმე სავარძელში მჯდომმა უცნაურმა ბებიამ დაარღვია, - მოდი, გენაცვალე, გულში ჩაგიკრა, ჩაგიხუტო! შენ ჩვენი შვილიშვილი ხარ, ჩვენი იმედი! ამიერიდან ასე იქნება! ჩემო დაო, ხომ მეთანხმები?

- უკვე რამდენი ხანია წუთისოფელს მარტოდმარტო ვატარებთ. აღარ მეგონა ბედნიერებას თუ ვეღირსებოდით. რისიც გჯეროდა, ის მოხდა. მართალი გამოდექი, რწმენამ გაიმარჯვა, - უპასუხა ძალზე გახარებულმა საქმიანმა ბებიამ.

- ამ პატარა, საყვარელი გოგოს არსებობას გულით ვგრძნობდი, ეს მნიშვნელოვანია, - გააგრძელა უცნაურმა ბებიამ, - აგერ თვითონაც ჩვენს საძებნელად გამოეშურა! განა ვინმეს დავალებით? ის აქ კეთილშობილებამ და სიყვარულმა მოიყვანა. ეჰ, ჩემო კარგო, ამაზე იმდენია სასაუბრო, ეს იმ დროისთვის გადავდოთ, როცა მარტო დავრჩებით. ახლა ბავშვს მივხედოთ, ვასადილოთ.

- მართალი ხარ, სუფრის გაშლა ახლახან დავამთავრე, ყველანი წამოდით, - თქვა საქმიანმა ბებიამ, მერე საჩვენებელი თითი ზემოთ აღმართა და ხმამაღლა გამოაცხადა, - ზეიმი, დღესასწაული იწყება, ნამდვილი დღესასწაული!

რა საყვარელია ორივე? წამში, ბავშვის მოვლა ზუსტად ისე დაიწყეს, როგორც ეს, შვილიშვილებით დახუნძლულმა ბებიებმა იციან.

საქმიანი ბებია სტუმრებს შესანიშნავად მასპინძლობს

გოგონა უცნაურ ბებიას მიუტრიალდა, - წამოდგომაში ხომ არ დაგეხმაროთ?

- ნუ წუხდები, ჩემო კარგო, თვითონ შემოგიერთდებით, - უპასუხა ნასიამოვნებმა მოხუცმა.

სტუმრები გემრიელი სასუსნავით დახუნძლულ მაგიდას შემოუსხდნენ. ათვალიერებდნენ, ყველაფერი მოსწონდათ, მაგრამ უდიდესი ინტერესი მაინც ნამცხვარმა გამოიწვია, რომლის გემოც მხოლოდ ჭიჭიმ იცოდა. ახლა კი იდო ლანგარზე წითლად დაბრაწული, უგემრიელესი შაქარლამა და ყველას ჩასაკბეჩად იწვევდა. გოგონა თვალს არ აშორებდა. საქმიანმა ბებიამ შეამჩნია და უთხრა, - გენაცვალე, ეგ მართლაც რომ შესანიშნავი რამაა, მაგრამ ჯერ საჭმელი უნდა მიირთვა, ტკბილი შემდეგ დააყოლო.

- აუფ, სერიოზული ამბავი ტრიალებს ჩვენს თავს. ამ ბავშვს სახლში არ დასდევენ ასე, - ჩუმად უთხრა ჭიჭიმ ჭიამაიას. დიდხანს მორიდებულად ყოფნას ვერ გაუძლო, საჭიჭყინო მაინც გამონახა.

- გირჩევნია, გაჩუმდე! აქაურობა მომწონს, - მშვიდად უთხრა ჭიამაიამ.

ამ პატარა, ლამაზ მწერს სიამოვნებდა სტუმრად ყოფნა. აბა რა, საქმიანი ბებია ხომ თავს დასტრიალებდათ და მთელი გულით უმასპინძლდებოდა, - გადაიღეთ, წვენიც მიაყოლეთ, გასინჯეთ, ამხელა გზა გამოგივლიათ, მოგშივდებოდათო.

- დიდი მადლობა, ოღონდ, თქვენც დაბრძანდით ერთად ვისადილოთ, - მიმართა ბავშვმა თავაზიანად და მერე, მეორე ბებიას მიუტრიალდა, - ვერც უთქვენოდ გავძლებთ.

სავარძელში მჯდომი მოხუცებული წამოდგა, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას. გოგონა ფეხზე წამოიჭრა, სკამი დაუთმო.

- ნუ წუხდები, გენაცვალე, დაჯექი, მიირთვი, მე კი საუბრით გაგართობ, - ტკბილად უთხრა მან, ეტყობოდა, ბავშვის ქცევით ნასიამოვნები დარჩა, - დედ-მამას კარგად აღუზრდიხარ, ყოჩაღ მათ, მაგრამ ახლა მინდა შენ შეგაქო და აი, რისთვის, მშობელი ცდილობს, შვილს მეტი დადებითი შეასწავლოს, ამაში საკვირველი არაფერია, ოღონდ, როცა თავად ბავშვიც მოწადინებულია, შეითვისოს, რასაც უფროსები ურჩევენ, ეს სულ სხვა რამაა. მუდამ ვიმეორებ, საკუთარი თავის აღზრდა აუცილებელია! გოგონა, შენი ოჯახის ღირსეული, საამაყო შვილი ხარ, საუკეთესო თვისებებით დაჯილდოვებული. ხომ არავის უთქვამს, არც მიუთითებია, უფრო მეტიც, დაუძალებია, წადი, ის ხალხი ეძებე და დაეხმარეო? შენმა კეთილმა გულმა გიკარნახა, თანადგომა, გულშემატკივრობა გამოგეჩინა. ადამიანები ასეთები უნდა ვიყოთ, უნდა ჩვენში არსებულ სიყვარულის მარცვალს ვეძებდეთ, ვაღვივებდეთ და ვზრდიდეთ, - თქვა მოხუცმა, - ახლა კი ვიცი, გაინტერესებს ვინ ვართ, როგორ ვიცხოვრეთ, ჰოდა, ცოტ-ცოტას გიამბობ. აბა, დავიწყოთ.

ბებიები მოგონებებს მიეცნენ, მხიარულს თუ ნაღვლიანს, მამა და ბავშვობა გაახსენდათ

ბეჭდებით დახუნძლული მქრქალი ხელი იასამნებით მოხატულ ფაიფურის ფინჯანს შეავლო. - აი, მამაჩემის, დიდი სერაპიონის, ნაქონი ნივთი, - ხმაში ოდნავი ნაღველი გამოერია, - დროს გაუძლო, არ გატყდა არ გაიბზარა, ისევ ისეთი მშვენიერია, შევხედავთ და მუდამ ის გვახსენდება, - კეთილი, ალერსიანი, სამართლიანი. ბრძოლებში გართულს, დრო და საშუალება არ ჰქონდა, შვილების სიახლოვით დამტკბარიყო. ამ სახლის აშენებამდე სულ გვენატრებოდა, მაგრამ აქეთ რომ გადმოვედით, სერაპიონმა ომებში მონაწილეობა შეწყვიტა და ჩვეულებრივი სამსახური დაიწყო. ყოველ საღამოს, დედასთან ერთად, მის დაბრუნებას მოუთმენლად ველოდით. მოდიოდა და საჩუქრები მოჰქონდა: ულამაზესი კაბები, თოჯინები, სხვა სათამაშოები. ერთად დიდხანს ვერთობოდით. განსაკუთრებით, მისი ორდენებისა და მედლების თვალიერება გვიყვარდა. სათუთად გვანახებდა, გვიხსნიდა, რომელი როდის მისცეს, რა დამსახურებისთვის. საუკეთესო სასწავლებელში გვასწავლიდა. მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა ხალისით, ბედნიერებით გვქონდა სავსე.

- ახალი წელი არ დაგავიწყდეს, - ჩაერია საქმიანი ბებია.

- ჰოო, მის დადგომას გამორჩეულად ველოდით. ყველაზე დიდი სიხარული მაინც მას ახლდა. დედა სახლს სადღესასწაულოდ რთავდა, სუფრას ათასნაირი ნუგბარით ავსებდა. მამას მუდამ მაღალი, მწვანედ გაშლილი, ლამაზი ნაძვის ხე მოჰქონდა, რომელსაც ამ დიდ ოთახში ვდგამდით და საუცხოო სათამაშოებით ვრთავდით; მერე სტუ-

მრები მოდიოდნენ, სახლი ხალხით ივსებოდა. ალბათ, ბევრ მათგანს ახლაც ახსოვს მაშინდელი მოლხენა, მაგრამ ეჰ, სად არიან, ვინ იცის? განა ოდესმე წარმოვიდგენდით, რომ აქაურობა ასე დაცარიელდებოდა? ამ ადგილს, ამ კედლებს მარტონი შემოვრჩებოდით? ახლა მხოლოდ იმ ბედნიერ დღეთა მოგონებაღა გვაცოცხლებს და კიდევ, კმაყოფილების განცდა, რომ დედ-მამის დანატოვარი, ოცნებით სავსე სახლი არ დავანგრიეთ, შევინარჩუნეთ.

- ბებიებო, გთხოვთ, არ დანაღვლიანდეთ! მისმინეთ, მხიარულ ამბავს მოგიყვებით. ჩვენც, იქითა მიდამოში, არაჩვეულებრივი ახალი წელი გვქონდა. დღესასწაულს ყველა ესწრებოდა. ნაძვის ხეც მოვრთეთ, სტუმრებიც მოვიდნენ, ვიხალისეთ, ზღაპრული დრო გავატარეთ, - გაბრწყინებული სახით ყვებოდა გოგონა, მაგრამ თხრობა დაამთავრა თუ არა, რატომღაც მიჩუმდა, ჩაფიქრდა, მერე კი იკითხა, - დრო რომ გავა, დიდი ხნის შემდეგ, როცა გავიზრდები, მეც თქვენსავით მარტო დავრჩები?

- არა, არა, ჩვენო გოგო, ეგ არასოდეს მოხდება! - ერთხმად ავიშვიშდნენ მოხუცები, - შენ მუდამ ბედნიერად იცხოვრებ!

ბავშვი, რომელიც პასუხს გულისფანცქალით ელოდა, წამოხტა, დატრიალდა, კაბა ააფრიალა და დაიძახა, - ასე იქნება, ასე, მე თქვენი მჯერა!

ფიფი-ჩახჩახა თავისას არ იშლის, გოგონამ ბებიების სახელები გაიგო

სადილი გრძელდებოდა. ლალალა და ყავისფრად დალაქული, გრძელყურება ძაღლი თავ-თავიანთ ულუფას მშვიდად შეექცეოდნენ. არც ფიფი იყო უპატივცემულოდ დარჩენილი, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა, რატომ? რატომ და, ახალი საფიქრალი გასჩენოდა.

- ნეტავ, ამ ძაღლს რას ეძახიან? რა თქმა უნდა, ვკითხავ, მერე კი სახელს შევუცვლი, ცოტა გაერთოს. ეჰ, ჩემებს ვერ მივხედე. რა საქმე მქონდა? ტყეში რომ მოვსეირნობდით, მომეფიქრებინა, მაგრამ იმ ჭოტმა გამაბრუა, იქნებ უკანა გზაზე შევძლო? ამას კი, - ძაღლს გახედა, - ასე ვერ დავტოვებ, დღესვე რამე უნდა მოვუხერხო, კიდევ როდის ვნახავ? ჰო, მართლა, გასაკვირია და, აქამდე, არც მოხუცების სახელები ვიცი, ერთმანეთს მიმართვის გარეშეც მშვენივრად უგებენ.

- გოგონა, ეს რა დაგვემართა?! სახელები არ გვითქვამს! - შესძახა ამ დროს უცნაურმა ბებიამ, - ჩვენს აღზრდას არ ეკადრება, მაგრამ იმდენ ხანს ვიყავით მარტო, ისე ვნატრობდით, შვილიშვილი გვყოლოდა, რომ ბოლოს და ბოლოს, როცა ჩვენი სურვილი ახდა, სიხარულისგან ყველაფერი გადაგვავიწყდა. სიმართლე გითხრა, არც არის საჭირო სახელებით მომართვა, ვიყოთ ბებიები. ჩვენ ამაზე მეტად არაფერი გაგვეხარდება.

- მეც ხომ ამას ვოცნებობდი, ვინმესთვის ბებია დამეძახა!

- ჰოდა, ოცნება სინამდვილედ გადაიქცა. ეს დიდი ბედნიერება შენი დამსახურებაა, იცოდე, - ჩაერია საქმიანი ბებიაც.

- ახლა კი, ჩვენო შვილიშვილო, ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო, ფრიად სასაცილო ამბავია, - ღიმილით დაუბრუნდა საუბარს წიგნების მოყვარული ბებია, - ერთხელ, თავში კვიმატი აზრი მომივიდა, ხუმრობით დას სახელი გამოვუცვალე და ჩემთვისაც ახალი მოვიფიქრე. ალბათ, შეამჩნიე, როგორი გამრჯე, დაუღალავი ადამიანია, ამიტომ „საქმიანი“ ვუწოდე, მე კი „უცნაური“ დავირქვი, რადგან, ცოტა არ იყოს, კი ვიქცევი სხვანაირად, - გულიანად გაიცინა მოხუცმა.

- საუკეთესო სახელებია! - გადაიკისკისა გოგონამ და, მოწონების ნიშნად, როგორც სჩვეოდა, დატრიალდა, კაბა ააფრიალა.

- ჰოდა, ასე მოგვმართე, გაგიადვილდება, მხიარულადაც იქნები.

ჩახჩახამ გაოცებისგან პირი დააღო, - უყურე შენ, ეს ქალი მე არ მმგვანებია? თუ გულთმისანია და მეხუმრება? სახელები ნამდვილად მოსაწონი მოუფიქრებია. ყოჩაღ, ყოჩაღ! ვერაფერს დავამატებ, ეს საქმე დამთავრებულია, - ჩაიკრუტუნა მან, - ნეტავ, ძაღლსაც ასევე სწორად აქვს შერჩეული? არა, მომწონს, მომწონს ეს ადამიანი! ჩემსავით გონიერია, განათლებული. ვივლი, აუცილებლად ვივლი აქ! ვგრძნობ, ბევრ რამეს შევიძენ! - გადაწყვიტა ფიფიმ.

ამ დროს, უცნაურმა ბებიამ ძაღლი ახსენა, - ესეც ჩვენი მეგობარი, მცველი და დამხმარე - სახელად „ერთი“. ამის მეტი არავინ გვყავს.

- „ერთი“? ასე ჰქვია? - გაიკვირვა გოგონამ.

- დიახ, - ახლა საქმიანმა ბებიამ უპასუხა სიცილით, - ჩემი და ერთობა, - ჩვენო, ორნი ვართო, ეს ერთიაო.

- ორი ბებია და ერთი ძაღლი, ერთი ძაღლი და ორი ბებია, - იმეორებდა გახალისებული ბავშვი.

- არაა, ნამდვილად გულთმისანია, იმწამსვე მიპასუხა, - დაასკვნა ჩახჩახამ, - მაგრამ, ამჯერად, სახელი გამოსაცვლელია, პატარა შესწორება უნდა შევიტანო, ვხედავ, საქმე მაინც მქონია, - დაამატა კმაყოფილებით და იქვე წამოწვა, ჩამრგვალდა.

გოგონამ ფოსტალიონის შესახებაც შეიტყო

- ორიოდე სიტყვა ჩვენს ფოსტალიონზეც მინდა გითხრა, მეტად კეთილშობილ ადამიანზე და ამ ოჯახის ძველ, უერთგულეს მეგობარზე, - განაგრძო უცნაურმა ბებიამ, - ის რომ არ იყოს, არც ვიცი რა გვეშველებოდა? არ გვტოვებს, ახალი ამბებით, პროდუქტებით გვამარაგებს. დღეს კვირაა, წესით უნდა მოვიდეს, გაგაცნობთ, თუ არა, ყველაფერი წინ არ გვაქვს? სხვა დროს იყოს.

- რა კარგია, კიდევ ერთი მეგობარი შემომატება, მგონი ბაბუაც, - ტაში შემოჰკრა გოგონამ.

- ჩემო სათნო შვილიშვილო, შენი თავი ნამდვილად ანგელოზმა გვაჩუქა! - მიეალერსა ბებია.

საქმიან ბებიასაც გული აუჩუყდა, ბავშვს შუბლზე აკოცა და უთხრა, - იცოდე, ჩვენ არასოდეს დაგტუქსავთ, არც დარიგებებით შეგაწუხებთ, განა შეიძლება, შენ არასწორად მოიქცე?

გოგონა ორივეს ჩაეხუტა, მერე თვალები მოჭუტა, როგორც იცოდა ხოლმე, როცა ცელქობას დააპირებდა და იკითხა, - მართლა? საერთოდ არაფრის გულისთვის მისაყვედურებთ? არც ტყუილისათვის?

ბავშვმა სიმართლე აღიარა

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს. სიჩუმე ჩამოვარდა.

- მშობლები?! - თითქოს, რაღაცას მიხვდაო, ფრთხილად იკითხა უცნაურმა ბებიამ, - სად არიან, ჩვენთან მათ გამოგიშვეს?!

გოგონა დაიბნა, აღელდა. ამაზე არ უფიქრია, როცა აქეთკენ გამოსწია. ხნიერი, ბრძენი ადამიანები ამ კითხვას აუცილებლად დაუსვამდნენ. რა ექნა? რა ეპასუხა? თავჩაღუნული იდგა, ფიქრობდა, ფიქრობდა, გამოსავალს ეძებდა.

- მე, მე დედიკო და მამიკო ძალიან მიყვარს. ასე მგონია, მათნაირი ამქვეყნად არავინაა, მაგრამ მაინც ცუდი საქციელი ჩავიდინე, დაუკითხავად წამოვედი, გამოვიპარე, - დარცხვენილმა სათქმელს თავი ძლივს მოუყარა და სულგანაბული დაელოდა, რას ეტყოდნენ.

- აბა, ახლა ნერვიულობენ? გეძებენ? - უცნაურმა ბებიამ კითხვა გაჭირვებით დასვა.

- აქაც მოვლენ, გაგვიბრაზდებიან და შენს თავს აღარასოდეს გვანახებენ? - შიშით და გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა საქმიანმა ბებიამ.

- არა, არა, ორი დღით არიან წასულები, ჩემი გაპარვის შესახებ ვერც გაიგებენ, დროზე დავბრუნდები, ყველაფერი კარგად იქნება, - საჩქაროდ დაამშვიდა ისინი ბავშვმა, - მგონი, - დაამატა ჩურჩულით.

სიჩუმე ერთხანს გაგრძელდა, მერე, ყველას გასაოცრად, პურის მცხობელმა ბებიამ ომახიანად შესძახა, - რაც არის, არის! ბავშვს დავპირდით და სიტყვას ნუ გავტეხთ, არავითარი დატუქსვა, მორჩა, სევდა მოვიშოროთ, გავერთოთ! შვილიშვილი გვეწვია, სტუმრები მოგვიყვანა, ვინ იცის, ისევ როდის მოვლენ? ახლა ცხელი პური უნდა მოგართვათ, ნადიმი გრძელდება!

- რაც მართალია, მართალია! - მხარი აუბა ასევე გამხიარულებულმა უცნაურმა ბებიამაც.

ბებიებმა ბავშვს უამბეს, ამჟამად როგორ ცხოვრობენ და სურვილიც გაანდეს

ცხელი პური დატეხეს, ისეთი გემრიელი იყო, ყველიც კი არ ესაჭიროებოდა. ბოლოს, ალუბლის სქელი, ტკბილი წვენი და „ატამი“- ნამცხვარი დააყოლეს. ნადიმი დამთავრდა. სუფრა აიშალა. ბებიამ სავარძელში გადაინაცვლა. კატა მის ფეხებთან

წამოწვა, ლალალა და „ერთი," იქვე ჩამოეყუნტნენ, ჭიჭიმ სავარძელთან ახლოს მდგომ სკივრს მიაშურა და მისთვის საინტერესო ნივთების თვალიერება დაიწყო.
- ჩემო გოგო, - მიმართა წიგნების მოყვარულმა ბებიამ, - აი, უკვე გაიგე, როგორ ვცხოვრობდით. ბავშვობა, ახალგაზრდობა, როგორ გავატარეთ, მაგრამ არ გვინდა იფიქრო, რომ მოწყენილი, მიტოვებული ბებიები მხოლოდ მოგონებებით ვსაზრდოობთ, დროს უქმად, უმიზნოდ ვატარებთ, არავითარ შემთხვევაში! აგერ, ჩემი და, - საქმიან ბებიას გახედა, - შრომობს: ბაღ-ბოსტანი, ქარგვა, გემრიელი პურის გამოცხობა, სხვადასხვა მურაბების დამზადება, მშვენიერი სუფრების გაწყობა, - მასზეა, მარტო მისი განთქმული ნამცხვარი რად ღირს? მე, ბევრს ვკითხულობ და, ასე თუ ისე, ჩემს ჰორტენზიებს ველოლიავები. ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია. დღეს, ჩვენი დიდი ნატვრა, სურვილი ახდა. ამიერიდან, მთელ დაგროვილ ცოდნას შენ გადმოგცემთ, რადგან გვინდა, ჭკვიანი, საინტერესო, განათლებული და საქმის მცოდნე ადამიანი გაიზარდო.
- ყველაფერს ვისწავლი, დაგიჯერებთ, - სიხარულით დაეთანხმა ბავშვი.
- ახლა, ჩემო კარგო, გვიამბე თქვენი და მიდამოს ცხოვრების შესახებ.
ორივე ბებია პატარას ინტერესით მიაჩერდა.

გოგონა ბებიებს მიდამოში მოსვლისა და დასახლების შესახებ მოუყვა

- მამათქვენის მსგავსად ეს მიდამო ჩემმა მამიკომაც იპოვა, - თითქოს ზღაპარს ყვებაო, ისე დაიწყო გოგონამ, - თურმე, მას სულ უნდოდა საკუთარი სახლი ჰქონოდა, სახურავზე ფლუგერით, ჰოდა ოცნება აისრულა. დედიკო, სანამ აქეთ გადმოვიდოდა, არც დიდ სახლზე, არც ფლუგერზე არ ოცნებობდა, მაგრამ მიდამო მაინც მოეწონა. მშობლები ბედნიერად გრძნობენ თავს. ჩვენი ოჯახი ბუნების მეგობარია, უვლის მას. წყალი დავაბრუნეთ, ზღარბუნია ეკოლო, თხუნელა დიგი. თეთრი ყვავილიც გვყავს!
- თავად კმაყოფილი ხარ? ერთობი? ბავშვები რომ არ არიან, ვის ეთამაშები, არ გწყინდება? - ჩაეკითხა საქმიანი ბებია.
- რას ამბობთ, საქმეც მაქვს და გასართობიც, არც ბავშვები მაკლია. ჩემი მეგობრები ყოველ შაბათ-კვირას ამოდიან ქალაქიდან, მეც ახალ-ახალ ამბებს ვახვედრებ, ბუნება ხომ ყოვლწუთს იცვლება. არც ერთი დღე ერთნაირი არ არის. ახლა ყველაზე მთავარი,
- მე სახლიკო მყავს, ჩემი დიდი მეგობარი. პირველად ის ვიპოვე. სულ მასთან ვარ, მის ეზოში ვთამაშობ. ჰო, კიდევ ხის ჭიაც, ბრძენი და უჩინარი, მარიგებს ხოლმე.
- როგორ, ხის ჭია ლაპარაკობს? - გაოცებით იკითხა საქმიანმა ბებიამ.
უცნაურმა ბებიამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, ნუ გიკვირსო, მერე, თითქოს ენიშნაო, თავისთვის რამდენჯერმე გაიმეორა, - სახლიკო, სახლიკო, - აშკარად რაღაცას იხსენებდა, ბოლოს იკითხა, - ამ სახლიკოს პატრონი ხომ ეყოლებოდა, აბა ადამიანის მეტს ვის დასჭირდებოდა იგი?

გოგონა გაჩუმებული იდგა, ახლა პასუხი მზად არ ჰქონდა.
- მიდამოს მაგ მხარეს, ადრე, ტყისმცველი სახლობდა, ჩვენი ოჯახის ერთგული ადამიანი, სერაპიონის დიდი მეგობარი. ჩემი აზრით, სწორედ ის ადგილია, სახლიც მისია. ამის შესახებ არაფერი იცი? - ფრთხილად იკითხა ბებიამ.
- მამიკოც თვლის, რომ ტყისმცველისაა, - პირდაპირ პასუხს ბავშვმა თავი აარიდა, აღელდა, არც ტყუილის თქმა უნდოდა, არც მეგობრების მიერ განდობილი საიდუმლოს გამხელა.
- მას საიდან ეცოდინებოდა, ვინ ეტყოდა? - გაკვირვებით იკითხა საქმიანმა ბებიამ.
- ჩემო დაო, გაინტერესებს, რატომ ფიქრობს ასე მამამისი? - წამოეშველა სავარძელში მჯდომი ბებია შვილიშვილს, - სულ უბრალო საქმეა, სახლები და ნივთები თავიანთ შესახებ თვითონვე ჰყვებიან.
- როგორ? - გაიოცა მეორე ბებიამ.
- მარტივად. აი, ჩვენთან რომ უცნობი შემოვიდეს, აქაურობა კარგად, გულისყურით დაათვალიეროს, ბევრ რამეს მიხვდება, მერე ფანტაზიასაც თუ მოიშველიებს, მოწყენილი, ფერადი სახლის შესახებ მშვენიერი ისტორია გამოუვა. ამის უნარი ბევრს არა აქვს, მაგრამ მონდომებით ყველაფრის სწავლა შეიძლება.
- დიახ, მართალი ხართ. სახლიკოს სხვენში კიბე რომ ნახა და კიდევ სანათი, მამა მიხვდა, - აქ ტყისმცველი იცხოვრებდაო, - ამოისუნთქა ბავშვმა. სრული სიმართლე თქვა, ამავე დროს, საიდუმლო კვლავ მასთან რჩებოდა.
- ხედავ? - მიუბრუნდა დას ჰორტენზიების მოყვარული ბებია, - სწორად მივმხვდარვარ! იმ ქოხზე ამბობს. არა, ნამდვილად არაფერი იკარგება. ოჯახმა აქ ჩვეულებრივად ცხოვრება კი არ დაიწყო, თავის ლამაზ სახლში, არამედ მიიხედ-მოიხედა, გარემო შეისწავლა, დასკვნები გამოიტანა და აქაურობის მოვლა-პატრონობა ჩაიფიქრა. ამ ადამიანებმა მიდამოს ახალი სიცოცხლე შთაბერეს, იმგვარადვე შეიყვარეს, როგორც ტყისმცველს უყვარდა. ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი, შთამომავალი იყო. მთავარი საერთო აზრი, მიზანი და ერთნაირი სულია.

კვლავ ტყისმცველის ამბავი

გოგონა ჩუმად იდგა. არ სჯეროდა, რომ ასე გაუმართლა, - საყვარელი ბებიები ტყისმცველსა და მის ოჯახს იცნობდნენ.

სიჩუმემ მოხუცები შეაშფოთა, - რა მოხდა, რატომ მოიწყინე? - აღელვებით ჩაეკითხნენ ისინი.
- მაპატიეთ, თუკი ეს მოგონება შეგაწუხებთ, მაგრამ იქნებ იმ ხალხის შესახებ ცოტა რამ მითხრათ? ძალიან მინდა მათზე ვისაუბროთ, - გაუბედავად ითხოვა ბავშვმა.
- რა მორიდებით ლაპარაკობ? გიამბობთ, რა თქმა უნდა, - თბილად მიუგო უცნაურმა ბებიამ და თხრობა დაიწყო, - საცხოვრებლად რომ გადმოვედით, მამაჩვენი ხშირად

სეირნობდა, გარემოს ათვალიერებდა, ჩვენც თან დავყავდით, - უნდა იცოდეთ, სად ცხოვრობთ, ირგვლივ რა ხდებაო. ერთხელაც, სახლიკოს წავაწყდით, პატრონებიც გავიცანით: ტყისმცველი, მისი ცოლი და შვილი, შენნაირი პატარა გოგონა.

- თქვენთან მოსვლას, დამეგობრებას ვაპირებდი, რადგან მჯერა, აქეთ დასახლებული ადამიანი ბუნების დიდი მოყვარული იქნებაო, - უთხრა მეტყევემ მამას და შესთავაზა, - ამიერიდან მიდამოს ერთად მივხედოთო.

მამაჩვენი უზომო პატივს სცემდა იმ კაცს, - კეთილშობილურ საქმეს ემსახურებაო, - გვეუბნებოდა, - ომი, ქვეყნებსა და ადამიანებს შორის გაუგებრობა, ძალიან ცუდი რამაა. აქ სიმშვიდეში ცხოვრებას, ტყის მოვლას არანაირი გენერლობა არ სჯობს, ყველა ტყისმცველის მსგავსი უნდა იყოს და ქვეყანაზე ბედნიერება დაისადგურებსო, - ასე ფიქრობდა ის.

- სტუმრად ხშირად მოდიოდნენ. იმ პატარა გოგოსთან ერთად ვთამაშობდით, თითქმის ჩვენი ტოლი იყო, - მოგონებებში წავიდა საქმიანი ბებია.

- მერე უსულგულო ხალხი გამოჩნდა. მიდამოში ბოროტებამ დაისადგურა, ამის შედეგი კი იყო ის, რომ ტყისმცველი წავიდა, ოჯახთან ერთად გადაიკარგა და მათ შესახებ, აღარასოდეს არაფერი გვსმენია, - დაასრულა უცნაურმა ბებიამ.

ერთმანეთისთვის ვართ, შენ ჩვენს ხსოვნას შეინახავ

- ისე მაინტერესებს, საით წავიდნენ, - ოცნებით წარმოთქვა გოგონამ.

- ჩვენ მათ მუდამ ვიხსენებთ, განსაკუთრებით გოგონას, რომელიც უკვე ხანდაზმული ქალი იქნება, ალბათ შვილიშვილებიც ჰყავს. მჯერა, მასაც ყველაფერი ახსოვს, იქნებ მისმა შთამომავლებმა მოინახულონ აქაურობა? ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ, ამ წუთას, ჩემო კარგო, სახლიკოსთვის, ჩვენთვის და ამ მიდამოსთვის, მთავარი შენ ხარ. შენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. შენ ის ხარ, ვინც წარსულში დაწყებულ კეთილ საქმეს მომავალში გააგრძელებს, ვინც ამ ორ დროს შორის არსებულ კავშირს არ გაწყვეტს. სწორედ ამაშია ცხოვრების, როგორც მუდმივობის, ისე განახლების არსი. ჩვენ, ყველანი, ერთმანეთისთვის ვართ. ჩემს ჰორტენზიებს წყალს შენ დაუსხამ, შეიძლება სულაც სხვა ყვავილი გერჩივნოს, მაგრამ ხათრით, სიყვარულით მათ მაინც მოუვლი და ისინიც არ გადაშენდებიან. ასეა, ყველა და ყველაფერი ერთიმეორეში გადადის, ამიტომ არ არსებობს საშიშროება, რაიმე უკვალოდ დაიკარგოს. აგერ, ვცხოვრობდით მარტო, ვდარდობდით, გვაწუხებდა, რომ გავქრებოდით, დავიწყებას მივეცემოდით, მაგრამ გამოჩნდი და უკვე მშვიდად ვართ, სრულიად დარწმუნებულები, შენ ჩვენს ხსოვნას შეინახავ! ეს დიდებული რამაა! - უცნაურმა ბებიამ სიტყვა დაასრულა.

- მე, სანამ ამქვეყნად ვიქნები, ცხელ პურს, ნამცხვარს და ნუგბარს არ მოგაკლებთ. გავიხარებ, რადგან მეცოდინება, ჩემი ნახელავი განჯინაში ტყუილუბრალოდ კი არ გამოიკეტება, მას მშვენიერი გოგონა და სხვა სტუმრები დააგემოვნებენ, - დაადასტურა ძალიან კმაყოფილმა საქმიანმა ბებიამ.

- კიდევ, ბავშვს ცხობას ასწავლი, იმ შენი განთქმული „ატამის“ მომზადების წესსაც უსახსოვრებ, მე წიგნის კითხვას შევაყვარებ, ცოდნას გადავცემ, - უკვე მხიარულად დაამატა უცნაურმა ბებიამ.

მთლად გაბრწყინებულმა გოგონამ კაბა ააფრიალა. ბედნიერი იყო, მოხუცებმა ნდობა გამოუცხადეს, მეტიც, შეიყვარეს და თავის შვილიშვილად აღიარეს.

მოლოდინი და ზეიმი კმაყოფილები არიან

- აი, ხომ მართალი მითქვამს, გულში ჩამიკარი და მუდამ სიხარულთან ერთად იცხოვრებმეთქი? უკვე გაგაბედნიერე, ხედავ? - ჩასჩურჩულა ზეიმმა ბავშვს.
- ოჰ, რა კარგია, რომ არსებობ, მაგრამ მოლოდინი? ის აქ აღარავის და აღარაფერს დაელოდება?- შეწუხდა გოგონა.
- აბა, რას ამბობ? პირიქით, უფრო მეტი საქმე გამომიჩნდა, - ეს თავად მოლოდინი იყო, - მე მუდამ ვარსებობ, ჩემ გარეშე ცხოვრებას რა აზრი აქვს? მომავალში, უფრო უკეთეს და უკეთეს ამბებს ველოდები, მაგალითად, შენს კვლავ ხილვას, მშობლებთან ერთად.
- მართალი ხარ! ხან ყველა ერთად მოვალთ, ხან მამიკო შემოივლის სამსახურიდან, ამხანაგებსაც მოვიყვან, ელოდე და ელოდე რამდენიც გინდა! - ისევ გამხიარულდა ბავშვი.

გოგონა ბებიებს ჰპირდება, რომ დაბრუნდება და მშობლებსაც მოიყვანს

სავარძელში ჩამჯდარი ბებია კი შეფიქრიანებულიყო.
- ერთი რამ მაშფოთებს, - დაიწყო მან, ხმაში ნაღველი გარეოდა, - როგორ ფიქრობ, მშობლები რას გადაწყვეტენ? ვაითუ, აღარ გამოგიშვან? რა გვეშველება, ჩვენ ხომ შენთან ერთად ყოფნა გვინდა?

გოგონა სრულიად დარწმუნებული იყო, დედა და მამა ბებიების გაცნობას აუცილებლად მოინდომებდნენ, ამიტომ დაბეჯითებით თქვა, - ისინი მეტად კეთილი ადამიანები არიან! აი, ნახავთ, თქვენ შესახებ გაიგებენ თუ არა, აქ გაჩნდებიან. მარტო ამას არ იკმარებენ, თავისთანაც წამოგიყვანენ, ჩვენს მშვენიერ სახლში დაგპატიჟებენ!
- მაშ, დიდი იმედი გვექნება, რომ არ მიგვატოვებთ, - უცნაურმა ბებიამ შვებით ამოისუნთქა.
- და ეგ თქვენი სახლი როგორია? - დაინტერესდა დამშვიდებული საქმიანი ბებია, - ეზო, ბაღ-ბოსტანი გექნებათ.
- ბოსტანი პირველად აქ ვნახე, ისე კი, - და გოგონამ ვეებას მოვლილი ბაღი აღწერა. ასე და ამგვარად, ბებიებმა ტყის მეორე მხარეს მცხოვრებთა შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი რამ გაიგეს.

ჩვენი ჩიტი თავის ადგილს დაუბრუნდა

უეცრად, გარედან, მშვენიერი გალობა მოისმა. ეს ხმა ყველამ იცნო.

- ჩვენი ჩიტი გამოგვყოლია, თუ მოგვძებნა? როგორ გაიგო, აქეთ რომ მოვდიოდით? - გაიკვირვა გოგონამ.

- ოჰ, რა გამორჩება, ჭკვიანია. იქაურობას თვალი მოავლო, რომ აღარ იყავი, მიხვდა საითაც შეიძლებოდა წასულიყავი და დაგვედევნა, - გადაულაპარაკა ჭიჭიმ ბავშვს.

უცნაურმა ბებიამ კი დას ჩვეულებრივად მიმართა, - აჰა, ხომ გითხარი ჩვენი ჩიტიც მოვა-მეთქი?

- ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნიბლიას? - გაუკვირდა და გაუხარდა გოგონას, - მას ვიცნობთ.

- აი, საით ყოფილა გადაკარგული, - გაეცინა საქმიან ბებიას.

- დიახ, ტყის იქითა მხარეს ბრძანდებოდა, მაგრამ ვურჩიეთ მშობლიური ადგილი არ მიეტოვებინა და დაგვიჯერა, - გაამართლა ბავშვმა ჩიტი, - რა კარგია, რომ ის აქაურია, მისი ნახვა და მოსმენა ყოველთვის შემეძლება.

- ჰმ, - ჭიჭიმ თავისთვის ჩაიცინა.

გარეთ კი, მგოსანი თავგადაკლული მღეროდა, ბებიებსაც და სტუმრებსაც თავს აწონებდა.

გოგონა სახლში ბრუნდება, ბებიებმა მოიწყინეს, თუმცა იმედი აქვთ, საყვარელ შვილიშვილს კვლავ შეხვდებიან

დრო შეუმჩნევლად გავიდა, თუმც დრო არსადაც არ მიდის, აგერ, უკან მობრუნდა, ოღონდ უკვე შინ წასვლის დრო. სტუმრები და მასპინძლები აფუსფუსდნენ, მზადება დაიწყეს. ბებიები ღელავდნენ, - ტყე, ტყე იყო გასავლელი. დარდიც შემოსწოლოდათ, ისევ მარტონი რჩებოდნენ, ვინ იცის, კვლავ ნახავდნენ გოგონას? გულში ერთადერთი სურვილი დაჰბადებოდათ, მუდამ მასთან ერთად ეცხოვრათ. ოჰ, როგორ გახალისდებოდა თითოეული დილა, რა საინტერესო გახდებოდა ყოველი საღამო. გაშლილ მაგიდას შემოუსხდებოდნენ, თეთრი ფაიფურის ძვირფასი ფინჯნებიდან სურნელოვან ჩაის მოსვამდნენ და ათას საინტერესო ამბავს მოისმენდნენ. უფროსები ცოდნას, გამოცდილებას ახალგაზრდებს გადასცემდნენ, ისინიც, თავის მხრივ, ამ სიმდიდრეს შეითვისებდნენ, სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. საყვარელ სახლსაც პატრონი გამოუჩნდებოდა, დასანგრევად არ გაიწირებოდა. ცალკე იმაზეც წუხდნენ, როგორ უნდა გაეგოთ, ბავშვი შინ მშვიდობით დაბრუნდა თუ არა?

- გადავწყვიტეთ, ძაღლი გაგაყოლოთ, მიგვახვედრებს, საქმე როგორაა - თქვა უცნაურმა ბებიამ.

- რა საჭიროა? ეგ ხომ არსად ყოფილა, თვითონ არ დაიკარგოს, - გაიხუმრა გოგონამ.

- ძაღლს რა დაკარგავს? - გაეცინა საქმიან ბებიას.

- არა, არა, ვიდარდებ! მოვედი და წავალ კიდეც, - დიდივით ლაპარაკობდა ბავშვი, - ცოტა ხანში მშობლებთან ერთად გესტუმრებით, - დაჰპირდა ის.

ამ დროს, ნიბლიას ჭიკჭიკი მოისმა და უცნაურმა ბებიამ წამოიძახა, - აი, ვინ გამოგვადგებაო!

გადაწყდა, ჩიტი დელეგაციას გაჰყვებოდა, მაინც ერთი სული ჰქონდა, უკან მოფრენილი კი, კარგ ამბავს მოაჭიკჭიკებდა, - ყველაფერი რიგზეაო. ისინიც გაიხარებდნენ. და ისევ მოტრიალდა დრო, გამომშვიდობების დრო. უცნაურმა ბებიამ გოგონა გულში ჩაიკრა, დაკოცნა, მერე მოწყენილი სავარძელს დაუბრუნდა, როგორც იცოდა, შუბლი ხელით მოიჩრდილა და მიმავალთ ფანჯრიდან დაუწყო ყურება. საქმიანმა ბებიამ მეტი შეძლო, სტუმრები ჭიშკრამდე მიაცილა, ხელიც დაუქნია ნაღვლიანმა.

აი ასე! სიკეთემ, გულისხმიერებამ, მეგობრობამ, სიყვარულმა, ინტერესმა, მოლოდინმა, ზეიმმა, ყველას უმშვენიერესი დღე აჩუქა.

მოგზაურები ტყის გზას დაადგნენ, ახლა უკვე სახლისკენ მიმავალს

ყავისფრად დალაქული, გრძელყურება ძაღლი მეგობრებს ტყისპირისკენ მიაცილებდა. კატას დრო ეხელთა, გვერდით ამოსდგომოდა და ჩასჩიჩინებდა.

- მომისმინე, შენ უკვე ერთი და ერთადერთი აღარ ხარ. აგერ, ჩვენი ძაღლი, ეს უკვე ორია, ამიტომ სახელი უნდა გამოიცვალო, არასწორად გამოდის შერჩეული.

- ორნი კი არა, სამნი ვართ, გუნდა რა, ძაღლი არ არის? - ყველას გასაოცრად ხმა ამოიღო ლალალამ.

- გუნდა ლეკვია, - მეგობრისთვის ყურადღება არც მიუქცევია ისე განაგრძო კატამ, - მოკლედ, შენ ახლა ერთი-ორი გქვია, კარგად დაიმახსოვრე! იცოდე, ჩემ მიერ დარქმეულ სახელს წყალი არ გაუვა! დაგიძახებ, - გამოიხედავ! დაგიძახებ, - გამოიხედავ!

- დაამთავრა დარიგება ფიფიმ. ძაღლი თვინიერად უსმენდა.

- აჰა, მოვედით! აბა, ერთი-ორი, დავემშვიდობოთ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, დროებით, - თქვა გოგონამ და ახლად შეძენილ მეგობარს დრუნჩზე აკოცა. ბავშვს სახელი გაეგო და კიდეც მოსწონებოდა.

- მიაუ, ყოჩაღ! პატივს მცემ და ჩემს ნიჭიერებაშიც დარწმუნებული ხარ, - ჩაიკრუტუნა ელჩმა.

- მეტი აღარ შემიძლია, რა, - ჩუმად ჩაიხითხითა ჭიჭიმ.

- არ იდარდო, მით უმეტეს, ჩვენ ყოველწუთს შეგვიძლია ერთმანეთთან მივირბინ-მოვირბინოთ, - შეჰყეფა ლალალამაც.

მოგზაურები ტყეში შევიდნენ. „ერთი“ ანუ ერთი-ორი, კუდის ქიცინითა და გულდაწყვეტილი წკმუტუნით მათ მანამ გასცქეროდა, სანამ ისინი თვალს არ მიეფარნენ.

ჭიანჭველა და ჭიამაია ჯიბის პირზე მოხერხებულად მოეწყვნენ. ყვითელი პეპელა ისევ გოგონას გაშლილ თმებს მოერგო ბაფთად. ამგვარად, შინ დასაბრუნებელი მსვლელობა დაიწყო. უწინდელისგან განსხვავებით, დელეგაციას ერთი წევრი შემატებოდა, - ეკოლო. მას, მართლაც რომ ძალიან მოენდომებინა, აქეთ ჰორტენზიების ფერად-ფერადი ყვავილები წამოეკრიფა, იქით კიტრებისთვის მოეხადა ყვითელი ქუდები და ასე, მთლად გადაჭრელებული, ბოლოში მოთუხთუხებდა. ფიფის კვლავ ელჩის საპატიო მისია ეკისრა. მოსეირნობდა და თავისი მდგომარეობით ტკბებოდა. უკვე არც ჭოტთან შეხვედრის გარდუვალობა ამძიმებდა, მეტიც, მასთან გასაუბრების სურვილიც კი გასჩენოდა. მეგობრების ხმები შორიდან ჩაესმოდა, სად ეცალა?

- არა, თანდათან დავხელოვნდი. გამოცდილება მაინც სულ სხვაა, საქმის ნამდვილი მცოდნე ვხდები. აი, რა საღი აზრი მესტუმრა: ამ ტყეში, როგორც შევამჩნიე, ყველაფერს ეს ფრინველი განაგებს, მის გარეშე ფოთოლიც არ ვარდება. ჰოდა, ჩემი მოადგილეობა ხომ არ შევთავაზო? ამით თან ვასიამოვნებდი, თან აქეთ თავისუფლად სიარულის უფლებას მოვიპოვებდი, მე ხომ ბებიებთან სტუმრობას და „ატამი“ ნამცხვრის მირთმევას ხშირხშირად ვაპირებ? ისე, რომ დავუფიქრდე, დაშლით ვერაფერს დამიშლის, მაგრამ მაინც ჯობია, მეტი უფლებები მოვიპოვო.

მანძილი შეუმჩნევლად გაილია. უკვე დიდებული ჭოტის ფუღუროს მიაღწიეს.
- ჭოტიკო-ბეგე! - შესძახა გოგონამ, - აღარ ინერვიულოთ, მშვიდობით მოვბრუნდით! ჩემი შიში არ გამართლდა, მოლოდინი არ გამიმტყუნდა. ბებიები გავიცანი, მათ შემიყვარეს, შვილიშვილად მიმიღეს. ზეიმიც იქ დამხვდა, ჭიჭის დაბადების დღის მერე არ მინახავს. დამპირდა, მუდამ შენთან ვიქნებიო! ბედნიერი ვარ!

ჭოტმა ფუღუროდან თავი სასწრაფოდ ამოყო, გადმოიხედა, გოგონას თვალი შეავლო და გაფუმფულდა. ამ ხმის გაგონებას მოუთმენლად ელოდა, მოსვლა არ გამომეპაროსო, არც უძინია. პატარა მეგობარი უკვე ძალიან უყვარდა.
- ჩემო კარგო, განა შეიძლება, შენისთანა კეთილ ადამიანს სადმე წინააღმდეგობა შეხვდეს? ვხედავ, ყველაფერი რიგზეა, შინამდე სულ მშვიდობით ივლი. ხომ მესტუმრები? თორემ ძალიან მოვიწყენ, იცოდე! - სიტყვაც დააგუგუნა.
- ხშირად, ხშირად მოვალ, მშობლებსაც გაგაცნობ! - იმ წუთასვე დაჰპირდა გოგონა.
- თანაც, მე და შენი ერთად ყოფნა მიდამოს სჭირდება, - წაიჩურჩულა ბეგემ.

ბავშვმა ჭკვიანი თვალები შეანათა ჭოტს, ხმის ამოუღებლად დაუკრა თავი ტყის ბატონ-პატრონს. მიხვდა, კვლავ საიდუმლოს აზიარეს.

ჭიჭიმ ეჭით შეხედა ორივეს, ფიფიმ კი, ელჩად წოდებულმა, ულვაშებში ჩაიცინა.
- საერთოდ, - ჩამოსძახა ფრინველმა, - ჩემი მყუდროების დარღვევა არ შეიძლება და ვერც ვერავინ გაბედავს, - თქვა რა, კატას მკაცრად გადმოხედა, - მაგრამ შენ, როცა მოგესურვოს მეწვიე! აღარ შეგაყოვნებ, კეთილი მგზავრობა. მართალია, მინდა სულ გხედავდე, მაგრამ გონიერმა უნდა იცოდეს, რა სჯობს, როდის და როგორ. აქ ვრჩები, ჩემთვის! შენზე ვიფიქრებ და იმაზე, თუ რას მოვიმოქმედებ!
- ბატონო ჭოტიკო-ბეგე, შეიძლება გთხოვოთ? - ისევ მიმართა ბავშვმა, - თქვენ ხომ ბებიებს იცნობთ, გარშემო ყველას, აქაურობის შესახებ კიდევ რა იცით, მომიყევით, რა?!
- ჩემო გოგო, ეგ მერე, სხვა დროს. ამჯერად, ამისთვის გვიანაცაა და ადრეც.
- აჰა, გასაგებია! ისევ მოლოდინი. ყველაფერს დაგიჯერებ, მე ეს ვისწავლე. ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე! - მთელი გულით დაემშვიდობა პატარა.
- წავიდეთ, ბავშვო, დაგვაგვიანდა! რას გადაყევი ამ ჩემს მოადგილეს? - შემოსწყრა გოგონას ჩახჩახა.
- რაც მართალია, მართალია! - დაეთანხმა ჭიჭიც და იქვე აბუზღუნდა, - ეს მოადგილედ დანიშვნის ამბავი არ მომწონს, ხომ იცი?! მე, ცნობილი მოგზაური, არ გამოგადგებოდი, თუ?
- გთხოვ, არ გეწყინოს! შენც მეხმარები, რა თქმა უნდა, მაგრამ, ამ ტყეში, ჭოტს ბადალი არ ჰყავს, - გაეპასუხა ჩახჩახა.

ჭიჭი რატომღაც გაუჩუმდა, ეტყობა, რაღაც ესიამოვნა. სამაგიეროდ, ეს ნათქვამი ბეგემ გაიკვირვა.
- რაო? მოადგილეო? რას მიედ-მოედები, ყვითელო კატავ?!

- დიახ, გადაწყვეტილება მივიღე. მე ხომ ბებიების მიერ ელჩად ვარ წოდებული, ჰოდა, თანამდებობა, ანუ მოადგილეობა მინდა შემოგთავაზოთ, დამღლელი არ იქნება, ერთად კი ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ. ვფიქრობ, კმაყოფილი დამრჩებით, - ჩაიკრუტუნა ფიფიმ.
- ჭკვიანი რომ ხარ, გატყობ, - ცოტათი შეაქო ბეგემ, მერე კი მკაცრად უთხრა, - მაგრამ უნდა შეგისწორო, ამ ტყეში მე არავის მოადგილე არ ვარ! თუ დაიმსახურებ, მაგ ადგილას, შეიძლება შენ დაგნიშნო, თუმც მაქამდე ბევრი გიკლია!

კატას ხმა არ ამოუღია. თვითონაც, ამ ფრინველივით, კარგად იცოდა, რა სჯობდა, როდის და როგორ. გულში ესღა გაივლო, - ვერაფრით ასიამოვნებო, - და ფრთხილად, რბილი თათების მოძრაობით სახლისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა.

ეს ბედნიერი დღე იყო

მიდიოდა გოგონა და განვლილ დღეზე ფიქრობდა. მშვენივრად ესმოდა, არასწორად მოიქცა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ ბევრი კარგი რამ მოუტანა: ერთი, რომ საკუთარ თავში შიში დათრგუნა, იდუმალი უღრანი გაიარა. კიდევ, საიდუმლოს მცველი ჭოტი გაიცნო და მთავარი, - იქითა ტყისპირას, მოწყენილ სახლში მცხოვრები, საყვარელი და სანდომიანი ბებიები იპოვნა.

დაბრუნდნენ, გოგონამ მეგობრები დააბინავა

მშობლიურ ტყისპირსაც მიაღწიეს. მას სიხარულისგან სიმწვანე ერთი-ორად მოემატა, აშრიალდა, დაირწა. ვეება მოგზაურებს დარაბების ფრთხილი მოძრაობით შეხვდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ნათესავს ისევ ეძინა, ესე იგი, საიდუმლო გაპარვა საიდუმლოდვე დარჩენილიყო. კაჭკაჭი, რომელიც თეთრ ყვავილთან ერთად ნათესავს დარაჯობდა, ფანჯრის რაფიდან წამოფრინდა და გოგონას თავზე წრე შეკრა.
- არაფერი შეუნიშნავს, იჩქარეთ, წყნარადვე დაასრულეთ ეს საქმე, - დაბალ ხმაზე ჩამოსძახა ზემოდან.
- ძალიან კარგი, მაგრამ იმ ქალს ამდენ ხანს სძინავს? დახედეთ მაინც, რამე ხომ არ სჭირს? - ახითხითდა ჭიანჭველა. დანარჩენებიც აყვნენ.
- ოჰ, გენაცვალე, რომ არაფერი დაიკლო? - სიცილით კვდებოდა კაჭი, - გამოიღვიძა, ისადილა, ერთი გულისგარეთ ჩაილაპარაკა, - ნეტავ, ის ბავშვი საით არისო, - მერე თავი დაიმშვიდა, - აქვე იქნება, მეორე ეზოში, ხომ მითხრა, - ნუ ინერვიულებ, ჭკვიანად მოვიქცევიო, - და ისევ დაიძინა, ნამდვილი ძილქუში დაეცა.

რთული საქმის მშვიდობიანად მოგვარებით გამხიარულებული დელეგაცია ნაცნობ ბილიკს დაადგა. ბავშვს უნდოდა სახლიკო ენახა და მეგობრებიც დაებინავებინა. ხელებგაშლილი გაიქცა, როგორც ძველად, პირველად. შეხვედრა ისე უხაროდა, თითქოს უამრავი დრო გასულიყოს, - დავბრუნდი, მოვედი, იცი, რა კარგი იყო? ორი საყ-

ვარელი ბებია დამხვდა, კიდევ ძაღლი, ლალალასავით ჭკვიანი. ყველაფერს ესენი მოგიყვებიან, მე კი უნდა გავიქცე, ვერ მოვიცდი.
- კარგი, გოგონა, - მიაძახა გაბედნიერებულმა სახლიკომ და თავისთვის ჩაილაპარაკა, - რაც არის, არის, თავიდან არ უნდა დაგთანხმებოდით, მაგრამ ყველაფერი მორჩა და შიშმაც გამიარა, მხოლოდ ერთი რამ არ მასვენებს, ამ მზრუნველმა დედ-მამამ, ასეთი ნათესავი სად იპოვა, ბავშვისთვის საერთოდ რომ არ მიუხედავს?
- კეთილი ადამიანების მოტყუებას რა უნდა? ზოგიერთი თავს ისე მოგაწონებს, ვერაფერსაც შეატყობ, - ჩაიკრუტუნა ფიფი-ჩახჩახამ.
- აჰა, ხედავთ? ვინ იცის, თვითონ რამდენი გაუცურებია?! - აყვირდა ჭიჭი, რომელიც ვერ ივიწყებდა, რომ ელჩის მოადგილედ არ დანიშნეს.
- ცხოვრება ისეთი რამაა, - დინჯად გააგრძელა კატამ, - შეიძლება, ტყუილის თქმაც მოგიხდეს, მაგრამ ახლა სიმართლეს ვამბობ, მე ძალიან შემიყვარდით, განსაკუთრებით გოგონა. უბრალოდ, თავისებური ხასიათი მაქვს და ეგაა, - დაიმორცხვა ბოლოს.
- ჰოო, თვალთმაქცობა არც მე შემიმჩნევია, - დაამატა ხის ჭიამ, - ხომ ვამბობ, სახლიკო ყველას ასხვაფერებს!

გოგონა ვეებას დაუბრუნდა

შემოფრიალებული ბავშვის დანახვაზე, ვეება გადაირია. ამდენ ხანს ტყეს თვალს რომ არ აშორებდა, თეთრი ყვავილიც შესწორდა, თავი მოაბრუნა და მეგობარს გაცისკროვნებული შეაცქერდა. გემრიელი ვახშამი მზად იყო. ის, დიდი სიამოვნებით, უხვად მიირთვა სტუმარმა, ფრიად კმაყოფილმა იმით, რომ დღე დასასრულს მიუახლოვდა და დილამდე გემრიელ ძილსაც გამოაცხობდა. ყველასთვის საკვირველი იყო მისი ქცევა, მაგრამ რა ექნა? ექიმებმა, სამკურნალოდ, მშვიდი ძილი დაუნიშნეს. აბა, ჯანმრთელობისთვის ევნო? ასე და ამგვარად დასრულდა ეს საინტერესო დღე.

ისევ ფიქრით სავსე ღამე? არა, მშვიდი და ბედნიერი

მობრძანდა იდუმალი ღამე, ვარსკვლავებით მორთული. დადგა ტყის ბნელი ლანდი. ფიჭვთა ჭრიალში ჩაიძინეს ბინადრებმა. დატრიალდა ჯადოსნური ცარგვალი და ფერადი, კეთილი სიზმრები მიმოფანტა ირგვლივ. ფანჯრის რაფაზე მოკალათებული ბავშვი ღამეულ მიდამოს გასცქეროდა, შორეულ ხმებს იჭერდა. აგერ, ჭოტიკო-ბეგეს გალობაც გაისმა. ეძახდა მეგობარი, წერტილს უსვამდა ღამეს. აჰა, მნათობიც გამოჩნდა, გრილი სხივით მიუალერსა გოგონას. - რატომ გღვიძავს? წუხილი რამ ხომ არ შეგყრია? გამიმხილე, თორემ, რაღა დამაძინებს დილით, მზე რომ შემცვლის.

- არა, მთვარევ, რისი წუხილი? გელოდებოდი, მინდოდა გაგეგო, რომ ბედნიერი ვარ! ბებიები ვიპოვე, ჭოტიკოც დავიმეგობრე! ახლა ყველა ერთად ვიცხოვრებთ - და გოგონამ ღამის გუშაგს თავისი თავგადასავალი უამბო.
- ჰმ, მეტ ამბავს ეტყობა, აღარ ელის, - უჩურჩულა ცის თაღს მნათობმა და ჩაიღიმა.
- ვითომ, რატომ არ ელის? ჭკვიანია, მოუთმენელი კი არა, რაც ასწავლე, შეითვისა. ჯერ ამას მოუვლის, ახალია, ცინცხალი, როცა თავის ადგილს მიუჩენს, მერე სხვა რამ გამოუჩნდება საინტერესო და იმას მიხედავს.
და გოგონამ მათ საუბარში ტკბილად ჩაიძინა.

ვეებას გემრიელი საუზმე

გათენდა. დიდი სახლი ახმაურდა, აღარც სადარდებელი ჰქონდა, აღარც სანერვიულო; მისი გოგონა დაბრუნდა, ცხოვრება ძველებურად გრძელდებოდა. გახალისებული საუზმის მზადებას შეუდგა. ჯარასავით ტრიალებდა. ღუმელი აჰყვა, აგუგუნდა, ჩაიდანი გააცხელა, ერთი ამბავი დააწია. დიდი მაგიდაც შესწორდა, სამასპინძლოდ გაემზადა, ქათქათა სუფრა და წითლად დაწინწკლული ფინჯნები მოიხდინა. ამ დღისთვის, სახლი ძალზედ კუდრაჭულად მოიქცა, შვრიის ფაფის მომზადებაზე უარი თქვა და ცხელ ტაფაზე, ყველა ბავშვისთვის სასურველი, ათქვეფილ კვერცხში ამოვლებული, თხელი პურის ნაჭრები ააშიშხინა. დავარცხნილ-დაკრიალებული გოგონა სასადილო ოთახში შევიდა და როცა იქ, ფაფით სავსე ჯადოსნური თეფშის მაგივრად, დაბრაწული „ყიყლიყო“ დახვდა, გახარებულმა ტაში შემოჰკრა. მალე ღორმუცელა სტუმარიც გამოჩნდა, როგორღაც ძილქუშს გამოქცეოდა. სუფრას ორივე კმაყოფილი მიუჯდა.
- დილა მშვიდობისა, ნათესავო დეიდა, როგორ გეძინათ? - შეეგება ბავშვი.
- კარგად, ჩემო კარგო, როგორი დამჯერე და ჭკვიანი ყოფილხარ. ისე მოიქეცი, მზად ვარ მთელი ცხოვრება შენს მოვლაში გავატარო, - მოისმა ტკბილი პასუხი. ამ ადამიანს დიდი სურვილი ჰქონდა, აქედან არსად წასულიყო.
- ნუ შეწუხდებით, - ზრდილობიანად მიუგო პატარა მასპინძელმა, - ჩემი მშობლები ამ საქმეს მშვენივრად ახერხებენ.

უფროსმა ვერაფერი უპასუხა, - ამას რა გავაგებინო, სჯობს, ეს აზრი, როგორმე იმათ შევაპარო, როცა ჩამოვლენო, - გარდა ამისა, დროს ხომ არ დაკარგავდა, ასეთი სურნელი ტრიალებდა, შუადღის ძილიც ახლოვდებოდა.

საუზმე მორჩა. ბავშვმა ხელები დაიბანა, წასასვლელად მოემზადა, სახლიკოსკენ იჩქაროდა, შთაბეჭდილებები უნდა გაეზიარებინა.
- არ ინერვიულოთ, ეზოში ვთამაშობო, - დაუბარა ქალს, რომელიც ისედაც არ დაგიდევდათ, გოგონა საით წავიდოდა.

ძველი მეგობრები კვლავ შეიკრიბნენ, საინტერესო საუბარიც გაიმართა

შუა ჭიშკარი შეაღო თუ არა, „ჩვენი ჩიტის“ ჭიკჭიკი მოესმა. ნიბლიას ბებიები კიდეც დაემშვიდებინა, კიდეც უკან მოფრენილიყო და ახლა, ასკილის მოქნილ ტოტზე ჩამომჯდარი, მოხუცების ამბავს ყვებოდა. სახლიკო და ხის ჭია ყურს უგდებდნენ, თან დროდადრო, ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ. მთელ მიდამოში გაზაფხულის მშვენიერი, თბილი დილა იდგა. ყველანი კეთილად დახვედროდნენ ამ დღეს და ხვალ კიდევ უკეთესს ელოდნენ. ბავშვი გაბრწყინებული დააბიჯებდა ეზოში: აგერ, მისი რუ, საამური ჩუხჩუხით ეგებება. იქით დიგის მიერ დატოვებული კვალი მოჩანს. იქვე ეკოლო დათუხთუხებს, ბებიას ჰორტენზიებით მოკაზმული. ფანჯარასთან შეჩერდა, ყური მიუგდო, როგორ უყვარდა ყველა, როგორ!

- არა, ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის ძალა კარგად მესმის, მაგრამ მაინც რამ გააბედინა? ახლა კიდევ უფრო შემეშინდა, რაღაც რომ მოსვლოდა ხომ ყველანი დავიღუპებოდით? - ეს ხის ჭია ბრაზობდა.

- ჰო, გეთანხმები, დავაშავეთ, ვერც დედიკოსა და მამიკოს ვუმეგობრეთ, ვერც გოგონას, - განაგრძო სახლიკომ, - ერთადერთი, ლალალა მოიქცა სწორად, მოვალეობას უერთგულა, გაჰყვა, რომ საფრთხისგან დაეცვა.

- და ჩვენ? - ერთხმად იკითხეს დანარჩენებმა.

- რა თქვენ? თქვენ მხოლოდ გაისეირნეთ, - მიუგო ხის ჭიამ.

- მე გზა ვიცოდი, - ძლივს ამოიკნავლა ფიფიმ.

- ჰოდა, დანაშაული სწორედ ეგაა, შენ ატეხე! - იმ წუთასვე გამოცოცხლდა ჭიჭი.

- რატომ? მე ხომ შენი საჩუქრის საძებნელად ვიყავი და, რაც ვნახე, ის ვუამბე. მომეტყუებინა? - ჩახჩახა საოცარი მორიდებით პასუხობდა, ნუთუ თავს დამნაშავედ გრძნობდა?

- არა, ტყუილი არ შეიძლება. კიდევ კარგი, მარტო არ წავიდა, - თქვა სახლიკომ.

გოგონა თავისი საქციელის გამო ბოდიშს იხდის

ბავშვს გული სითბოთი აევსო. აი, როგორ უყვართ იგი. საჩქაროდ შინ შევიდა და მათ მიმართა.

- ხის ჭია! სახლიკო! სადარდებელი გაგიჩინეთ. დამნაშავე ვარ და მინდა, პატიება გთხოვოთ, მიიღეთ ჩემი ბოდიში.

- კარგი, გოგონა, მოსიყვარულე გულს შეუძლია პატიება, ნამდვილი მეგობრობა სუფთაა, მით უმეტეს, უდანაშაულო ამ საქმეში არც ჩვენ ვართ, - წყნარად თქვა სახლიკომ.

- ასეთი ადვილი არ არის, მაგრამ, რაც იყო, იყო, - თბილად გაეპასუხა ხის ჭია.

- დიდი მადლობა! დიდი მადლობა! - შესძახა ბავშვმა, - რომ იცოდეთ, ჭოტიკო-ბეგე გავიცანი! ჩემი უსაყვარლესი ბებიები?! ორი ერთად შევიძინე. გპირდებით, მშობლებს ყველაფერს მოვუყვები, პატიებას მათაც ვთხოვ. მჯერა, გამიგებენ, ტყის იქითა მხარეს

კიდევ გამიშვებენ, რადგან ვერ მივატოვებ მათ, ვინც ოცნებით აშენებულ სახლში მელოდება, ვერც საყვარელ, გაბურძგვნილ ღამის ჩიტს!

კეთილი მიდამოს კეთილი ბინადრები მოგზაურობის ისტორიას დაუბრუნდნენ. ამას მსჯელობა მოჰყვა, აზრთა სხვადასხვაობა, თუმც იმაზე კი ყველა შეთანხმდა, რომ არაჩვეულებრივი ბებიების კვლავ მონახულება აუცილებელი იყო.

ხის ჭიას შეგონება მზად აქვს

მორჩა, სათქმელი ითქვა, გაურკვევლობა დამთავრდა. ის ის იყო, სიმშვიდეს უნდა დაესადგურებინა, რომ ჭრიალი გაისმა. ეს ხის ჭია ბრძანდებოდა, სურვილით ანთებული, მეგობრებისთვის კიდევ ერთი შეგონება ეჩუქებინა.

- ჩემო კარგებო, ასე თუ ისე, ამ მოგზაურობაში ყველანი ვმონაწილეობდით. ტყის თავგადასავალმა ბევრი რამ გვასწავლა, აღმოგვაჩენინა, მაგრამ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მაინც არის ის, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ერთმანეთის ნდობა და სიყვარული არ დავკარგეთ, შევინარჩუნეთ. სწორედ ამიტომაც ნამდვილად დავიმსახურეთ ამ მშვენიერ მიდამოში ცხოვრება, გილოცავთ!

მშობლები დაბრუნდნენ, ჰოდა, ღამეც მოვიდა

საღამო ხანს მშობლები დაბრუნდნენ. ყველა სულგანაბული იყო. ნეტავ, რა მოხდებოდა? გოგონა ნერვიულობდა, ვერ გადაეწყვიტა, როდის და როგორ გაემხილა ტყეში წასვლის ამბავი. ბოლოს, არჩია ღამეს დალოდებოდა; ფიქრს მიეცემოდა, დილამდე იქნებ გამოსავალიც ეპოვა.

ჰოდა, მოვიდა ვარსკვლავებითა და იდუმალი ხმებით სავსე კიდევ ერთი ღამე, სიოს ჩურჩული მოიყოლა თან. ფანჯრებს მიადგა, ოთახებში გავრცელდა, მომთენთავი ბურანი შეიტანა. მიდამოსაც გადაეფარა, ჩააშუშა, ჩააძინა. „ჩვენი ჩიტი“ ბებიებთან გაფრინდა, თავის ბუდეში მოიკალათა. ამ გარინდებამ გოგონას ძილი გამოუგზავნა და საფიქრალიც გაქრა. ბატონობდა გაზაფხულის გრილი, მთვარით განათებული ღამე, ხოლო ჭოტიკოს შორეული ხმა მას კიდევ უფრო ჯადოსნურს ხდიდა.

გოგონამ გადაწყვიტა, მშობლებს საიდუმლო გაუმხილოს, ნათესავი კი წავიდა

არანაკლებ მშვენიერი, კრიალა დილა გათენდა. მზე ლურჯ ცაზე გაიშალა, სხივები მიდამოსკენ დაგზავნა. ისინიც სასწრაფოდ გაიქცნენ, სახლიკოს და ვეებას ღია თუ დახურულ ფანჯრებს მიაკითხეს, რუ-რუს ტალღებში ათამაშდნენ, ყვავილებს ნამი აუბრჭყვიალეს, ჩიტებს ჭიკჭიკი დააწყებინეს, ყველაფერი ააფერადეს, გაახალისეს.

დღე მშვიდი ჩანდა. საუზმე, რომელიც ვეებას, მამიკოს და დედიკოს დაბრუნების აღსანიშნავად, მოემზადებინა, არაჩვეულებრივი იყო. ოჯახი, სტუმართან ერთად,

უგემრიელესი ფუნთუშებითა და კიდევ სხვა ნუგბარით დამშვენებულ სუფრას შემოსხდომოდა. ბავშვი დანაღვლიანებული ჩანდა, ცდილობდა, არ დამჩნეოდა. მოლოდინს ვერ უძლებდა. ბოლოს და ბოლოს, ძალზედ დანაყრებულმა ნათესავმა შეწყვიტა გამალებული ჭამა, ადგა, მადლობა გადაიხადა და... არა, დასაძინებლად ვეღარ გაეშურა, რადგან მამა სამსახურში მიდიოდა, ქალაქში და ისიც თან უნდა გაეყოლებინა.

- დედიკო, მამიკო, რაღაც სათქმელი მაქვს, შეიძლება? - მორიდებით შეაჩერა ბავშვმა მშობლები.

- სამწუხაროდ, ახლა მეჩქარება, ვერ მოგისმენ, მაგრამ შუადღის შემდეგ მოვბრუნდები და საიდუმლო მაშინ გაამხილე, - გაეხუმრა მამა.

- საიდან იცი, რომ საიდუმლოა? - გაუკვირდა გოგონას.

- ვგრძნობ, ასეა. აი, ნახე თუ არა, - მიუბრუნდა დედას სიცილით, - იცოდე, უჩემოდ არ ჩაიბარო, დამელოდე!

ამის გაგონებაზე, დიდი სახლი ანერვიულდა, ღუმელს ეცა, - გესმის, გესმის?

ღუმელმა ლოყები დაბერა, წარბები შეყარა, სქელი კვამლი ცაში აუშვა, ნიავმა კი ის სასადილოს ფანჯრებში შეიტანა.

- რაშია საქმე? სამზარეულოში გავალ, დავხედავ რამე ხომ არ იწვის? - თქვა დედამ.

- ვაიმე, თავი გავეცი, - გაიფიქრა ვეებამ, იმწუთასვე ღუმელს გადააბრალა, - რა ამბავი ატეხე, ვერაფერი ვერ უნდა გითხრაო?

ოჯახმა ნათესავს დიდი მადლობა გადაუხადა. მან, თავის მხრივ, კვლავ მათ გვერდში დგომის სურვილი გამოთქვა, მაგრამ მამამ იგი მანქანით ქალაქში წაიყვანა. მიდამომ შუადღემდე თავისუფლად ამოისუნთქა.

- წავიდა. არა, მაინც ასეთი ადამიანი როგორ ამოარჩიეს? - ისევ უკვირდა სახლიკოს.

- წაბრძანდა! - აქეთ ვეება აქოთქოთდა, - თორემ, სანამ აქ იყო, ხომ რა ვიცი, იმდენი იშრომა, ძლივს გავაჩერე, ჰა, ჰა, ჰა! იქით დამსაქმა, ნაირ-ნაირი სადილები მაკეთებინა და სანსლა. ის ღორმუცელა ძლივს არ მოვიშორე? აქ აღარ დავინახო! ამდენი ნერვიულობა სად შემიძლია? არადა, როგორ უნდოდა დარჩენა? ჩემისთანას კიდევ სად იპოვის? - ქაქანებდა დიდი სახლი და თან გზას გაჰყურებდა, მოსაბეზრებელი სტუმარი უკან არ მობრუნდესო. დასამშვიდებლად კარგა ხანი დასჭირდა, მერე კი საქმიანობა განაგრძო.

ვეებას კაჭი ესტუმრა და შეკამათდნენ

მალე კაჭკაჭი გამოჩნდა, ამბის გასაგებად მოფრენილიყო. აინტერესებდა, გოგონას რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეხვდა? თან, რასაკვირველია, საყვარელი ყვავილის მონახულებაც უნდოდა.

- არ დაილია სტუმრები, - მაინც ჩაიბუზღუნა ვეებამ.

- მე ვარ სტუმარი?! - აღშფოთდა ჩიტი, - აქ დავიბადე, გავიზარდე, მეზობლურად მიგიღე, ვცდილობ, არ მოგაწყინო და კიდევ მემართლები? რით ვერ შემეჩვიე, მე უკვე მეგობარი მგონიხარ.
- ეს ხომ მისი ჩვეულებაა, - დაამშვიდა ღუმელმა.

სახლი მიჩუმდა, შეიძლება, კიდევაც ფიქრობდა, - რა მინდოდა, რა დამიშავაო, - ამას ვინ გაიგებდა?

კაჭი დიდხანს აღარ გაჩერებულა. ჩქარობდა, მიდამოსთვის უნდა დაეხედა, ახალი ამბები გაეგო, გარდა ამისა, რუ-რუსთანაც ჰქონდა საქმე.

კაჭი რუ-რუს სურვილს გაუმხელს და დახმარებას სთხოვს

- მისმინე, რუ-რუ, შენი დახმარება მჭირდება. იქნებ, მოვახერხოთ და წყალი გვერდით ეზოსაც მივაწოდოთ?
- აჰა, გასაგებია! გინდა, ხეებს, ყვავილებს დავუარო, მოვრწყა? - ჩაირაკრაკა წყალმა.
- დიახ, მიმიხვდი. ვეებას ვასიამოვნოთ. ძალიან გამოსწორებულია, ცდილობს. ცოტ-ცოტა ნაკლი კი ყველას გვაქვს, რას ვიზამთ? გთხოვ, უარს ნუ მეტყვი. მის ეზოშიც იჩუხჩუხე, რა მოხდება? - შეეხვეწა ფრინველი.
- ჩემს არყოფნაში სხვანაირი გამხდარხარ, ყოჩაღ! ყოველთვის მიყვარდი, ახლა პატივისცემაც გამიჩნდა. ამ კეთილ ჩანაფიქრს აგისრულებ. იქ პატარა ყვავილიც მეგულება, რომელსაც განსაკუთრებულად ვჭირდები. ჰოდა, ისეთს გავხდი, ვერ იცნო, ელოდე! ერთ-ერთ ნაკადულს გავუშვებ, გზას რამდენიმე დღეში გაიკვალავს. დარდი ნუ გექნება, იქაურობას ავახმაურებთ, გავახალისებთ. ახლა მოდი, დამეწაფე, - მიიპატიჟა რუმ.

იმედჩასახული კაჭი წყალს სვამდა და ფიქრობდა, - ამდენ ხანს, ამის გარეშე, რამ გაგვაძლებინაო?

პატარა ნაკადული ვეებას ეზოსკენ მიეშურება

და აი, რუ-რუმ სამზადისი დაიწყო.

- აბა, ვის გსურთ, ახალი კარ-მიდამო მორწყოთ, მშვენიერ ყვავილს ჯანმრთელობა დაუბრუნოთ და დიდი, ლამაზი სახლი გაახაროთ? - არაკრაკდა ის.

- რატომაც არა, რატომაც არა? - გაბრჭყვიალდნენ პატარა ნაკადულები. გაუხარდათ, რადგან გავრცელდებოდნენ, ყველაფერს ააყვავებდნენ, ჩრდილს მოუმატებდნენ და უფრო წყალსავსენი გახდებოდნენ, - მე წავალ! მე წავალ! - ისმოდა ხმები. რუმ ყველაზე მომცრო აარჩია.

- მოდი, შენ გაემგზავრე! იმ პატარა ბაღში ადვილად დაეტევი, მიიხედ-მოიხედავ და თანდათან, რამდენადაც საჭირო იქნება, გაიზრდები.

- გმადლობ ამ ნდობისთვის! - შესძახა წყლის ჭავლმა.

- აბა, მოინდომე, მეც დაგეხმარები! - შეაგულიანა რუ-რუმ.

გოგონამ მშობლებს მოგზაურობის შესახებ უამბო

ნაშუადღევმაც მოაღწია. მამა სახლში დაბრუნდა. სუფრას შემოუსხდნენ.

- შვილო, გაგვიმხელ საიდუმლოს? - მას დილას ნათქვამი არ დავიწყნოდა.

- ნეტავ, რა უნდა იყოს? აქ ხომ უკვე ყველაფერი ნანახი და გაგონილი გვაქვს? - ღიმილით იკითხა დედამ, - იქნებ, სტუმართან უსიამოვნება მოგივიდა?

- არა, არა, უფროს ადამიანთან მოქცევა ხომ მასწავლეთ? - იუკადრისა ბავშვმა.

- ყოველთვის ვამბობ, ბუნება ისეთი რამ არის, ათასჯერ შესწავლილ ადგილსაც აუცილებლად რაიმე ახალს მიუმატებს, მით უმეტეს, გოგონას უბრალო ყვავილის გაშლაც დიდ ამბად მიაჩნია. აბა, თქვი, ჩვენს არყოფნაში, რა აღმოაჩინე? - მამას არაფრის ეჭვი არ ჰქონდა, სადილს მხიარულად მიირთმევდა.

ძალიან დარცხვენილმა, მაგრამ გადაწყვეტილებით სავსე გოგონამ დაბალი ხმით თქვა, - თქვენ რომ არ იყავით, გავიპარე.

- ხუმრობ? - წამოიძახეს მშობლებმა.
- არა, მე ტყის მეორე მხარეს გავედი. არ შეგეშინდეთ, მარტო კი არ ვყოფილვარ ლა-ლალა, ჩახჩახა, ჭიჭი - ყველა თან მახლდა, - ძლივს ამოთქვა შვილმა.
- ეს რა მესმის! ასე უნდა მომქცეოდი? რამე რომ დაგმართნოდა? მოვიდოდი, ვერ გიპოვიდი. შენ გარეშე ჩემს ცხოვრებას რა აზრი ექნებოდა? - ძალიან, ძალიან ნერვიულობდა დედა.
- ბედნიერები ვართ, აქაურობა სიკეთით სავსეა, ამდენი მეგობარი გყავს, კიდევ რას დაეძებდი, მაინცადამაინც ჩვენს თავს რაიმე უნდა მოხდესო? - ამას მამა ამბობდა.

მშობლებს გული ისე ეტკინათ, საერთოდ არ გახსენებიათ, ეკითხათ, ვინ ან რა ნახა ტყის იქითა მხარეს მათმა შვილმა. გოგონა დანაშაულის სიმძიმეს კარგად გრძნობდა, ამიტომაც სასჯელის ღირსეულად დასახვედრად მზად იყო. მან იგი ნამდვილად დაიმსახურა.

შეშფოთებული ვეება ქოთქოთებდა, ღუმელს ავარვარებდა, - არ ვიცი, არ ვიცი, რა მოხდება. აქ ცხოვრება რომ აღარ მოუნდეთ და მიმატოვონ, რაღა მეშველება? თანდათან ხომ დავიშლები ან მერე ვიღასთვის ვიდგე?

სახლის გარეთაც გაიგეს ყველაფერი და დაღონდნენ. საღამო ხანმა მოაღწია, დრომ, როცა ხის ჭიას გამოუცნობი სევდა ეწვევა ხოლმე, მაგრამ ამჯერად, სევდიანი იყო ყველა. არც გასეირნება, არც, სახლიკოს ეზოში, ასკილის ბუჩქთან ჩაის მირთმევა, არც ზღაპარი და არც არაფერი. ნუთუ ასე გაუჭირდათ გოგონას გაგება და პატიება?

გულთმისანი მთვარე, როგორც ყოველთვის, გოგონას ამშვიდებს, დარიგებას აძლევს

დაღამდა. მთვარემ ამოანათა, მიდამოს დააცქერდა და ფანჯარასთან მიყუჟული ბავშვი შეამჩნია. მიხვდა, მას ელოდებოდა, ისიც იგრძნო, პატარას საწუხარი შეჰყროდა.
- ეტყობა, დედ-მამამ შეიტყო, რაც ჩაიდინა, - გაიფიქრა ღამის გუშაგმა, მერე აბუზულ გოგონას, ჩვეულებისამებრ, გრილი სხივი შუბლზე გადაუსვა და ტკბილად ჰკითხა, - აბა, ჩემო კარგო, როგორ ხარ? უკვე მივხვდი, ჩემგან დახმარებას ელი.
- დიახ, ძალიან ნაღვლიანი ვარ, მშობლებმა არ მაპატიეს. მირჩიე, რა ვქნა?
- ამ საქციელს არავინ იწონებდა, გაფრთხილებდნენ, მაგრამ არ დაიჯერე, შენებურად მოიქეცი.
- ეჰ, მთვარევ, არ იცი, რა იქნება?
- რა თქმა უნდა, ვიცი. ყველაფერი გაივლის, დროს გაჰყვება, მინელდება, ჩამშვიდდება. განა შეიძლება, მშობლებმა უსაყვარლეს შვილს არ აპატიონ? ისინი უფროსები არიან, მეტის დამთმობები. სიბრაზე გაუვლით, გულს მოიბრუნებენ, ისევ მოგეფერებიან, ისიც დააინტერესებთ, იმ ტყის იქით, რა ნახე, ვინ ნახე. შენ კი მიხვდები, რომ

საყვარელ ადამიანებს გული არ უნდა ატკინო და, საერთოდაც, არც არავის აწ-ყენინო. ახლა დაიძინე, დამიჯერე, ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება. ბოდიში ხომ მოიხადე?
- დიახ. ესე იგი, დედიკო და მამიკო ისევ შემიყვარებენ?
- შენ მათ სიყვარულს არასდროს დაკარგავ, გპირდები, - უთხრა მნათობმა, გრილი სხივი შუბლზე ისევ გადაუსვა და ღრუბლებს ამოეფარა. ისინიც მიესივნენ, - ჩვენც გვითხარი, ქვემოთ რა ამბავიაო?

შფოთიანი ღამე დილას ელოდება

იმედით სავსე გოგონა ლოგინში იწვა და დილას ელოდა. ვეებას, ტყისპირს, კაჭის, იქითა ეზოს მაცხოვრებლებსაც ძილი გასტყდომოდათ. ჩაყუჩებულები უცდიდნენ, რა მოხდებოდა, თავს დამნაშავედ გრძნობდნენ. ყველას, ყველას განურჩევლად ერთი რამ სურდა, - მათი ბედნიერი ცხოვრება ძველებურად გაგრძელებულიყო. მიდამო ძილ-ღვიძილსა და მეორე დღის მოლოდინში ჩაძირულიყო. აი, ასეთი ღამე იდგა. მას ვეღარ მოეტანა სიმშვიდე.

მამა ტყისპირას სეირნობს, ფიქრობს, როგორ მოიქცეს

მამა ადრიანად ადგა. ეზო მოათვალიერა, ვეებას, ფლუგერს გახედა, მერე ჭიშკრიდან გავიდა, ტყისპირისკენ გაეშურა. ძალიან ესიამოვნა ლურჯი იასამნებით დალაქული ხასხასა სიმწვანის დანახვა. გრილი, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. დაფიქრებული ჩანდა.

ტყისპირი გაირინდა, - ჩუმად იყავიო, - წასჩურჩულა პატარა სიოს, რომელიც, ახლად დაბადებული, წამობერვას, ხეთა აშრიალებას სწავლობდა. კაჭიმ ბუდიდან თავი გადმოყო, გაისუსა. ადრე, წამოიჭრებოდა, ჰაერში შეფრთხიალდებოდა, მაგრამ ახლა ამას გაბედავდა? მამამ მოკატუნებული ფრინველი შეამჩნია და ჩაიღიმა, მიუხვდა, რაც სჭირდა. მალე სახლიკოსკენ შებრუნდა, ბილიკს დაადგა. თავის საყვარელ ადგილას უნდოდა მისვლა, მშვიდად დაფიქრება. გუნდამ დაინახა თუ არა, შესახვედრად გამოიქცა. პატარა იყო, ვერაფერს ხვდებოდა, პატრონი უყვარდა და მისი დანახვა უხაროდა. მამა ბურთივით მრგვალ ლეკვს მოეფერა, ასკილის ბუჩქთან სკამზე ჩამოჯდა. იქვე, წყლის რაკრაკი ისმოდა. ამ ხმამ გუნება შეუცვალა, ლალალას და ჩახჩახას გასძახა, ხვდებოდა, დარცხვენილები მოახლოებას რომ ვერ ბედავდნენ.
- მოდით, მოდით, თქვენ რა დააშავეთ? მადლობელიც კი ვარ, გვერდით იყავით, გზას უკვალავდით, იცავდით. მის შეჩერებას ვერავინ მოახერხებდა, თუკი ჩვენ, მშობლები არ გაგვიხსენა, - მამა ძაღლს მიეფერა, კატასაც ყურებზე მოუთათუნა.

გაიხარეს ცხოველებმა, თავი ასწიეს, პატრონს თვალებში შეხედეს. სახლიკო მხრებში გაიშალა, ლურჯი თვალებით გამოანათა. ბუჩქებმა, ხეებმა, ყვავილებმა ამოისუნთქეს. ტყისპირი აშრიალდა, კეთილს, თავმდაბალს, გულზე მოეშვა. კაჭი? აბა, მას რა გამოეპარებოდა? ცაში აიჭრა, მამიკოს თავს ზემოთ დაიწყო ტრიალი.

- აჰა, შენც მობრძანდი? დააწიეთ ხომ ერთი ამბავი ჩემს არყოფნაში? აბა, რა უნდა გითხრათ? იმდენ ხანს ცხოვრობდით მარტო, იმდენი რამ გინახავთ, იქით მასწავლით. გონიერება გოგონას უნდა გამოეჩინა.

ამ დროს, შიგნით, ხის ჭია აჭრიალდა, აზრის გამოთქმა გადაეწყვიტა. იცოდა, ბრაზი რომ გაუვლიდათ, უფროსებიც ასევე იფიქრებდნენ, - მართალია მამა, მართალია დედა! მშობლების სიფრთხილე და ზრუნვა უსაზღვროა, მაგრამ უნდა გაიგონ, როცა პატარას საინტერესო ადამიანად ზრდიან, მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ იგი მუდამ ძიებაში, აღმოჩენაში იქნება და ეს საშიში სულაც არაა. აი, დამაფიქრებელი, გულგრილობა და უინტერესობაა.

- კარგად თუ ჩავუკვირდები, ჩემი ბრალიცაა, მე არ ვარიგებდი, ყველაფერს დააკვირდი, გარემო შეისწავლე, ბუნება შეიცანი-მეთქი? ჰოდა, ასეც იქცევა. წავალ ერთი, გავესაუბრები სჯობს, - ეს მამიკომ თქვა და ვეებასკენ გაეშურა.

ლალალა და გუნდა ხტუნვა-ხტუნვით აედევნენ, ჩახჩახა ფეხებში ებლანდებოდა, შერიგება ახლოს იყო.

მეგობრები მომავალ შერიგებაზე მსჯელობენ კაჭი ვეებას სიურპრიზზე მიანიშნებს

კაჭი საყვარელ ყვავილთან მიფრინდა, რაფაზე დაეშვა და მიახარა, - არ მოიწყინო, ყველაფერი გვარდება, მალე ისევ მოსიყვარულე გოგონა გვეყოლება.

სათუთმა თეთრმა ბინადარმა თავი ასწია, გამოიდარა.

- რაო, კაჭი, ამოვისუნთქო? - ეს ვეება იყო. ოდესღაც ქოთქოთას და მუდამ უკმაყოფილოს, ახლა ეს გაუცხოება ძალიან აწუხებდა, ერთი სული ჰქონდა, თავისი საქმე სიმშვიდეში ეკეთებინა.

ფრინველმა ძველ მეგობარს ახედა, - ამოისუნთქე, ღრმად ამოისუნთქე, სადარდებელი აღარაფერია! მამა ჭკვიანი ადამიანია, როგორც უმჯობესი იქნება, ისე მოიქცევა!

- ჰოდა, ძალიან კარგი, აბა, რა ამბავი იყო? თავი სიზმარში მეგონა, - ჩაილაპარაკა დიდმა სახლმა.

- თანაც, როგორ გაგიკვირდა არა, გაბრაზება და შენიშვნის მიცემა, შენ გარდა, სხვასაც რომ შესძლებია? - გუგუნით გამოეპასუხა ღუმელი.

- ოჰ, ეს ჩასაფრებულია! გირჩევნია, მოემზადო, გაღუღუნდე! საქმეს შევუდგეთ, საზეიმო სუფრა გავშალოთ! - შეუძახა ვეებამ.

- მიხარია, მიხარია, ასეთ მშვენიერ ხასიათზე რომ დაგაყენე! - შეიფრთხიალა კაჭკაჭმა,

- ერთ რამეს გეტყვი კიდევ, თავდადებული შრომისა და ერთგულებისათვის, ჯილდოდ, სიურპრიზი გელის!

სახლს ფანჯრები აუელვარდა, - რა უნდა იყოს, ნეტავ? - მაგრამ არ შეიმჩნია და მკაცრად დაამატა, - კაი, კაი, არ მცალია, ნუ მაცდენ, მერე ვნახოთ ეგ შენი სიურპრიზი.

- ჯერ ის მაინც გზაშია, - ეშმაკურად უპასუხა ჩიტმა.

- წყალი? - გაუელვა ვეებას და სიხარულმა აავსო, მაგრამ იქვე თავს შეუძახა, - მშვიდად, მშვიდად! ჯერ საქმე! - და ღუმელს მიუბრუნდა.

მშობლები გოგონას ისევ გულში ჩაიკრავენ

- დღეს გოგონას დაველაპარაკოთ. არ იქნება კარგი, ასე უბრად ყოფნას თუ მიეჩვია. ის მხიარულია, გულგახსნილი, მოსიყვარულე ნუ დავანაღვლიანებთ, ნუ შევცვლით. ვაპატიოთ შეცდომა, რომელიც ცნობისმოყვარეობამ და სიკეთის კეთების სურვილმა ჩაადენინა, თანაც ძალიან მაინტერესებს, რა ნახა ტყის იქით, - ესაუბრებოდა მამა დედას და დედა ბედნიერი იყო.

სადილის დროც დადგა. ვეებამ სუფრა საგანგებოდ მომზადებული კერძებით აავსო. ცხელ წვნიანს ორთქლი ასდიოდა. მაგიდას შემოუსხდნენ. ბავშვი მოწყენილი, თავჩახრილი იჯდა. იქ ყოფნა უმძიმდა, მაგრამ სახლში დამკვიდრებულ წესს ვერ დაარღვევდა.

- გოგონა, ვისაუბროთ, - თბილად მიმართა მამამ, - ჭკვიანი ხარ, მიხვდებოდი, გული როგორ გვატკინე. ჩვენ ამის გვჯერა, იმაშიც დარწმუნებული ვართ, დასკვნაც გამოიტანე, - ეს აღარ უნდა განმეორდეს, მით უმეტეს, მეც და დედაც ყველანაირად ვცდილობთ, გაგიგოთ. გგონია, საინტერესო, ამოუცნობი მხოლოდ პატარებისთვის არსებობს? განა, უცნობ მხარეში გასეირნების სურვილი ჩვენ არ გვქონდა? არ მოგვიცადე, გაიპარე და თავი საფრთხეში ჩაიგდე. რამე რომ შეგმთხვეოდა? მაშინ ხომ ბედნიერება, რომელიც აქ სუფევს, გაქრებოდა. აი, რაზე უნდა გეფიქრა! ამის მეტს აღარაფერს გეტყვით, ერთსა და იმავეზე დაუსრულებელ ლაპარაკს არ ვაპირებთ. მორჩა, საყვედურებსაც ბოლო მოეღო, დანარჩენი შენთვის მოგვინდვია. აბა, ახლა თავი ასწიე და მოგვიყევი, რა ნახე, ვის შეხვდი? ბოლოს და ბოლოს, გვაინტერესებს, ეს მოგზაურობა სიკეთის მომტანი იყო თუ არა? - დაასრულა მამამ და ამბის მოსასმენად მოემზადა.

ო, როგორ გაუხარდა გოგონას! მხრებში გაიშალა, გასწორდა, გაბრწყინდა, ადგილს მოსწყდა და მშობლებს გადაეხვია. კოცნიდა მათ, კისკისებდა. მისმა სიხარულმა მთელი სახლი გაანათა. მერე კი სულმოუთქმელად მოჰყვა ამბავს ოცნებით აშენებული სახლის შესახებ, რომელიც ტყის იქითა მხარეს დგას და, რომელშიც სათნო ბებიები ცხოვრობენ. მშობლებისთვის ყოველივე ცნობილი გახდა.

- რამდენად მოულოდნელია ეს ყველაფერი და რაოდენ სასიამოვნო, - თქვა დაფიქრებულმა მამამ.

- ხომ ვამბობდი, ტყე საიდუმლოებას ინახავს, ნამდვილად ვიღაც გველოდება-მეთქი, - გაუბედავად ჩაილაპარაკა გოგონამ. ბედნიერი იყო, აპატიეს, თუმც უკვე ის აფიქრებდა, რას გადაწყვეტდნენ მშობლები, ბებიების მოსანახულებლად გაუშვებდნენ?

ფოსტალიონიც არსებობს? ჭოტიკო-ბეგეც? ელჩიც ჰყავთ?

- რა კარგიაა, ჩვენ მეზობლები გამოგვიჩნდნენ, ბავშვს - მოსიყვარულე ბებიები. მათთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო იქნება. ხანდაზმული ადამიანები ბევრ რამეს გვასწავლიან. შაბათ-კვირა მოვა თუ არა, გავწიოთ, გავიცნოთ. ალბათ, მოუთმენლად გველოდებიან, - გულღია დედამ ეჭვი, გაუგებრობა ერთ წუთში გააქრო.

- ასეა, თქვენი გაცნობა სურთ, ოღონდ შიშობენ, იქნებ არ მოინდომოთ, - ატიკტიკდა გოგონა.

- რაო, ბებიებმა იციან, ჩვენც რომ ვარსებობთ? - იკითხა ნასიამოვნებმა მამამ.

- თქვენ დაგივიწყებდით, არ გახსენებდით? მოვუყევი, როგორ ვცხოვრობთ.

- გაუკვირდებოდათ მარტო რომ ეწვიე. ვინ იცის, ჩვენზე რას იფიქრებდნენ? - თქვა მამამ.

- არ დამიმალავს, სახლიდან დაუკითხავად რომ წავედი. მართალია, საქციელი არ მომიწონეს, მაგრამ მაინც შემიყვარეს, გულში მიკრავდნენ, შვილიშვილს მეძახ-დნენ, - დაამშვიდა მშობელი შვილმა.

- განა შეიძლება, ასეთ ღირსეულ ადამიანებს ყურადღება არ მიაქციო? - აღფრთოვანდა მამიკო.

- დიახ, ასეა! ვიცოდი, ჩემ გარეშეც რომ გაგეგოთ მათი ამბავი, მაინც მიხედავდით. ამიტომაც დავპირდი, მოგინახულებენ-მეთქი, გავახარე. იქ მხოლოდ ფოსტალიონი დადის, მისი გაცნობაც მინდოდა, მაგრამ ვერ შევხვდი, - უკვე კუდრაჭულად დაამატა ბავშვმა.

- ჰმ! როგორც ჩანს წასვლა ისევ დაგიგეგმავს, ასეა? - ჩაიღიმა მამამ, სურვილს მიუხვდა.

- ოღონდ, შენთან და დედიკოსთან ერთად. უჰ, რა აღარ გელით! საყვარელ ძაღლს გაიცნობთ, ერთი-ორი ჰქვია. ჭოტიკო-ბეგესაც! - გოგონამ ტაში შემოჰკრა, კაბა ააფრიალა.

- ჭოტიკო-ბეგე ვინღაა? - იკითხა დედამ.

- ტყის ბატონ-პატრონი. ელჩის მოადგილეობაც შესთავაზეს, მაგრამ არ უნდა, - სერიოზულად უპასუხა შვილმა.

- ელჩის? - მშობელი მთლად გაოცდა.

- ჰო, ელჩი ჩვენი კატაა. პირველმა მან მიაგნო იქაურობას, ჰოდა უცნაურმა ბებიამ ამ თანამდებობაზე დანიშნა, თან სთხოვა, - ვისაც ნახავ, ჩვენს შესახებ მოუყევიო.

- ხედავ, რა ამბები ხდება? - გაეცინა დედას.

- წყალი იბადება, ახალ-ახალი ბინადრები ჩნდებიან, აქაურობა ცოცხლდება, აგერ, მიდამომ ბებიებიც გვაჩუქა. ეს ადგილი დედამიწის დიდ ცხოვრებას უერთდება, - მეტი კმაყოფილებით წარმოთქვა მამამ.

- სიახლეზე თუა, ჩახჩახას სხვა სახელი აქვს, - ფიფი, თვითონ დაირქვა, ასე სურს. გაზაფხულია, გავერთოთო, - ჩვეულებრივად წარმოთქვა ბავშვმა. დედ-მამას ხმამაღალი სიცილი აუვარდა. - ასეა! შეიძლება, სახელები ჩვენც შეგვიცვალოს, - დააყოლა მან.

ყველაფერი ძველებურად დალაგდა. საუბრობდნენ, შეექცეოდნენ. გოგონა განუწყვეტლივ ბებიების შესახებ ლაპარაკობდა. „ატამი“ ნამცხვარიც გაიხსენა, შეაქო. ვეებამ ეს რომ მოისმინა, ძალზე დაინტერესდა, - ერთი რეცეპტი გამაგებინაო, - თავისთვის ჩაილაპარაკა კიდეც.

ღუმელს ეს არ გამოჰპარვია.

- დაწყნარდი, დაწყნარდი, რა ამბავია?! ამქვეყნად ყველა ნუგბარს შენ ხომ არ მოამზადებ? სახელგანთქმულ ბურბუშელას აცხობ, საკმარისია!

- ჰო, მგონი მართალი ხარ, - მოიწონა ნათქვამი სახლმა, მერე დაამატა, - ისე, ამან, ჩემს ხელში, რამხელა ჭკუა დააგროვა, - ამ დროს, სასადილო ოთახში, მისი გამომცხვარი ულამაზესი პატარა ტორტების ქებაც დაიწყეს და საბოლოოდ დამშვიდდა.

ტყისპირი

გაზაფხულის ერთი მშვენიერი დილა იდგა. გოგონა სახლის ფანჯრიდან მიდამოს გასცქეროდა. ტყისპირის გამორჩეულმა სიმწვანემ და ჭრელ-ჭრელი ჩიტების სიმრავლემ თვალი მოსტაცა, მისი ნათქვამიც გაახსენდა, - ჩემს ამბებს მოგიყვებიო. უცბად, დაღონდა ბავშვი, თავის შეცდომას მიხვდა. მან ხომ უყურადღებოდ დატოვა მეგობარი? არც მოუსმინა, არც არაფერი ჰკითხა. ის კი, კეთილი, თავმდაბალი, მშვიდად ელოდება, - განა, ასე უნდა მოქცეულიყო? ახლავე წავა, მოუსმენს, - ბავშვმა ყვითელი, ფრიალა კაბა ჩაიცვა და ტყისპირს მიაშურა. მივიდა, დადგა მის წინ ერთი ციდა. ვეებერთელად აზიდულ ხეებს შეაცქერდა, მოლივლივე ფოთლებს. ნიავი გახლართოდა გაშლილ თმებში და ირგვლივ, მზის სხივებთან ერთად, მისი თვალების შუქიც იღვრებოდა.

- დაგვიანებისთვის ბოდიშს გიხდი. გამანდობ გულისნადებს?

- გოგონა, გელოდი, ყოველთვის დაგელოდები, მუდამ ერთად ვიქნებით, მუდამ ვიმეგობრებთ, - მიეგება გახარებული ტყისპირი, - რა მქონდა სათქმელი? სახლიკოს, აქაურობის გულშემატკივარზე, სიკეთით სავსე ადამიანზე, უკვე ყველაფერი გიამბეს, თავს არ შეგაწყენ, მაგრამ მეც მინდა, ვახსენო მისი სახელი. მინდა, იცოდე, როგორ ზრუნავდა ჩემზე. ჩამოივლიდა, თითოეულ ხეს შეათვალიერებდა, ხელისგულს ალერსით გადაუსვამდა, მავნე მწერებს მოაშორებდა. აქ მობინადრე ჩიტები შემოესეოდნენ, ათასნაირ ხმაზე ჭიკჭიკს დაუწყებდნენ. მათაც ყურადღებას აქცევდა; მოშლილ, მორღვეულ ბუდეებს აღუდგენდა, ზამთარში საკვებს არ აკლებდა. მთელი დღის დამაშვრალი, საღამო ხანს, რომელიმე ხის ძირში მიჯდებოდა, ისვენებდა, თან მესაუბრებოდა. ხშირად წუხილიც გამოუთქვამს, - რაღაც მიზეზით, ამ მიდამოს მიტოვება რომ მომიხდეს, ვინ მოგივლისო? - არ ვიცი, ასე რატომ ფიქრობდა? ალბათ, გრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო. მართლაც, მის გარეშე დავრჩი. ვინ იცის, საით წავიდა, სად

დასახლდა. ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ, ყველგან მხოლოდ კეთილისმქმნელი იქნებოდა.

- მე ძალიან მწყინს რაც მოხდა, - მთელი გულით თქვა პატარამ.

- ეჰ, რამდენ ხანს ვიდექი მარტოდ, მიტოვებული, - გააგრძელა ტყისპირმა, - განა მხოლოდ სახლებისთვისაა მძიმე ადამიანთა გარეშე ცხოვრება? ბუნებასაც უჭირს, ისაკლისებს ნამდვილს, კარგს, სიკეთის მომტანს. ახლა ყური დამიგდე, რჩევა უნდა მოგცე. იცოდე, ყოველთვის შეამჩნიე, დაიმახსოვრე ის, ვინც გაგახარებს, თბილად მოგექცევა, თავზე ხელს გადაგისვამს, გასწავლის, ლუკმას გაგიყოფს, გასაჭირში დაგეხმარება, ავადმყოფს წამალს მოგაწოდებს და წყალს დაგალევინებს. ჰო, კარგად დაიმახსოვრე, არასოდეს დაივიწყო! მოიხსენიე, მასზე სხვებს უამბე, რათა სიკეთე გავრცელდეს, გაძლიერდეს. გულში გქონდეს ამგვარი ხალხის სიყვარული, რომ ღირსეულად იცხოვრო, პატივისცემა მოიპოვო. ესეც მინდა გითხრა, რაც გავიარე, გადავივიწყე, რადგან თქვენ ჩემთან ხართ. დიდი სახლი თავის შუქს მიყოფს, მეგობრები მშვიდად ცხოვრობენ, კაჭიც შემირიგდა, სულ სხვანაირი გახდა, რას ვიფიქრებდი, ამას თუ მოვესწრებოდი? ამჟამად უბედნიერესი ვარ! ხომ მემჩნევა? წელში გავიმართე, შევივსე. ახალ-ახალ ხეებს კიდევ და კიდევ დავზრდი, ტყეს გავაძლიერებ, ქალაქს, ბავშვებს სუფთა ჰაერს გავუგზავნი, ფოთოლთა შრიალით ყურთასმენას დავატკბობ, - დიდი სიყვარულით ავსებულმა ულამაზესმა ტყისპირმა სათქმელი ასე დაასრულა.

- ეგ დარიგება შენი საიდუმლოა, ჰო, რომელსაც ფოთოლთა შრიალით მანდობ, არა? - ფრთხილად იკითხა თვალებმოჭუტულმა გოგონამ.
- დიახ, რა თქმა უნდა, ასეა, - ტყისპირმა ტოტები დაარწია, - იცოდე, ყოველი დაფარული გაგიცხადდება, შენი კუთვნილი იდუმალება აიხსნება, ოღონდ, ის თვითონ უნდა ეძებო, მოიახლოვო, აღმოაჩინო. ამის გარეშე საიდუმლოს ხიბლს ვერ ჩახვდები. აი, როცა ტყე შენით გაიარე, დაბრკოლება გადალახე, სახლი, ბებიები იპოვნე, ამას ხომ სულ სხვა სიხარული მოჰყვა? რაც ნახე, მოისმინე, მეტად ფასეული არ გახდა? ამიერიდან ამ ყველაფერს ძალიან გაუფრთხილდები, ასე იქნება! აი, გული გადაგიშალე ისევე, როგორც დანარჩენებმა, რადგან მიდამოში შევთანხმდით, მთავარ მესაიდუმლედ გამოგაცხადოთ, ეს დაიმსახურე. მხოლოდ ჭოტიკო-ბეგეღა ჩამოგვრჩა. ფრთხილობს, ელოდება, ელოდება. არადა, თვითონ თუ არ მოინდომა, ვინ მიაგნებს?
- ჰოდა, ამიტომაც გვიგალობს, გვიხმობს, - წამწამები დააფახულა ბავშვმა.
- ჭოტ-ჭოტო რომ უსტვენს? - ზღვასავით აღელდა ტყისპირი, ახასხასდა.
- ეგაა სწორედ გალობა, ამგვარად გვეხმიანება, - დაჯერებით აუხსნა პატარამ, - ოღონდ, რატომ მაინცა და მაინც ღამით?
- იქნებ იმისთვის, რომ სიმარტოვეში არ ჩაიკარგოს ან დაგაინტერესოს, მასთან მიგიყვანოს? – იდუმალება გამოურია ტყისპირმა.
- დიახ, მე ასე დამემართა! - მიუგო გახარებულმა გოგონამ, - ვუსმენდი და მისი პოვნა მინდებოდა, ჰოდა, უკვე იცი, შევხვდი ტყეში. რამდენ ხანს ვისაუბრეეთ? ძალიან ჭკვიანი აღმოჩნდა. თავის საიდუმლოზე თქვა, - ჯერ გვიანაც არის და ადრეცო.
- არაფერიც! - ახმაურდა ტყისპირი, - ვიცი, როგორც არის! დრო მოვიდა. გამოჩნდა ის, ვინც ღირსია, მისი გულის ნადები გაიზიაროს.
- ვიზე ამბობ? - ძლივს იკითხა ბავშვმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, მხოლოდ შრიალი გაძლიერდა, - ეჰ, კარგი, მოვიცდი სანამ დრო მოვა, - თავისთვის ჩაილაპარაკა გოგონამ, გულში კი გაივლო, - მე, მე ვარ ეს!

ბებიების გასაცნობად მიეშურებიან

დასვენების დღეც მოვიდა. ოჯახი მოემზადა და ბებიების სახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. სტუმრად მიდიოდნენ, თან ძველი მეგზურებიც ახლდათ. მათ ეკოლო და გუნდა შემატებოდათ, - ერთი მითუხთუხებდა, მეორე მიგორავდა. ტყისპირი, როგორც ადრე, ახლაც ტოტების რწევითა და ფოთოლთა შრიალით დაემშვიდობა მიმავალთ. მწვანე, დაბურულმა ტყემ ისევ ისე გააღო კარი და მოგზაურები თავის სამყაროში შეუშვა. წინ კუდაპრეხილი ფიფი მიბრძანდებოდა, ბებიების ნდობით აღჭურვილი პირი. თათებს რბილად აბიჯებდა. ყოველი მისი მოძრაობა მიანიშნებდა, რომ იგი იყო გზის გამკვალავი. მშობლები ამას ძალიან კარგად მიმხვდარიყვნენ და მზისფერ კატას შეძახილებით ამხნევებდნენ, პატივისცემას უმტკიცებდნენ.

- ჩახჩახა ღირსეული ელჩია! ფიფი ნამდვილი დიპლომატია, - ისმოდა გზადაგზა.

ასეთი დამოკიდებულება ფისუნიას ფრიად სიამოვნებდა, უფრო ფუმფულდებოდა, მუქ-მწვანე ტყეში ბრდღვიალებდა.

- ეჰ, ბედი არა მაქვს, თორემ ჩემნაირი მოგზაური სადაა? ვერ მაფასებენ, ვერა! – ბუზღუნებდა ჭიჭი, უკმაყოფილებას ვერ მალავდა.

მიდამოში დარჩენილებს რაც შეეხება, ისინი ამჯერად მშვიდად იყვნენ, რადგან მსვლელობაში თვით გაბედული და ჭკვიანი მამა იყო ჩართული. საშიში რაღა იქნებოდა?

ჭოტსაც შეუარეს, მან დუმილი არჩია და ნაღვლიანი კვლავ მარტოდ დარჩა

ტყე შეუსვენებლად გაიარეს. გოგონა მხოლოდ ჭოტის ფუღუროსთან შეჩერდა, შესძახა, - ისევ მოვედი, როგორ ბრძანდებით? ძალიან მომენატრეთ! ფიფიმაც შეჰკნავ-ლა მოადგილეს, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

- ალბათ ჩაეძინა, - ჩურჩულით თქვა ბავშვმა.

კატა მიხვდა, ფრინველს გამოლაპარაკება არ სურდა, - მიაუ, ჩემთვის გასაგებია მისი ქცევა, თუმც ერთი ეჭვი გამიჩნდა, მგონი, მორცხვია. მიკვირს, მიკვირს მისგან, - ჩაიკ-რუტუნა მან.

- ეჰ, მომენატრა ბავშვი, მაგრამ ჩემი გამოჩენა საჭირო არაა. მე ხომ, ჯერჯერობით, მხო-ლოდ გოგონასთან ვმეგობრობ? მეორეს მხრივ, მარტოს ვინღა გამოუშვებს, აჯობებს გადავხედო, - ერთ წუთს დაფიქრდა, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყო, - რაღაც ამ შეხვე-დრისთვის მზად არ ვარ, უკეთესია მომდევნოს დაველოდო, - ჩაიბურტყუნა და ხმებს მიაყურადა, - აბა, საით არიან, გაიარეს თუ არაო? როცა ხმაური ნელ-ნელა შესუსტდა, ფუღუროდან ფრთხილად ამოძვრა, თავი მიატრიალ-მოატრიალა და ტყეს გახედა. გო-გონას ფრიალა კაბა შორიდან მოჩანდა, - თვალი მაინც მოვკარი, ესეც საკმარისია, - ნაღვლიანად უთხრა თავის თავს. როგორ უნდოდა, მიეტოვებინა მარტოობის ეს ად-გილი, თავისუფლად ეფრინა და რომელიმე ხის ფუღუროში დაეძინა, ოჯახთან ახლოს, - ეჰ, ეჰ, ეჰ, რაც ამ ხალხმა სიკეთე გვიჩვენა, ვითომ საკმარისი არ არის? მეტი რაღა გამოცდა სჭირდებათ? მით უმეტეს, რომ ეს ბავშვი ნამდვილი ბუნების შვილია! ეჰ, ეჰ, ეჰ, როდის

ცოდოა ჭოტი, მოწყენილი, მეგობრობასა და სიყვარულს მონატრებული. ნეტავ, მარ-თლა როდის, როდის მოვა დრო? ეს ხის ჭიამაც არ იცის. ამის შესახებ მხოლოდ ბრძენ-თაბრძენი ღამის მნათობი თუ იტყვის რამეს.

მშობლებმა ბებიები გაიცნეს, ისინი მშვენივრად გაუმასპინძლდნენ სტუმრებს, ირგვლივ სიხარულმა დაისადგურა

მოგზაურები იქითა ტყისპირს უახლოვდებოდნენ. მალე მოწყენილ სახლსაც დაინახავდნენ. ასეც მოხდა. ეზოში შევიდნენ, კიბეები აიარეს და თეთრ კარზე დააკაკუნეს. მერე? სტუმართმოყვარე, გულისფანცქალით მომლოდინე ბებიებიც იქ არ დახვდნენ? კვირა დღეც ხომ იდგა? ჰოდა, ყველაფერი ისევე იყო: დიდ ოთახში, დიდი მაგიდა. ლამაზად გაწყობილ სუფრაზე, ბროლის გრაფინით, ალუბლის ბლანტი წვენი. ლანგარზე სახელგანთქმული ატამი-ნამცხვარი. ჩუმი, გამუდმებული მოლოდინი და ფეხისწვერებზე შემდგარი გაფაციცებული ზეიმი, უკვე სრულიად კმაყოფილები, სტუმრებს თავს დასტრიალებდნენ. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მხიარულება სუფევდა. გოგონას აღფრთოვანებასა და სიყვარულს აქაურობის მიმართ, მშობლები სრულად იზიარებდნენ. ჩანდა, ამიერიდან ცხოვრებას ყველანი ერთად გააგრძელებდნენ. ოჯახი ხშირად ივლიდა ოცნებით აშენებულ სახლში, რომელიც მოწყენილი აღარ იქნებოდა. საქმიანი ბებია სადილს მოამზადებდა, საღამო ხანს კი, ფაიფურის ფინჯნებში ჩამოსხმული სურნელოვანი ჩაი, კიდევ უფრო სასიამოვნო მოსასმენს გახდიდა იმ ისტორიებს, რომელთაც უცნაური ბებია მოყვებოდა. ამჯერად ფოსტალიონიც მობრძანდა, გაიცნეს და დრო სიამოვნებით გაატარეს. ეს შეხვედრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მამიკოსთვის აღმოჩნდა, მან მეორე ოცნება აიხდინა და სტუმართან საუბარში ეს კიდეც აღნიშნა.

- უნდა გითხრათ, ეს პროფესია ბავშვობიდან მომწონდა. მოდის ადამიანი, ახალი ამბები მოაქვს, ცხოვრებას საინტერესოს ხდის. ვისარგებლებ გაცნობით და გთხოვთ, ჩემი ოჯახის ფოსტალიონიც გახდეთ! თუ დამთანხმდებით, ჟურნალ-გაზეთებსაც გამოვიწერ, როგორ ფიქრობთ, გაგიჭირდებათ?

- რატომ? მე ხომ ველოსიპედით დავდივარ. სიამოვნებით მოგემსახურებით, პირიქით, ჩემი მარშრუტი უფრო საინტერესოც გახდება, - იყო პასუხი.

სიურპრიზის მოლოდინში ვეება შფოთავს

მიდამო ისევ ჩვეულ ცხოვრების წესს დაუბრუნდა, უკვე მერამდენედ. ყველაფერი დაწყნარდა. ბინადრები ირგვლივ გამეფებული სიმშვიდით ტკბებოდნენ. აი, ვეება კი მაინც შფოთავდა, ოღონდ ჩუმად, თავისთვის. დაპირებულ სიურპრიზს ელოდა, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანდა. ეჭვნარევი კითხვაც გაჩენილიყო, - ამ ჩიტს, თავისი სიტყვის ასრულება ხომ არ დაავიწყდაო? - თუმცა, სადღაც ღრმად, სარდაფში ჩასახლებული პატარა იმედი ამშვიდებდა, - იქნება, იქნებაო. ლოდინით დაღლილი, ხუმრობით მხოლოდ ამას თუ იტყოდა, - არა, არა, კაჭის უამრავი საქმე აქვს, უამრავი, სად ცალია? - და თან გულიან სიცილს მიაყოლებდა.

- აბა, აბა, რას იზამ, - აჰყვებოდა ღუმელი, - უნდა იფრინოს, აქეთ-იქით, აქეთ-იქით.

ფრინველს კი არაფერი დავიწყებია. მისი თხოვნით გამოგზავნილი პატარა ნაკადული გზაში იყო, ვეებას ეზოსკენ მოიჩქაროდა, იქ უნდა ამოჩუხჩუხებულიყო, მზის გულზე ათასფრად ებრჭყვიალა და ტკბილად ერაკრაკა.

გაგზავნილი წყლის ამბავი

სიკეთემ ასე იცის, მატულობს, ვრცელდება, ცდილობს, სიხარული ყველას აჩუქოს. აი, კაჭის თხოვნაც შესრულდა. პატარა ნაკადულმა გზა გაიკვალა და დიდი სახლის ეზოს მიადგა. უცბად დაიბადა მიწიდან. ახლად ამოხეთქილი წყლის ჩუხჩუხმა და ღუღუნმა იქაურობა აახმოვანა. ხმაურზე ვეებამ ცას გახედა, თუმც მის ოთახებში მზე ანათებდა და ღრუბლის ნასახიც არსად იყო.

- წვიმა თუ არ არის, რა ხმაა? - თავის თავს არ უტყდებოდა, - ნუთუ?! - კითხვისაც კი შეეშინდა, - ასე რომ არ ყოფილიყო, გული დაწყდებოდა, სიხარული ჩამწარდებოდა.

- გესმის? - წამოეშველა ამ დროს ღუმელი, - ნაკადული გესტუმრა, ნაკადული, შენი ოცნება ახდა!

- გაჩერდი, სულ ჩემ წინააღმდეგ ხარ! - შეუძახა სახლმა, თან გარედან წამოსულ ხმებს უსმენდა.

- ვიტყუები თუ? გადაიხედე და ნახავ, როგორი ბედნიერია შენი ბაღი, მას ხომ დიდი რუ-რუს გამოგზავნილი შვილობილი რწყავს. ყოჩაღ, კაჭკაჭო! ეს მისი დამსახურებაა, ღირსეულად მოიქცა. ახლა ჯერი შენზეა, დააფასე პატივისცემა, სტუმარს თბილად მოექეცი, რომ ჩვენთან დარჩეს, უკან აღარ გაბრუნდეს.

ვეებამ ღუმელს მშვიდად და გულდასმით მოუსმინა. პირველად მოხდა, რომ სიტყვა არ გააწყვეტინა, მერე, ბედნიერებისგან გულაჩუყებულმა, სათქმელს თავი ძლივს მოუყარა და ფრინველს გასძახა.

- გმადლობ, კაჭი, მეგობარო, გმადლობ! ცუდად გექცეოდი, ყოველ მოსვლას გამადლიდი, გებუზღუნებოდი, შენ კი ასე გყვარებივარ. ჩემზე იზრუნე, სიხარული მომიტანე, - არც სხვები დავიწყებია, - გოგონა! ნახე, ჩვენს ბაღსაც ჰყავს ნაკადული. მოდი, ეთამაშე, აქაურობა აახმაურე. დედიკო, თეთრი ყვავილი ახლა ნამდვილად გადარჩება, ეზოში გადარგავ, რუ-რუს წყალი ფესვებში დაუვლის! მამიკო, ჩემო პატრონო, როგორ გაიხარებ იმით, რაც აქ დაგხვდება. ტყისპირო, მუდამ გიყვარდი, სიგრილეს არ მაკლებდი. ახლა ჩემი ხეებიც გამაღლდება, უამრავ ფოთოლს დაისხამს, ყოველ დილით მათი შრიალით მოგესალმები! ჩემო ნაკადულო, კეთილი იყოს შენი მობრძანება, ხან მზეზე გაბრწყინდი, ხან ჩემი ეზოს ჩრდილს შეეფარე. იდინე, იმატე, გამახარე! სახლიკო, რა გითხრა? არაფრად გაგდებდი, მუდამ გითვალთვალებდი, შენი სიხარული მწყინდა. არ მესმოდა, რომ ჩვენ, ჩვენი კუთვნილი ადგილი გვიკავია. ახლა დრო მოვიდა, კეთილი სიტყვის მეტს ჩემგან ვერაფერს გაიგებ. მარტო ეს არა, იცი, რას გეტყვი? მეც სახლიკო ვარ, ჩვეულებრივი სახლი, ადამიანთა ჭერი და შემფარებელი, ასეა! შენ პირველი იყავი, მე კი, მხოლოდ დროის წინსვლის შედეგი ვარ, უფრო კომფორტული, ახლებური. ჰოდა, ყველამ იცოდეთ, სახლიკო ვარ, სახლიკო! - ვეებას მიერ

წარმოთქმული ეს მშვენიერი სიტყვა მეზობელ ეზოშიც გაისმა. გოგონამ, სახლიკომ, ხის ჭიამ და დანარჩენმა ბინადრებმა გაიგონეს. გაიგონეს და მიხვდნენ კიდეც ყველაფერს. იმიტომ რომ აქ, ამ შვენიერ მიდამოში, ერთმანეთის სიყვარული, ნდობა და პატივისცემა გამეფებულიყო.

მიდამოს ძალიან კარგი ამბავი ელოდება

ძალიან მალე მიდამომ ყველაზე სასიამოვნო ამბავი უნდა შეიტყოს, - გოგონას დაბადების დღე ახლოვდება. იფ, რა სამზადისი იქნება? ოჰ, როგორ გაიხარებენ მეგობრები? ბავშვი ამაში დარწმუნებულია, ამიტომაც მშვენიერ ხასიათზე გაიღვიძა.

- დილა მშვიდობისა, დიდო სახლო! დილა მშვიდობისა, დედიკო, მამიკო! - მიესალმა ყველას. ხელ-პირი დაიბანა, გამოეწყო, საუზმე მიირთვა და, სანამ გვერდით ეზოსკენ გასწევდა, თეთრი ყვავილი მოინახულა, - მალე ზეიმი გვექნება, იმდენი ხალხი გნახავს, იმდენი. სტუმრებს ნამდვილად მოეწონები, - უჩურჩულა და გაიქცა, უკვე „საიდუმლოს“ გასამხელად.

- გოგონა, შენ ყოველივე საუკეთესოს ღირსი ხარ! - შესძახა ჭიჭიმ, როცა დაბადების დღის შესახებ შეიტყო.

- დაგეხმარებით, - ჩაიკრუტუნა ფიფიმ, - ჩვენი იმედი გქონდეს!

- მზად ვარ, თუნდაც მთელი ქვეყნიერება დავიტიო, - თქვა აღფრთოვანებულმა სახლიკომ.

პეპელაც აფარფატდა. ჭიამაია, ეკოლო, დიგი, კაჭი, - სიხარულით აღარ იყვნენ. - ქალაქიდან ბავშვები მესტუმრებიან, მშობლებიც წამოჰყვებიან, მიდამოს მთლიანად ვპატიჟებ! - გოგონა გულითადად უზიარებდა თავის მოსაზრებებს მეგობრებს.

- ბებიებსაც? - შესძახეს ერთხმად.

- აბა, რა! და ჭოტიკო-ბეგესაც!

- მერე, შეძლებენ მოსვლას? - იკითხა სახლიკომ.

- მე თუ მკითხავთ, ვერა, - ხმა ამოიღო ხის ჭიამაც.

ბინადრები ჩაფიქრდნენ, მიხვდნენ, თუ ასე მოხდებოდა, ბავშვს ძალიან ეწყინებოდა.

მან კი მაინც იმედიანად ჩაილაპარაკა, - ჯერ ზუსტად ვერ ვიტყვით, რა იქნება. ვნახოთ, შეიძლება, სულ სხვა რამ მოხდეს. აქ ხომ ყოველთვის სიახლე გველოდება, - ღამით მთვარესაც უნდა დაველოდო, შევატყობინო.

- მაგან ისედაც ყველაფერი იცის, - უდარდელად გაეპასუხა ჭიჭი.

- მე მაინც უნდა მოვიწვიო, სხვანაირად როგორ შეიძლება? - გაუკვირდა გოგონას.

- ჩემი აღზრდილია, - ჩაიჭრიალა ხის ჭიამ.

- როდის აქეთ? - ჩაიკნავლა ფიფიმ.

- ახლოს მოიწიეთ, დავიწყოთ! ყველაფერი ისე მოვიფიქროთ, რომ დაბადების დღე ძალიან კარგი გამოვიდეს! - მოიხმო ბავშვმა მეგობრები.

დაღამდა. მიდამომ ვარსკვლავებით მორთული ცის ქვეშ ჩაიძინა. ბავშვი მთვარეს დაელოდა, უნდა მოეპატიჟებინა და კიდევ, აინტერესებდა, რას ფიქრობდა იგი, ბებიები და ჭოტი ამ ზეიმზე მოვიდოდნენ?

აჰა, ღამის გუშაგმაც ამოანათა. პატარა სახლიკოს, დიდ სახლს თავისი იდუმალი შუქი გაუგზავნა და ფანჯარასთან მიყუჟული გოგონაც შეამჩნია.

- ამჯერად რას დაუღონებია? - თავისთვის ჩაილაპარაკა, გრილი სხივი გაუგზავნა.

- მთვარევ, ჩემო მეგობარო, გელოდებოდი! - შესძახა გოგონამ, - მინდა, სასიხარულო ამბავი შეგატყობინო და თან, რაღაც გკითხო, შენი აზრი მაინტერესებს.

- ყველაფერს მოვისმენ. ვეცდები, საფიქრალისგან გაგათავისუფლო, მშვიდად ჩაგაძინო. კრიალა დილა გელოდება და კიდევ, ჰმ, ჰმ, ... – მნათობი მიჩუმდა.

- უკვე იცი? - დაღონდა ბავშვი, - მოულოდნელად გამეხარებინე მსურდა.

- ჰმ, ჰმ, რა უნდა მცოდნოდა? მართლა გულთმისანი კი არ ვარ, მთვარე ვარ, თანაც აქ მუდმივად ახალ-ახალი ამბებია. ხვალ რაიმე საინტერესო აუცილებლად მოხდება, ამას ვგულისხმობდი, - ჩაიღიმა ღამის გუშაგმა.

გოგონა პასუხმა აღაფრთოვანა და შესძახა, - ჰოდა, ამწუთას გაიგებ, რომ ჩემს დაბადების დღეზე ხარ დაპატიჟებული. მოუთმენლად დაგელოდები. თქვენც ღრუბლებო, ვარსკვლავებო, მეწვიეთ, ერთად ვიყოთ, ვიზეიმოთ!

- დიდი მადლობა! მოვალთ, მოვალთ, როგორც ყოველთვის, შენთან ვიქნებით! ნახავ, რა დღე, საღამო და ღამე იქნება! - ყველას მაგივრად ჩამოსძახა ნასიამოვნებმა ცარგვალმა.

- ოჰ, რა გახარებული ვარ, უარი რომ არ მითხარით! - გამხიარულდა ბავშვი.

- როგორ თუ უარი?! შენ ხომ ჩვენი საყვარელი გოგონა ხარ? აბა, კიდევ რა გაინტერესებდა? - ღამის გუშაგი სმენად იქცა.

- მინდა, ჩემი საყვარელი ბებიები და ჭოტიკო-ბეგე მესტუმრონ, როგორ ფიქრობ, შესაძლებელია? - ძალიან ფრთხილად იკითხა ბავშვმა.

- სიყვარულს ყველაფერი შეუძლია, - დინჯად დაიწყო მეგობარმა, - მე, უბრალოდ აგიხსნი, რამ შეიძლება მათი სტუმრად მოსვლა შეაფერხოს. აი, კეთილი ბებიები, ისინი ხომ ხანდაზმული ადამიანები არიან? მათთვის მგზავრობა, სახლიდან მოშორებით ყოფნა, არც ისე ადვილია. შენ ამას, რა თქმა უნდა, გაგებით მოეკიდები, ამაშიც სიყვარული დაგეხმარება. ჩვენი ჭოტი? რა გგონია, რატომ არის ასე ეულად? განა მისთვის აქ ადგილი არ მოინახება? უნდა კიდეც ახლოს გადმოსვლა, მაგრამ მოვალეობა აკისრია და, ჯერჯერობით, საჭიროდ არ თვლის, შემოგვიერთდეს. ალბათ, ამის დრო არ დამდგარა. მთავარია, გაუგო, არ დანაღვლიანდე, თუ ვერ მოფრინდა, არ იწყინო. ის დაბადების დღეს მაინც მოგილოცავს, - დაასრულა ღამის მესაიდუმლემ.

- დიდი მადლობა. წავალ, დავიძინებ. გიჯერებ, როგორც ყოველთვის, - წყნარად თქვა გოგონამ, - ისე, იცი ხომ იქ რატომ ზის? - ბოლოს მაინც იცელქა.

- ეს მისი საიდუმლოა, დრო მოვა, თვითონ გაგანდობს ან უფლებას მომცემს, გიამბო, - წყნარად მიუგო მნათობმა.

ბავშვმა მშვიდად ჩაიძინა. მიდამოც მომავალ დილას ელოდა.

გოგონამ ბებიები დაპატიჟა

მამიკო და გოგონა ისევ ესტუმრნენ ბებიებს და დაბადების დღეზე დაპატიჟეს. - ამდენ ხანს სიმარტოვეში ვიყავით, ეს რა გვეღირსა, რამხელა ბედნიერება მოგვიტანეთ! - სიხარულით აღარ იყო საქმიანი ბებია, - საყვარელო შვილიშვილო, სულით და გულით გილოცავ! ვერც გამოვთქვამ, რას განვიცდი!

- მეც მომილოცავს, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, ჯანმრთელობას! - ახლა უცნაური ბებია ალაპარაკდა, - ბევრი რამ მისწავლია, მაგრამ სიტყვები მაინც არ მყოფნის გამოვთქვა, რასაც ახლა ვგრძნობ! - ზუსტად მისი დის მსგავსად თქვა მან.

- გმადლობთ, გმადლობთ! - ბავშვმა კაბა ააფრიალა, ტაში შემოჰკრა, - ხომ მეწვევით? მითხარით, ხომ წამოხვალთ? მეც ვერ გამოვთქვამ, როგორ გამახარებთ!

- ძველ დროს გაიხსენებთ, სახლიკოს მოინახულებთ, მთლიანი მიდამოს მშვენებით დატკბებით, - მორიდებით ჩაერია მამა.

ბებიები დაბადების დღეს ვერ დაესწრებიან?

- ეჰ, ამ დღესასწაულზე უფრო ძვირფასი ჩემთვის სხვა რომელი უნდა ყოფილიყო? მერე იცით, იქაურობა როგორ მაინტერესებს? ერთი თვალი მომაკვრევინა, მეტი არაფერი მინდა, მაგრამ წამოსვლას ვერ შევძლებ. ჩემს დას სიარული უჭირს, ამხელა გზაზე კი არა, სავარძლიდან ძლივს დგება, რომ დავტოვო, ვინ იცის, ჩემს არ ყოფნაში, რა დასჭირდეს? ვერც მოვილხენ, ფიქრი აქეთ მექნება. მერე, ამ სანატრელ დღეს ასე უნდა ვიყო? თანაც, მე ოცნება ავიხდინო და ამან არა? გული უსაზღვროდ მწყდება, მაგრამ ჩემი წამოსვლა არ გამოვა.

- მანქანა ხომ გვყავს? წაგიყვანთ, უკანაც მოგიყვანთ, მამიკო, სთხოვე, რა?! - მიუტრიალდა მშობელს გოგონა.

- მოიცა, შვილო, რა თქმა უნდა, ასე ვიზამ. მათი სტუმრობა მეც მინდა და მერე, როგორ მინდა, მაგრამ ხანდაზმული ადამიანების სურვილი უნდა გავითვალისწინოთ. სიფრთხილე გვმართებს, რაიმე არ გავაფუჭოთ, სადარდებელი არ გავიჩინოთ. მათ უკეთ იციან, რა შეუძლიათ, დავუჯეროთ.

ბავშვს ცრემლები მოადგა.

ამ დროს, უცნაურმა ბებიამ, რომელიც ამდენ ხანს ჩაფიქრებული იჯდა, ხმა ამოიღო, - თქვენთვის ცნობილია, როგორ მიჭირს სახლიდან გასვლა, მაგრამ, ამჯერად, ჩემი შვილიშვილის გასახარებლად, ძალას მოვიკრებ და წამოვალ, მის დაბადების დღეს ვიზეიმებ. სახლიკოს მივეალერსები, ჩემი ახალგაზრდობის ადგილებს მოვინახულებ, ვეებას გავიცნობ. ერთადერთ, საყვარელ, ერთგულ დასაც გულს არ დავწყვეტ,

დღესასწაულს არ გამოვაკლებ. დროა, აქ გამეფებული ერთფეროვნება დაირღვეს! დროა, მხიარულებამ საბოლოოდ დაისადგუროს!

რა ამბავი ატყდა ირგვლივ?! ბავშვი ხტოდა, ერთი-ორი, ყურების პარტყუნით დარბოდა, ისიც ხომ წავიდოდა, მეგობრებისკენ გაინავარდებდა. ყველაზე მეტად საქმიანი ბებია გადაირია, ამას არ ელოდა, სასწაულის დაიჯერა. მშობელი დაიხარა და, ღრმა პატივისცემის ნიშნად, ჯერ ერთ მოხუცს ეამბორა ხელზე, მერე - მეორეს. გადაწყდა, ამ დღეს, მამა, რომელსაც, ფოსტალიონის დახმარებით სამანქანო გზა ესწავლა, ბებიებს გამოუვლიდა, რა თქმა უნდა, სავარძელსაც წამოიღებდნენ. დებმა უკვე სადღესასწაულო ტანსაცმლის შერჩევაზე დაიწყეს ფიქრი.

მოლოდინი და ზეიმი?

გამომშვიდობებისას გოგონა კართან შეყოვნდა, ჩუმად მოლოდინსა და ზეიმს გამოელაპარაკა, - თქვენ, თქვენ არ მესტუმრებით? ისე რა გამოვა?

- ნუ დარდობ, ბავშვო, ჩვენ ხომ მუდამ შენთან ყოფნა გადავწყვიტეთ, - უჩურჩულა ორივემ ერთად.

- ოჰ, რა დაბადების დღე მექნება?! - შეიფრთხიალა პატარამ.

ზეიმზე ჭოტიკო-ბეგეც მიიწვიეს

მამამ და გოგონამ, რა თქმა უნდა, ჭოტსაც გაუარეს.

- ჭოტიკოო! ჭოტიკო-ბეგეე! ხვალ რომ დაღამდება, მერე გათენდება, ჩემი დაბადების დღე იქნება. გეპატიჟები, აუცილებლად მოფრინდი რა, გთხოვ! იცი, როგორ გამახარებ? - შესძახა ბავშვმა.

პასუხი ამჯერადაც არავის გაუცია, არც არავინ გამოჩენილა.

- ნამდვილად მოვა. მასწავლეს, სიყვარულს ყველაფერი შეუძლიაო, - მაინც დარწმუნებით თქვა გოგონამ.

მამამ ჩუმად ჩაიცინა, შვილს კი უთხრა, - ოღონდ, თუ რაიმე დაბრკოლების გამო ვერ მოფრინდა, იცოდე, არ დაუშვა, რომ არ უყვარხარ!

- მთვარესავით ლაპარაკობს, - გაიფიქრა შვილმა.

დაბადების დღე

მოვიდა, დადგა ეს დღე - დაბადების, გოგონას დაბადების! მზადება დასრულდა. აქეთ ვეება, მისი სადღესასწაულო სუფრა, ნაირ-ნაირი კერძებით, გემრიელი ტორტითა და ბურბუშელების კოშკით დამშვენებული. იქით, ეზოში კოპწიად მდგარი სახლიკო. მიდამო საზეიმო განწყობას მოეცვა. უამრავ სტუმარს ელოდნენ. ფოსტალიონიც შემოივლიდა და მთავარი, - ბებიები მობრძანდებოდნენ. ისევ საოცრება

ხდებოდა, ამ ადგილისთვის ჩვეული საოცრება. მოხუცებს ცხოვრების, წლობით დაურღვეველი, წესი შეუცვლიათ! სიყვარულს მართლაც ყველაფერი შესძლებია!

დაბადების დღეზე დაპატიჟებული საზოგადოება შეიკრიბა. მამამ მანქანით ბებიები მოიყვანა. მათ ყველა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. სავარძელი ასკილის ბუჩქის ქვეშ დადგეს, როცა საჭიროდ ჩათვლიდა უცნაური ბებია, მაშინ ჩაჯდებოდა და მოისვენებდა, მაგრამ მგონი, მას ვერაფერი დაღლიდა. ნელ-ნელა, ხელჯოხის დახმარებით და ფრთხილი ნაბიჯებით, იქაურობა მოიარა, სახლიკოს კედლებს მიუალერსა, მერე დას დაუძახა, - მოდი, ნახე, ისეთივე კეთილია, მხიარული, როგორც ადრე. წლებს, სიმარტოვეს, მონატრებას გაუძლო! ახლა იქნება და იქნება.

- ჩვენც ვიქნებით, ნუ გეშინია, აქაც ხშირად ვისეირნებთ, - ომახიანად მიუგო საქმიანმა ბებიამ.

ვეებასთან

ბებიები მეორე ეზოში გადავიდნენ, მშვენიერ ბაღში გაისეირნეს და ვეებას ესტუმრნენ. დიდმა სახლმა მათი გული მოიგო.

- რა ლამაზია! გემოვნებით გაწყობილი, შრომისმოყვარე. ასეთი ნამცხვარები, არც გაგვისინჯავს, - ისმოდა აღფრთოვანებული ხმები.

ვეება სიხარულით აღარ იყო. ბუხარს შეუკეთა, ბოლი ცაში აუშვა, ტაფები ააშიშხინა, დაპრიალებული ოთახების კარებები დააღო, თეთრი ყვავილი გამოაჩინა.

- იშვიათი, გამორჩეული სტუმრები მყავს: ბრძენი, კულტურული, გამგები და დამნახავიო, - უმეორებდა იგი ღუმელს, ისიც, არანაკლებ ნასიამოვნები, გუგუნებდა, სითბოს აფრქვევდა და ადამიანებს გულებს უთბობდა.



თეთრი ყვავილი

დედამ ბებიებს აბრდღვიალებული თეთრი ყვავილი უჩვენა.
- ნახეთ, ქარიშხალმა მაჩუქა. პირველ ხანებში ძალიან ცუდად იყო, მაგრამ სიყვარულმა და მზრუნველობამ გამოაკეთა.
- განა ქარიშხალს არ უყვარდა ის? თავიდან მოიშორა? - იკითხა უცნაურმა ბებიამ. - არა, რას ამბობთ, მისთვის ძალიან ძვირფასი იყო, ამიტომაც მომაბარა, თავშესაფარი თბილ მხარეში უპოვა, გადაარჩინა.
- მაშ, მსხვერპლი გაუღია. ოოო, ძალზედ გაუჭირდებოდა, - დაფიქრებით ჩაილაპარაკა ჰორტენზიების მოყვარულმა ბებიამ, - ეს ბუნების მშვენიერი ქმნილება ნამდვილი გმირი ყოფილა.
- ქარიშხალი აუცილებლად დაბრუნდება, გადარჩენილ მეგობარს მოინახულებს, - დარწმუნებით თქვა დედიკომ, მერე რაფაზე დასკუპებულ ფრინველზე მიუთითა, - ეს კაჭია, ჩვენი საყვარელი ჩიტი. ამ ფანჯარასთან ხშირად ნახავთ.
- ეტყობა, თეთრი ყვავილი ყველა სხვას ურჩევნია, - უცბად მიხვდა უცნაური ბებია. დედამ გაიცინა და დაამატა, - გოგონა ამბობს, პატარა ყვავილი ფერს ეძებსო. - ეძებს და იპოვის კიდეც, თუმც, აგერ, კაჭის ასეთიც მოსწონს, - გაიხუმრა გულთმისანმა მოხუცმა.

დაბადების დღის აღსანიშნავი წვეულება იწყება

სტუმრები, საზეიმოდ მორთულ დიდ ოთახში, გაწყობილ სუფრას შემოსხდომოდნენ. ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა. ისმოდა სიცილი, ჭიქების წკრიალი, მუსიკა. ტყისპირი ამ ხმებზე ნანაობდა, ირწეოდა, ადამიანებს გრილ, პატარა სიოებს უგზავნიდა. ბავშვები დარბოდნენ, თამაშობდნენ, თან ნამცხვრებით გამასპინძლებას ელოდნენ. საჩუქრები ყველგან ეწყო: ვეებასთანაც და სახლიკოსთანაც, მათ შორის, ულამაზესი, მაქმანებიანი კაბა და ძველებური თოჯინა მოჩანდა, კიდევ წიგნი. ვისი ნაჩუქარია ისინი?

წვეულებამ სახლიკოს ეზოში გადაინაცვლა, ღუმელი ვეებას დამსახურებულად აქებს

საღამო ხანს, ყველამ სახლიკოს ეზოში გადაინაცვლა. აქაც, რა თქმა უნდა, მაგიდა იყო გაშლილი. თვალს იტაცებდა სადღესასწაულო, ჰაეროვანი ტორტი. იგი ვეებას გამოეცხო და არაჩვეულებრივადაც მოერთო: მწვანე ტყისპირი, ჭრელი ჩიტები, ყვავილები, ბინადრები, პატარა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი სახლიკო, მთელი მიდამო აქ იყო. ვეებას ამგვარად გამოეხატა სიყვარული, პატივისცემა და ახლა, გაფაციცებული, თვალყურს ადევნებდა, რა მოხდებოდა. ჰოდა, როცა საქებარი სიტყვები გაისმა, სიხარულისგან მთლად გამაღლდა, გაფართოვდა, ფანჯრები აუელვარდა. პასუხად კი, ჩვეული ტრაბახის ნაცვლად, თავმდაბლად ჩაილაპარაკა, - რა საჭირო? ხომ ვთქვი, ერთი უბრალო სახლი ვარ, რომლისთვისაც მყუდროება და სითბოა მთავარი.

ამის გაგონებაზე, ღუმელი ავარვარდა. სქელი, ქათქათა ბოლი ცაში აუშვა და დაიგუგუნა, - ნახე, შენი ნათქვამისგან დამცხა. მითხარი, რად გინდოდა, საკვირველებასა და უცნაურობებს რომ დაეძებდი? რაში გჭირდებოდა, ამგვარად სახელის მოხვეჭა? შენ ხომ თავად ხარ საინტერესო, საუკეთესო თვისებებით სავსე? ხელს მხოლოდ ამპარტავნება გიშლიდა, მოიშორე და მიდამომაც დაგაფასა, შეგიყვარა. ამიერიდან, სიმშვიდე და სიხარული არ დატოვებს შენს კედლებს.

მშვენიერი გოგონა ულამაზეს კაბაში გამოეწყო

ტორტი და შაქრის ფხვნილით თეთრად მოფიფქული, ბურბუშელების ცამდე ასული კოშკი, - ვეებას ქმნილება.

სახელგანთქმული ატამი-ნამცხვარი; - საქმიანი ბებიას ნახელავი.

ალუბლის სქელი წვენი, ბროლის სასმისებში; - ოცნების სახლიდან მოტანილი.

და ფრინველთა ორკესტრი, „ჩვენი ჩიტის“, ნიბლიას, ხელმძღვანელობით.

დაბადების დღე გრძელდებოდა, შესანიშნავად შესრულებული სიმღერების თანხლებით.

ბებიებმა ძალზედ მოილხინეს, არც დაღლილან, არც მოუწყენიათ. ერთი სტუმრებს უმასპინძლდებოდა, თავს ევლებოდა. მეორე, სავარძელში ჩამჯდარი, მათ საინტერესო ამბებით ართობდა. ადამიანები უდიდეს პატივისცემას გამოხატავდნენ. კმაყოფილი ბავშვი ზეიმობდა, მერე, შეუმჩნევლად, ვეებასთან გადავიდა. იქიდან კი, ულამაზეს კაბაში გამოწყობილი მობრუნდა, ძველებური თოჯინა და წიგნიც თან ჰქონდა. ყველა მას შეაცქერდა. გოგონას ძალიან უხდებოდა სამოსი. ის მშვენიერი იყო.

- ყველაფერი, - დაიწყო მან, - კაბა, საინტერესო წიგნი და თავიანთი ბავშვობის თოჯინა, ბებიებმა მაჩუქეს, ჩემმა ბებიებმა. მე ისინი იმდენად მიყვარს, რომ მათი აქ მოსვლა უფრო მიხარია, ვიდრე ჩემი დაბადების დღე! - თქვა და გაიქცა, ორივეს ჩაეხუტა.

გულით წარმოთქმულმა ამ ბავშვურმა სიტყვამ დიდი მოწონება დაიმსახურა, მოხუცები კი, უბრალოდ გააბედნიერა. შეჰხაროდნენ შვილიშვილს, ხოლო ის, რაც უცნაურმა ბებიამ შეამჩნია, ჩურჩულით გაანდო საქმიან ბებიას, - ნახე, უცხო კაბა, რომლის მსგავსი არავისაც არა აქვს და, რომელიც უდიდეს ყურადღებას იპყრობს, მაინც ვერ ფარავს მისი თვალების შუქს! აი, რა არის მთავარი!

სახლიკო და ხის ჭია კმაყოფილნი არიან, მოსაღამოვდა

გაცისკროვნებული სახლიკო ბებიებს შესციცინებდა. მას ხომ ისინი პატარები ახსოვდა? უფრო კარგად მიხვდა, დრო როგორ გაპარულიყო. მოგონებები მოაწვა. ფიქრობდა ძველ პატრონებზე და კიდევ იმაზე, დიდხანს, დიდხანს, მარტოდმარტო ბნელში რომ იდგა. შეირყა, გააჟრჟოლა, - მაინც რამ გადამატანია?! - მერე ისევ სინამდვილეს დაუბრუნდა და ესღა თქვა, - ეჰ, რამხელა მოვიყარე, რამხელა!
- რა, უკმაყოფილო ხომ არ ხარ? - ჩაიცინა ხის ჭიამ.
- არა, რას ამბობ! რასაც ვგრძნობ, განა გამოითქმის? - გულით უპასუხა პატარა სახლმა. ასეა! ყოველთვის, ყველა, ბედნიერებას ელის და ისიც მოდის, აუცილებლად მოდის. ჰოდა, აქაც, ამდენი ხნის შემდეგ მოსულმა ბედნიერებამ, გულში ჩაიკრა მწვანეში ჩაფლული, სუფთა ჰაერით სავსე მიდამო და საბოლოოდ გააბრწყინა.

დრო შეუმჩნევლად გავიდა. მოსაღამოვდა. აგრილდა; მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, გაწითლდა და ნელ-ნელა თვალს მიეფარა; ფერები ჩამუქდა; დაღამდა; ცაზე ვარსკვლავები აბრჭყვიალდა; ლურჯი ფინჯნები სურნელოვანი ჩაით აივსო; აგერ, ძველი ფარანიც გამოჩნდა და წამსვე, ცარგვალი ჯადოსნური სურათებით მოხატა. ისხდნენ ადამიანები, შორეულ სივრცეებს გასცქეროდნენ, დაბადების დღე კი გრძელდებოდა. და გოგონას თაიგული? - სიხარულით გაბრწყინებულიყო. ზეიმი და მოლოდინი? ისინიც იქვე იყვნენ. მათ გარეშე რა დღესასწაული იქნებოდა?

მთვარეც მობრძანდა

დიდი მნათობიც გამოჩნდა და იქაურობას თავისებური ნათელი მოჰფინა.
- მთვარე, მთვარე მობრძანდა! - შესძახა გახარებულმა გოგონამ, - ჩემო მეგობარო! გაერთე, მოილხინე! ნახე, რა კარგი დაბადების დღე მაქვს?
- განა, სხვანაირად შეიძლებოდა? ეს ვარსკვლავებიანი ცა შენია! - მნათობმა პასუხი გრილ სხივს გამოატანა.

ზღაპარი დასრულდა? განა ზღაპარი საერთოდ მთავრდება? ვინ იცის, ვინ იცის...

საკმაოდ გვიანი იყო. ქალაქიდან მოწვეული სტუმრები საკუთარი მანქანებით გაემგზავრნენ, ფოსტალიონიც მათ გაჰყვა. ბებიები დარჩნენ. ისინი, დასაძინებლად, ვეებას ერთ-ერთ მყუდრო ოთახში მოათავსეს. ღია ფანჯრებიდან იასამნის სურნელი იფრქვეოდა. მოხუცები მშვიდად საუბრობდნენ. ცალკე მშობლები უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. ბუდეში მოკალათებული კაჭი და ტყისპირიც ლაპარაკობდნენ. ერთი-ორი, ლალალამ და ფიფიმ წაიყვანეს დასაძინებლად, ადგილი ბუხრის წინ მიუჩინეს. დანარჩენი ბინადრებიც მოთავსდნენ. ახლა, ყველანი, კმაყოფილნი და შთაბეჭდილებებით სავსენი, შორეული ტყიდან, ჭოტის ხმის გაგონებასღა ელოდნენ, რომ ბედნიერ მიდამოსთან ერთად, სასიამოვნო, მომთენთავი ძილ-ბურანიდან, სიზმრების სამყაროში გადასულიყვნენ.

ამ დროს

სწორედ ამ დროს, უცნაური რამ მოხდა;

- ჭოოტ! ჭოოტ! - ფრინველის გალობა მართლაც გაისმა, მაგრამ... ტყიდან კი არა, ვეებას პატარა ბაღიდან. დიახ, იქიდან. ჭოტიკო-ბეგემ, ოცნებებით სავსე მდუმარება გაახმოვანა, იდუმალი ღამის დადგომა ყველას აუწყა და მიჩუმდა.

ირგვლივ დიდი გაოცება ჩამოვარდა. გოგონამ ფანჯარასთან მიირბინა, იქაურობას თვალი მოავლო, სიბნელეში რას დაინახავდა? მთვარეს ახედა, მანაც არ დააყოვნა, გრილი სხივი შუბლზე გადაუსვა და დაიწყო: - ასეა, შესრულდა. დრო მოვიდა და მეც უფლება მომეცა, გრძელი მოლოდინის საიდუმლო გავამხილო, ჭოტიკო-ბეგეს მოლოდინის, რომელსაც ტყის შუაგულში, თავის ფუღურეში აცხოვრებდა და ეულად დარაჯობდა. ის მოლოდინი დასრულდა. მას ბოლო მოეღო. ღამის უბადლო გამხმოვანებელმა დაინახა, თუ როგორ გიყვართ, აქ მაცხოვრებლებს, ერთმანეთი, დარწმუნდა, რომ ირგვლივ სამართლიანობამ გაიმარჯვა, ნდობამ, ურთიერთგაგებამ დაისადგურა, რომ ეს მიტოვებული, პატარა მიდამო სიკეთითა და სიყვარულით სავსე ადგილად იქცა. ჰოდა, თავადაც დაგიჯერათ, ტყე მიატოვა და აქეთ გადმოფრინდა. ამიერიდან, შენთან ახლოს იცხოვრებს, ჩვეულებრივად შეგეხმიანება და ახალი საიდუმლოს სადარაჯოდ მოემზადება.

- ახალი საიდუმლო? - ხელი ხელს შემოჰკრა ბავშვმა, - მაინც რამდენი არსებობს ან რომელია უფრო მთავარი, დიდი?
- ყოველი გულისნადები მნიშვნელოვანია, როგორც გასწავლეთ, - გასცა პასუხი ღამის გუშაგმა.
- და ცუდი საიდუმლო არსებობს?
- არა, ეგ უკვე დანაშაულია. ყველაზე დიდი საიდუმლო კი ამგვარი ცხოვრების წესია: სხვისი წარმატებით გახარება, გაჭირვებულის დახმარება, მხოლოდ კარგის სურვილი, ადამიანებთან გულღიად მეგობრობა. ბევრისთვის, შეიძლება ეს უჩვეულოა, აუხსნელი, მაგრამ როცა ასე ფიქრობ, ისეთი მსუბუქი ხარ, ისეთი მსუბუქი! გოგონა, მინდა ამას ეზიარო. მალე სკოლაში წასვლის დრო მოგივა. იქ ცოდნის, სწავლის საიდუმლოება გელოდება. გგონია ადვილია მისი მიგნება? რთულია, მაგრამ აუცილებელი. მენდე, შენი სიკეთე ყოველივეს მოაგვარებს, ყველა კარს შეაღებს, - დაასრულა სიტყვა მთვარემ.
- ჩემო ძველთაძველო და გულთმისანო, ხომ მუდამ ვიმეგობრებთ?
- რა თქმა უნდა, ახლა ტკბილად დაიძინე. იცოდე, აქ ვარ, ვარსკვლავიან ცარგვალთან ერთად. ხვალ ისევ კრიალა დილა გელოდება, - უკვე სულ ჩუმად უთხრა მნთობმა. გოგონამ ბნელით მოცულ ბაღს კიდევ ერთხელ გახედა და ლოგინში ჩაწვა.
- ჭოტიკო-ბეგე, ჩვენთან მოფრინდი? ყველა ერთად ვართ? იცი, როგორ მიხარია, ბინა აქ რომ დაიდე? - ჩაიჩურჩულა მან, - უფრო მშვიდადაც ვიქნები, - დაამატა დედიკოსავით და თვალები დახუჭა.
- ჭოოტ! - გაისმა პასუხად.
მიდამომ ღრმა, უშფოთველი ძილით ჩაიძინა.

ყველაზე ბედნიერი მაინც სახლიკოა, მისი ოცნება ახდა - ადამიანებმა იპოვეს!

იპოვეს და ახლა იგი განახლებულია: გაამაგრეს, კარ-ფანჯარა შეუღებეს; დახავსებული, ჩაშავებული სახურავი წითელი კრამიტით შეუცვალეს. შიგნით სისუფთავე, იატაკი, ელექტროდენი. ოოო, ძველებური სახლიკო აღარ ჰყავს მიდამოს?! მშვიდად, მშვიდად, როგორ არა! განა საკუთარ თვისებებს, თვითონვე არ ვატარებთ? ისინი მხოლოდ ჩვენივე სურვილით შეიძლება გაქრეს, დაიკარგოს. არც კეთილშობილებას და სიყვარულს, არც მეგობრობის უნარს და პატიების ნიჭს ამ პატარა სახლის განახლებული კედლები არ დაუტოვებია. ის იგივეა, ოღონდ ხავსმოდებული კი არა, უფრო ლამაზი, კოპწია. და დგას მედგრად, ასევე დახვდება შემოდგომას, ზამთარს, ნისლსა თუ წვიმას, გრიგალსა თუ თოვლს. სჯერა, დიდხანს, დიდხანს იქნება ყველას გასახარად და დატკბება ამ დიდი ბედნიერებით.

და არის ასე ...

... გალაღებულა მზის გულზე გაშლილი მიდამო. მშვიდად დგას ფლუგერი სახურავზე და წყნარ დღეებს ჰპირდება ბინადრებს. ყელყელაობენ ყვავილები. თავს იწონებს გაფეთქილი ხვიარა ვარდი. დაჩუხჩუხებს, დაღუღუნებს რუ, იქაურობას აგრილებს. ყვითელი პეპელა მწვანე ეზოში დაფარფატებს; ჭიამაია რაფაზე ნებივრობს; ბრძენი, იდუმალი ხის ჭია ისევ მზადაა, თავისი აზრები სტუმრებს ჭრიალით გაუზიაროს. კვლავ დაბუზღუნებს ჭიჭი, ჩატარებული სამუშაოებით უკმაყოფილო, თუმცა, მისი საყვარელი, ხვრელებით სავსე ბუხარი უცვლელად დატოვეს და ფუმფულა საწოლიც იქვე დგას. ელჩად წოდებული ფიფი-ჩახჩახა, ჩვეულებისამებრ, გაბრწყინებული და გაპრანჭული, ახლო-მახლო ტრიალებს. იშვიათად, ცოდნის შესავსებად, ნახატებიან წიგნზეც გადაგორდება ხოლმე. ბებიებთან სტუმრად ხშირად დადის და ჭოტიკო-ბეგესთანაც მეგობრულად საუბრობს. თხუნელა დიგი ისევ თხრის გვირაბებს. დათუხთუხებს მორთულ-მოკაზმული ეკოლო, ვეებასთანაც დაბრძანდება სტუმრად და მირთეულ რძეს ხმაურით სვლეპს. ამაზე, დიდი სახლი გულიანად იცინის. ჩვენი ჩიტი მშვენიერ სიმღერებს ასრულებს, ჯერ ბებიებთან, მერე სახლიკოსთან. ერთი-ორი მკვირცხლად მიმორბის ტყის ბილიკზე. ტყისპირი შრიალებს. კაჭი ერთგულად უზის თავის ნაზ მეგობარს, რომელიც გაცისკროვნებული იცინის და იმედს უსახავს ყველას. ფოსტალიონს ფერადი ჟურნალ-გაზეთები დააქვს, კიდევ წიგნები ბუნების შესახებ. ახლა, ტყის აქეთა მხარეც მასპინძლობს მას განთქმული ბურბუშელებით თუ ყვავილებიანი ტორტით. გოგონა, დედიკო და მამიკო ყურადღებას არ აკლებენ ბებიებს, მათთან ერთად მშვენიერ საღამოებს ატარებენ. ძველი, მოხატული სანათი? ისევ ბუხრის შვერილზე დგას. გგონიათ უქმადაა? არაფერიც, ბავშვები მას არ ღალატობენ, ლურჯი, ღამეული ცის ქვეშ კვლავინდებურად ანთებენ. ისიც ხატავს და ქარგავს ჯადოსნურ სურათებს ცარგვალზე. დიახ, ყველაფერი, კარგადაა.

მერე?

მერეც ასე იქნება: უთვალავჯერ ამოვა ლურჯ ცაზე ბრიალა მზე; უთვალავჯერ აინთება დილა და დადგება კრიალა დღე; უთვალავჯერ დატრიალდება ვარსკვლავებით მოჭედილი ცარგვალი, მოიყვანს ღამეს და დაარიგებს სიზმრებს; უთვალავჯერ გაიღვიძებს მიდამო სიხარულით და უთვალავჯერ მიეცემა საამო ძილს; უთვალავჯერ მოჰყვება მთოვარე ზღაპრებს; შრიალა, მწვანე ტყისპირი ახალ ხეებს დაზრდის, ბუდეებს დაარწევს; პატარა ბაღი ჩიტებით აივსება; კაჭის მუდამ ეყვარება თეთრი ყვავილი; ნიბლია, - ჩვენი ჩიტი, იგალობებს; ჩახჩახა-ფიფი, ბოლოს და ბოლოს, მეგობრებს სახელებს შეუცვლის; ჭიჭი იმოგზაურებს; დიგი მიწის ქვეშ დერეფნებს გაიყვანს; ეკოლო, პრანჭია ზღარბი, ნაირ-ნაირ სამკაულებს მოირგებს; რუ და პატარა ნაკადულები იჩუხჩუხებენ, აქა თუ იქ; ლალალა და გუნდა, ყურპანტურა ერთი-ორი ერთად, მიდამოს დაიცავენ; ისევ იქროლებს გრილი სიო ან ცხელი ნიავი; ჭიამაიები, პეპლები

გაალამაზებენ არე-მარეს; ფლუგერი იტრიალებს, ხის ჭია იჭრიალებს; ოცნებით აშენებული, საყვარელი სახლი? არა, ის აღარ იქნება მოწყენილი. ბავშვები, შაბათ-კვირას, ისევ ამოვლენ ქალაქიდან; გუბე, საყვარელი გუბე? ერთ დღეს, როცა ჟუჟუნა წვიმა წამოვა და ცაზე ცისარტყელას ააფერადებს, იგი, ცის შვილი, მიწის სტუმარი, ისევ გაჩნდება სახლიკოს ეზოში და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ხალისს მოიტანს. ღამით კი, როცა ყველა დაიძინებს, ვარსკვლავებით დაჭორფლილ გულისპირს გადახსნის და ყვითელ მთვარეს ჩაიხუტებს. ყველაფერი, ყველაფერი ისევ ისე იქნება. ესე იგი...

- ახალ-ახალი საოცრებებიც მოხდება?

- მოხდება, აბა, რა!

- და, თუ ყვავილი ვერ გაფერადდა?

- დიდი ამბავი, მაინც ყველას ეყვარება.

- ფოსტალიონი?

- ისევ ისე ივლის ბებიებთან, მამიკოსთან, წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით დატვირთული, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება წერილიც მოიტანოს!

- ვისგან?

- ვინ იცის, ვინ იცის? ...